ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა

კონსტანტინე შუბითიძე

„საერთაშორისო სისტემაში მომხდარი ცვლილებების გავლენა ქართულ ნაციონალურ პროექტზე 1910-იან და 1980-იან წლებში (შედარებითი ანალიზი)“

სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ზურაბ დავითაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2022

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ქართული ნაციონალიზმის საერთაშორისო პოლიტიკის კონტექსტში სისტემური კვლევის ერთ-ერთ პირველ მცდელობას. მასში გამოკვლეულია 1910-იან და 1980-იან წლებში საერთაშორისო სისტემაში მომხდარი ცვლილებების გავლენა ქართულ ნაციონალურ პროექტზე, რომლის სათავეებიც დაკავშირებულია თანამედროვე ქართველი ერისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან პერსონასთან, ილია ჭავჭავაძესთან და მის თანამოაზრეებთან.

ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება, რომ 1918 და 1991 წლებში საქართველოს მიერ რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირისგან მოპოვებული დამოუკიდებლობა და სახელმწიფო სუვერენიტეტის აღდგენა, რაც ნიშნავს ნაციონალური პროექტის პრაქტიკულ რეალიზებას, პირდაპირ დაკავშირებულია საერთაშორისო სისტემაში მომხდარ ცვლილებებთან. კვლევაში განვითარებული ჰიპოთეზის მიხედვით, სწორედ, ერთი მხრივ მე-20 საუკუნის დასაწყისში პირველი მსოფლიო ომი და მასთან დაკავშირებული იმპერიათა რღვევის პროცესი და მეორე მხრივ ამავე საუკუნის დასასრულს ცივ ომში დასავლეთის ბლოკის გამარჯვება გახლდათ ის მოვლენები, რომელთა მეშვეობითაც საქართველოს, მსგავსად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მთელ რიგ სხვა პატარა ქვეყნებისა, მიეცა შესაძლებლობა მიეღწია ეროვნული თვითგამორკვევისთვის.

სხვადასხვა აკადემიურ წყაროზე, საგაზეთო პუბლიკაციებზე, გადაწყვეტილების მიმღებ პირთა პირად მოსაზრებებზე, საარქივო მასალასა და დარგის სპეციალისტებსა თუ 80-იანი წლების ეროვნული მოძრაობის აქტიურ მონაწილეებთან ჩაწერილი პირისპირ ინტერვიუების მეშვეობით ნაშრომში თავმოყრილია ის ცოდნა და ფაქტობრივი მასალა, რაც საკვლევ საკითხთან დაკავშირებით მართალია ფრაგმენტულად თუმცა, უკვე არსებობდა.

თეორიული თვალსაზრისით, ნაშრომი ერთი მხრივ განიხილავს ნაციონალიზმის ძირითად თეორიებსა და მათ მიდგომებს ერის ფორმირებასთან დაკავშირებით, რათა მკითხველისთვის გასაგები იყოს თანამედროვე ქართველი ერის და ნაციონალური პროექტის დაკავშირება სწორედ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ილია ჭავჭავაძისა და მის თანამოაზრეთა ჯგუფის - თერგდალეულების საქმიანობასთან. ხოლო, მეორე მხრივ საქართველოს შემთხვევის შესწავლით წინამდებარე კვლევა ახდენს ამერიკელი მეცნიერების სემუელ ბარკინისა და ბრუს ქრონინის მიერ 1994 წელს გამოქვეყნებულ კვლევაში „სახელმწიფო და ერი: სუვერენიტეტის ცვალებადი ნორმები და წესები საერთაშორისო ურთიერთობებში“ გამოთქმული ჰიპოთეზის „სუვერენიტეტი და მისი წესები არ არის არც ფიქსირებული და არც მუდმივი, არამედ ექვემდებარება ცვალებად ინტერპრეტაციას“ შემოწმებას.

Abstract

This paper is one of the first attempts at systematic research of Georgian nationalism in the context of international politics. It examines the impact of changes in the international system in the 1910s and 1980s on the Georgian national project, the origins of which is related to one of the most important figures for the modern Georgian nation, Ilia Chavchavadze and his associates.

The paper argues that Georgia's independence from the Russian Empire and the Soviet Union in 1918 and 1991 and the restoration of state sovereignty, which means the practical realization of the national project, are directly linked to changes in the international system.

According to the research hypothesis, on the one hand, the First World War in the early 20th century and the process of dissolution of empires and on the other hand, the victory of the Western Bloc in the Cold War at the end of the same century were the events through which Georgia, like a number of other small countries in Central and Eastern Europe, was given the opportunity to achieve national self-determination.

Through various academic sources, newspaper articles, personal opinions of decision-makers, archival materials and face-to-face interviews with field experts or active participants in the national movement of the 1980s, the paper combines the knowledge and factual materials related to the research topic, which, although fragmentary, has already existed.

From a theoretical point of view, the paper discusses, on the one hand, the basic theories of nationalism and their approaches to the formation of the nation, so that the reader can understand the connection between the modern Georgian nation, the national project and the activities of Ilia Chavchavadze and his group of like-minded people – 'Tergdaleulebi' from the second half of the 19th century. On the other hand, by studying the case of Georgia, the study examines the hypothesis "sovereignty and its rules are neither fixed nor permanent, but subject to change" expressed in a 1994 study "The State and The Nation: Changing Norms and the Rules of Sovereignty in International Relations" by American scientists Samuel Barkin and Bruce Cronin.

სარჩევი

შესავალი 1

თავი I ლიტერატურის მიმოხილვა 13

1.1 საერთაშორისო სისტემაში ცვლილებებსა და ახალი აქტორების წარმოშობასთან დაკავშირებული თეორიული საკითხების მიმოხილვა რეალიზმის პარადიგმის ჭრილში . 14

1.2 ქართული ნაციონალიზმი საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე ცვლილებების კონტექსტში - 1910-იანი წლები 28

1.3 ქართული ნაციონალიზმი საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე ცვლილებების კონტექსტში - 1980-იანი წლები 38

თავი II ნაციონალიზმის ძირითადი თეორიების მიდგომები ერის ფორმირებასა და მასთან დაკავშირებული ცნებების თაობაზე 49

თავი III ქართული ნაციონალური პროექტი და საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკა 59

3.1 ქართული ნაციონალური პროექტი – „თერგდალეულები“ 59

3.2 ძირითადი დებატები და მიმართულებები ქართული ნაციონალური პროექტის გარშემო 1910-იან წლებში 65

3.3 ცვლილებები საერთაშორისო სისტემაში 1910-იან წლებში 79

3.4 საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკა, როგორც საერთაშორისო სისტემაში მომხდარი ცვლილებების შედეგი 85

თავი IV ქართული ნაციონალური პროექტი და საქართველოს მეორე დამოუკიდებელი რესპუბლიკა 98

4.1. ქართული ნაციონალიზმის ძირითადი ნიშნები 1980-იან წლებში 98

4.2 ცვლილებები საერთაშორისო სისტემაში 1980-იან წლებში 116

4.3 საქართველოს მეორე დამოუკიდებელი რესპუბლიკა, როგორც საერთაშორისო სისტემაში მომხდარი ცვლილებების შედეგი 129

დასკვნა 144

ბიბლიოგრაფია 152

შესავალი

მე-20 საუკუნე და ამ საუკუნეში განვითარებული პროცესები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ნაციონალიზმის შესწავლით დაინტერესებულ მკითხველში. გლობალური ცვლილებები, რომლებიც რამდენჯერმე მოხდა გასული საუკუნის განმავლობაში, კერძოდ კი პირველი მსოფლიო ომი და მასთან პირდაპირ, თუ ირიბად დაკავშირებული იმპერიათა რღვევის პროცესი, მეორე მსოფლიო ომი და ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბება და ცივი ომის პროცესი თავისი შედეგებით, ფაქტობრივად, გახდა განმსაზღვრელი მთელი საერთაშორისო სისტემის შემდგომი წყობის და ერების თვითგამორკვევისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბების, ანუ ნაციონალიზმის წახალისებისათვის.

გასული საუკუნე თავისი მნიშვნელობით განსაკუთრებული იყო საქართველოსთვისაც, რომელმაც საუკუნის განმავლობაში ორჯერ შეძლო დამოუკიდებლობის აღდგენა. პირველ შემთხვევაში რუსეთის იმპერიისგან (1918 წ.), ხოლო მეორე შემთხვევაში საბჭოთა კავშირისგან (1991 წ.).

მიუხედავად იმისა, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველო რუსეთის იმპერიის განაპირა ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა, აქ განვითარებული პოლიტიკური მოვლენები, ფაქტობრივად, იდენტური იყო ევროპის მთელი რიგი ერებისა და სახელმწიფოების შიგნით მიმდინარე პროცესებისა. ქართული ნაციონალიზმი მე–19 საუკუნის მეორე ნახევრიდან თერგდალეულთა მიზანმიმართული, თანმიმდევრული მოღვაწეობის შედეგად უკვე საკმაოდ გამოკვეთილი და ხელშესახები მოვლენა გახლდათ. მისი „განეიტრალება“ ვერ შეძლო ვერც იმპერიულმა ძალებმა და ვერც ეპოქისათვის დამახასიათებელმა, ძალიან პოპულარულმა იდეოლოგიურმა წიაღსვლებმა, კლასებს შორის დაპირისპირების უპირველეს მიზნად ქცევის თუ ინტერნაციონალის შესახებ. უფრო მეტიც, ეროვნულმა/ნაციონალურმა იდეამ, რომლის ლოგიკური ძირითადი მიზანიც დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაა და შესაბამისად ეწინააღმდეგება ინტერნაციონალის ჩამოყალიბების, ტერიტორიული დაყოფისა და ეროვნული იდეის

უარყოფის იმჟამინდელ სოციალ–დემოკრატიულ მისწრაფებას, საბოლოოდ განხორციელება სწორედ ქართველი სოციალ–დემოკრატების ხელით ჰპოვა 1918 წლის 26 მაისს, როდესაც გამოცხადდა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბილიკის შექმნა.

თუმცა, პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობამ მხოლოდ სამ წელს გასტანა და 1921 წელს ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით ქვეყნის გასაბჭოებით დასრულდა. 70 წლიანი საბჭოთა ოკუპაციის საწყის ეტაპზევე კრემლის მმართველობა აქტიურად შეუდგა ადგილობრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ელიტის ფიზიკურ განადგურებას და ეროვნული იდეის გაქრობის მცდელობას, რათა თავიდან აეცილებინა შესაძლო „გართულებები“ საბჭოთა იმპერიის შენების გზაზე. ოკუპაციის საწყისი პერიოდი, სხვა ფაქტორებთან ერთად, რთული აღმოჩნდა ქართული ნაციონალური პროექტის კვლავ გაძლიერებისა და საზოგადოების ფართო ფენებში გავრცელებისათვის იმ მიზეზითაც, რომ საბჭოთა კავშირის ლიდერი ეთნიკურად ქართველი, იოსებ ჯუღაშვილი (სტალინი) გახლდათ, რაც ხალხში ერთგვარ დაბნეულობას იწვევდა. ეროვნული იდეების გამოცოცხლება და პროტესტის გრძნობა საქართველოს საზოგადოებაში, რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, დაკავშირებულია სწორედ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებისა და იძულებითი გასაბჭოების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედის, სტალინის გარდაცვალებასა და საბჭოთა კავშირის შემდგომი მეთაურის ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ მისი კულტის დაგმობასა და ამასთან ერთად მისი ქართველობის ხაზგასმასთან, რაც საბოლოოდ ანტიქართულ პოლიტიკად იქნა აღქმული და თბილისში ცალკეული ჯგუფების აღშფოთების მიზეზი გახდა. 1956 წლის მარტში, პირველად ხანგრძლივი დუმილის შემდეგ სწორედ კრემლიდან მომავალი ანტიქართული განწყობების გამო გამოვიდა ხალხი საქართველოს დედაქალაქის, თბილისის ქუჩებში, რასაც კრემლმა ტრადიციული მეთოდით უპასუხა და მომიტინგეებს ცეცხლი გაუხსნა. სიმბოლურია ის მომენტიც, რომ სწორედ 1956 წლის 9 მარტს შეკრებილ მიტინგზე საჯაროდ პირველად გამოჩნდნენ საუკუნის ბოლოს, 80-იან წლებში გაშლილი ახალი ქართული ეროვნული მოძრაობის მომავალი ლიდერები, ჯერ კიდევ არასრულწლოვანი ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა.

1910-იანი წლების მსგავსად, საუკუნის მეორე ნახევარშიც საქართველოში მიმდინარე პროცესები დიდ მსგავსებას ავლენდა ევროპის იმ ქვეყნებსა და საზოგადოებებში მიმდინარე პროცესებთან, რომლებიც ან უშუალოდ საბჭოთა კავშირის მიერ იყვნენ ოკუპირებულნი (ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი), ან კრემლის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ისევე, როგორც ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დიდ ნაწილში, ნაციონალური გამოცოცხლება და ეროვნული იდეების გააქტიურება საქართველოშიც 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იან წლებში იღებს მასშტაბურ ხასიათს, რაც დაკავშირებულია საერთაშორისო პოლიტიკაში მომხდარ გარდამტეხ ცვლილებებთან. ცივი ომის დასკვნით ეტაპზე, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ჩამოყალიბებული ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის შერბილებისა და შემდგომი რღვევის შედეგად კვლავ გაჩნდა ისტორიული შესაძლებლობა, რაც სხვა ევროპულ ქვეყნებთან ერთად საქართველომაც წარმატებით გამოიყენა და 1991 წლის 9 აპრილს 1921 წლის პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე გამოაცხადა დამოუკიდებლობის აღდგენა, რაც იმავე წლის 26 დეკემბერს საბჭოთა კავშირის დაშლით ოფიციალურად გაფორმდა. ამით მეოცე საუკუნეში მეორედ ქვეყანამ შეძლო ნაციონალური პროექტის რეალიზება - დაიბრუნა სახელმწიფოებრიობისათვის უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი - სუვერენიტეტი და აღიდგინა დამოუკიდებლობა.

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს ჩემი სამაგისტრო ნაშრომის „საერთაშორისო სისტემაში მომხდარი ცვლილებების გავლენა ქართულ ნაციონალიზმზე 1910-იან წლებში“ გაგრძელებას და იყენებს მასში განხილულ იმ ზოგიერთ მასალასა და დამუშავებულ ინფორმაციას, რაც დაკავშირებულია შესაბამისი პერიოდის ქართული ნაციონალიზმის თავისებურებების და საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე პროცესების აღწერასთან. სამაგისტრო ნაშრომში მოკლედ იყო განხილული 1910-იანი წლების ქართული ნაციონალიზმის თავისებურებები და საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებთან მისი კავშირი. ამ შემთხვევაში კი, წარმოდგენილი კვლევის ინტერესია დაადგინოს ის ფაქტორები და მიზეზები, რამაც მეოცე საუკუნის განმავლობაში ორჯერ გახადა შესაძლებელი საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნისთვის აღედგინა

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ამ მიზნის მისაღწევად ნაშრომი იკვლევს იმ ეტაპებსა და პროცესებს, რომლებიც განვლო ქართულმა ნაციონალიზმმა/ნაციონალურმა პროექტმა მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან 1918 წლამდე და 1921 წლის გასაბჭოებიდან 1991 წლის დეკემბრამდე, ამ უკანასკნელის შემთხვევაში აქცენტი კეთდება 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იან წლებში წარმართულ პროცესებზე. ეს ყოველივე კი შესწავლილი და განხილულია საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებების კონტექსტში, რათა ახსნას კორელაცია სისტემაში მიმდინარე ცვლილებებსა და ქართულ ნაციონალიზმს/ნაციონალურ პროექტს შორის და მოახდინოს დროის ორ სხვადასხვა პერიოდში განვითარებული შემთხვევების შედარებითი ანალიზი. ამასთან, მნიშვნელოვანია დადგინდეს რამდენად მსგავსი იყო საერთაშორისო სისტემაში მოქმედი ნორმები და მიდგომები ეროვნული და სახელმწიფო სუვერენიტეტების მიმართ 1910-იან და 1980-იან წლებში. ამის შედეგად შესაძლებელი იქნება ერთმანეთს შედარდეს არამხოლოდ დამოუკიდებლობის მოპოვებისკენ მიმავალი შიდა ეროვნული გზები, არამედ მათზე მოქმედი საერთაშორისო ფაქტორებიც.

ზემოხსენებული მიზნის მისაღწევად ნაშრომის ძირითად საკვლევ კითხვად განისაზღვრა შემდეგი:

„რა მიზეზებმა/ფაქტორებმა გახადა შესაძლებელი მე-20 საუკუნის დროის ორ სხვადასხვა მონაკვეთში, 1910-იან და 1980-იან წლებში, ქართული ნაციონალური პროექტის რეალიზება - სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა?“

ხოლო, შესაბამისი კვლევის შედეგად ნაშრომი ავითარებს ჰიპოთეზას, რომ:

„მე-20 საუკუნეში, დროის ორ სხვადასხვა მონაკვეთში, 1910-იან და 1980-იან წლებში, ქართული ნაციონალური პროექტის რეალიზება - სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა შესაძლებელი გახდა საერთაშორისო სისტემაში მომხდარი ცვლილებების შედეგად.“

ზემოთ აღწერილი კვლევის ინტერესიდან და მიზნიდან გამომდინარე, შესასწავლი საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით, წინამდებარე კვლევის

დიზაინად შეირჩა შემთხვევის შედარებითი შესწავლა. კერძოდ, აღებულია დროის ორ კონკრეტულ მონაკვეთში შედეგობრივი თვალსაზრისით ერთი და იგივე მოვლენა - ქართული ნაციონალური პროექტის რეალიზება/საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და შესწავლილია მისი განმაპირობებელი ფაქტორები. კვლევის ძირითად ერთეულს წარმოადგენს როგორც მოვლენა - ნაციონალური პროექტის რეალიზება, ისე საერთაშორისო სისტემა, რომლის სისტემური ცვლილებებიც მე-20 საუკუნის დასაწყისსა და დასასრულს იქცა ბევრი დაპყრობილი მცირე ერისთვის დამოუკიდებლობის აღდგენის ძირითად ფაქტორად; ასევე, ერი, რომლის ჩამოყალიბება თანამედროვე სახით და კონსოლიდაცია ნებისმიერი ხალხის ნაციონალური პროექტის საფუძველს წარმოადგენს; პოლიტიკური ჯგუფები და გადაწყვეტილების მიმღები პირები, რომელთა პოზიციები და ლავირების შესაძლებლობები საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე გარდაქმნების ფონზე გადამწყვეტია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის. ეს ყოველივე ერთიანობაში ქმნის ლოგიკურ ჯაჭვს და შესაძლებლობას გვაძლევს საკვლევი კითხვიდან და ჰიპოთეზიდან გამომდინარე, გამოვყოთ დამოუკიდებელი ცვლადი - *საერთაშორისო სისტემაში მომხდარი ცვლილებები* და შესაბამისად, დამოკიდებული ცვლადი - *ქართული ნაციონალური პროექტის რეალიზება - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, მე-20 საუკუნის დროის ორ სხვადასხვა მონაკვეთში.*

ცვლადების ოპერაციონალიზაციის და მათ შორის კორელაციის დადგენის მიზნით, სხვა ცნებებისგან განსხვავებით, რომელთა ახსნასაც ნაშრომის სხვადასხვა ნაწილში ვხვდებით, მნიშვნელოვანია თავიდანვე განისზღვროს იმ ძირითად ტერმინთა სამუშაო მნიშვნელობები, რომელთაც საკვანძო ადგილი უკავიათ ამ კვლევაში, კერძოდ:

ცვლილებები საერთაშორისო სისტემაში - სისტემაში მოქმედ ძირითად აქტორებს, სახელმწიფოებს შორის ძალთა ბალანსის ცვლილება ომების, იმპერიათა რღვევისა თუ შეთანხმებების გზით ან/და იმ ნორმების გადახედვა და ახლებური გააზრება, რომელთა საფუძველზეც უკვე არსებული აქტორები განსაზღვრავენ საკუთარ პოლიტიკას სისტემაში ახალი მოთამაშეების წარმოშობის თაობაზე.

ნაციონალური პროექტი - „ნაციონალური პროექტი არის ხელისუფლების/საზოგადოების ლიდერების მიერ ნაციონალური ინტერესის და მისი რეალიზების პერსპექტივის ხედვა, რომელსაც იზიარებს ან არ იზიარებს მოსახლეობის უმრავლესობა“ (ჩხაიძე, 2009, გვ. 15).

რამდენადაც მოცემული ნაშრომისთვის უმნიშვნელოვანესია გაზომოს გამოყოფილი ცვლადების ვალიდურობა და დაადგინოს მათ შორის კორელაცია, ანუ შეამოწმოს რამდენად იქონია მე-20 საუკუნის 10-იან და 80-იან წლებში საერთაშორისო სისტემაში მომხდარმა ცვლილებებმა გავლენა ქართულ ნაციონალურ პროექტსა და მისი რეალიზების პერსპექტივებზე, განისაზღვრა კვლევის რამდენიმე ძირითადი მიმართულება. კერძოდ, 1918 წელს რუსეთის იმპერიისგან მოპოვებული დამოუკიდებლობის განმაპირობებელი ფაქტორების გაანალიზების მიზნით ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს ისეთ შიდა პროცესებზე, როგორიცაა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან თერგდალეულების მიერ თანამედროვე ქართული ნაციონალური პროექტის ჩამოყალიბება, მისი განვითარების ეტაპები დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, გადადგმული ნაბიჯები და იმჟამინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ელიტაში მიმდინარე დისკურსი ეროვნულობის, ავტონომიისა და დამოუკიდებლობის შესახებ, პოლიტიკური იდეოლოგიების გათვალისწინებით. ამასთან, ძირითად საგარეო ფაქტორებად, რომელთაც გავლენა იქონიეს საქართველოზე და სხვა მცირე ევროპულ ერებზე გამოიყო მე-20 საუკუნის დასაწყისში საერთაშორისო სისტემაში მომხდარი ცვლილებები, რაც დაკავშირებულია პირველ მსოფლიო ომთან, იმპერიათა რღვევის პროცესსა და აქედან გამომდინარე მთელი რიგი საერთაშორისო ნორმების ახლებურ გააზრებასთან. ბუნებრივია, საქართველოსთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის იმპერიაში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს და მის წარუმატებელ მონაწილეობას მსოფლიო ომში, ოსმალეთის იმპერიასთან რთულ ურთიერთობებს და გერმანიის სურვილს პოლიტიკური მოკავშირე გაეჩინა სამხრეთ კავკასიაში. რაც შეეხება 1980-იან წლებს, ამ შემთხვევაში მთავარი საკითხი ქართული ნაციონალიზმის თავისებურებების, მისი მახასიათებლების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების პიროვნული ფაქტორებისა და

პოლიტიკური ხედვების შესწავლაა. საგარეო ფაქტორების თვალსაზრისით ამ საკითხების გააზრება 1970-80-იან წლებში ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის გარდაქმნის, საერთაშორისო პოლიტიკის შერბილების და საბჭოთა კავშირის არაგონივრული საგარეო პოლიტიკური ნაბიჯების ჭრილში ხდება.

კვლევის დიზაინის გათვალისწინებით, ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია თეორიული და ემპირიული კვლევის მეთოდები. მათ შორის შინაარსის ანალიზი, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრა შესასწავლი მასალა, მოხდა მათი დაჯგუფება ოფიციალური დოკუმენტების, გადაწყვეტილების მიმღები პირების ან/და იმ საზოგადო მოღვაწეების, ვინც გავლენას ახდენდა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე საკვლევ პერიოდებში პირადი ჩანაწერების, საგაზეთო პუბლიკაციების, ვიდეო მიმართვებისა და საკვლევი საკითხის გარშემო არსებული აკადემიური ლიტერატურის სახით. შემდეგ ეტაპზე შემუშავდა საკვანძო ფრაზები ან/და სიტყვები, რომელთა გარშემოც მიმდინარეობდა იდენტიფიცირებულ მასალაში ინფორმაციის დამუშავება და მხოლოდ ამის შემდგომ მოხდა შეგროვებული ინფორმაციის გამოყენება. ამასთან, გამოყენებულია პირისპირ ინტერვიუს მეთოდი, რის შდეგადაც კვლევის პროცესში ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები დარგის ექსპერტებთან და 1980-იან წლებში გაშლილი ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან და აქტიურ მონაწილეებთან. ინტერვიუების დაგეგმვის პროცესში მოხდა რესპონდენტების ორ ჯგუფად დაყოფა, პირველი ჯგუფში მოხვდნენ დარგის ექსპერტები შესაბამისი ცოდნითა და ექსპერტიზით, ხოლო მეორე ჯგუფში ის პირები, ვინც უშუალოდ იყვნენ 1980-იანი წლების ეროვნული მოძრაობის აქტიური მონაწილეები. ჯგუფებად დაყოფის შემდეგ შემუშავდა სადისკუსიო გეგმის ორი ვარიანტი, თითოეულის კითხვები/საკითხები მოიცავდა იმ თემებს, რაც რელევანტური იყო კონკრეტული ჯგუფის წევრებისთვის. ინტერვიუების ჩაწერის შემოდგომ მოხდა მათი გაშიფვრა, დამუშავება და შესაბამისი ინფორმაციის გამოყენება კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე. ვინაიდან ნაშრომის ერთ-ერთი მიზანი უკვე არსებული თეორიული მოსაზრების შემოწმებაა, კვლევის საწყის ეტაპზე მოხდა დარგის ფარგლებში წინამდებარე ნაშრომში გამოკვლეული საკითხების მსგავს შემთხვევებზე ჩატარებული კვლევების მოძიება. ამის შემდგომ,

იდენტიფიცირდა ის კვლევა, რომელიც ყველაზე უფრო ახლოს დგას წინამდებარე ნაშრომთან (განიხილავს ლიეტუვას, ლატვიისა და ესტონეთის შემთხვევებს) და მოხდა მისი ჰიპოთეზის ტესტირება ახალი, საქართველოს შემთხვევის საფუძველზე, რათა გამყარებულიყო ან დასუსტებულიყო უკვე არსებული თეორიული მოსაზრება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი კვლევის აქტუალობა და სარგებლიანობა საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინისა და საქართველოში ნაციონალიზმის კვლევების განვითარებისთვის განპირობებეულია ორი მთავარი მიზეზით:

1. წინამდებარე ნაშრომი, ფაქტობრივად, წარმოადგენს საერთაშორისო სისტემაში მომხდარი ცვლილებების კონტექსტში ქართული ნაციონალიზმის სიღრმისეული კვლევის პირველ შემთხვევას არამხოლოდ საქართველოში, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც. ის ამ თემის გარშემო არსებული ლიტერატურის, დარგის ექსპერტთა მოსაზრებებისა თუ სხვა ემპირიული მასალის კრიტიკული გააზრების საფუძველზე ახდენს არსებული ცოდნის შეკრებასა და ახალი ცოდნის გენერირებას, რაც მნიშვნელოვანია ქართული ნაციონალიზმის კვლევის განვითარებისა და შემდგომი სამეცნიერო შრომების სტიმულირებისათვის. ცალკე აღნიშვნის ღირსია კვლევის პროცესში აღმოჩენილი და დამუშავებული 1910-იანი წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური ელიტის საკვანძო წარმომადგენელთა პირადი ჩანაწერები, მოსაზრებები და ოფიციალური შეხვედრების ოქმები, ასევე, ჩატარებული პირისიპირი ინტერვიუები 1980-იან წლებში გაშლილი ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერებსა და აქტიურ წარმომადგენლებთან, რომელთაც გააჩნიათ უნიკალური ინფორმაცია იმ დროინდელ პროცესებთან და ეროვნული მოძრაობის ლიდერთა მიერ საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესების აღქმებთან დაკავშირებით.
2. ნაშრომი თეორიული თვალსაზრისით, ახდენს ამერიკელი მეცნიერების სამუელ ბარკინისა და ბრუს ქრონინის მიერ 1994 წელს გამოქვეყნებულ კვლევაში „სახელმწიფო და ერი: სუვერენიტეტის ცვალებადი ნორმები და

წესები საერთაშორისო ურთიერთობებში“ (Barkin&Cronin, 1994) გამოთქმული ჰიპოთეზის ტესტირებას საქართველოს შემთხვევის განხილვით. ბარკინისა და ქრონინის მიერ გამოთქმული ჰიპოთეზის - „სუვერენიტეტი და მისი წესები არ არის არც ფიქსირებული და არც მუდმივი, არამედ ექვემდებარება ცვალებად ინტერპრეტაციას“ - საქართველოს შემთხვევაზე განვრცობით, ნაშრომი ცდილობს საკუთარი წვლილის შეტანას ზემოთ მოყვანილი მოსაზრების/თეორიული მიდგომის გამყარებაში ან კვლევის შედეგად მისი უარყოფის შემთხვევაში, ახალი თეორიული დისკუსიის წამოწყებას მოცემულ საკითხზე. აღნიშნული ავტორები თავიანთ ჰიპოთეზას განმარტავენ შემდეგნაირად, რომ იმ პერიოდებში, როდესაც საერთაშორისო ნორმები სახელმწიფო სუვერენიტეტის ლეგიტიმაციას უფრო ახდენს, ვიდრე ეროვნული სუვერენიტეტის, საერთაშორისო საზოგადოება და ინსტიტუტები ჩამოყალიბებული/არსებული სახელმწიფოების უფლებების დაცვისკენ უფრო არიან მიდრეკილნი, ვიდრე შიდა ეთნიკური ჯგუფების ნაციონალისტური პრეტენზიებისკენ. მეორე მხრივ, როდესაც საერთაშორისო წესრიგის ნორმები ეროვნულ სუვერენიტეტს უფრო მეტად უჭერს მხარს, ვიდრე სახელმწიფო სუვერენიტეტს, საერთაშორისო საზოგადოება მეტ თანაგრძნობას იჩენს ეროვნული თვითგამორკვევის მიმართ, რაც ხშირად არსებული სახელმწიფოების ხარჯზე ხდება, ის კი, თუ როდის არის საერთაშორისო წესრიგისათვის დომინანტური არსებული სახელმწიფოების თუ ეროვნული მოძრაობების სუვერენიტეტი, ავტორების აზრით, განპირობებულია სისტემაში ცვლილებების გამომწვევი მიზეზებით. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მოსაზრება გამოთქმულია რამდენიმე ისეთი ევროპული ქვეყნის (ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი) შემთხვევის შესწავლის საფუძველზე, რომლებთანაც საქართველოში 1910-იან და 1980-იან წლებში განვითარებული მოვლენები აშკარა მსგავსებას ავლენს. ამ მხრივაც მნიშვნელოვანია, რომ წინამდებარე კვლევამ საქართველოს შემთხვევაც მოაქციოს მსგავს თეორიულ მსჯელობებში.

სუვერენიტეტის კონცეფციისა მნიშვნელობის გათვალისწინებით წინამდებარე ნაშრომისათვის, თეორიული მსჯელობა აგებულია საერთაშორისო ურთიერთობების რეალისტური პარადიგმის ჩარჩოში.

ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისგან, კერძოდ:

შესავალში მოცემულია ნაშრომის ძირითადი საკვლევი საკითხის მოკლე აღწერა, საკვლევი კითხვა და ჰიპოთეზა, გამოყოფილია ცვლადები, საკვანძო ტერმინების სამუშაო განმარტებები, კვლევის მნიშვნელობა და წვლილი დარგის განვითარებაში, კვლევის მეთოდოლოგია და სტრუქტურის აღწერა;

პირველ თავში წარმოდგენილია საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და იგი დაყოფილია სამ ქვეთავად, რაც დაკავშირებულია ნაშრომის კვლევის დიზაინთან, კერძოდ დროის ორ სხვადასხვა მონაკვეთში განვითარებული შემთხვევების შესწავლასთან და საკვლევი საკითხის თეორიულ ჭრილში განხილვასთან. ვინაიდან კონკრეტულად საკვლევ საკითხთან დაკავშირებული კვლევები, რაც შეისწავლის და გააანალიზებს ქართულ ნაციონალიზმზე საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებების გავლენას 1910-იან და 1980-იან წლებში ფაქტობრივად არ მოიპოვება, აღნიშნულ თავში მიმოხილულია ის ლიტერატურა, რომელიც ნაშრომში შესწავლილ საკითხთან პირდაპირ ან ირიბად არის კავშირში და იძლევა საერთო სურათის წარმოჩენის და თეორიული დისკუსიის წარმართვის შესაძლებლობას;

მეორე თავში წარმოდგენილია ნაციონალიზმის ძირითადი თეორიების და მასთან დაკავშირებული ტერმინების მოკლე მიმოხილვა;

მესამე თავში „ქართული ნაციონალური პროექტი და საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკა“ - გამოყოფილია ოთხი ქვეთავი, რომელთაგან პირველში აღწერილია ქართული ნაციონალური პროექტის ჩამოყალიბების პროცესი, თუ რა მოიაზრება ქართულ ნაციონალურ პროექტში და რა ეტაპები განვლო მან განვითარების გზაზე. მეორე ქვეთავში ოფიციალური დოკუმენტების, საოქმო ჩანაწერების, საგაზეთო სტატიებისა და პირადი მიმოწერების საფუძველზე შესწავლილია ძირითადი დებატები და მიმართულებები ქართული ნაციონალური

პროექტის გარშემო 1910-იან წლებში. მოცემულია ის მთავარი არგუმენტები და მოსაზრებები, რომელთა გარშემოც ტრიალებდა იმდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ელიტა და ხშირ შემთხვევაში მწვავე დებატებსაც აწყობდა საგაზეთო ფურცლებიდან თუ ფუნდამენტური საპროგრამო დოკუმენტებიდან; მესამე ქვეთავი მოიცავს 1910-იან წლებში საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე იმ პროცესების აღწერასა და ანალიზს, რომელთაც გავლენა იქონიეს ქართული ნაციონალური პროექტის განხორციელებაზე და შესაძლებელი გახადეს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბება. მათ შორის განხილულია პირველი მსოფლიო ომი თავისი გამომწვევი მიზეზებითა და ძირითადი შედეგებით, მასთან უშუალო კავშირში მყოფი დიდი იპერიების რღვევის პროცესი, განსაკუთრებული აქცენტით რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებში განვითარებული პროცესებით; მეოთხე ქვეთავი კი წარმოადგენს ერთგვარ ანალიზს და აჩვენებს იმ კორელაციას, რომელიც სახეზე იყო ქართული ნაციონალური პროექტის გარშემო მიმდინარე დებატების ტრანსფორმაციასა და საერთაშორისო პოლიტიკაში განვითარებულ პროცესებს შორის. აღნიშნული ქვეთავი ცდილობს მკითხველს დაანახოს თუ როგორ იცვლებოდა საქართველოს პოლიტიკური ელიტის ძირითადი ნაწილის პოზიციები საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე ცვლილებების პარალელურად და რამდენად დიდი იყო გლობალური პოლიტიკის გამოძახილი საქართველოში.

მეოთხე თავი - „ქართული ნაციონალური პროექტი და საქართველოს მეორე დამოუკიდებელი რესპუბლიკა“ - უკვე სწავლობს 1980-იან წლებში ქართული ნაციონალიზმის ძირითად მახასიათებლებს და უკავშირებს მათ გარდაქმნასა და გაძლიერებას საერთაშორისო სისტემაში იმ დროისათვის მიმდინარე პროცესებს. აღნიშნული თავი დაყოფილია სამ ქვეთავად, რომელთაგანაც პირველი წარმოადგენს ექსპერტების, 80-იან წლებში გაშლილი ეროვნული მოძრაობის ლიდერებისა და აქტიური წარმოამდგენლების ინტერვიუების, ვიდეო ჩანაწერებისა და ოფიციალური დოკუმენტების შესწავლის შედეგად მიღებულ ანალიზს 80-იანი წლების ქართული ნაციონალიზმის ძირითადი ნიშნების/თავისებურებების შესახებ; მეორე ქვეთავში წარმოდგენილია ცივი ომის განმავლობაში საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე ძირითადი პროცესების მიმოხილვა, განსაკუთრებით კი აქცენტი კეთდება 70-იან და

80-იან წლებში განვითარებულ პროცესებზე, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო ქართული ეროვნული მოძრაობისათვის. მათ შორის განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ორი სუპერსახელმწიფოს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთიერთობების ტრანსფორმაციაზე, ლიდერების ურთიერთდამოკიდებულებაზე და იმ გლობალურ კონკურენციაზე, რამაც გარდამტეხი გავლენა იქონია მთლიანად სისტემის ხასიათზე; მესამე ქვეთავში კი ნაჩვენებია კორელაცია 1980-იან წლებში საერთაშორისო სისტემაში მომხდარ ცვლილებებსა და ეროვნული მოძრაობის განვითარების ეტაპებს შორის, რამაც საბოლოო შედეგად მოიტანა საქართელოს მეორე დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა მეოცე საუკუნის დასასრულს. აღნიშნული ქვეთავი შეიცავს დარგის ექსპერტებისა და ეროვნული მოძრაობის ლიდერების/აქტიური წევრების შეფასებებს იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო ფაქტორების გავლენა ქართულ ეროვნულ მოძრაობაზე და მის შედეგიანობაზე.

დასკვნა მოიცავს წინამდებარე ნაშრომის ძირითადი მიგნებებისა და კვლევის შედეგების შეჯამებას. მოცემულია ცვლადების გაზომვის შედეგები, მიღებული შედეგები განხილულია სამუელ ბარკინისა და ბრუს ქრონინის ჰიპოთეზის ჭრილში, კერძოდ, წარმოდგენილია აღნიშნული ავტორების თეორიული მიდგომის/ჰიპოთეზის ტესტირება წინამდებარე ნაშრომში გამოკვლეული შემთხვევების საფუძველზე. ასევე, მოცემულია რეალიზმის თეორიულ პარადიგმასთან კვლევის შედეგების კავშირი. გამოთქმულია მოსაზრებები კვლევის გაგრძელების სამომავლო პერსპექტივების შესახებ.

თავი I

ლიტერატურის მიმოხილვა

წინამდებარე ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელიც თავის თავში მოიცავს ქართული ნაციონალიზმის/ნაციონალური პროექტის საერთაშორისო სისტემური ცვლილებების ჭრილში შესწავლასა და ანალიზს დროის ორ კონკრეტულ მონაკვეთში, 1910-იან და 1980-იან წლებში, მნიშვნელოვანია, რომ საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის მიმოხილვაც დაიყოს ორ ნაწილად. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად გამოვყოფ ორ ქვეთავს: *„ქართული ნაციონალიზმი საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე ცვლილებების კონტექსტში - 1910-იანი წლები“* და *„ქართული ნაციონალიზმი საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე ცვლილებების კონტექსტში - 1980-იანი წლები“.* აქვე უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო სისტემაში მომხდარი ცვლილებების გავლენა ქართულ ნაციონალიზმზე 1910-იან და 1980-იან წლებში ნაკლებადაა შესწავლილი, მით უფრო ზუსტად იმ კონტექსტში, რომელიც კვლევის მთავარ ინტერესესს წარმოადგენს. თუმცა, ეროვნულობის, დამოუკიდებლობის, ავტონომიის, ქართული ნაციონალიზმის განვითარების ეტაპებისა და ამ საკითხების გარშემო არსებული დებატები როგორც 1910-იანი, ისე 1980-იანი წლების შემთხვევაში საკმაოდ ღრმად და მრავალმხრივად არის გამოკვლეული და გადმოცემული რამდენიმე ავტორის, თუ ავტორთა ჯგუფის მიერ. აღნიშნული გამოკვლევების გაანალიზება კი კრიტიკულად მნიშვნელოვანია წინამდებარე ნაშრომში დასმული საკითხის შესწავლისათვის.

სანამ უშუალოდ კონკრეტული ავტორებისა და მათი ნაშრომების მიმოხილვასა და გაანალიზებაზე გადავალთ, უნდა აღინიშნოს ორი დაკვირვების შესახებ. პირველი დაკვირვება მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს ისტორიის ის ორი კონკრეტული მონაკვეთი, რომელსაც წინამდებარე ნაშრომი შეეხება, მკვლევრების დიდი ნაწილის მხრიდან ნაკლებად არის გაანალიზებული თეორიულ ჭრილში, ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებული ცოდნა კი არ არის განზოგადებული და კონტექსტუალურად არ ავლენს კავშირს მსგავსი შემთხვევების შესწავლის შედეგად მიღებულ თეორიულ დაშვებებთან. თუკი განვიხილავთ მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნების, პოლონეთის, სომხეთისა და ცენტრალური და

აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ნაციონალური იდეების განვითარების ეტაპებსა და ეროვნული მოძრაობების მიერ განვლილ გზას დროის სხვადასხვა მონაკვეთში, შესაძლოა დავინახოთ საერთო ნიშნები საქართველოში მე-20 საუკუნის განმავლობაში განვითარებულ მოვლენებთან და გამოიკვეთოს გარკვეული კანონზომიერებები, რაც საბოლოოდ ჩვენი ქვეყნის შემთხვევის ზოგად თეორიულ ჩარჩოში მოქცევას და უკეთ შესწავლას შეუწყობს ხელს. სწორედ ამ მიზნით, გამოვყოფ კიდევ ერთ ქვეთავს „საერთაშორისო სისტემაში ცვლილებებსა და ახალი აქტორების წარმოშობასთან დაკავშირებული თეორიული საკითხების მიმოხილვა რეალიზმის პარადიგმის ჭრილში“, რომელშიც მიმოვიხილილავ იმ თეორიულ ნაშრომებსა და მოსაზრებებს, რაც დაგვეხმარება კვლევის პროცესში წამოჭრილი საკითხების თეორიულ ჭრილში ახსნასა და გააზრებაში

რაც შეეხება მეორე დაკვირვებას, განსხვავებით მე-20 საუკუნის დასაწყისში განვითარებული პროცესების შესწავლისა და იმ დროინდელი მოვლენების თამამი შეფასებისგან, საუკუნის ბოლოს გაშლილი ეროვნული მოძრაობის და მისი ლიდერების პერსონალური ფაქტორების კვლევა ერთი შეხედვით არაპოპულარულია ქართველ მეცნიერებში. ამის ახსნა, სავარაუდოდ, მდგომარეობს იმაში, რომ მეცნიერთა უმეტესობა, ვინც დღეს აქტიურად მოღვაწეობს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ერიდება იმ ემოციების გამოღვიძებას და კრიტიკული მუხტის მათ საწინააღმდეგოდ მიმართვას, რაც შეიძლება ამ არც თუ შორეული წარსულის კრიტიკულმა გააზრებამ გამოიწვიოს საქართველოს საზოგადოებაში.

1.1 საერთაშორისო სისტემაში ცვლილებებსა და ახალი აქტორების წარმოშობასთან დაკავშირებული თეორიული საკითხების მიმოხილვა რეალიზმის პარადიგმის ჭრილში

თეორიული თვალსაზრისით, წინამდებარე ნაშრომისთვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო კვლევის მაგალითი, რომელიც არსით ძალიან ახლოს დგას საქართველოში მე-20 საუკუნის დროის ორ სხვადასხვა მონაკვეთში განვითარებული მოვლენების ახსნასთან, არის ამერიკელი მეცნიერების ბრუს

ქრონინისა და სემუელ ბარკინის ნაშრომი „სახელმწიფო და ერი: სუვერენიტეტის ცვალებადი ნორმები და წესები საერთაშორისო ურთიერთობებში“ (Barkin&Cronin, 1994). 1994 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ბარკინი და ქრონინი პირველი და მეორე მსოფლიო ომების შემდგომ ჩამოყალიბებულ საერთაშორისო წესრიგზე, სახელმწიფოთა შორის საზღვრების გავლების პრინციპებსა და მცირე ერებისთვის დამოუკიდებლობის მოპოვების შესაძლებლობებსა და შემდგომ კვლავ დაკარგვაზე მსჯელობენ. აღნიშნული მსჯელობა სხვა ევროპულ სახელმწიფოებთან ერთად ლიეტუვის, ლატვიისა და ესტონეთის შემთხვევების შესწავლის საფუძველზეც განიხილავს მოსაზრებას, რომ სუვერენიტეტი არ არის არც თავისთავად არსებული მოცემულობა და არც რაიმე სახის მუდმივა, როგორც ამას საერთაშორისო ურთიერთობების ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, არამედ იგი არის ცვალებადი გარემოსა და დროში, ექვემდებარება ინტერპრეტაციას და დამოკიდებულია ლეგიტიმაციის წყაროზე. ლეგიტიმაციის წყარო კი შეიძლება იყოს ტერიტორია ან ერი/ხალხი. იმის მიხედვით, თუ რა იწვევს არსებული საერთაშორისო წესრიგის ცვლილებას და რა კონფიგურაციით ყალიბდება სისტემაზე პასუხისმგებელი ახალი კოალიცია, შესაძლოა შეიცვალოს სუვერენიტეტის ლეგიტიმაციის წყაროები. თავად წესრიგის ცვლილების საფუძველი კი, რაც შემდგომში განსაზღვრავს ახალ ნორმებსა და წესებს საერთაშორისო სისტემაში, შესაძლოა იყოს მსოფლიო ომები, ფართოდ გავრცელებული პოლიტიკური აჯანყებები და ა.შ.

ავტორების აზრით, მაშინ როდესაც, საერთაშორისო ნორმები ემყარება სახელმწიფო (ტერიტორიული) და არა ეროვნულ სუვერენიტეტს, საერთაშორისო საზოგადოება და მისი ინსტიტუტები (მოლაპარაკებები, ომები, შეთანხმებები და სხვა) მოწოდებულნი არიან დაიცვან უკვე ჩამოყალიბებული სახელმწიფოების უფლებები და არა შიდა ეთნიკური ჯგუფების ნაციონალისტური პრეტენზიები. მეორე მხრივ კი, მაშინ, როდესაც საერთაშორისო ნორმები უპირატესობას ანიჭებს ეროვნული სუვერენიტეტის კონცეფციას, საერთაშორისო საზოგადოება უფრო მეტი სიმპათიით არის განწყობილი ერთა თვითგამორკვევის უფლების მიმართ, რაც ხშირად უკვე არსებული სახელმწიფოების ინტერესების ხარჯზე რეალიზდება. ლეგიტიმაციის პრინციპების გადახედვა ახალი დომინანტი კოალიციების მიერ

ხდება ყველა სისტემური ცვლილების შემდგომ, რათა თავიდან იქნას აცილებული ან/და დროში გადავადებული შემდგომი კრიზისები და დაკმაყოფილდეს წინა კრიზისის გამომწვევი მიზეზები. თუმცა, ის, რომ ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა შეუძლებელია და მუდმივად ხდება სახელმწიფო და ეროვნული სუვერენიტეტების უპირატესობების ცვალებადობა, გარდაუვალ მოვლენას წარმოადგენს.

ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები განხილულია საერთაშორისო ურთიერთობების რეალიზმის თეორიული პარადიგმის ჭრილში, ვინაიდან ავტორები მიიჩნევენ, რომ სწორედ რეალიზმისთვის არის ყველაზე უფრო საკვანძო საკითხი სუვერენიტეტის ცნება და ის მისთვის აუცილებელ მუდმივას წარმოადგენს, რაზე დაყრდნობთაც მომდინარეობს ამ თეორიის მთავარი დაშვება საერთაშორისო სისტემის ანარქიულობის შესახებ. ქრონინის და ბარკინის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ რეალიზმის თეორიული სკოლისთვის სისტემაში ახალი აქტორების გაჩენა დაკავშირებულია არა იმდენად ნორმებსა და წესებთან, რამდენადაც პოლიტიკურ პროცესთან, რომლის დროსაც ამა თუ იმ ეთნიკურ ჯგუფს შესწევს უნარი დაიცვას თავი გარეშე ძალებისგან და თავად მართოს მოსახლეობა და ტერიტორია რომელზეც მას გააჩნია პრეტენზია, ყველა შესაძლო გზით, მათ შორის სამხედრო მოქმედებებითაც, მისი წარმომადგენლები ვერ უარყოფენ სუვერენიტეტის ცვალებად ბუნებას და გარკვეული პროცესების შედეგად, მათ შორის სისტემაში ძალთა ბალანსის ცვლილების შემდგომ, მისი პრინციპების შეცვლის შესაძლებლობას.

სტატიაში ერთ-ერთ საკითხად დიდი სახელმწიფოების მხრიდან ნაციონალიზმის ფენომენის განსხვავებული გააზრებაა განხილული დროის სხვადასხვა მონაკვეთში. მაგალითად, თუკი 1919 წელს პარიზში მიმდინარე სამშვიდობო კონფერენციის მონაწილეებმა მსოფლიო ომის გამომწვევ ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სწორედ დაპყრობილ ერებში ნაციონალისტური მისწრაფებების დათრგუნვა მიიჩნიეს და ფაქტობრივად სრულად გაიზიარეს ამერიკის შეერთებული შტატების იმჟამინდელი პრეზიდენტის ვუდრო ვილსონის შეთავაზება ერთა თვითგამორკვევის პრინციპის წინა პლანზე წამოწევის შესახებ, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ იგივე საკითხი ახლებურად იქნა დანახული. კერძოდ, დიდი

სახელმწიფოები აღიქვამდნენ, რომ სწორედ ნაციონალიზმი გახდა საფუძველი იმ რადიკალური იდეოლოგიური შეხედულებების ჩამოყალიბების, რამაც მსოფლიო სულ რაღაც 20 წელიწადში მეორედ ჩაითრია გლობალურ დაპირისპირებაში. სწორედ ამიტომ, ბარკინისა და ქრონინის აზრით, საერთაშორისო ნორმები და გარემო კვლავ შეტრიალდა ეროვნულიდან სახელმწიფო სუვერენიტეტისკენ. ვითარება შეიცვალა მხოლოდ ცივი ომის ბოლო ეტაპზე, როდესაც სისტემაში ძალთა ბალანსი ცალსახად გადაიხარა დასავლეთის მხარეს (Barkin&Cronin, 1994, pp. 107-130).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მეოცე საუკუნეში მოპოვებული ორივე დამოუკიდებლობისკენ თითქმის იდენტური გზა აქვს გავლილი, როგორც ზემოთ მოყვანილ კვლევაში განხილული ქვეყნების უმრავლესობას, განსაკუთრებით კი ბალტიისპირეთის სამ სახელმწიფოს, მისი შემთხვევა ავტორების ყურადღების მიღმა დარჩა. სწორედ ამიტომ, საინტერესოა საქართველოს მაგალითზე აღნიშნული კვლევის შედეგების ტესტირება და იმის დადგენა, რამდენად განზოგადებადია ქრონინისა და ბარკინის ჰიპოთეზა მათ მიერ შესწავლილი ქვეყნების მიღმაც. ასევე, მნიშვნელოვანია ჩავუღრმავდეთ რეალიზმის თეორიული სკოლის წარმოამდგენელთა მოსაზრებებს სისტემის ანარქიულობის, სუვერენიტეტისა და ძალთა ბალანსის შესახებ.

როდესაც ვსაუბრობთ საერთაშორისო ურთიერთობებზე, უნდა გვახსოვდეს, რომ თანამედროვე სახელმწიფოთა სისტემა მომდინარეობს ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის შუა წლებიდან, როდესაც 1648 წელს გაფორმდა ვესტფალიის ზავი. ზავის პირობებს შორის ერთ-ერთი ფუნდამენტური საკითხი შეეხებოდა თანამედროვე გაგებით საერთაშორისო პოლიტიკის ისეთ მნიშვნელოვან ცნებას, როგორიცაა სუვერენიტეტი. სწორედ ეს ცნება ასახავს სახელმწიფოთა მიერ ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობას, ანუ ადგილობრივი მმართველების უზენაესობას ქვეყნის შეგნით და დამოუკიდებლობას საგარეო პოლიტიკაში. დარგის მკვლევართათვის უცხო არაა, რომ სუვერენიტეტის პრინციპი ყველაზე უფრო აქტუალური და საკვანძო ადგილის მქონეა დისციპლინაში გაბატონებული რეალიზმის თეორიული სკოლისთვის. სწორედ რეალიზმი ამახვილებს ყურადღებას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საერთაშორისო ურთიერთობების ანარქიულობა, რაც ამ შემთხვევაში

გულისხმობს სისტემაში ცენტრალური მმართველის არარსებობას, როგორც ეს სახელმწიფოთა შიდა პოლიტიკაში ხელისუფლების ორგანოებია და რომელიც მოაწესრიგებდა მოთამაშეებს შორის ურთიერთობებს და თავიდან აიცილებდა ომებს, კონფლიქტებს, არეულობას და სხვა პრობლემურ საკითხებს. ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში კი რეალიზმის თეორიული სკოლის წარმოამდგენელთა აზრით ყველაზე მნიშვნელოვანია ძალის საკითხი, ანუ რამდენად შესწევს სახელმწიფოს დაიცვას საკუთარი ეროვნული ინტერესები, რაც პირველ რიგში დაკავშირებულია თვითგადარჩენის საკითხთან, ანუ სუვერენიტეტის შენარჩუნებასთან. აქედან მივდივართ სწორედ იმ დაშვებამდე, რომ სახელმწიფოები დამოკიდებულნი არიან პირველ რიგში საკუთარ თავზე და მუდმივად უნდა ახსოვდეთ, რომ თვითდახმარების გაძლიერებაზე მუდმივი ზრუნვა არის ერთადერთი სწორი პოლიტიკა და არ შეიძლება სხვის იმედად ყოფნა, რამდენად ახლო მოკავშირე ან/და მეგობარიც არ უნდა იყოს დროის გარკვეულ პერიოდში ესა თუ ის ქვეყანა თუ ალიანსი. რეალიზმის კლასიკური ტრადიცია, რომელიც პროცესების ანალიზს ახდენს ინდივიდუალური დონიდან ზემოთ, სისტემურ დონემდე, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ადამიანის ეგოისტურ ბუნებაზე და მის მუდმივ სწრაფვაზე ძალაუფლებისკენ. სწორედ ამით ხსნის ყველა იმ პრობლემას, რაც საერთაშორისო სისტემაში მოქმედ ძირითად სუბიექტებს - სახელმწიფოებს შორის წარმოიშობა. კლასიკური ტრადიციისგან განსხვავებით, ნეორეალიზმი, რომლის ჩამოყალიბებაც ქენეთ უოლცის სახელთან არის დაკავშირებული, საერთაშორისო პოლიტიკის ანალიზს ახდენს ზემოდან ქვემოთ, ანუ სისტემური დონიდან ინდივიდუალურ დონემდე და მისთვის ამოსავალი წერტილი საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა, მასში შემავალი ელემენტების ხასიათი და ის პრინციპებია, რომლითაც დგება ძალთა ბალანსი. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ კლასიკური ტრადიციისგან განსხვავებით, ნეორეალისტები საერთაშორისო ურთიერთობების აქტორებად ერ-სახელმწიფოებთან ერთად უშვებენ ისეთ ერთეულებსაც, როგორებიცაა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები, საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ კვლავაც იზიარებენ ძალის პრიმატის, ეგოიზმისა და სხვა საკითხების მიმართ სკოლის

ფარგლებში ჩამოყალიბებულ შეხედულებებს, მიაჩნიათ, რომ სისტემაში შესაძლებელია თანამშრომლობის გარკვეული ფორმების არსებობა და ცალკეული მიზნების მისაღწევად ალიანსებიც გამოსადეგია. რაც შეეხება ნორმებსა და პრინციპებს, ნეორეალიზმის ხედვით, საერთაშორისო სისტემაში მათი რაობა დამოკიდებულია სისტემის სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და მასზე პასუხისმგებელი ერთეულების ხასიათზე.

ოქსფორდის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმძღვანელოში (Reus-Smit&Snidal, 2008, The Oxford Handbook of International Relations) რეალიზმი განმარტებულია, როგორც იდეათა ერთობლიობა, რომელთა საფუძველი დაკავშირებულია თომას ჰობსის, ნიკოლო მაკიაველის, თუკიდიდეს და სხვა მოაზროვნეთა ისეთ ნაშრომებთან, როგორიცაა ლევიათანი, მთავარი, პელოპონესის ომის ისტორია და ა.შ. მიუხედავად იმისა, თუ რა მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტებს იყენებს ამ სკოლის სხვადასხვა მიმდინარეობა, წიგნში გამოყოფილია ის ოთხი ძირითადი საკითხი, რასაც ემყარება მათი ზოგადი შეხედულებები საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ. პირველი ასეთი საკითხი არის ჯგუფურობა (Groupism). ავტორის აზრით, სწორედ ჯგუფისადმი მიკუთვნებულობა არის ის, რაც ყველა ადამიანს სჭირდება, რადგან ადამიანი არის სოციალური არსება. შესაბამისად პოლიტიკას გააჩნია ორი განზომილება, ერთი შიდაჯგუფური, ხოლო მეორე ჯგუფებს შორის. ვინაიდან ადამიანები მიისწრაფვიან ჯგუფური სოლიდარობის მოპოვებისკენ, ხოლო თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე უფრო დიდი ჯგუფური სოლიდარობის მაგალითი ნაციონალიზმია, საერთაშორისო პოლიტიკა შეიძლება ითქვას, რომ არის ერ-სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები. მეორე საკითხი, რომელსაც რეალისტური ხედვა ემყარება, არის ეგოიზმი. სწორედ ეგოიზმია ის მამოძრავებელი ძალა, რის გამოც ინდივიდებიც და სახელმწიფოებიც ორიენტირებულები არიან მხოლოდ საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებაზე. ამ მდგომარეობის გამოხატულება კი შესაძლებელია დავინახოთ საერთაშორისო სისტემის სტრუქტურაში და საერთაშორისო ინსტიტუტებში, ისევე როგორც სისტემის ძირითად ღირებულებებში. მესამე საკითხი არის ანარქია და ის გამომდინარეობს წინა ორი დაშვებიდან. იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანები

ცხოვრობენ ჯგუფებად და ამ ჯგუფებს გააჩნიათ ეგოისტურად ნაკარნახევი ინტერესები, საერთაშორისო ურთიერთობები ბუნებრივად იძენს ანარქიულ ხასიათს, რადგან ყველა იბრძვის გადარჩენისთვის იმ პირობებში, როცა საერთო მმართველი/მთავრობა არ არსებობს. მეოთხე საკითხი ეს არის ძალის პოლიტიკა. რადგან არ არსებობს ერთიანი მმართველი, ხოლო საერთაშორისო სისტემა იმართება სახელმწიფოებს შორის ჯგუფურობისა და ეგოიზმის პრინციპებზე დამყარებული ურთიერთობებით, ხოლო თითოეული მათგანი მიისწრაფვის სოციალური და მატერიალური რესურსების კონტროლისკენ, ძალა რჩება მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტურ საშუალებად. სწორედ ამ ყოველივეს გათვალისწინებით იქმნება ის სკეპტიკური დამოკიდებულება რეალისტებში, რაც მათ გააჩნიათ საერთაშორისო ურთიერთობებისადმი.

წიგნში ასევე განხილულია ის შიდა დაპირისპირებები, რამაც რეალიზმის თეორიულ სკოლაში გამოიწვია სხვადასხვა მიმდინარეობის, მათ შორის ნეორეალიზმის ჩამოყალიბება. ავტორი მიიჩნევს, რომ ერთ-ერთი მთავარი საკითხი, როგორც ამ თავის დასაწყისშიც იქნა აღნიშნული, მეთოდოლოგიური მიდგომაა, რომლის მიხედვითაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ეპოქის რეალისტმა მკვლევრებმა, ისეთებმა, როგორიც მაგალითად ქენეთ უოლცია (Theories of International Politics, 1979), სცადეს ახლებური მეთოდებით შეევსოთ ის დანაკლისები, რაც მათი აზრით გააჩნდა რეალისტურ ანალიზს მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით. მეთოდოლოგიური სხვაობა კი ძირითადად ანალიზის საწყის წერტილს შეეხებოდა, თუკი კლასიკური ტრადიციისთვის ადამიანის ბუნების ნაკლოვანებებია ამოსავალი, ნეორეალიზმისთვის საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა თამაშობს გადამწყვეტ როლს (Wohlforth, 2008, pp. 131-145).

ქენეთ უოლცის როლი მნიშვნელოვანი იყო არამხოლოდ რეალიზმის თეორიული სკოლის შიგნით გამართული დებატების და ამ დებატების შედეგად ახალი მიმდინარეობის - ნეორეალიზმის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, არამედ იმის გამოც, რომ სწორედ მან შეძლო მნიშვნელოვანი გარდატეხა შეეტანა საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც ცალკე არსებული სამეცნიერო დისციპლინის ძირითადი კონტურების განსაზღვრაში. თუმცა, წინამდებარე

ნაშრომის ინტერესესს ამ შემთხვევაში წარმოადგენს იმის ჩვენება, თუ როგორ უყურებს მთლიანობაში რეალიზმის სკოლა და ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნეორეალიზმი საერთაშორისო სისტემაში ახალი აქტორების წარმოშობის საკითხს. ჩვენ დავინახეთ, რომ კლასიკური ტრადიციისთვის ყველაფრის ამოსავალი არის ძალის პოლიტიკა და ყურადღება ნაკლებადაა გამახვილებული ძალის მიღმა სხვა საკითხებზე, რაც შესაძლოა ისეთი პატარა საერთაშორისო პოლიტიკური აქტორებისთვის, როგორიც საქართველოა, გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

1979 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „საერთაშორისო პოლიტიკის თეორია" (Theories of International Politics) ქენეთ უოლცის მთავარი დებულება მდგომარეობს იმაში, რომ მანამდე არსებული მიდგომები იყო რედუქციონისტული, ანუ ანალიზი მიმდინარეობდა ქვემოდან, გადაწყვეტილების მიმღები პირების დონიდან, ზემოთ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობების და საერთაშორისო სისტემურ დონეებამდე.

უოლცის აზრით, ფაქტობრივად რედუქციონისტული თეორიები მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო სისტემა არის შედეგი შიდა პოლიტიკურ ფაქტორებზე დამყარებული საგარეო ქმედებებისა. მათ მიზანს წარმოადგენს ცალკეული მონაწილეების, ისეთების როგორებიცაა გადაწყვეტილების მიმღები პირები, სახელმწიფოები, ელიტები, სუბრეგიონული გაერთიანებები და ა.შ. ქმედებების შესწავლა და ამის საფუძველზე სისტემური ანალიზის მიღება, რაც ჩანასახშივე არასწორია. უოლცის კრიტიკის კიდევ ერთი მიმართულება წინამორბედი მკვლევრების მიმართ არის ის, რომ მხოლოდ ისტორიის კვლევა და ფაქტების აღწერა მათი შემდგომი ანალიზის მიზნით არ არის საკმარისი და საჭიროა არსებული ცოდნის განზოგადება, ანუ თეორიული დაშვებების გაკეთება. ვინაიდან თეორია იძლევა ზოგად დებულებებს/დასკვნებს, მაგალითად გვიხსნის რატომ ხდება ომები, რატომ იქმნება ალიანსები და სხვა, ის გვაძლევს მომავლის განჭვრეტის შესაძლებლობას, ანუ გვიქმნის მოლოდინებს იმის შესახებ, თუ რა სახის ქმედებებს შეიძლება ჰქონდეს ადგილი საერთაშორისო პოლიტიკაში.

ის რაზეც ზემოთ ბარკინისა და ქრონინის სტატიაშია საუბარი და რა დაშვებასაც ფაქტობრივად იზიარებს წინამდებარე ნაშრომიც, უოლცს

ჩამოყალიბებული აქვს შემდეგნაირად „მაშინაც კი, როცა საერთაშორისო სისტემის სტრუქტურები არ იცვლება, ისინი არიან დინამიურები და არა სტატიკურები, ისინი ცვლიან მონაწილეთა ხასიათს და გავლენას ახდენენ მათ შორის ურთიერთობების შედეგებზე“ (Waltz, 1979, pp. 69-70) აღნიშნული დაშვება ხსნის იმ ვითარებას, როდესაც სისტემის სტრუქტურის ცვლილების გარეშე, მის ორ მთავარ მოთამაშეს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის, ცივი ომის გარკვეულ ეტაპზე მოხერხდა მთელ რიგ აქტუალურ საკითხებზე, მათ შორის ჩვენთვის მნიშვნელოვან ადამიანის უფლებების თაობაზე შეთანხმების მიღწევა და პოლიტიკის შერბილება, რაც 1975 წელს ჰელსინკის ფინალური აქტის გაფორმებით დაგვირგვინდა. ამ შეთანხმების მნიშვნელობაზე საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოში ეროვნული მოძრაობების გაძლიერების თვალსაზრისით შემდგომ თავებში გვექნება საუბარი.

თუმცა, რადიკალური ძვრები სისტემაში მაინც სტრუქტურული ცვლილებების გზით ხდება. სტრქტურის ცვლილება შეიძლება მოხდეს ძალადობრივი ან არაძალადობრივი გზებით, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში ეს რევოლუციური მოვლენაა, რადგან აჩენს ახალ მოლოდინებს მასში მონაწილე აქტორებს შორის ურთიერთობების შესაძლო შედეგებთან დაკავშირებით. საერთაშორისო პოლიტიკის თეორია, ისევე როგორც ისტორია, უოლცის აზრით იწერება ისტორიის კონკრეტულ მონაკვეთში გაბატონებული დიდი ძალების მიერ. დიდ ძალებს აქვთ შესაძლებლობა მაოხდინონ სისტემის სტრუქტურაში ინტერვენცია და გავლენა იქონიონ მის ხასიათზე. სტრუქტურის ბუნება წარმოადგენს დიდ ძალებს შორის ინტერაქციის შედეგს. ხოლო თავად სტრუქტურის ხასიათი არაპირდაპირ, მაგრამ გავლენას ახდენს მის მონაწილეთა შორის ურთიერთობებზე. გავლენის მოხდენის ორი შესაძლო გზა არსებობს: მონაწილეთა შორის სოციალიზაცია, ანუ თანამშრომლობის წახალისება და მათ შორის შეჯიბრი (ibid: 69-74).

დენვერის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა მიმართულების პროფესორი ჯეკ დონელი 2013 წელს გამოცემულ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების სახელმძღვანელოში (Theories of International Relations, 5th edition) კრიტიკულად აანალიზებს რეალიზმის თეორიული სკოლის ცალკეულ მიდგომებს

საერთაშორისო პოლიტიკის ახსნის თვალსაზრისით. თავდაპირველად, იგი ცდილობს უპასუხოს კითხვას რეალიზმი არის ზოგადად პოლიტიკური თეორია, თუ საერთაშორისო ურთიერთობების თეორია? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მოჰყავს თომას ჰობსის იდეები, როგორც რეალიზმის ფუძემდებლური პოსტულატები, რომლებიც ემყარება ადამიანთა შორის ინდივიდუალური ურთიერთობების ახსნას და არა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს. იგი თვლის, რომ მაშინ როდესაც ჰობსის მთელი ანალიზი დამყარებულია ვარაუდზე, რომ თეორიულად არსებულ ბუნებით მდგომარეობაში ადამიანები მოქმედებენ ეგოისტურად, შეჯიბრებითობის პრინციპით და არიან თანასწორნი მიუხედავად მათი ძალისა, რადგან გააჩნიათ გამჭრიახობა და გამჭრიახობის დახმარებით სუსტსაც შეუძლია ძლიერების დამარცხება, ვერ გამოდგება კარგ ამხსნელად საერთაშორისო პოლიტიკისთვის. საერთაშორისო ურთიერთობებში გარდა მის მონაწილეებს შორის არსებული ინტერაქციისა, გასათვალისწინებელია ის მატერიალური რესურსები, რაც არათანაბრად არის განაწილებული ქვეყნებს შორის და შესაბამისად, მხოლოდ გამჭრიახობით საწყის ეტაპზევე რთულად წარმოსადგენია სუსტისა და ძლიერის თანასწორობა.

ჰობსისგან განსხვავებით საერთაშორისო პოლიტიკის უკეთეს ამხსნელად ნაშრომში წარმოდგენილია უოლცის იდეები. სტრუქტურული რეალიზმი, იგივე ნეორეალიზმი ყურადღებას ამახვილებს არა იმდენად ეგოიზმსა და შეჯიბრებითობაზე, რამდენადაც სისტემის სტრუქტურის ხასიათზე და იმაზე, როგორ შეიძლება მონაწილეთა ბუნებამ და მათ შორის ინტერაქციამ შეცვალოს პოლიტიკური შედეგები. დონელის აზრით, უოლცის ნააზრევში საკვანძო საკითხია ის, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ორ მთავარ ფაქტორად გამოჰყოფს იერარქიას და ანარქიას. ერთი არის შიდა, ხოლო მეორე გარე ფაქტორი. სისტემას განსაზღვრავს დიდ ძალებს შორის ძალთა ბალანსი და იცვლება მათ შორის ძალაუფლების გადანაწილების შესაბამისად. დონელი ეთანხმება უოლცს, რომ დიდი ძალები აყალიბებენ იმ ნორმებსა და წესებს, რომლითაც შემდგომ ფუნქციონირებს საერთაშორისო სისტემა. თუმცა, აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ამ მიდგომის გათვალისწინებით, ცივი ომის ფენომენი და იმ პერიოდში ამერიკისა და საბჭოთა

კავშირის ქმედებები, როგორიცაა მაგალითად დაპირისპირებები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ცენტრალურ ამერიკასა, თუ სამხრეთ აფრიკაში, ან თუნდაც საბჭოთა კავშირის შეჭრა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, განპირობებული იყო არა იმდენად ამ ქვეყნების ლიდერების ნებით, რამდენადაც სისტემის ბუნების იძულებით. ამასთან, გასათვალისწინებელია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც დონელი აღნიშნავს, რომ ნეორეალიზმის გადმოსახედიდან სუსტ სახელმწიფოებს დიდი არჩევანი არ გააჩნიათ და ისინი იძულებულნი არიან ელოდონ დიდ ქვეყნებს შორის ძალთა ბალანსის ცვლილებას, რათა მოხდეს მათ მიმართ დამოკიდებულებების გადააზრება (Donnelly, 2013, pp. 32-47).

ჯენიფერ სტერლინგ-ფოლკერი და კარენ რუთ ადამსი 2013 წელს გამოცემულ წიგნში „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების გააზრება“ (Making Sense of International Relations Tehory, Second Edition), გვთავაზობენ რეალიზმის ყველა ძირითადი მიმართულების ახსნას. სტერლინგ-ფოლკერი ყურადღებას ამახვილებს ძალის ბალანსის განსაზღვრის ორ ფაქტორზე, ესაა შიდა შესაძლებლობები და საგარეო ალიანსები. ავტორს მიაჩნია, რომ სახელმწიფოები საერთაშორისო არენაზე იქცევიან სწორედ იმის მიხედვით, თუ რისი შესაძლებლობები აქვთ და რა სჭირდებათ გარე ძალების მხრიდან, რათა მიაღწიონ საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას. ბუნებრივია, ერი-სახელმწიფო, რომელიც რეალისტური ტრადიციის ანალიზში ცენტრალურ პოზიციას იკავებს, ამ სკოლის წარმომადგენლების მიერ დანახულია როგორც ერთიანი და რაციონალური აქტორი, რომლის უმთავრეს მიზანს თვითგადარჩენა წარმოადგენს. თვითგადარჩენა კი მოიცავს ისეთი ერთეულების შენარჩუნებას, როგორიცაა მოსახლეობა, ტერიტორია და სხვა. სწორედ ამ ერთეულების შესანარჩუნებლად, მათ დასაცავად მოქმედებს თითოეული სახელმწიფო და ეს წარმოადგენს მათი ინტერესების დაკმაყოფილების მთავარ საკითხს, რის მისაღწევადაც ძირითადი ფსონი იდება ძალის მაქსიმიზაციაზე. ამ ანალიზის გაგრძელებას წარმოადგენს კარენ რუთ ადამსის მიერ ნეორეალიზმის განხილვა, როგორც არა იმდენად ადამიანის ბუნებიდან მომდინარე ეგოისტური მისწრაფებების საფუძველზე შექმნილი ანალიტიკური ჩარჩო, არამედ უფრო სამეცნიერო მოლოდინების შემქმნელი სისტემურ ფაქტორებზე დამყარებული

თეორიული მიდგომა. ადამსი ნეორეალიზმს განიხილავს ქენეთ უოლცის ნაშრომებზე დაყრდნობით და მკითხველს უხსნის იმ სისტემურ ფაქტორებს, რომელთა გამოც დიდი ძალები იძულებულნი ხდებიან იმოქმედონ იმგვარად, რომ არ დაკარგონ კონტროლი სისტემაზე, რადგან სისტემაზე კონტროლის დაკარგვა შესაძლოა დაუჯდეთ საკუთარი უსაფრთხოების დაკარგვის ფასად. ჯეკ დონელის მსგავსად ადამსიც მიიჩნევს, რომ უოლცის დაშვება იმასთან დაკავშირებით, რომ საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა ახდენს გავლენას მის მონაწილეთა შორის ურთიერთობების ხასიათზე, რეალურ პოლიტიკაში გვაძლევს საშუალებას ავხსნათ მაგალითად ისეთი შემთხვევები, როგორიცაა 2003 წელს ამერიკის და მისი მოკავშირეების შეჭრა ერაყში, რათა დაეშოშმინებინათ არსებული ნორმებისა და წესებისგან გადახვევის მცდელობა და არ დაეშვათ პრეცენდენტი, როდესაც სისტემის მონაწილე ქვეყანას შეეძლებოდა იმგვარად ემოქმედა, რომ არ გაეთვალისწინებინა დაკმვიდრებული თამაშის წესები. საბოლოო ჯამში ავტორის ანალიზი მიდის იქამდე, რომ მიუხედავად სისტემის სტრუქტურისა, იქნება ის ორპოლუსიანი, მრავალპოლუსიანი თუ სხვა ტიპის, ძირითადი ნორმები განისაზღვრება მთავარი მოთამაშეების მიერ და შემდგომ ეს ნორმები მათ განმსაზღვრელ ქვეყნებს აქცევენ ტყვეობაში და აიძულებენ იმოქმედონ სისტემის ხასიათის შესაბამისად (Sterling-Folker, 2013, pp. 15-20 & Adams, 2013, pp. 21-43).

რეალიზმის თეორიული სკოლის შემდეგი წარმომადგენელი, რომლის მოსაზრებებიც უნდა განვიხილოთ, არის ჯონ მირშაიმერი. მირშაიმერის სახელს უკავშირდება ნეორეალიზმის, იგივე სტრუქტურული რეალიზმის გაძლიერება თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების შესახებ ტიმ დანის, მილჯა კურკისა და სტივ სმიტის მიერ ოქსფორდში შედგენილ სახელმძღვანელოში (International Relations Theories- Discipline and Diversity, Third Edition) მირშაიმერს ეკუთვნის ნეორეალიზმის შესახებ თავი, სადაც იგი გვთავაზობს საერთაშორისო სისტემაში ძალისა და ბალანსის შესახებ მსჯელობას.

სახელმწიფოები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მიაღწიონ ძალთა ბალანსს და ეჯიბრებიან ერთმანეთს, რათა გაზარდონ საკუთარი ძალაუფლება ან

მინიმუმ დარწმუნდნენ, რომ არ კარგავენ უკვე არსებულს. ამას აკეთებენ იმიტომ, რომ საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა მათ ძალიან მცირე არჩევანს უტოვებს გადარჩენისთვის, ვკითხულობთ თავის შესავალ ნაწილშივე. მირშაიმერის აზრით, სწორედ ეს შეჯიბრი წარმოშობს სახიფათო მსოფლიოს, რომელშიც სახელმწიფოები ხანდახან ერთმანეთს ეომებიან. იგი გამოყოფს იმ მნიშვნელოვან განსხვავებებს სტრუქტურულ რეალისტებს შორის, რაც დაკავშირებულია მათ მიერ ძალაუფლების მოპოვებისა და ამ ძალაუფლების ლიმიტების არსებობის საკითხზე. თავდაცვითი რეალისტები ფიქრობენ, რომ სტრუქტურული ფაქტორები ადგენს იმ ლიმიტებს, თუ რამხელა ძალაუფლება შეიძლება მოიპოვოს ქვეყანამ და ეს ხელს უწყობს უსაფრთხოების შეჯიბრებითობის ზრდას. თავდასხმითი რეალისტები თავის მხრივ მიიჩნევენ, რომ სისტემის სტრუქტურა აიძულებს ქვეყნებს იზრუნონ ძალის მაქსიმიზაციაზე, რათა მიუახლოვდნენ ჰეგემონს და სწორედ ეს აძლიერებს უსაფრთხოების შეჯიბრებითობას. აქვე უნდა ითქვას, რომ მირშაიმერის აზრით, ჰეგემონიის მიღწევა არის გადარჩენის ერთადერთი გარანტია ანარქიულ საერთაშორისო სიტემაში.

რეალისტებს სჯერათ, რომ ძალა არის საერთაშორისო პოლიტიკის ვალუტა. მიუხედავად იმისა, რეალიზმის რომელ ტრადიციას მიეკუთვნება ესა თუ ის მკვლევარი, ძალა მაინც ცენტრალურ ადგილს იკავებს მათ ანალიზში, კლასიკური რეალისტებისთვის მირშაიმერი ამბობს, რომ ძალა წარმოადგენს ადამიანის ბუნებიდან მომდინარე მოთხოვნილებების - გავლენის და დიდების მიღწევის საშუალებას, რასაც მივყავართ იმ დაშვებამდე, რომ დიდი ძალები წარმოადგენენ მათი შემადგენელი ინდივიდების ზრახვების ერთობლიობას, რომ ახდენდნენ სხვებზე დომინირებას. აქვე იგი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო პოლიტიკა არის ძალის პოლიტიკა და დიდი ძალები ძალიან ფრთხილად და ყურადღებით ეკიდებიან ძალაუფლების განაწილების საკითხს სისტემაში, რათა თავიდან აიცილონ ბალანსის რომელიმე ქვეყნის სასარგებლოდ გადახრა.

ნეორეალისტური დისკურსი საერთაშორისო სისტემის და მისი სტრუქტურის ანალიზის ცენტრალურ ელემენტებად წარმოდგენის შემდგომ მიდის სისტემაში ძალაუფლების მოცულობის საკითხზე განსხვავებულ მოსაზრებებამდე თავდაცვით

და თავდასხმით რეალისტებს შორის. თავდაცვითი რეალისტების აზრით მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ჩანდეს შესაძლებლობა ახალი ტერიტორიების და მოსახლეობის დაპყრობის და ამით ძლიერების გაზრდის, ეს დაკავშირებულია რისკთან. რისკთან, რომ გაწეული დანახარჯი იქნება პოტენციურ მოგებაზე მეტი, ანუ ქმედება იქნება ირაციონალური. ამ საკითხის საილუსტრაციოდ, ავტორს მოჰყავს ნაციონალიზმი, როგორც ძალიან ძლიერი და გავრცელებული იდეოლოგია, რომელსაც შეუძლია დაპყრობილ ხალხში აჯანყების გამოწვევა, რაც დამპყრობლისთვის დიდ დანახარჯთან არის დაკავშირებული. თავდასხმითი რეალისტები განსხვავებულად უყურებენ საკითხს და მიაჩნიათ, რომ ყოველთვის არსებობს ცდუნება, რომ სისტემაში მონაწილე მოთამაშეებმა მოინდომონ ძლიერი მოთამაშეების დაბალანსება, მათ შორის დამაბალანსებელი კოალიციების შექმნით. ამიტომ, სჯობს სანამ ძლიერი ძალის წინააღმდეგ შეიქმნება ამგვარი კოალიცია, ძლიერმა აქტორმა მანამდე შეძლოს უპირატესობის საკუთარ მხარეს მოქცევა, ანუ ძალთა ბალანსის თავის სასარგებლოდ გადახრა, რადგან სხვა შემთხვევაში ვიღებთ არასასურველ ცვლილებებს (Mearsheimer, 2013, pp. 77-91).

როგორც ზემოთ, თეორიულ საკითხებთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვიდან კიდევ ერთხელ დადასტურდა, რეალისტური პარადიგმისთვის, მიუხედავად იმისა, თუ რომელ მიმდინარეობასთან გვაქვს შეხება და რას განიხილავენ ანალიზის საწყის წერტილად ეს მიმდინარეობები, ანალიზის ცენტრში ნამდვილად დგას სახელმწიფო. სახელმწიფოს არსებობისთვის კი ერთ-ერთი ფუნდამენტური ნიშანი გახლავთ სუვერენიტეტი. სუვერენიტეტის წარმოშობა და მისი ლეგიტიმაციის წყარო კი, რაზეც წინამდებარე ნაშრომში და ბრუს ქრონინისა და სემუელ ბარკინის სტატიაშიც არის საუბარი, რეალიზმის თეორიული სკოლის ბევრი თვალსაჩინო წარმომადგენლისთვის დაკავშირებულია საერთაშორისო სისტემასთან, მასში მიმდინარე ცვლილებებსა და ძალთა ბალანსზე. იმის მიხედვით, თუ რა ტიპის ძალები აბალანსებენ ერთმანეთს, როგორია სისტემის სტრუქტურა და იმ ცვლილებების გამომწვევი მიზეზები, რამაც ამ სტრუქტურის ჩამოყალიბება გამოიწვია, განსაზღვრავს მასში ახალი აქტორების წარმოშობის ან/და გაქრობის საკითხს. ასევე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ სისტემის შიგნით შესაძლოა მოხდეს

ცვლილებები ისე, რომ თავად სტრუქტურა არ შეიცვალოს. ეს ყოველივე გვიქმნის თეორიულ საფუძველს, რაზე დაყრდნობითაც შეგვიძლია საქართველოში მე-20 საუკუნის დასაწყისსა და დასასრულს განვითარებული პროცესები, დამოუკიდბელობის ორი გამოცხადება, დავუკავშიროთ სწორედ საერთაშორისო სისტემაში მომხდარ ცვლილებებს. უფრო კონკრეტულად იმის შესახებ, თუ რა სახის პროცესები მიმდინარეობდა ქვეყნის შიგნით და რა იყო საერთაშორისო სისტემაში მომხდარი ის ცვლილებები, რასაც შესაძლოა გადამწყვეტი გავლენა ჰქონოდა საქართველოში ნაციონალური პროექტის რეალიზებაზე, განხილული იქნება შემდგომ თავებში.

1.2 ქართული ნაციონალიზმი საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე ცვლილებების კონტექსტში - 1910-იანი წლები

მე–19 საუკუნის ბოლოსა და მე–20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების, ადგილობრივი პოლიტიკური აქტივისტებისა და საზოგადო მოღვაწეების საქმიანობის, მათი პოლემიკისა და ხშირ შემთხვევაში ცხარე დებატების შესახებ დაწყებული კულტურის, განათლების და ყოველდღიური ყოფის საკითხებიდან, დამთავრებული ეკონომიკის, ავტონომიის, ფედერალიზმის, ეროვნულობისა და დამოუკიდებლობის შესახებ, ერთ–ერთ ფუნდამენტურ ნაშრომს წარმოადგენს სტივენ ჯონსის წიგნი „სოციალიზმი ქართულ ფერებში – სოციალ–დემოკრატიის ევროპული გზა 1883–1917“. ავტორი დეტალურად აანალიზებს იმ რთულ სოციალურ–ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელიც იმ დროისათვის იყო შექმნილი რუსეთის იმპერიის შავიზღვისპირა კოლონიაში – საქართველოში და ამ მძიმე ფონზე აქ განვითარებულ პროცესებზე, რომლებიც მიუხედავად ყველაფრისა, თითქმის იდენტური იყო დანარჩენ ევროპაში იმ დროისათვის არსებული დისკურსისა და მოიცავდა სოციალ–დემოკრატიული იდეებისა და ეროვნულობის შესახებ დებატებს.

სტივენ ჯონსის ნაშრომები საქართველოს შესახებ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ არის იმ იშვიათ გამონაკლისთა შორის, რომელთა გაცნობისას ყველა მოსაზრება

არის დასაბუთებული და გამყარებული კონკრეტული არგუმენტებით. მათში ნაკლებად შეინიშნება ავტორის სენტიმენტები, ეპოქისათვის დამახასიათებელი იდეოლოგიური გავლენა, როგორც ეს საბჭოთა დროის ისტორიის სახელმძღვანელოებში მკაფიოდ შეინიშნება, თუ საბჭოთა რეპრესიებისგან გათავისუფლებული ავტორების ემოციური შეფასებები პოსტსაბჭოთა პერიოდში დაწერილ ნაშრომებში.

ჯონსი არაერთხელ მიუთითებს იმ თავისებურების შესახებ, რომელიც ახასიათებდა ქართულ სოციალ–დემოკრატიას. კერძოდ, თავისებურება მდგომარეობდა იმაში, რომ ინტერაციონალის, ზესახელმწიფოებრივი, კლასობრივი კუთვნილებისგან თავისუფალი, უეროვნებო მსოფლიო საზოგადოების შექმნის მქადაგებელი იდეოლოგიის მიმდევრები, ნებით თუ უნებლიედ, მუდმივად მიისწრაფოდნენ ეროვნული იდეების განხორციელებისაკენ, რასაც ავტორი მიაწერს ქართული სოციალ–დემოკრატიის თერგდალეულთა იდეებზე აღმოცენებას, იგი აღნიშნავს: „ქართული სოციალ–დემოკრატია თერგდალეულთა იდეებზე აღმოცენდა. მასზე ძლიერი გავლენა მოახდინა თერგდალეულთა გატაცებამ ეროვნული ერთობის, ეკონომიკური განვითარებისა და პოლიტიკური რეფორმის საკითხებით“(ჯონსი, 2007, გვ. 61). აქვე, ქართული სოციალ–დემოკრატიის ეროვნული ფესვების შესახებ გაკეთებულ დასკვნაში ჯონსი ხაზს უსვამს ახალგაზრდა ქართველი მარქსისტების, იგივე მენშევიკების მიერ ერთმანეთისგან ისეთი რადიკალურად განსხვავებული იდეების შემეცნებას და მათ საფუძველზე თავიანთი მოღვაწეობის აგებას, როგორებიცაა რუსეთის ხალხოსნური თეორიები, ევროპული მარქსიზმი და ეროვნული თავისუფლება. ავტორი ახალგაზრდა ირაკლი წერეთლის მიერ 1900-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნებულ სამშობლოს თემატიკაზე შექმნილი საგმირო ლექსების, თუ ამიერკავკასიის მომავალი პრემიერ-მინისტრის აკაკი ჩხენკელის ეროვნული სენტიმენტების მოყვანით ცდილობს მკითხველს დაანახოს, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატებს მართლაც სიღრმისეული კავშირი გააჩნდათ მე-19 საუკუნის შუა ხანებში ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების მიერ ჩამოყალიბებულ ეროვნულ ხედვებთან და ის, რომ ჟორდანია და მისი თანამოაზრეები პოზიციონირებდნენ, როგორც სოციალ-დემოკრატები, სულაც არ

ნიშნავდა იმას, რომ უნდა დაგვევიწყებინა მათი წარმომავლობა და ის გარემო საიდანაც სათავეს იღებდა მათი პოლიტიკური მოღვაწეობა. (ibid: 66)

მიუხედავად იმისა, რომ სტივენ ჯონსი, წიგნში მუდმივად გამოკვეთს ქართული სოციალ–დემოკრატიის თავისებურებას, რაც გამოიხატებოდა ამ მოძრაობის ეროვნულობასთან „უცნაურ“ დამოკიდებულებაში, იგი გვერდს ვერ უვლის ქართველ სოციალ–დემოკრატთა არათანმიმდევრულობასა და ხშირ შემთხვევაში ეროვნულობის უარყოფის გამოვლინებებს. კერძოდ, 1905 წლის მოვლენების გაანალიზებისას იგი წერს, რომ 1905 წელს როდესაც მაგალითად ლიეტუველები, ლატვიელები, პოლონელები და „ბუნდი“ ითხოვდნენ ერთიანი პარტიის შიგნით საკუთარი დამოუკიდებელი ორგანიზაციების შექმნას ან/და სულაც ცალკე ორგანიზაციის ჩამოყალიბებას, ქართველი სოციალ-დმეოკრატები ორთოდოქსი ისკრელები იყვნენ და ამ საკითხე რაიმე სახის უთანხმოება არ მოსვლიათ, მიუხედავად იმისა, რომ მოსალოდნელი იყო აზრთა სხვადასხვაობა. მათ მიაჩნდათ, რომ ეროვნულ ავტონომიაზე საუბარი დამანგრეველი იქნებოდა კავკასიისთვის, რადგან ეს გამოიწვევდა ცალკეულ რეგიონებში ამა თუ იმ ენის დომინანტურ როლში ყოფნას, მუშების დაყოფას, ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირებას და წაახალისებდა ყველა იმ პროცესს, რაც საბოლოო ჯამში ერთიანი უეროვნებო და უკლასო საზოგადოების ჩამოყალიბებას საფრთხეს შეუქმნიდა. ჯონსი მიუთითებს, რომ მიუხედავად იდეოლოგიურ საკითხებზე განსხვავებული შეხედულებებისა, ორგანიზაციის ყველა ლიდერი მხარს უჭერდა რუსეთის დემოკრატიული სახელმწიფოს ფარგლებში შექმნილ ტერიტორიული თვითმმართველობის იდეას, რისთვისაც ქებასაც კი იმსახურებდნენ ბოლშევიკური მემუარისტებისგან: „ორგანიზაციის ყველა ლიდერი, მემარჯვენე ირაკლი წერეთლიდან დაწყებული და მემრცხენე მიხა ცხაკაიათი დამთავრებული, საჯაროდ აცხადებდა, რომ რუსეთის დემოკრატიული სახელმწიფოს საზღვრებში შექმნილი რეგიონული თვითმმართველობის იდეის მომხრე იყო. ..... 1905 წლის ქართული ბოლშევიკური მემუარისტიკა აღიარებს, რომ ქართველი სოციალ–დემოკრატები, კარგი ინტერნაციონალისტები იყვნენ“ (ibid: 237). ავტორის მიერ განვითარებული დისკურსი და მოყვანილი მაგალითებიც ნათლად აჩვენებს, რომ ქართველი სოციალ–

დემოკრატები შემდგომ წლებშიც, ფაქტობრივად მთელი 1900–იანი და 1910–იანი წლები იგივე აზრზე იდგნენ, ან უფრო სწორად დიდ გაურკვევლობაში იმყოფებოდნენ და მოძრაობდნენ სოციალისტური ინტერნაციონალიდან ეროვნულობის იდეებამდე, იმ პირობით, რომ ეროვნულობაში კულტურულული ავტონომია მოიაზრებოდა და ერი გამიჯნული იყო სახელმწიფოსაგან, მათი ხედვა მიმართული იყო რუსული სახელმწიფო მოწყობის დემოკრატიულად გარდაქმნისაკენ და ამ განახლებულ სახელმწიფოში ქართველი ერის ადგილის გამონახვისკენ. ჯონსი, საბოლოოდ ასკვნის, რომ ქართული სოციალ–დემოკრატიული მოძრაობა სწორებას დასავლურ სოციალ–დემოკრატიულ პარტიებზე იღებდა და საკუთარი მხარდამჭერი ნახევრადლეგალური საზოგადოებრივი ორგანზიაციების მთელი ქსელიც შექმნა. ის ერთგულებდა რსდმპ–ს, მაგრამ ომისა და რევოლუციის სამმა დაძაბულმა წელმა ორგანიზაციული კავშირებიც მოშალა და პარტიის ხელმძღვანელობისადმი პატივისცემაც გააქრო (ibid: 296).

კიდევ ერთი მკვლევარი, რომელიც ეხება ეროვნულობის, ავტონომიის, თვითადმინისტრირების საკითხებს და სოციალ–დემოკრატიის როლს ამ ყველაფრის გარშემო მე–19–20 საუკუნეების მიჯნაზე, გახლავთ ირაკლი ჩხაიძე, რომელიც ავტორთა ჯგუფთან ერთად გამოცემულ წიგნში, „იდენტობის ნარატივები საქართველოში: მრავალეთნიკური ქართველი ერის სათავეებთან (1860–1918)", ავითარებს მოსაზრებას, რომ სოციალ–დემოკრატები, რომლებიც 1910–იან წლებში წარმოადგენდნენ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ასპარეზის ძირითად მოქმედ პირებს საქართველოში, განსხვავდებოდნენ საკუთარი ხედვით ეროვნულობის და სახელმწიფოებრიობის შესახებ თერგდალეულებისაგან. იგი აღნიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძის და მისი თანამოაზრეებისგან განსხვავებით, სოციალ-დემოკრატები პოლიტიკური ავტონომიის და ზოგადად ქვეყნის სამომავლო მოწყობის საკითხებზე მსჯელობისას მეტად იყვნენ ორიენტირებულნი კლასთა შორის ურთიერთობებსა და მშრომელთა უფლებებზე, ვიდრე ეროვნულ საკითხზე (ჩხაიძე, 2014, გვ. 101). იმავე თავში, ავტორი აფიქსირებს მოსაზრებას, რომელიც დაკავშირებულია წინამდებარე ნაშრომის ერთ–ერთ ძირითად საკვლევ საკითხთან, დამოუკიდებლობის მიმართ

სკეპტიკურად განწყობილი სოციალ–დემოკრატების მიერ 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებასთან. იგი ყურადღებას ამახვილებს ქართული იდენტობის ფორმირებაში დამოუკიდებლობის იდეის სიძლიერეზე. კერძოდ, საყურადღებოდ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ თვითმმართველობის და შემდგომ შესაძლო დამოუკიდებლობის იდეა, რომლის შესახებ საუბარი ჯერ კიდევ 1860-70-იან წლებში თერგდალეულებმა წამოიწყეს, იმდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რომ მისი რეალიზება სწორედ სოციალ-დემოკრატების ხელით მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამ იდეას არ იზიარებდნენ (ibid: 103).

მონოგრაფიაში, „ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია და ქართული ნაციონალური პროექტი („თერგდალეულები“), იგივე ავტორი – ირაკლი ჩხაიძე, განიხილავს ქართული ნაციონალიზმის გამოღვიძების, მისი მოდერნისტული სახით ფორირების საწყის ეტაპებს 1860–70–იან წლებიდან, რომლის შედეგზეც, 1918–1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახით, ზემოთ უკვე იყო საუბარი. ავტორი მიიჩნევს, რომ სწორედ ეს პერიოდი და თერგდალეულთა მიერ ამ დროს დაწყებული საზოგადოებრივი მოძრაობა, მათ მიერ გატარებული რეფორმები მთელი რიგი მიმართულებებით, იყო საფუძველი იმისა, რომ სოციალ–დემოკრატიის „რომანტიულმა“ და 1900–1910–იანი წლებისათის საყოველთაო პოპულარობით მოსარგებლე იდეებმაც ვერ შეძლეს ეროვნულობის კონცეფციისათვის თავის დაღწევა: „ნათელია, რომ საკვლევ პერიოდში, „თერგდალეულები“ ცდილობენ იმ ძირითადი თეორიული კრიტერიუმების დაკმაყოფილებას, რომელიც აუცილებელია ერთიანი ნაციონალური იდენტობის მიღწევა–შენარჩუნებისათვის. რთულია იმის თქმა, თუ რამდენად იქნა მიღწეული მიზანი, თუმცა, ისტორიული ფაქტები გვეუბნებიან, რომ მცდელობას უშედეგოდ არ ჩაუვლია“ (ჩხაიძე, 2009, გვ. 96).

უნდა აღინიშნოს, რომ ჩხაიძის კვლევები ქართული ნაციონალიზმის ისტორიისა და ქართული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესის შესახებ ძალზედ საინტერესო და არგუმენტირებულია. მისი ნაშრომები და მოსაზრებები წარმოადგენს ქართული ნაციონალიზმის გააზრების თანამედროვე, დასავლური სტანდარტებით შესწავლის ძალიან კარგ მაგალითს და მნიშვნელოვანი ადგილია უკავია

ნაციონალიზმის კვლევების არც თუ დიდ ქართულ სკოლაში. მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა თერგდალეულების როლი იდენტობისა და ქართული ნაციონალური პროექტის ჩამოყალიბების პროცესში, ისევე როგორც 80-იან წლებში გაშლილი ეროვნული მოძრაობის ხასიათის განხილვისას, წინამდებარე ნაშრომში განვითარებული პოზიციები უახლოვდება ირაკლი ჩხაიძის ზემოთ ხსენებული კვლევების შედეგებს. თუმცა, იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ხსენებული ავტორი ნაკლებ ყურადღებას უთმობს საკუთარ კვლევებში ქართული ნაციონალური პროექტის ჩამოყალიბებისა და მისი განხორციელების პროცესში საერთაშორისო ფაქტორების, კერძოდ საერთაშორისო სისტემური ცვლილებების მნიშვნელობასა და როლს, რჩება ცარიელ სივრცე, რომელიც ქართული ნაციონალიზმის კვლევისთვის და მისი განვითარების ეტაპების სრულფასოვნად გააზრებისთვის ესოდენ მნიშვნელოვანია. კერძოდ, თუ რა კორელაცია იყო საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე ცვლილებებსა და ქართული ნაციონალური პროექტის განვითარებასა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახით განხორციელებას შორის მე-20 საუკუნის დასაწყისსა და დასასრულს.

თერგდალეულების რეფორმების და მათ მიერ ჩამოყალიბებული „ქართული ნაციონალური პროექტი"–ის შესახებ, რაც უდაოდ უმნიშვნელოვანესი იყო ქართული ნაციონალიზმის მოდერნისტული სახით ჩამოყალიბებისათვის და ასევე წარმოადგენს საკვანძო საკითხს წინამდებარე კვლევისათვის, სიღრმისეულად შემდეგ თავში იქნება საუბარი.

როგორც უკვე აღინიშნა, ნაციონალიზმის კვლევების, უფრო კონკრეტულად კი ქართული ნაციონალიზმისა და ქართული იდენტობის კვლევების მიმართულებით არც თუ ბევრი ნაშრომი მოიპოვება, მაგრამ იმ სიცარიელის ნაწილს, რაც ამ თვალსაზრისით არსებობს სამეცნიერო ლიტერატურაში, გარკვეულწილად ავსებს ქართველი ისტორიკოსების შრომები. მთელი რიგი ავტორები, რომელთა მოსაზრებები მათ შორის განხილულია წინამდებარე ნაშრომში, უმნიშვნელოვანეს საფუძველს ქმნიან ახალი კვლევების საწარმოებლად. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ქართველი ისტორიკოსების ნაწილი წერისას მკაფიოდ გამოხატავს

პატრიოტულ, ემოციურ დამოკიდებულებებს შესასწავლი საკითხებისადმი, რაც მათი შრომების სამეცნიერო ღირებულებას ნამდვილად არ ზრდის.

წინამდებარე ნაშრომის კვლევის ინტერესიდან გამომდინარე, ამ ქვეთავში განხილულია ისტორიკოსების მერაბ ვაჩნაძის, ვახტანგ გურულის და დიმიტრი შველიძის პუბლიკაციები და ასევე, ისტორიის რამდენიმე სახელმძღვანელო.

საინტერესოა ისტორიკოს ვახტანგ გურულის მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც კრებულში „1918 წლის 26 მაისი“ ვრცლად აანალიზებს მე–20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებას, მაშინდელი პოლიტიკური ელიტის განწყობებს და საერთაშორისო ფაქტორების როლს შიდა პოლიტიკის ფორმირების პროცესსა და ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხებისადმი. ვახტანგ გურული წერს, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისის პოლიტიკური მოვლენები, თავად პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა, მისი მიღწევები და წარუმატებლობები განპირობებული იყო იმ განწყობებითა და მისწრაფებებით, რაც ამ პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ელიტისთვის იყო დამახასიათებელი. გურული მიიჩნევს, რომ საქართველოს შიდა პოლიტიკურ ფაქტორებზე და თავად დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოცხადებაზე გადამწყვეტი გავლენა იქონია იმ მსოფლიო პოლიტიკურმა ცვლილებებმა, რაც დაკავშირებული იყო პირველ მსოფლიო ომსა და რუსეთის იმპერიაში მომხდარ თებერვალ-მარტის რევოლუციასთან. მკვლევარი მიიჩნევს, რომ სწორედ ამ ფაქტორების შედეგად შექმნილი ვითარებით ისარგებლა საქართველომ და მიუხედავად იმ დროინდელი ეროვნული მოძრაობის ხასიათისა, გამოიყენა შესაძლებლობა და მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე დაბრუნდა როგორც სუვერენული სახელმწიფო (გურული, 2011, გვ. 5–10).

გურული ავითარებს აზრს, რომ მე–20 საუკუნის დასაწყისში საზოგადოებრივ ასპარეზზე გაბატონებული სოციალ–დემოკრატები მიზანმიმართულად ცდილობდნენ ილია ჭავჭავაძისა და მთლიანად ეროვნული მოძრაობის მონაპოვარი გაენადგურებინათ ეროვნულობის საკითხებში. მისი აზრით, სოციალ–დემოკრატები,

როგორც მენშევიკები, ისე ბოლშევიკები სამკვდრო–სასიცოცხლოდ ებრძოდნენ საქართველოს ავტონომიისა და ეკლესიის ავტოკეფალიის იდეას (ibid: 11–16).

დიმიტრი შველიძე თავის სადისერტაციო ნაშრომში – „საქართველოს სოციალისტ–ფედერალისტთა პარტია (1903–1917წწ.)“, რომელიც გამოქვეყნებულია 1998 წელს, აანალიზებს მე–20 საუკუნის პირველი ოცწლეულში საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების მოღვაწეობას. კერძოდ, მისი შესწავლის მთავარ საგანს წარმოადგენს სოციალისტ–ფედერალისტთა პარტია, მისი იდეოლოგიური პლატფორმა, მისი ხელმძღვანელი პირების, მეტწილად კი არჩილ ჯორჯაძის ნააზრევის კვლევა. ავტორი განიხილავს იმ დროისათვის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი საქართველოს ეროვნული მისწრაფებების მქონე პოლიტიკური ძალების ბრძოლას პოლიტიკური ავტონომიისათვის, რაც მოსამზადებელი ეტაპი უნდა ყოფილიყო საბოლოოდ დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. იგი წარმოგვიდგენს სოციალისტ–ფედერალისტთა სამოქმედო პროგრამას, რომელიც გაზიარებულ იყო ანარქისტების, ეროვნულ–დემოკრატებისა და სხვა ეროვნული პარტიების მიერ, რომლებიც შედიოდნენ სწორედ სოციალისტ–ფედერალისტების ბლოკში. ავტორის აზრით, სოციალისტ–ფედერალისტები წლების განმავლობაში წარმოადგენდნენ ერთადერთ გავლენიან პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც უპირისპირდებოდა რუსეთის სოციალ–დემოკრატიის წამლეკავ ძალას და მის ყველაზე უფრო უარყოფით შედეგს - ეროვნული საკითხისადმი ნიჰილისტურ განწყობებს (შველიძე, 1998, გვ. 4).

ასევე საგულისხმოა დიმიტრი შველიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, საავტორო წიგნში „ლექციების კურსი საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორიაში“, სადაც იგი საუბრობს ქართველი სოციალ–დემოკრატების, მათ შორის მნიშვნელოვანწილად ნოე ჟორდანიას პოზიციაზე ეროვნული საკითხის გარშემო. ავტორი აღნიშნავს, რომ ჟორდანია და ქართველი სოციალ–დემოკრატები 1903 წლამდე სხვადასხვა ფორმით აღიარებდნენ ეროვნული საკითხის მნიშვნელობას და ეროვნული თვითმმართველობის მნიშვნელობას, თუმცა, მათი ეს პოზიცია შეიცვალა და ნიჰილისტური ელფერი მიიღო 1903 წლის ზაფხულში რუსეთის სოციალ–დემოკრატიული პარტიის II ყრილობის შემდგომ (შველიძე, 1995, გვ. 13).

ქართველი სოციალ–დემოკრატების პოზიციაზე, ეროვნულობის საკითხის გარშემო, ამ პოზიციის პირველი მსოფლიო ომისა და თებერვლის რევოლუციის შემდგომ ცვლაზე ამახვილებს ყურადღებას ისტორიკოსი მერაბ ვაჩნაძეც ნაშრომში – „ნაციონალ–სოციალიზმი საქართველოში“, რომელიც 1998 წელსაა დაწერილი. ავტორი საუბრობს იმაზე, თუ რამდენად შეიცვალა 1903 წლის შემდგომ ქართველი სოციალ–დემოკრატების პოზიციები ეროვნულობის შესახებ და როგორ დაუპირისპირდა მათი ხედვა ქართველი ერის ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ასევე, საინტერესოა, რომ ვაჩნაძე ქართველ სოციალ–დემოკრატთა პოზიციების ცვლას 1914–1918 წლებში და მათ მოსაზრებებზე ნაციონალისტური ხედვების გავლენის ზრდას უკავშირებს პირველ მსოფლიო ომსა და თებერვლის რევოლუციას რუსეთში (ვაჩნაძე, 1998, გვ. 12–13).

უფრო ვრცლად ზემოხსენებულ საკითხზე მერაბ ვაჩნაძეს მოსაზრებები გამოთქმული აქვს ვახტანგ გურულთან ერთად გამოცემულ წიგნში – „ქართული სოციალ–დემოკრატიის ისტორია (1892–1918)“. ავტორი აქაც იგივე პოზიციაზე დგას და აღნიშავს, რომ ქართველი სოციალ–დემორკატები 1903 წლის შემდგომ 1914 წლამდე რადიკალურად იყვნენ განწყობილი ეროვნული საკითხის მიმართ, ისინი უპირისპირდებოდნენ არათუ დამოუკიდებელი სახელმწიფოს იდეას, არამედ ტერიტორიული ავტონომიასაც კი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოჰყოფს ირაკლი წერეთლის შეხედულებებს, რომელიც მენშევიკების პოზიციებს ახმოვანებდა და აკრიტიკებდა სოციალისტ–ფედერალისტების იდეებს ავტონომიის შესახებ, ვაჩნაძე აღნიშნავს, რომ წერეთელი ნოე ჟორდანიაზე შორსაც კი მიდიოდა ეროვნულობის შესახებ ნიჰილიზმსა და კოსმოპოლიტური იდეების თაყვანისცემაში. ვაჩნაძე ყურადღებას ამახვილებს ნოე ჟორდანიას ნაშრომზე „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“ და მას იმის მტკიცებულებად იშველიებს, რომ ჟორდანია არ იყო თანმიმდევრული საკუთარ იდეებში. აღნიშნული ნაშრომით ეროვნული საკითხასიდამი ნიჰილიზმში, ვიდრე რამდენიმე წლით ადრე ქართველ ნაციონალისტებზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში და ეწინააღმდეგებოდა თავისივე მოსაზრებებს, რომელთაც აფიქსირებდა თუნდაც მე-19 საუკუნის ბოლო დეკადაში. თუმცა, ნოე ჟორდანიაზე გაცილებით უფრო რადიკალური დამოკიდებულება

ჰქონდა პოლიტიკური ავტონომიისადმე ირაკლი წერეთელს, რომელიც შეზღუდული თვითმმართველობის საჭიროებასაც კი ეჭვქვეშ აყენებდა და აგდებით ეკიდებოდა საქართველოს ავტონომიის იდეას (ვაჩნაძე, 1999, გვ. 258–260). თუმცა, ვაჩნაძის აზრით, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სოციალ–დემოკრატთა შორისაც იყვნენ ავტონომიის საკითხზე განსხვავებული პოზიციების მქონე პირები, მათ შორის განსაკუთრებით აქტიურობდა აკაკი ჩხენკელი. იგი ეწინააღმდეგებოდა ნოე ჟორდანიას იმჟამინდელ გატაცებასამიერ-კავკასიის საოლქო თვითმმართველობის შესახებ და მიიჩნევდა, რომ საქართველოს უნდა ჰქონოდა შეზღუდული ავტონომია (ibid: 264).

საინტერესოა 1922 წელს რუს. კომუნისტ. პარტიის ამიერ–კავკასიის საოლქო კომიტეტის გამოცემის „ნ. ჟორდანია – მისი ნაწერების კრებული ეროვნული საკითხების შესახებ“ წინასიტყვაობა, რომელიც დაწერილია ი. კაკაბაძის მიერ. ავტორი პირდაპირ მიუთითებს ნოე ჟორდანიას პოზიციების ცვლის შესახებ 1917-1918 წლის შემდეგ. იგი აკრიტიკებს ჟორდანიას და გამოთქვამს წუხილს იმის გამო, რომ მან მარქსისტული იდეოლოგია, რომლის წიაღშიც არაერთი წერილი თუ პუბლიკაცია დაუწერია, სხვადასხვა ფაქტორების გავლენით, მათ შორის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციის შედეგების გამო გაცვალა ნაციონალისტურ იდეებზე და ერთიანი რუსული სახელმწიფოს შემადგენლობაში საქართველოს განვითარების ნაცვლად მიემხრო დამოუკიდებელი რესპუბლიკის იდეას. კაკაბაძის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „კულტურული ავტონომიური კანტონები, და ტერიტორიალურ–კულტურული, ავტონომიური კანტონები, აი ეს იყო მისი უკანასკნელი აღმოჩენა. 1917/18 წლებში, რომელშიაც, შესაძლებლად მიაჩნდა ორი მოწინააღმდეგე კლასის, ბურჟუაზიის და დემოკრატიის „მორიგება კავკასიის კონკრეტიულ პირობებში“. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კულტურულ ავტონომიიდან ის გადახტა სრულს დამოუკიდებლობამდის..“ (კაკაბაძე, 1922, გვ. 3–5).

1972 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის ნარკვევების მე–6 ტომში კი, რომელიც აღწერს საქართველოს ისტორიას 1900–1921 წლებში, ფიქსირდება მკაფიოდ უარყოფითი დამოკიდებულება ქართველი მენშევიკების მიმართ, რომლებიც იმ

დროისათვის, ფაქტობრივად, წარმოადგენდნენ ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ჯგუფს ქვეყანაში. აღსანიშნავია, რომ მენშევიკების საქმიანობის უარყოფითი შეფასება გამოწვეული არა იმით, რომ ისინი ეროვნული იდეის, ან თუნდაც საქართველოს ფართო ავტონომიისათვის იბრძოდნენ, არამედ იმის გამო, რომ მათ მჭიდრო იდეური კავშირი ჰქონდათ ცარისტულ ძალებთან და სწორედ მათი პოლიტიკის გატარებას ცდილობდნენ, ნაცვლად ბოლშევიკების ლენინური ხაზის დაცვისა და მხარდაჭერისა პირველ მსოფლიო ომში. (საქართველოს ისტორიის ნარკვევები VI ტომი 1972, გვ. 361). ეს წიგნი არის კარგი მაგალითი იმაზე დასაფიქრებლად, თუ რამდენად სანდო შეიძლება იყოს ისტორიის ის სახელმძღვანელოები, რომლებიც გამოცემულია საბჭოთა კავშირის დროს და რომლებიც გადიოდა იდეოლოგიურ ცენზურას და ისტორიულ ფაქტებს აძლევდა იმგვარ შეფასებას, რაც იმ დროინდელი საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმისთვის იყო ხელსაყრელი.

1.3 ქართული ნაციონალიზმი საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე ცვლილებების კონტექსტში - 1980-იანი წლები

1921 წლის იძულებითი გასაბჭოების შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა ნაციონალურმა პროექტმა მნიშვნელოვანი დარტყმა განიცადა. უნდა აღინიშნოს, რომ 1921-24 წლებში ეროვნული ძალების მხრიდან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებებისა და დაუმორჩილებლობის არაერთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, მათ შორის არამხოლოდ თბილისში, არამედ გურიაში, კახეთში, სვანეთში, ხევსურეთსა და ქვეყნის სხვა ნაწილებში. სწორედ იმ დროინდელი აჯანყებების ერთ-ერთი უმთავრესი ლიდერი გახლდათ თანამედროვე ქართული იდენტობისა და ნაციონალიზმისთვის უმნიშვნელოვანესი ფიგურა, ქაქუცა ჩოლოყაშვილი. მასთან ერთად იბრძოდნენ დიდგვაროვნები, სამხედრო ელიტის ზოგიერთი წარმომადგენელი და ემიგრაციაში წასული ჟორდანიას მთავრობის წევრებიც, მათ შორის ქვეყანაში აჯანყების ხელშეწყობის მიზნით ფარულად დაბრუნებული ნოე ხომერიკიც. თუმცა, აჯანყების ყველა მცდელობა სისხლში იქნა

ჩახშობილი და მისი მოთავეები და მათთან დაკავშირებული პირები ხშირ შემთხვევაში გასამართლების გარეშე დახვრიტეს (ოდილავაძე, 2012).

1921-24 წლების აჯანყებების ჩახშობის შემდეგ, რასაც რამდენადაც ცნობილია ქართულ საზოგადოებაში მასობრივი გამოსვლები ან/და წინააღმდეგობის ორგანიზებული მცდელობა არ მოჰყოლია, ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის მიზნით ერთ-ერთ საინტერესო ეპიზოდს წარმოადგენს 1942-43 წლებში სამანელთა (საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლი ახალგაზრდა ნაციონალისტები) მოძრაობა/ორგანიზაცია. სამანელები იყვნენ ახალგაზრდა ქართველი ნაციონალისტები, რომელთა მიზანს წარმოადგენდა შეიარაღებული აჯანყებით საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენა. ორგანიზაცია დააფუძნეს ახალგაზრდა პოეტმა ადამ ბობღიაშვილმა (ალვანელი) და მისმა მეგობარმა მიხეილ იმედიძემ, ხოლო მათ ხელმძღვანელად მოიაზრებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მიხეილ ზანდუკელი. მიუხედავად სამანელთა პატრიოტული მოძრაობისა და მცდელობისა, რომ თუშეთში შეეკრიბათ აჯანყებული ქართველები, ხოლო შემდგომ დაემყარებინათ კავშირი ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედ ანტისაბჭოთა რაზმებთან, მათი წამოწყება უშედეგო გამოდგა, რადგან საბჭოთა ხელისუფლებამ შეთქმულების წინააღმდეგ რამდენიმე ასეული გაგზავნა და სასტიკად გაუსწორდა მათ. სამანელთა მოკვეთილი თავები დაშინების მიზნით თუშთა საგანგებოდ შეკრებილ კრებას წარუდგინეს (ჩხეიძე, 1995).

აღსანიშნავი ფაქტია, რომ 1921-24 წლების აჯანყებების, ისევე როგორც სამანელთა ორგანიზაციისა და მათი მოქმედებების შესახებ აკადემიური წყაროების სიმწირე და არსებულ ლიტერატურაში ერთგვარი მითიური პერსონაჟების წარმოჩენის მცდელობა, ნაცვლად პოლიტიკური ანალიზისა, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საქართველოს ისტორიის ეს პერიოდი ფაქტობრივად არ არის მეცნიერული თვალსაზრისით შესწავლილი და შეფასებული. მათ შორის მნიშვნელოვანია, რომ ხსენებული ორი მოვლენა გაანალიზებულ იქნას ქართული ნაციონალიზმის შესწავლის კონტექსტში, რაც წინამდებარე ნაშრომის მიზნებს სცდება, თუმცა, სამომავლოდ შესაძლებელია კვლევის გაგრძელება სადისერტაციო ნაშრომს მიღმა.

მიუხედავად 1921-24 წლების აჯანყებებისა და სამანელთა მოძრაობის ღრმად პატრიოტული და ნაციონალისტური ხასიათისა, უნდა ითქვას, რომ ორივე ეს მოვლენა ნაკლებად შეიძლება ჩაითვალოს ეროვნული მოძრაობის, თუ ნაციონალური გამოღვიძების ფაქტად, რადგან პირველ შემთხვევაში როგორც უკვე იქნა აღნიშნული, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს საბჭოთა ძალების მიმართ წინააღმდეგობის გაგრძელებასთან 1921 წლის თებერვალში განცდილი მარცხის შემდეგ, რაც თავისი მასშტაბითა და მოქმედების არეალით ვერ იქცა საერთო ეროვნულ აქტად. უფრო მეტიც აჯანყებულთა სადამსჯელო რაზმები ძირითადად ქართველებით იყო დაკომპლექტებული. ხოლო სამანელთა ორგანიზაცია, წარმოადგენდა ცალკეულ, ვიწრო ჯგუფში ჩასახულ იდეას, რომელმაც გავრცელება და საზოგადოების ფართო მასებამდე მიღწევა ვერ მოასწრო ან/და ვერ შეძლო. ამის შემდგომ ქართული ნაციონალური იდეის კვლავ გამოღვიძებისა და გაღვივების არანაირი ნიშანი არ ჩანდა. მხოლოდ 1956 წლის გაზაფხულზე მოხდა მოვლენა, რომელიც შეგვიძლია მივიჩნიოთ ახალი ქართული ეროვნული მოძრაობის მნიშვნელოვან ბიძგად - ეს მოვლენა კი, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, უკავშირდება საბჭოთა დიდ ბელადსა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობის ერთ-ერთ მთავარ მოქმედ პირს - იოსებ ჯუღაშვილს (სტალინს). კერძოდ კი, ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ მისი კულტის დაგმობასა და ამავე კონტექსტში მისი ქართული წარმომავლობის ხაზგასმას, რაც საქართველოში ეროვნულ შეურაცხყოფად და ქართველების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად აღიქვეს. ამის პასუხად კი პირველად ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, რეპრესირებული, დაშინებული და პროტესტს გადაჩვეული ქართველები ქუჩაში მასობრივად გამოვიდნენ. მართალია ეს გამოსვლა 1956 წლის 9 მარტს საბჭოთა ხელისუფლებამ დახვრიტა და ჩვეულ სტილში რეპრესიებს მიმართა, თუმცა, ეროვნული სოლიდარობისა და საბჭოთა რეჟიმის მიმართ ქართველებს შორის ზიზღისა და წინააღმდეგობის გაღვივებას ვერაფერი დააკლო.

ამ საკითხს სიღრმისეულად აანალიზებს რევაზ გაჩეჩილაძე საკუთარ წიგნში „საქართველო მსოფლიო კონტექსტში“. მიუხედავად იმისა, რომ გაჩეჩილაძე იმ დროინდელ მოვლენებს არც ნაციონალიზმის და არც მით უფრო საერთაშორისო

ურთიერთობების ჭრილში არ სწავლობს, ფაქტობრივად მიდის იმავე დასკვნამდე და აფასებს 1956 წლის მარტში თბილისში განვითარებულ მოვლენებს იმგვარად, რა მოსაზრებასაც ავითარებს წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა. იგი გამოთქვამს წუხილს, რომ სწორედ სტალინის ფაქტორი და მისი წარმომავლობა პირდაპირ თუ ირიბად გახდა მიზეზი საქართველოში ეროვნული გრძნობების გამოღვიძებისთვის: „სამწუხაროა, რომ ქართული ეროვნული სული და სოლიდარობა 1956 წლის მარტში აღორძინდა ისეთი პოლიტიკური ფიგურის მორალური დაცვის საბაბით, როგორიც იოსებ ჯუღაშვილი იყო, მაგრამ ფაქტია, რომ მასობრივ ანტისაბჭოთა განწყობასა და ახალ ქართულ ნაციონალიზმს ბიძგი სწორედ მაშინ მიეცა“. როგორც ავტორი აღნიშნავს, 1956 წლის 9 მარტის დემონსტრაცია მნიშვნელოვანია იმ მიზეზის გამოც, რომ სწორედ ამ დღეს პირველად დააკავეს ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, რომლებიც მაშინ მხოლოდ 17 წლისანი იყვნენ. მათი დაკავებით და შემდგომში ფარული კონტროლით საბჭოთა ხელისუფლებამ ხელი შეუწყო ანტისაბჭოთა ელემენტების გაძლიერებას, რაც საბოლოოდ როგორც ცნობილია გადაიქცა დიდ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად, რომლის კულმინაციაც 1980-იანი წლების ბოლოს იყო და რასაც შედეგად ქართული ნაციონალური პროექტის კვლავ აღორძინება და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მოჰყვა. ამ საქმეში კი განსაკუთრებული როლი სწორედ ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ ითამაშეს (გაჩეჩილაძე, 2013, გვ. 357-358).

ქართული ნაციონალიზმის ტრანსფორმაციაზე, მრავალეთნიკურ ერად ჩამოყალიბების პროცესში არსებულ სირთულეებზე და ამ კუთხით საბჭოთა ხელისუფლების მიზანმიმართულ პოლიტიკაზე წერს ზურაბ დავითაშვილი სტატიაში „Transformation of the Georgian Nationalism: the Problem of Formation of the Georgian Multiethnic Nation”. ავტორი მიმოიხილავს ქართული ნაციონალიზმის ჩამოყალიბების პროცესს, განვითარების ეტაპებსა და მახასიათებლებს მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან და გვთავაზობს იმის ანალიზს თუ რა დაბრკოლებები და სირთულეები არსებობდა ამ გზაზე. ჩემი კვლევისთვის განსაკუთრებით საინტერესოა ნაშრომის ის ნაწილი, სადაც საუბარი შეეხება 1980-იან წლებში განვითარებულ მოვლენებს, როდესაც ქართული ეროვნული მოძრაობა

განსაკუთრებით გაძლიერდა ე.წ. „პერესტროიკის“ გამოცხადების შემდეგ და დაიწყო მზადება დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. სწორედ ამ ეტაპზე მოხდა იმ მავნებლური პოლიტიკის შედეგების რეალიზება, რომელსაც ჯერ მეფის რუსეთი და შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება ეწეოდა როგორც საქართველოში, ისე იმპერიის სხვა შემადგენელ ერთეულებში. კერძოდ, „ბოროტების იმპერიის“ მთელ ტერიტორიაზე ათწლეულების მანძილზე მოსახლეობის იძულებითი რუსიფიკაციის, კულტურული ჰომოგენიზაციისა და ადგილობრივი ეროვნული იდენტობის გაქრობის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად მოხდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების გაუცხოება ტიტულარული ქართული ეთნიკური ჯგუფისაგან. მათ უფრო დიდი ლოიალობა გაუჩნდათ რუსეთისა და რუსული კულტურის მიმართ, ვიდრე ადგილობრივი ქართულისადმი. ამის ყველაზე დიდი კატალიზატორი სხვა მრავალ მიზეზთან ერთად იყო ენის პოლიტიკა, როდესაც ყველა ეთნიკური ჯგუფი სავალდებულოდ სწავლობდა რუსულ ენას, ხოლო ქართული ეთნიკური უმცირესობებისთვის მეორეხარისხოვან და უსარგებლო ენად იყო ქცეული. ყოველივე ამის შედეგად მათთვის დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო უფრო მეტად უცხო და საშიში ჩანდა ვიდრე მშობლიური და საკუთარი, შესაბამისად ამ ჯგუფებისთვის არც თუ მისაღები იყო საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა. ამან კი თავისთავად გამოიწვია ქართული ეთნიკური ნაციონალიზმის რადიკალიზაცია (რასაც საბჭოთა ხელისუფლება სიამოვნებით უწყობდა ხელს და ახალისებდა) და ამის ნიადაგზე ეროვნული მოძრაობის ლიდერების ხშირად ძალიან ხისტი განცხადებები, რაც თავის მხრივ უმძიმეს პრობლემას წარმოადგენდა დამოუკიდებლობის ზღვარზე მყოფი ქვეყისათვის მოეხდინა ნაციონალური კონსოლიდაცია და ჩამოეყალიბებინა მრავალეთნიკური ქართველი ერი (დავითაშვილი, 2013, გვ. 25-27).

ძალზედ საინტერესოა იგივე ავტორის სტატია „საქართველო თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში: ორიენტაციის პრობლემა“, რომელშიც იგი აანალიზებს იმ გამოწვევებსა და აზრთა სხვადასხვაობას, რაც დაკავშირებულია საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციასთან. კერძოდ, სტატიაში მოცემულია ის სავარაუდო მიმართულებები (დასავლეთი, რუსეთი, ნეიტრალიტეტი), საითაც

შესაძლოა ქვეყანა წავიდეს საერთაშორისო სისტემაში საკუთარი უნიკალური ადგილის დასამკვიდრებლად და შესაბამისად განვითარების მოდელის შესარჩევად. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სტატია თანამედროვე ეპოქაში ქვეყნის საგარეო პოლიტიკას შეეხება, ვფიქრობ, მისი განზოგადება თავისუფლად შეგვიძლია 1910-იანი და 1980-იანი წლების საქართველოზეც, იმდენად, რამდენადაც ორივე შემთხვევაში ნაციონალური პროექტის განხორციელება დიდ წილად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რა სახის საერთაშორისო სისტემა არსებობდა და როგორ პოზიციონირდებოდა ამ სისტემაში მრავალეთნიკური ქართველი ერი. სტატიის შეჯამებაში დავითაშვილი ცალსახად და მკაფიოდ აღნიშნავს, რომ საქართველოს სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების მთავარ გარანტად დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაცია ესახება (დავითაშვილი, 2003, გვ. 40-52).

1980-იან წლებში ქართული ნაციონალიზმის, ეროვნული მოძრაობის თავისებურებების და პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობის სიღრმისეულ ანალიზს სთავაზობს მკითხველს საქართველოს თანამედროვე ისტორიისადმი მიძღვნილ თავის მეორე წიგნში „საქართველო - პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“ სტივენ ჯონსი. ავტორი მიმოიხილავს იმ არაერთგვაროვან სოციალურ და პოლიტიკურ სისტემას, რომელიც საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩამოყალიბდა და რამაც ქვეყანა პერმანენტულ რევოლუციამდე და პოლიტიკურ პარტიებს შორის ურთიერთ ქიშპამდე მიიყვანა. ჯონსის აზრით, ამ ყველაფერში ლომის წვლილი საბჭოთა კავშირს და მისი მმართველობის სტილს მიუძღვის, რომელიც მიზანმიმართულად ატარებდა საქართველოში, ისევე როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, არასწორ ეთნიკურ და სოციალურ პოლიტიკას, ავლებდა ადმინისტრაციულ საზღვრებს ეთნიკური ნიშნით, ახალისებდა ეთნონაციონალიზმს და ქმნიდა ფარულ ფეთქებადსაშიშ ზონებს. ამასთან, მნიშვნელოვანი როლი სიტუაციის გამწვავებაში საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში და პოსტსაბჭოთა ეპოქის საწყის ეტაპზე კვლავაც რუსეთის პოსტიმპერიულმა ამბიციებმა ითამაშა. თუმცა, მკვლევარი აღნიშნავს, რომ 80-იანი წლებიდან მოყოლებული ქართული ნაციონალიზმის და შესაბამისად ეროვნული მოძრაობის ხასიათის განსაზღვრაში მნიშვნელოვანი როლი

ადგილობრივ პოლიტიკურ ლიდერებს შორის დაპირისპირებამ, იმპორტირებული კაპიტალიზმის პირობებში ცვალებადმა სოციალურმა ურთიერთობებმა, ახალმა საერთაშორისო გარემომ და გლობალური ძალების ხასიათმაც ითამაშა. სტივენ ჯონსი ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ წარსულში (საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში) ძლიერი ანტიკოლონიური მოძრაობის არარსებობამ და სახელმწიფო მშენებლობის სუსტმა ტრადიციებმა ვერ მოაქცია ქართული ეროვნული მოძრაობა ძლიერი სახელმწიფოს შენების კალაპოტში. უფრო მეტიც, იგი საქართველოში შექმნილი ვითარების აღსაწერად იხსენებს ჯეფ ჰერბსტის მიერ აღწერილ სუბ-საჰარის შეუმდგარ სახელმწიფოებს და ამით ცდილობს ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ მიუხედავად ცალკეულ ნაციონალისტებში არსებული მისწრაფებებისა დამოუკიდებლობის იდეისადმი 1980-იანი წლების მეორე ნახევრამდე მათი ხმა არავის ესმოდა, არ ჰქონდა ადგილი არათუ ფართო სახალხო მოძრაობებს, არამედ არ ხდებოდა ეროვნული იდეების მეტ-ნაკლებად საზოგადოების მსხვილ ჰგუფებში განხილვაც კი (ჯონსი, 2013, გვ. 3-35). ჯონსის ეს უკანასკნელი ნაშრომიც, მისი წინამორბედის მსგავსად გამოირჩევა ფაქტების მიუკერძოებელი აღწერითა და შეფასებით, მაგრამ აქაც ვხვდებით იგივე პრობლემას, ქართული ნაციონალიზმი და კერძოდ, 1970-80-იანი წლების ეროვნული მოძრაობა ნაკლებად აქვს განხილული საერთაშორისო კონტექსტში, არადა სწორედ აღნიშნული კონტექსტი წარმოადგენდა ერთგვარ სათბურს, რის გამოც ასე სწრაფად და ფართოდ გავრცელდა ნაციონალისტური იდეები ქართულ საზოგადოებაში.

ფართოდ არის მიმოხილული ქართული ნაციონალიზმი/ნაციონალური პროექტი 1980-იან წლებში, მისი ხელშემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორები ირაკლი ჩხაიძის სადისერტაციო ნაშრომი „ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ: ნაციონალური პროექტის დინამიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში“. მართალია, ნაშრომი ძირითადად სწავლობს ქართული ნაციონალიზმის ტრანსფორმაციას დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, თუმცა, მისი დიდი ნაწილი ეძღვნება სწორედ იმას თუ როგორ გაცოცხლდა ახალი ძალით ქართული ნაციონალური პროექტი 1970-აინი წლებიდან და რა კონკრეტულ მოვლენებსა და პირობებს უკავშირდება მისი აღორძინება 1980-იან წლებში.

ჩხაიძის აზრით, ქართული დისიდენტური მოძრაობის გაძლიერებისთვის, რაც შემდგომ ეროვნულ მოძრაობაში გადაიზარდა, მწვანე შუქის ფუნქცია შეასრულა 1975 წლის ჰელსინკის შეთანხმებამ, რომელსაც ევროპის 32 ქვეყანა, აშშ, კანადა და საბჭოთა კავშირი აწერდა ხელს. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ დაიწყო ახალი ერა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ურთიერთობებში. საბჭოთა კავშირს მიეცა უფლება დასავლურ ბაზრებზე გაეტანა საკუთარი ნედლეული და ნავთობპროდუქტები, რაც მისი ეკონომიკისთვის დიდი შვება იყო. სამაგიეროდ კი, იგი ვალდებულებას იღებდა, რომ დაიცავდა ადამიანის უფლებებს საკუთარი სახელმწიფოს შიგნით. ავტორის აზრით, სწორედ ამან მისცა ბიძგი ქართველ დისიდენტებს, გაეძლიერებინათ ანტისაბჭოთა პროპაგანდა და შეექმნათ არაფორმალური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი, რომელსაც სათავეში ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და სხვა ლიდერები ჩაუდგნენ. 70-იანი წლების ბოლოდან იწყება არალეგალური პოლიტიკური გაერთიანებების ფორმირებაც. მიუხედავად იმისა, რომ წინააღმდეგობის მოძრაობა არც ისე მრავალრიცხოვანი და ძლიერი იყო, ისინი მაინც ახერხებდნენ არაკომფორტული გარემოს შექმნას საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

ირაკლი ჩხაიძის აზრით, ეროვნული მოძრაობის გაღვივების საკითხში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმანაც, რომ უკვე 60-იანი წლებიდან საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ნელ-ნელა ძლიერდებოდა პატრიოტული განწყობები, ინტელექტუალური წრეებისა და სამოქალაქო აქტივისტების გამარჯვებად მიიჩნევს 1978 წელს ქართული ენის სტატუსთან დაკავშირებით საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების არ დაშვებას მრავალათასიანი მიტინგის შედეგად, რომლის წინა რიგებშიც პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები იდგნენ. ავტორი ასევე მიმოიხილავს ქართული ნაციონალიზმის გამოვლინების სხვა და სხვა საშუალებებს სპორტისა და კულტურის სფეროში, რაც ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა ნელ-ნელა ძლიერდებოდა და ვრცელდებოდა სოციალური ცხოვრების მრავალ სფეროში. თუმცა, ჩხაიძის აზრით, ამ ყოველივემ კულმინაციას მიაღწია 1985 წლის შემდეგ, როდესაც საბჭოთა კავშირის სათავეში მოვიდა გორბაჩოვი, რომელმაც „ბოროტების იმპერიის“ განსხვავებული

მეთოდებით მართვა მოინდომა და გამოაცხადა ე.წ. „პერესტროიკა“. ამ დროიდან მოყოლებული ფართოდ გაიშალა საპროტესტო გამოსვლები და ეროვნულ მოძრაობას მიეცა მოქმედების მეტი საშუალება, რამაც საბოლოოდ მიიყვანა კიდეც საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენამდე (ჩხაიძე, 2016, გვ. 29-59).

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში არსებული პოლიტიკური მდგომარეობისა და საზოგადოებრივი განწყობების შესახებ მსჯელობისას ბრიტანელი ჟურნალისტი და მწერალი, კავკასიის საკითხების მკვლევარი თომას დე ვაალი 2010 წელს გამოცემულ წიგნში The Caucasus: An Introduction 1956 წლის მარტში თბილისში გამართულ დემონსტრაციას, რომელსაც ხრუშჩოვის მიერ სტალინის დაგმობას უკავშირებს, მოიხსენიებს როგორც ერთ-ერთ გამოვლინებას იმისა, რომ სტალინის შემდგომი საბჭოთა კავშირი აღარ იყო სრულად ტოტალიტარული სახელმწიფო. მიუხედავად იმისა, რომ რადიკალური გარდაქმნები არ მომხდარა, დე ვაალის აზრით, ეს ის სახელმწიფო მაინც აღარ იყო, რომელსაც სტალინი აშენებდა და რომლის საფუძველსაც მასობრივი მკვლელობები და გადასახლებები წარმოადგენდა. პოსტ სტალინურ ეპოქაში საბჭოთა ლიდერებმა საკუთარი მიზნების განსახორციელებლად და ხალხების კონტროლისათვის დაიწყეს ეთნიკური შემადგენლის აქტიური წახალისება და გამოყენება. მაგალითად, თბილისსა და ერევანში სტალინის უზარმაზარი ქანდაკებები მოხსნეს და იმავე პერიოდში აღმართეს ქართლის დედისა და სომხეთის დედის ქანდაკებები, სომხებს უფლება მისცეს ერევანში აეშენებინათ თურქების მიერ სომეხთა გენოციდის მემორიალი (1966) და ა.შ. ამავე პერიოდიდან მოყოლებული მხოლოდ საქართველოში გადაიღეს რამდენიმე ასეულზე მეტი ფილმი, რომელთაგან 100-ზე მეტმა საერთაშორისო პრიზი მოიგო. საბოლოო ჯამში, რა მიზანიც არ უნდა ჰქონოდა კრემლს, კულტურისა და ხელოვნების სფეროში მსგავსმა დაშვებებმა გამოიწვია ეროვნული იდეების ერთგვარი აღორძინება და ხელი შეუწყო 70-იან და 80-იან წლებში ეროვნული მოძრაობების გაძლიერებას (De Waal, 2010, pp. 88-90).

თომას დე ვაალი საქართველოში 80-იანი წლების ეროვნული მოძრაობისთვის გადამწყვეტ მომენტად 1989 წლის 9 აპრილს თბილისში განვითარებულ მოვლენებს ასახელებს. ავტორი აქცენტს სვამს იმ მოცემულობაზე, რომ სწორედ 9 აპრილს

საბჭოთა არმიის მიერ გამოვლენილმა სისასტიკემ მიანიჭა სრული მორალური უპირატესობა ეროვნული მოძრაობის ლიდერებს. ციფრებში ეს განწყობები გამოიხატებოდა იმით, რომ აქციის დარბევიდან 5 თვის შემდეგ ჩატარებულ საზოგადოებრივი აზრის კვლევაში ქართველთა 89% ემხრობოდა დამოუკიდებლობას. ამ მაჩვენებლით ქართველები ესტონელებსაც კი უსწრებდნენ, რომელთა შორისაც ანტისაბჭოთა განწყობა ტრადიციულად ძალიან მაღალი იყო. საზოგადოებრივმა განწყობებმა ადგილზე შედეგად კომუნისტური რეჟიმის სრული დემორალიზება და დელეგიტიმაცია გამოიწვია (ibid: 131-135).

საქართველოს, როგორც პატარა ქვეყნის წინაშე მდგარი შიდა და საერთაშორისო გამოწვევების, სირთულეებისა და შესაძლებლობების შესახებ საუბარია ალექსანდრე რონდელის წიგნში „პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში“. წიგნი მთლიანად ეძღვნება სახელმწიფოთა კლასიფიკაციას მრავალი კრიტერიუმის საფუძველზე, გამოყოფილია სუპერ, დიდი, საშუალო, პატარა და მიკრო სახელმწიფოები და განხილულია მათ თანაარსებობასთან დაკავშირებული საკითხები ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში. წინამდებარე ნაშრომისთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის ნაწილი, სადაც საუბარი შეეხება პოსტსაბჭოთა საქართველოს შიდა პოლიტიკურ პრობლემებს, რაც დიდწილად სწორედ საბჭოთა მემკვიდრეობით არის განპირობებული და მის ადგილს საერთაშორისო სისტემაში. რონდელის აზრით, საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, მუდმივად გადის ბეწვის ხიდზე და ტრადიციულად უწევს ბრძოლა გადარჩენისთვის, რადგან მის მიმართ ინტერესი ყოველთვის მაღალია მეზობელი დიდი სახელმწიფოების მხრიდან. განსაკუთრებით კი რუსეთის იმპერიალისტური მისწრაფებები წარმოადგენს საფრთხეს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და სახელმწიფოებრიობის განვითარებისათვის, რადგან მისი რეგიონალური ამბიციებისთვის არახელსაყრელია დამოუკიდებელი, ძლიერი და დასავლეთისაკენ მიმავალი პატარა საქართველო ახლო სამეზობლოში, როგორც „ცუდი“ მაგალითი სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებისთვის. ავტორის აზრით, მსგავს მდგომარეობაში მყოფი პატარა ქვეყნისთვის გამოსავალი მდგომარეობს ერთიანობის განმტკიცებაში, ერის კონსოლიდაციასა და მყარ დასავლურ საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციაში,

რაც თავისთავად სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებასა და დემოკრატიის განვითარებას გულისხმობს (რონდელი, 2009, გვ. 283-304).

1980-იანი წლების საბჭოთა კავშირზე და იმ დროინდელ საბჭოთა საქართველოზეა საუბარი ჯონათან ვითლის წიგნში „Georgia From National Awakening To Rose Revolution". კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ თავისი არსებობის ბოლო ათწლეულში საბჭოთა სისტემა, რომლის საყრდენიც ტოტალიტარიზმი, მაშასადამე ყველაფრის კონტროლი იყო, შესუსტდა. სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც წესით სრულად და ყოველგვარი ინტერპრეტაციის გარეშე უნდა დამორჩილებოდნენ ცენტრალური ხელისუფლებისა და პარტიის ხელმძღვანელობის მითითებებსა და გადაწყვეტილებებს, იჩენდნენ თვითშემოქმედებისაკენ მიდრეკილებას და ნელ-ნელა მათი ლოიალობა გადაიხარა პარტიიდან ინდივიდების მიმართულებით. შედეგად სახეზე იყო ხვრელების არსებობა საბჭოთა ხელისუფლებაში, რამაც საშუალება მისცა დისიდენტურ ჯგუფებს, კრიმინალსა და არაფორმალურ დაჯგუფებებს ემოქმედათ საკუთარი დღის წესრიგის შესაბამისად და დაესუსტებინად სახელმწიფო. საქმე იქამდე მივიდა, რომ შეიქმნა ჩრდილოვანი ეკონომიკა, ჩრდილოვანი გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები და შესაძლებელი გახდა სახელმწიფოს გვერდის ავლით ყველა სფეროს დარეგულირება. ეს ყოველივე, ავტორის აზრით, მსუყე ნიადაგს ქმნიდა ნაციონალისტური მისწრაფებების გაღვივებისა და ეიფორიაში მყოფი სახელმწიფოს კიდევ უფრო დასუსტებისათვის, რამაც მართალია იმპერიის დაშლა და თხუთმეტი ახალი სახელმწიფოს შექმნა გამოიწვია, თუმცა, რამდენად მზად იყვნენ აღნიშნული ახალი სახელმწიფოები დამოუკიდებლად ემართათ საკუთარი თავი და გამკლავებოდნენ რთულ საბჭოთა მემკვიდრეობას, ეს ნათელი გახდა 1990-იანი წლების დასაწყისიდანვე, როდესაც პოსტსაბჭოთა სივრცის უდიდესი ნაწილი ქაოსმა და განუკითხაობამ მოიცვა (Wheatley, 2005, pp. 19-41).

თავი II

ნაციონალიზმის ძირითადი თეორიების მიდგომები ერის ფორმირებასა და მასთან დაკავშირებული ცნებების თაობაზე

ვინაიდან, წინამდებარე ნაშრომში საკვანძო საკითხს წარმოადგენს ქართული ნაციონალური პროექტის ჩამოყალიბების, მისი განვითარების ეტაპებისა და რეალიზების გამოკვლევა საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე ცვლილებების კონტექსტში, მნიშვნელოვანია გავეცნოთ ნაციონალიზმის ძირითადი თეორიების პოზიციებს. კერძოდ, განვიხილოთ მათი ხედვები ერის ფორმირების, ნაციონალური პროექტის ჩამოყალიბების, ერთა თვითგამორკვევისა და სახელმწიფოს თაობაზე. ამ მიზნით, მოვიშველიებთ ნაციონალიზმის კვლევების ისეთი ავტორების მოსაზრებებს, როგორებიც არიან ენტონი სმიტი, ერნესტ გელნერი, ბენედიქტ ანდერსონი, უმუთ ოზკირიმლი, კარლტონ ჰეიესი, ჯონ ბროილი და სხვები.

კითხვაზე როდის და როგორ წარმოიშვა ერები და ნაციონალიზმი, სამი ძირითადი თეორიული მიმდინარეობა გამოიყოფა - პრიმორდიალიზმი, მოდერნიზმი და ეთნოსიმბოლიზმი. აქედან პირველი ეფუძნება იმის მტკიცებას, რომ ეროვნულობა ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა, როგორც მეტყველება, ღიმილი და ა.შ. შესაბამისად, საუბარი ერებისა და ნაციონალიზმის წარმოშობის შესახებ ერთგვარად აზრს მოკლებულია, რადგან ეს ისეთივე ძველი ფენომენია, როგორც თავად კაცობრიობა. პრიმორდიალიზმის შედარებით არარადიკალურ ფორმად შეგვიძლია განვიხილოთ პერენიალიზმი, რომელიც მართალია მიიჩნევს, რომ ერები უძველეს დროშიც არსებობდნენ, მაგრამ უარყოფს მათ მუდმივ, ბუნებრივად არსებობის იდეას. პრიმორდიალიზმისგან განსხვავებით ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია მიიჩნევს, რომ ერები იმ სახით, რა სახითაც დღეს არსებობენ, ჩამოყალიბდა მე-18 საუკუნის ბოლოდან და ეს მოვლენა დაკავშირებულია საფრანგეთის დიდ რევოლუციასთან. მოდერნისტებს, მიუხედავად იმისა, თუ რა ფაქტორებს ანიჭებენ უპირატესობას ერის ფორმირების ასახსნელად, მიაჩნიათ, რომ ერები და ნაციონალიზმი ისეთივე თანამედროვე მოვლენებია, როგორც ინდუსტრიული რევოლუცია, კაპიტალიზმი, სეკულარიზმი და სხვა. ნაციონალიზმის კვლევებში

მოდერნიზმის თეორია ყველაზე უფრო ფართოდაა გავრცელებული. გამოყოფენ მოდერნიზმის ამხსნელ იმ ფაქტორებს, რომელთა მიხედვითაც ეს თეორია სამ ქვემიმდინარეობად იყოფა - ეკონომიკური ტრანსფორმაცია, პოლიტიკური ტრასფორმაცია და სოციო-კულუტურული ტრანსფორმაცია. რაც შეეხება ეთნოსიმბოლიზმის, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მიმდინარეობა გარკვეულწილად შუალედურ პოზიციას იკავებს პრიმორდიალიზმსა და მოდერნიზმს შორის. მოდერნისტების მსგავსად მის მიმდევრებსაც მიაჩნიათ, რომ დღეს არსებული ერები თანამედროვე ეპოქის შედეგია და მათზე საუბარი ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში შეიძლება. თუმცა, მოდერნიზმისგან განსხვავებით, ეთნოსიმბოლიზმი არ უარყოფს იმასაც, რომ მაგალითად შუა საუკუნეებში არსებული ეთნიკური ჯგუფები, რომელთაც თანამედროვე ერისთვის დამახასიათებელი თითქმის ყველა ნიშანი გააჩნდათ უკვალოდ გაქრნენ, არამედ, მიაჩნია, რომ თანამედროვე ერები სწორედ მათ წინამორბედებთან არიან დაკავშირებული და მათთან გარკვეულ მსგავსებას ავლენენ (დავითაშვილი, 2003, გვ. 88-140).

მიროსლავ ჰროში, რომელიც ნაციონალიზმის მოდერნისტულ სკოლას წარმოადგენს, ცდილობს ყოველგვარი იზმ-ების გარეშე, ისე რომ არ იყოს მიკერძოებული რომელიმე თეორიული მიმდინარეობის მიმართ, გამოყოს ის ფაქტორები, რომლებსაც ნაციონალიზმის თითქმის ყველა თეორია ანგარიშს უწევს ერის, ნაციონალიზმისა და ეროვნული იდენტობის განსაზღვრისას. პრიმორდიალური ფაქტორების, ეთნიკურობის, მოდერნიზაციის როლის, ისევე როგორც სიმბოლოების მნიშვნელობის გათვალისწინებით, იგი აყალიბებს ყველაზე უფრო ანგარიშგასაწევ შემდეგ ხუთ ფაქტორს: ისტორია, ენა და ეთნიკურობა, მოდერნიზაცია, ინტერესთა კონფლიქტი, ემოციები და იდენტობა. ჰროში მიიჩნევს, რომ თითოეულ ერს, როგორც არ უნდა განვსაზღვროთ ის, გარკვეული კავშირი გააჩნია წარსულთან. ყველა ავტორი, ვინც ნაციონალიზმს იკვლევს იძულებულია ყურადღება მიაქციოს იმ შემთხვევებს, ინსტიტუტებსა და მოსაზრებებს, რაც წინ უძღოდა თანამედროვე ერის წარმოშობას და რაც აკავშირებს მას წარსულთან. ასევე, ვერავინ უარყოფს, რომ ერის ფორმირების პროცესში ხალხს უწევდა ერთმანეთთან კომუნიკაცია და ეს კომუნიკაცია აგებული იყო ენობრივი ან/და ეთნიკური

მსგავსების საფუძველზე. ვერც ერთი პატივსაცემი ავტორი ვერ უგულვებელყოფს სასკოლო სისტემის, განათლების, სოციალური და პოლიტიკური ემანსიპაციის ან/და სოციალური სტრუქტურის ტრანსფორმაციის მნიშვნელობას. განსხვავება შეიძლება იყოს მხოლოდ ანალიზში მოდერნიზაციის ფაქტორის ადგილთან/იერარქიასთან დაკავშირებით. ჰროშის აზრით, რთულად მოიძებნება ისეთი მკვლევარი, ვინც იტყვის, რომ რომელიმე ერის ფორმირება იყო იმდენად ჰარმონიული, რომ ადგილი არ ჰქონია კონფლიქტს ცენტრსა და რეგიონს, უმრავლესობასა და უმცირესობას ან/და სოციალურ კლასებს შორის. ემოციურობა და იდენტობა არის ის ფაქტორი, რაც აძლევს ამა თუ იმ ჯგუფს იმის განცდის შესაძლებლობას, რომ ისინი არიან განსხვავებულები და გამორჩეულები სხვებისგან. ეს კი ელიტებს აძლევს შესაძლბლობას მოახდინონ მასების მობილიზაცია (Hroch, 2015, pp. 23-25). მიროსლავ ჰროშის თეორიას, ერის სამ ეტაპიან ფორმირებასთან დაკავშირებით შევეხებით შემდეგ თავში, სადაც ქართული ნაციონალური პროექტის ჩამოყალიბების ეტაპები იქნება განხილული.

ერი - ეს არის ტერმინი, რომლის მნიშვნელობის განსაზღვრაზე დიდად არის დამოკიდებული ის, თუ რა მიმართულებით წავა ესა თუ ის კვლევა, რა იქნება შესწავლის მთავარი ობიექტი და რა კონტექსტში მოხდება ეს ყოველივე. სწორედ ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ მისი ერთი, კონკრეტული დეფინიცია არ არსებობს და ნაციონალიზმის კვლევების საკვანძო ავტორებიც სხვადასხვა შეხედულებას გვთავაზობენ. ცნობილი თურქი მკვლევარი უმუთ ოზკირიმლი თავის ნაშრომში „ნაციონალიზმის თეორიები: კრიტიკული შესავალი“, მიმოიხილავს ნაციონალიზმის კვლევების ერთ-ერთი ძირითადი თეორეტიკოსის, ეთნოსიმბოლისტ ენტონი სმიტის მიერ ერის განმარტების შესახებ მსჯელობას, რაც ძალზედ საყურადღებო და მნიშვნელოვანია. ოზკირიმლი აღნიშნავს, რომ სმიტის მიხედვით, თუ ჩვენ გავცდებით როგორც მოდერნისტების, ისე პრიმორდიალისტების რადიკალურ განზოგადებებს, ისეთი ძირითადი ტერმინების მკაფიო სამუშაო განმარტებების ჩამოყალიბება გვესაჭიროება, როგორიცაა ერი, ერი-სახელმწიფო და ნაციონალიზმი, და ამ გზით თავი უნდა დავაღწიოთ ჩიხს, რომელიც ამ სფეროში პროგრესს გზას უბნევს. ის იწყებს ერის შემდგომი განსაზღვრების შემოთავაზებით, რომელიც

დიდწილად მომდინარეობს იმ წარმოდგენებისა და დაშვებებისგან, რომელიც ყველა ნაციონალისტს ან მათ დიდ ნაწილს გააჩნია: „ერი ეს არის კონკრეტული სახელის მქონე ადამიანების ერთობლიობა, რომლებიც იზიარებენ ისტორიულ ტერიტორიას, საერთო მითებს და ისტორიულ მეხსიერებას, მასობრივ, საზოგადოებრივ კულტურას, საერთო ეკონომიკასა და სამართლებრივ უფლებებს და მოვალეობებს ყველა წევრისთვის“. სმიტის მოსაზრებით ამგვარი განსაზღვრება ააშკარავებს ეროვნული იდენტობის კომპლექსურ და აბსტრაქტულ ბუნებას, რომელიც ფუნდამენტურად მრავალგანზომილებიანია.

მეორე მხრივ, ერების საფუძვლები ისეთივე კომპლექსურია, როგორც თავად მათი ბუნება. ჩვენ შეიძლება დავიწყოთ ზოგადი განმარტების ძიება შემდეგი კითხვების დასმის გზით:

1. ვინ არის ერი? რა არის თანამედროვე ერების ეთნიკური საფუძვლები და მოდელები? რატომ განვითარდნენ ეს კონკრეტული ერები?

2. რატომ და როგორ იქმნება და ვითარდება ერი? იგულისხმება ის, თუ რა არის ის ზოგადი გამომწვევი მიზეზები და მექანიზმები, რაც განსხვავებული ეთნიკური კავშირებისა და მეხსიერებისგან ერის ფორმირების პროცესს ბიძგს აძლევს?

3. როდის და სად აღმოცენდა ერი?

სმიტის აზრით, პირველ კითხვაზე პასუხი უნდა ვეძებოთ ადრეულ ეთნიკურ ერთობებში (ის ფრანგული სიტყვის ethnie-ის ანუ ეთნოსის გამოყენებას ამჯობინებს), ვინაიდან თანამედროვე ეპოქამდე არსებული იდენტობები და მემკვიდრეობა წარმოადგენს ბევრი თანამედროვე ერის ფუნდამენტურ დასაყრდენს. პოსტულატის სახით ის აყალიბებს მსგავსი საზოგადოებების ექვს მთავარ მახასიათებელს: საერთო საკუთარი სახელი, საერთო წარსულის შესახებ მითი, საერთო ისტორიული მეხსიერება, ერთიანი განმასხვავებელი კულტურის ერთი ან მეტი ელემენტი, კონკრეტულ სამშობლოსთან ასოცირება, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში ურთიერთსოლიდარობის განცდა. როგორც ეს ჩამონათვალი ააშკარავებს, ამ მახასიათებლების უმრავლესობას გააჩნია კულტურული და ისტორიული შინაარსი

და ასევე ძლიერი სუბიექტური კომპონენტი. ეს ნაციონალისტური იდეოლოგიების რიტორიკის საპირისპიროდ გვთავაზობს, რომ ეთნოსი ყველაფერია, პრიმორდიალურის გარდა. სმიტის მიხედვით, როგორც კი საზოგადოების წევრებისთვის თითოეული ამ მახასიათებლის სუბიექტური მნიშვნელობა გარდაიქმნება და შემცირდება, შესაბამისად შემცირდება მათი შეკავშირებულობა და თვითშეგნება (Özkırımlı, 1999, pp. 167-189).

რაც შეეხება ერის/ნაციის მოდერნისტულ გაგებას, ამ შემთხვევაში სმიტისგან განსხვავებით, რომელიც ნაციონალიზმის ეთნოსიმბოლისტურ განშტოებას მიეკუთვნება, იგი ყურადღებას ამახვილებს კონსტრუირებულ რეალობაზე, სადაც მნიშვნელოვანია ის თუ როგორ აღიქვამენ ადამიანები საკუთარ თავს და როგორ ახდენენ ერთიანი იდენტობის ჩამოყალიბებას. მოდერნისტი ავტორები, როგორიც არის მაგალითად ერნესტ გელნერი ხშირად თავს არიდებენ ერის კონკრეტული განმარტების განსაზღვრას და წარმოადგენენ კრიტერიუმებს, რაზე დაყრდნობითაც შესაძლებელია დასკვნების გაკეთება ერის/ნაციის არსებობის შესახებ. გელნერი 1983 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „ერები და ნაციონალიზმი“ გვთავაზობს მიდგომას და არა განმარტებას ერის მიმართ, როგორც ფენომენის მიმართ. იგი აღნიშნავს, რომ ორი ადამიანი ერთი ერის ნაწილი არის მაშინ, როდესაც: 1. ისინი იზიარებენ საერთო კულტურას, სადაც კულტურაში მოიაზრება იდეების, რწმენების, კომუნიკაციის საშუალებების და ა.შ. სისტემა და 2. ისინი საკუთარ თავს მიიჩნევენ ერთი ერის კუთვნილებად (Gellner, 1983(2016), pp. 5-7). ბენედიქტ ანდერსონის მიერ მოცემულ განმარტებასთან, რომლის მიხედვითაც ერი არის წარმოსახვითი პოლიტიკური საზოგადოება. ანდერსონი მიიჩნევს, რომ წარმოსახვითის გარდა სხვას ვერაფერს ვუწოდებთ საზოგადოებას, რომლის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა ერთმანეთს არათუ არ იცნობს, არამედ შეიძლება ისე იცხოვრონ მთელი სიცოცხლის განმავლობაში, რომ ერთმანეთის არსებობის შესახებაც კი ვერ გაიგონ და ამ პირობებში მათი რწმენა კონკრეტული საზოგადოების მიმართ მიკუთვნებულობის შესახებ მომდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ წამორსახვიდან, რომელიც კონსტრუირებულია ამავე საზოგადოების ლიდერებისა და წევრების მიერ (Anderson,

2016, pp. 1-7). წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ უკანასკნელს, ბენედიქტ ანდერსონის განმარტებას იყენებს.

ნაციონალიზმი - ერის მსგავსად რთულია ნაციონალიზმის ერთი კონკრეტული განმარტების მოძიებაც, რომელიც ფართოდ იქნება გაზიარებული. ერნესტ გელნერი ნაციონალიზმს პოლიტიკურ ფენომენად მიიჩნევს, რომლის ფარგლებშიც პოლიტიკური და ეთნიკური საზღვრები ერთმანეთს არ უნდა კვეთდნენ და უნდა იყვნენ თანხვედრაში. უფრო კონკრეტულად გელნერი ნაციონალიზმს უწოდებს პოლიტიკური ლეგიტიმაციის თეორიას (Gellner, 1983(20160 pp. 1). ენტონი სმიტი ნაციონალიზმზე საუბრისას აღნიშნავს, რომ ამ ფენომენის წარმოშობის ზუსტი მომენტის შესახებ შესაძლოა ისტორიკოსებს განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდეთ, მაგრამ სოციალური მეცნიერებებში მომუშავე მკვლევრებს მკაფიო შეხედულება გააჩნიათ. ისინი თვლიან, რომ ნაციონალიზმი არის თანამედროვე მოძრაობა და იდეოლოგია, რომელსაც სათავე დაედო მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში და რომ მისი აღორძინების უმაღლესი წერტილი იყო ორი მსოფლიო ომი (Smith, 1998, pp. 1). სმიტი მიიჩნევს, რომ ნაციონალიზმი არის იდეოლოგია, რომელიც ერს აყენებს ინტერესის ცენტრში, ანუ მთავარ ერთეულად განიხილავს ერს და ძირითად საზრუნავად განსაზღვრავს ერის კეთილდღეობას. მიუხედავად იმისა, რომ ერის კეთილდღეობა საკმაოდ ბუნდოვანი ცნებაა, ნაციონალისტებისთვის ის დაიყვანება ისეთ ძირითად ორგანულ ერთეულებამდე, როგორიცაა პოლიტიკური ავტონომია, ერთიანობის შენარჩუნება და იდენტობა. სწორედ აქედან გამომდინარეობს ნაციონალიზმის განმარტების ის სამუშაო ვერსია, რომელსაც ავტორი იყენებს წიგნში „ნაციონალიზმი“ - „იდეოლოგიური მოძრაობა ავტონომიის, ერთიანობისა და იდენტობის მიღწევისა და შენარჩუნებისთვის იმ მოსახლეობის სახელით, რომელიც მის წევრთა გარკვეული ნაწილის მიერ რეალურ ან პოტენციურ „ერად“ მიიჩნევა“ (Smith, 2016, pp. 9-10). კარლტონ ჰეიესი შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე უფრო მარტივ და ამავდროულად კომპლექსურ განმარტებას აძლევს ნაციონალიზმს, რომელიც მიიჩნევს, რომ ეს არის პატრიოტიზმისა და ეროვნულის შესახებ ცნობიერების შერწყმა, რომლის წარმოშობაც მისი აზრით დაკავშირებულია პირველ რიგში ევროპასთან და უფრო კონკრეტულად დასავლეთ

ევროპასთან. ჰეიესი თვლის, რომ ეს არის მოვლენა, რომელსაც შესწევს უნარი გამოიწვიოს როგორც ადამიანების გაერთიანება, ისე დაყოფა და უდიდეს გავლენას ახდენს თანამედროვე ეპოქის ძირითად მახასიათებლებზე (Hayes, 1960(2016), pp. 1-4). რაც შეეხება ჯონ ბროილს, იგი ნაციონალიზმს განმარტავს როგორც პოლიტიკურ მოძრაობას, რომელიც მიისწრაფვის ან ახორციელებს სახელმწიფო ძალაუფლებას და აღნიშულ ქმედებას ამართლებს ეროვნული/ნაციონალისტური არგუმენტებით. თავად ნაციოლასტური არგუმენტი კი ავტორის აზრით არის პოლიტიკური დოქტრინა, რომელიც დამყარებულია სამ მტკიცებაზე: A. ერი არსებობს თავისი აშკარა და განსაკუთრებული ხასიათით; B. ამ ერის ინტერესები და ღირებულებები არის აღმატებული ყველა სხვა ინტერესსა და ღირებულებაზე; C. ერი უნდა იყოს დამოუკიდებელი, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ეს, როგორც წესი, საჭიროებს მინიმუმ პოლიტიკური სუვერენიტეტის მიღწევას (Breuilly, 1994, pp. 2).

რაც შეეხება ქართველ მკვლევართა მიდგომას, ტერმინის გარშემო გაშლილი მსჯელობის შეჯამებისას ნინო ჩიქოვანი, ირაკლი ჩხაიძე და სხვები, გვთავაზობენ მის შემდეგ დეფინიციას: „ნაციონალიზმი არის იდეოლოგია და პოლიტიკა, დამყარებული ნაციონალური განსაკუთრებულობის იდეაზე. იგი ერთმანეთისგან განასხვავებს „ჩვენიანებს“ და „სხვებს“, ზოგ შემთხვევაში – „მეგობრებს“ და „მტრებსაც“. გარკვეული აზრით, ნაციონალიზმი ეროვნული გამორჩეულობისა და სხვა ერებთან მიმართებაში უპირატესობის იდეაზე დამყარებული ფენომენია, განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდში იგი ერების გაერთიანების და ეროვნულ–განმათავისუფლებელი ბრძოლების ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენდა“ (ჩიქოვანი, ჩხაიძე, et. Al. 2014, გვ. 14). წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ უკანასკნელს იყენებს სამუშაო ვერსიად.

ერი-სახელმწიფო - ვიზიარებთ სამოქალაქო განათლების ლექსიკონში მოცემულ განმარტებას, რომლის მიხედვითაც ეს ერი-სახელმწიფო არის ფენომენი, რომელიც წაარმოდგენს მთავარ პოლიტიკურ ერთობას თანამედროვე მსოფლიოში და არის საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი აქტორი. მისი ისტორია დაკავშირებულია 1648 წლის ვესტფალიის ზავთან და 1789 წლის საფრანგეთის დიდ რევოლუციასთან და სწორედ ამ ორი მოვლენის შემდეგ შეიძლება ევროპაში ერ-

სახელმწიფოებზე საუბარი. რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმ გარემობით, რომ მანამდე არსებული სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, სახელმწიფოს საფუძვლად და შემაკავშირებელ ერთობად ერი წარმოჩინდა. სწორედ ამიტომ, ერი-სახელმწიფოების ჩამოყალიბება შესაძლებელი გახდა, როცა ეთნოკულტურული ერთობები ერებად ჩამოყალიბდნენ და ერთიან პოლიტიკურ ერთობად ყოფნის აუცილებლობა გააცნობიერეს (სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, 2004).

რაც შეეხება ერთა თვითგამორკვევის პრინციპს, ოქსფორდის ნაციონალიზმის ისტორიის სახელმძღვანელოში აღნიშნული საკითხის საერთაშორისო საზოგადოების დღის წესრიგში წინ წამოწევა დაკავშირებულია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ვუდრო ვილსონის თოთხმეტ პუნქტიან გეგმასთან, რომელიც მან 1918 წლის იანვარში ამერიკის კონგრესს წარუდგინა, როგორც პირველი მსოფლიო ომის შემდგომი მსოფლიო მოწყობის ფუძემდებლური პრინციპები. ვილსონის ხედვა წარმოადგენდა თვითგამორკვევის ლიბერალურ დოქტრინას, რომელიც არჩევანის თავისუფლებას ემყარებოდა. აღნიშნული გეგმა ამერიკის სენატმა უარყო, თუმცა, ევროპული საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის მისაღები და იმ პერიოდისთვის არსებული გამოწვევების შესაბამისი აღმოჩნდა. საბოლოო ჯამში, ვილსონის იდეები პრაქტიკაში გარდაიქმნა ლიბერალური თვითგარმოკვევის დროქტრინიდან არალიბერალურ ეროვნულ დეტერმინიზმად, რაც დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ყველა ეთნიკურ ჯგუფს უნდა ჰქონოდა საკუთარი სახელმწიფო და ამით პოლიტიკამ შეიძინა ნაციონალური ელფერი (Mayall, 2013, pp. 540). მიუხედავად იმისა, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ვერსალის საერთაშორისო სისტემა და მისი პრინციპები, რაც მათ შორის ვილსონის იდეებს იზიარებდა, მალევე მეორე მსოფლიო ომით და იალტა-პოტსდამის სისტემით შეიცვალა, ერთა თვითგამორკვევის პრინციპი აღიარებულია გაერთიანებული ორგანიზაციის ქარტიის მიერაც, სადაც პირველი თავის მეორე მუხლში პირდაპირ ვკითხულობთ, რომ ორგანიზაციის მიზანია განავითაროს ერებს შორის მეგობრული ურთიერთობები, მათ შორის ერთა თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე (UN Charter, chapter I, article 1.2). თავად ტერმინის საყოველთაოდ გაზიარებული

განმარტება არ არსებობს, თუმცა ყველაზე ხშირად მას მოიაზრებენ შემდეგი მნიშვნელობით - „ეთნიკური ჯგუფის (რომელიც თავს განსაკუთრებულ, გამორჩეულ ერთობად აღიქვამს) უფლება ან მისწრაფება, თვითონ მართოს საკუთარი თავი და განსაზღვროს იმ ტერიტორიის პოლიტიკური და სამართლებრივი სტატუსი, რომელიც უკავია“ (სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, 2004).

ნაციონალიზმი და მასთან დაკავშირებული ცნებები და საკითხები რომ ძალზედ რთული და მრავალმხრივია, ამაზე არამხოლოდ აქ განხილული თეორიული მიდგომები და მკვლევართა მოსაზრებები მეტყველებს, არამედ ის ისტორიაც, რაც დაკავშირებულია სწორედ ამ ფენომენთან. ნაციონალიზმი აღმოჩნდა ის ძალა, რომელმაც ფაქტობრივად უმნიშვნელოვანესი ძვრები შეიტანა სუვერენიტეტის პრინციპში. როგორც ცნობილია, ვესტფალიის ზავის (1648) შემდეგ ჩამოყალიბებული სახელმწიფოთა სისტემა ეფუძნებოდა სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპს, თუმცა კითხვის ნიშნის ქვეშ არ იდგა ამ სუვერენიტეტის წყარო. ეკლესიის გავლენისგან გათავისუფლებული ევროპული სახელმწიფოების მმართველობა დამყარებული იყო მონარქების ძალაუფლებაზე და ეს თითქოს ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენდა. საფრანგეთის დიდი რევოლუციის (1789) შემდეგ კი ეს საკითხი გადაიხედა, რადგან გაჩნდა სუვერენიტეტის ახალი წყარო - ერი. სწორედ აქედან მომდინარეობს ერთგვარი დაპირისპირება ეროვნული და ტერიტორიული სუვერენიტეტების პრინციპებს შორის. ნაციონალიზმმა საფრანგეთის დიდი რევოლუციიდან დღემდე სხვადასხვა სახითა და ფორმით უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიო ისტორიაზე. მას ჰქონდა როგორც გამაერთიანებელი, ისე დამანგრეველი და გამათავისუფლებელი ხასიათი. ამ ფენომენთან არის დაკავშირებული პირველი და მეორე მსოფლიო ომები, რადიკალური იდეოლოგიების ჩამოყალიბება და მსოფლიო პოლიტიკური რუკის რადიკალური ცვლიბები. წინამდებარე ნაშრომის შესავალში ვახსენეთ, რომ საქართველოში მე-19 და მე-20 საუკუნეებში განვითარებული პროცესები ძალზედ დიდ მსგავსებას ავლენდა ევროპულ სახელმწიფოებში, განსაკუთრებით კი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში განვითარებულ პროცესებთან. ამ პროცესების დიდი ნაწილი კი სწორედ ნაციონალიზმის ნიადაგზე ჩამოყალიბებული ეროვნულ-

განმათავისუფლებელი თუ თვითგამორკვევისკენ მიმართული მოძრაობები გახლდათ. ისევე, როგორც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დიდ ნაწილში საქართველოშიც თანამედროვე ქართველი ერის ფორმირება, მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან იწყება და დაკავშირებულია ევროპული, ლიბერალური პრინციპების გავრცელებასთან. აქაც, ისევე როგორც დანარჩენ ევროპაში ნაციონალიზმს საწყის ეტაპზე ცალსახად ერის მაკონსოლიდირებელი და გამაერთიანებელი ხასიათი გააჩნდა. ჩვენთანაც დაიწყო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის დამაკავშირებელი არეალების შექმნა, ენის რეფორმა, საერთო საინფორმაციო სივრცის ჩამოყალიბება და ა.შ. ეს არის იდეათა და რეფორმათა ის ერთობლიობა, რასაც დღემდე ემყარება ქართული ნაციონალიზმის მოქალაქეთა უმრავლესობის მიერ გაზიარებული ხედვა. სწორედ აქედან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომში ქართული ნაციონალური პროექტი განხილულია ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიის ჭრილში, რასაც შემდეგ თავში უფრო დეტალურად განვიხილავთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ქართველი ერის, როგორც მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან ჩამოყალიბებული ერთობის განხილვა არავითარ შემთხვევაში არ უარყოფს მის კავშირს იმ მდიდარ და ხანგრძლივ ისტორიასთან, რითაც ამ ერის თითოეული წევრი ამაყობს და საფუძველს უქმნის ნაციონალურ იდენტობას.

თავი III

ქართული ნაციონალური პროექტი და საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკა

მას შემდეგ, რაც წინა თავებში გავეცანით მნიშვნელოვანი თეორიული საკითხების განხილვას როგორც საერთაშორისო სისტემის და მასში მონაწილე საკვანძო ერთეულების - სახელმწიფოების შესახებ რეალიზმის თეორიული პარადიგმის ჭრილში, ისე ნაციონალიზმის ძირითად თეორიულ მიდგომებს, წინამდებარე თავში უნდა განვიხილოთ უშუალოდ ქართული ნაციონალური პროექტის ჩამოყალიბება და მისი განვითარების ეტაპები. შემდეგომ შევეხებით იმ ძირითად დებატებსა და მიმართულებებს, რაც 1910-იან წლებში საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ელიტაში მიმდინარეობდა ეროვნული საკითხის გარშემო, ასევე აღვწერთ და გავაანალიზებთ ამავე პერიოდში საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე პროცესებს, რასაც ნაშრომში განვითარებული მოსაზრების მიხედვით, გადამწყვეტი გავლენა ჰქონდა ქვეყნის დამოუკიდებლობამდე მიყვანის გზაზე და ბოლოს განვიხილავთ საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკას, როგორც საერთაშორისო სისტემაში მომხდარი ცვლილებების შედეგს.

3.1 ქართული ნაციონალური პროექტი – „თერგდალეულები“

ქართული ნაციონალიზმის თანამედროვე სახით ჩამოყალიბება მე–19 საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება და ეს პროცესი დაკავშირებულია საზოგადოებრივ ასპარეზზე „თერგდალეულთა“ თაობის გამოჩენასთან. თერგდალეულებმა, რომელთა გამოკვეთილი ლიდერი და იდეური წინამძღოლი ილია ჭავჭავაძე გახლდათ, შექმნეს ქართველი ერის ნაციონალური განვითარების კონცეფცია – „ქართული ნაციონალური პროექტი“, რომელიც, ბუნებრივად, მიმართული იყო ეროვნული სოლიდარობის, ეროვნული ერთობისა და მიუხედავად ხმამაღლა გაუცხადებლობისა, ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევისაკენ. აღნიშნული პროექტი, თავისი მიზნებიდან გამომდინარე მოიცავდა როგორც კულტურული და საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელებას, ისე

ეკონომიკურ და პოლიტიკურ საქმიანობას. სწორედ თერგდალეულების სახელს უკავშირდება ენის როფორმა, საადგილმამულო ბანკის დაფუძნება, ქართული თეატრის დაარსება, ქართული გაზეთების გამოშვება, წერა–კითხვის გამავრცელებელთა საზოგადოების ჩამოყალიბება და ა.შ. თუ რა მნიშვნელობის მატარებელი იყო მათ მიერ 1960–იანი წლებიდან დაწყებული საქმე, მიზანმიმართულად და თანმიმდევრულად განხორციელებული რეფორმები, შეგვიძლია ვიმსჯელოთ თუნდაც მხოლოდ იმ ერთ ცალკე აღებულ, თუმცა, კომპლექსურ მოვლენაზე დაყრდნობით, რასაც 1918 წელს დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ბევრისათვის მოულოდნელი, გამოცხადების მომენტისათვის მომზადებული, გაერთიანებული და კონსოლიდირებული ქართველი ერი წარმოადგენდა.

მოდერნისტული თეორიის თანახმად, ერის ჩამოყალიბების, მისი კონსოლიდაციისა და ეროვნული თვითშეგნების განვითარებისათვის უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს ენა. როდესაც ადგილობრივი მოსახლეობის სალაპარაკო ენა იქცევა ოფიციალურ საქმის წარმოების, სტანდარტიზებულ და სალიტერატურო ენად, რომელზეც ხდება ასევე პრესისა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებების გამოცემა/გადმოცემა, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ერის წარმოშობის პირველი ეტაპი, როდესაც იგი თავს კულტურულ ერთობად მიიჩნევს, დასრულებულია. საკუთარ ენაზე ღვთისმსახურების, პოლიტიკური, დიპლომატიური და ა.შ. მოსმენისა და მიღების შესაძლებლობამ, ასევე ადგილობრივი მოაზროვნეების მიერ საკუთარი იდეების გავრცელებამ მშობლიურ ენაზე და ამ პროცესებით ლათინური ენის ჩანაცვლებამ უდიდესი გავლენა იქონია ევროპაში ნაციების ჩამოყალიბების საქმეში. აღნიშნული საკითხის მნიშვნელობა არ გამორჩენიათ თერგდალეულებსაც და მათი საზოგადოებრივ–პოლიტიკური მოძრაობის დაწყების პირველივე ეტაპზე სწორედ ენის რეფორმირებას შეუდგნენ, რითაც ფაქტობრივად, საქართველოში განახორციელეს იგივე, რაც ევროპაში ლათინური ენის გაუქმებას მოჰყვა, ანუ ააშენეს ხიდი არისტოკრატიასა და უბრალო ხალხს შორის, რომელთაც მანამდე ერთმანეთის შეიძლება ითქვას, რომ არ ესმოდათ. ამით კი საძირკველი ჩაუყარეს თანამედროვე, მოდერნული ერის მშენებლობას.

ირაკლი ჩხაიძეს აღნიშნული საკითხის განხილვისას მოაქვს სტივენ ჯონსის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც 1861 წელს თბილისში დაბრუნებული ილია ჭავჭავაძის მიერ ცისკარში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი იყო არამხოლოდ ენის რეფორმის აუცილებლობიდან გამომდინარე კრიტიკული მოსაზრება, არამედ თავდასხმა მთელ იმ სოციალურ სტრუქტურაზე, რომელიც ყოფდა ერს პრივილეგირებულ და არაპრივილეგირებულ ნაწილებად. რეალურად ეს იყო სახელმწიფოებრიობის კონცეფცია, რომელიც ხალხისთვის კულტურაზე ხელმისაწვდომობასა და მათი უფლებების აღიარებაზე იყო დაფუძნებული. ილია გმობდა რთულ სალიტერატურო ენას, რომელიც გაუგებარი იყოს ხალხისთვის. იგი თვლიდა, რომ ენა ისევე იზრდება, ვითარდება და იცვლება, როგორც ადამიანი, შესაბამისად საჭიროდ არ თვლიდა არქაული ფორმების გამოყენებას, რომელთა რელევანტურობა უკვე დიდი ხანია შეუსაბამო იყო ხალხის სალაპარაკო ენასთან და ნარჩუნდებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს წარმოადგენდა არისტოკრატიის სალაპარაკო ენას, რომელიც ძირითადად საეკლესიო პირების მიერ ისწავლებოდა. ლათინური ენის მსგავსად ევროპაში, ადგილობრივი სალიტერატურო ენა საქართველოში თერგდალეულთა მოძრაობის დაწყების მომენტისათვის, წარმოადგენდა მნიშვნელოვან დამაბრკოლებელ ფაქტორს ერის კონსოლიდაციისათვის, რაც ყველა სხვა ასპექტთან ერთად ხელს უშლიდა საერთო საინფორმაციო სივრცის შექმნას და მოსახლეობისათვის საერთო ინტერესის საკითხთა გაჩენის პროცესს. სწორედ ამიტომ, ილიას მეთაურობით განხორციელდა ენის ცნობილი რეფორმა (ჩხაიძე, 2009, გვ. 66–77).

ენის რეფორმასთან ერთად აუცილებელია აღინიშნოს ის პროექტები, რომლებსაც ახორციელებდნენ თერგდალეულები ეროვნული თვითშეგნების გასაღვივებლად, ამ საკითხებს კომპლექსურად მიმოიხილავს ნინო ჩიქოვანი ავტორთა ჯგუფთან ერთად გამოცემულ წიგნში „იდენტობის ნარატივები საქართველოში: მრავალეთნიკური ქართველი ერის სათავეებთან (1860–1918)“. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ქართული წიგნების ბეჭდვის ხელშეწყობაზე და აღნიშნავს, რომ 1851–1867 წლებში იმაზე მეტი წიგნი დაიბეჭდა ქართულ ენაზე, ვიდრე წინა 50 წლის მანძილზე ერთად აღებული, შემდგომ წლებში კი – წერს

ჩიქოვანი – ეს პროცესი უფრო და უფრო ინტენსიური ხდებოდა. იგი გამოყოფს ასევე გაზეთების დაარსების ფაქტს, რომელთაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს ეროვნული იდენტობის ფორმირებაში. კიდევ ერთი მიმართულება, რომელიც ნინო ჩიქოვანს გამოკვეთილი აქვს, არის საადგილმამულო ბანკის დაარსება 1875 წელს თბილისში, ხოლო ერთი წლის შემდეგ ქუთაისში და მათი ფუნქციონირების შედეგად მიღებული მოგებით ისეთი პროგრამებისა და აქტივოებბის დაფინანსებაა, როგორიც იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფუნქციონირება, უცხოეთში განათლების მისაღებად წასული სტუდენტების დაფინანსება, სამეურნეო სკოლის შექმნა, ქართული დრამატული საზოგადოების ხელშეწყობა და სხვა მრავალი, რისთვისაც ჯამში თბილისის ბანკმა 30 წლის მანძილზე 1 944 136, ხოლო ქუთაისის ბანკმა 1 058 000 მანეთი დახარჯა (ჩიქოვანი, 2014, გვ. 30–31).

თერგდალეულთა მიერ ჩამოყალიბებულ „ქართულ ნაციონალურ პროექტზე“, მის მიმართულებებზე, მიზნებზე და პრაქტიკულ განხორციელებათა კომპლექსზე, თავის საავტორო წიგნში, „ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია და ქართული ნაციონალური პროექტი („თერგდალეულები“)“, ირაკლი ჩხაიძეს მოჰყავს სტივენ ჯონსის მოსაზრება, რომლის მხიედვითაც თერგდალეულების ზრუნვის ობიექტად ეროვნულობის გადარჩენა და კულტურის აღორძინება მათი ფილოსოფიის ქვაკუთხედს წარმოადგენდა და რომ ეს თითოეულ მათ ნაბიჯში იგრძნობოდა. იქნებოდა ეს განათლების, კულტურის თუ ეკონომიკის განვითარების მიმართულებით გატარებული პოლიტიკა. თერგდალეულები მუდმივად მიისწრაფოდნენ ეროვნული თანხმობისა და ერთიანობისკენ, რითაც ცდილობდნენ სამოქალაქო და ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებასა და გაძლიერებას ქართველ ხალხში (ჩხაიძე, 2009, გვ. 63).

ჩხაიძეს, იმის საილუსტრაციოდ, რომ თერგდალეულთა მიერ გადადგმული ნაბიჯების ერთობლიობა ნამდვილად წარმოადგენდა ნაციონალურ პროექტს და შესაბამისად ქართული ნაციონალიზმის გაძლიერების მიზანმიმართულ პოლიტიკას, მოჰყავს მიროსლავ ჰროშის თეორია, რომლის მხიედვითაც ნაციონალიზმი ჩამოყალიბების პროცესში გადის სამ ეტაპს. ეს ეტაპებია: პირველი (A) კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებისაკენ სწრფავა, რაც მოიცავს ენის რეფორმას, ეროვნული

ისტორიის აქტივაციას და მისი როლის გაძლიერებას; (B) „პატრიოტების“ ჯგუფის მიერ შექმნილი ეროვნული იდეის საგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლების) და პრესის საშუალებით ხალხამდე მიტანა და (C) საზოგადოების საყოველთაო მობილიზაცია (ibid: 63).

ძნელია, არ შეამჩნიო ის აშკარა შინაარსობრივი თანხვედრა, რომელიც ჩხაიძის მიერ მოყვანილ ჰროშის თეორიის ეტაპებსა და ქართველ თერგდალეულთა მიერ გადადგმულ ნაბიჯებს შორისაა. ყველა ის რეფორმა, თუ პროექტი, რომელიც ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების თაოსნობით იქნა განხორციელებული, ეჭვგარეშეა, რომ მიზანმიმართულ და კარგად გააზრებულ ნაციონალურ პოლიტიკას წარმოადგენდა. პოლიტიკას, რომლის მიზანიც ქართველი სოციალ–დემოკრატების მიერ არცთუ დიდი ხნის შემდეგ გადახედილ იქნა. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მისი ღრმა ფესვებისა და შიდა პროცესებზე გარკვეული საგარეო ფაქტორების ზემოქმედების მეშვეობით, არათუ ვერ მოხერხდა მისი გარდაქმნა, ან ჩანაცვლება, არამედ პირიქით, ქართულმა ნაციონალურმა პროექტმა თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია სკეპტიკოსები და უფრო მეტიც, 1918 წელს სწორედ მათი ხელით ჰპოვა პრაქტიკული განხორციელება – დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოცხადება.

კვლევის ფარგლებში 2017 წლის 19 დეკემბერს ჩატარებული პირისპირი ინტერვიუს დროს, ფაქტობრივად იგივე მოსაზრებას აფიქსირებს ექსპერტი გია ნოდიაც, რომელსაც მიაჩნია, რომ ქართული ნაციონალიზმი/ნაციონალური პროექტი სწორედ ილია ჭავჭავაძისა და თერგდალეულთა მიერ იქნა შემუშავებული და განხორციელებული და იგი მსგავსებას ავლენდა ევროპული ერების ნაციონალიზმებთან. ნოდიაც ჩხაიძის მსგავსად იზიარებს მოსაზრებას, რომ 1918 წლისათვის, როდესაც გამოცხადდა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, ქართულ ნაციონალურ პროექტს გავლილი ჰქონდა მიროსლავ ჰროშის თეორიის მიხედვით პირველი (A) და მეორე (B) ფაზები, ვინაიდან შეიძინა პოლიტიკური ელფერი და მიუხედავად იმისა, რომ იმ დროინდელ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ელიტის უდიდეს ნაწილში არ იყო შესაბამისი აზრის დომინირება დამოუკიდებელი სახელმწიფოს სასარგებლოდ, საგარეო ფაქტორებმა განაპირობა ის, რომ, შეიძლება ითქვას, დაჩქარდა ნაციონალური მობილიზების

მესამე (C), ფინალური ეტაპი და საქართველო მივიდა ეროვნული დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე. ნოდიას აზრით, ქართულმა ინტელიგენციამ, ცხადია თერგდალეულების, ილია ჭავჭავაძის სახით პირველ რიგში, მაგრამ შემდეგ თაობებშიც მიიღო ევროპული სტილის განათლება, ეზიარა დასავლურ იდეებს და ამ დასავლური იდეების ნაწილი იყო ნაციონალიზმი, ასე რომ ვთქვათ ლიბერალური ნაციონალიზმი, რაც საბოლოო ჯამში იყო ევროპული გავლენა. მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის, გარკვეულად მომწიფდა ის, რომ ქართული ნაციონალიზმი გადავიდა მიროსლავ ჰროშის პერიოდიზაცის მიხედვით A ფაზიდან B ფაზაში, ანუ პოლიტიზაცია მოხდა. თავიდან იყო უბრალოდ ეროვნული კულტურის განვითარება, განათლება და ასე ვთქვათ ეროვნული იდენტობის შენარჩუნების პროგრამა კულტურის და განათლების დონეზე. მერე ჩამოყალიბდა, პოლიტიზაცია მოხდა ამ მოთხოვნების, თავდაპირველად ეროვნული ავტონომიის დონეზე, თუმცა მაინც ეს სუსტი იყო, ეს არ იყო იმ დროს საქართველოში ყველაზე გავლენიანი იდეა. ნოდიას მიუთითებს, რომ პროგრესულ ახალგაზრდობაში, თუ ინტელიგენციაში იყო სოციალური იდეა და რაც შეეხება უკვე საქართველოს დამოუკიდებლობის ჩამოყალიბებას, ეს იყო ნაწილობრივ, რა თქმა უნდა, ამ შედარებით უფრო განვითარებული ეროვნული ცნობიერების კოორდინაცია გარე ფაქტორებთან“ (გ. ნოდია, პირადი კომუნიკაცი, 19 დეკემბერი 2017).

ილია ჭავჭავაძისა და თერგდალეულთა მიერ ქართული ნაციონალური იდეის ფართო მასებში გავრცელების პროცესს, ფორმასა და შინაარსობრივ ასპექტებს ადარებს იმ დროინდელ (მე-19 საუკუნე) ევროპულ ქვეყნებში აღმოცენებულ და განვითარებულ ნაციონალიზმს პროფესორი დავით დარჩიაშვილიც, რომელიც ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ჩანასახში, მე-19 საუკუნის 60-იან წლებში, ქართული ნაციონალური იდეა განიცდიდა ევროპული იდეების გავლენას და ეს არ იყო მხოლოდ ამ კონკრეტული პერიოდისათვის დამახასიათებელი, არამედ მოგვიანებით, იმპერიათა რღვევის პროცესშიც, მე-20 საუკუნის დასაწყისში მსგავსება ძალიან დიდი იყო ქართულ და სხვა ევროპულ ნაციონალიზმებს შორის (დ. დარჩიაშვილი, 7 ნოემბერი 2017).

მიუხედავად იმისა, რომ დროის თვალსაზრისით პირდაპირი შეხება თერგდალეულებს არ ჰქონიათ მე-20 საუკუნის დასასრულს საქართველოში გაძლიერებულ ეროვნულ მოძრაობასთან, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათი იდეების გავლენა მასების მობილიზაციის პროცესში 80-იან წლებში უფრო მკაფიო და აშკარა იყო ამ მოძრაობის ლიდერებზე, ვიდრე 10-იანი წლების იმ საზოგადოებრივი და პოლიტიკურ მოღვაწეებზე, ვინც სათავეში ჩაუდგა 1918 წლის 26 მაისს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკას. ის, რომ დღეს საქართველოს ყველა ძირითად სახელმწიფო და ადმინსიტრაციულ შენობაში ვხვდებით ილია ჭავჭავაძის პორტრეტებს, მისი სახელობის დარბაზებსა და აუდიტორიებს, ყველა პოლიტიკური ძალა 90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე, მიუხედავად მათი იდეოლოგიური თუ საგარეო პოლიტიკური ორიენტაციისა, ციტირებს ილიას სიტყვებს, ცდილობენ მასთან იდეური კავშირის გაბმას, არის საუკეთესო დასტური იმისა, რომ თანამედროვე ქართველი ერი სწორედ იმ ნაციონალური პროექტის შედეგად ჩამოყალიბდა, რასაც თერგდალეულებმა მე-19 საუკუნის შუა წლებში დაუდეს სათავე. უფრო მეტიც, ფაქტია, რომ მათ მიერ შექმნილმა ეროვნული იდეის საფუძველმა 70 წლიან ტირანიას და საბჭოთა მოქალაქის შექმნასთან დაკავშირებული სოციალური ინჟინერიის ექსპერიმენტებსაც გაუძლო.

3.2 ძირითადი დებატები და მიმართულებები ქართული ნაციონალური პროექტის გარშემო 1910-იან წლებში

წინამდებარე ქვეთავი წარმოადგენს ნაშრომის ერთ–ერთ საკვანძო ნაწილს, სადაც განვიხილავ იმ დებატებს, იდეების ტრანსფორმაციასა და განვითარებული მოვლენების დინამიკას, რომელთა შედეგადაც საქართველოს პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა ელიტამ შეცვალა ქართული ნაციონალური პროექტი ტერიტორიული ავტონომიიდან დამოუკიდებელ სახელმწიფომდე. ამ მიზნით, წარმოდგენილი იქნება ამონარიდები საოქმო ჩანაწერებიდან, პუბლიკაციებიდან და საგაზეთო სტატიებიდან, რომელთა ავტორებიც 1910–იან წლებში წარმოადგენდნენ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს საქართველოში, ან/და თავიანთი მოღვაწეობით ახდენდნენ გავლენას საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. ასევე, გაანალიზებულ

იქნება წინამდებარე კვლევის პროცესში დარგის ექსპერტებთან ჩაწერილი პირისპირი ინტერვიუების შედეგები.

როგორც წინა თავებში უკვე არაერთხელ აღინიშნა, ქართული ნაციონალური პროექტი, რომლის შესახებაც საუბარი შესაძლებელია ილია ჭავჭავაძის საქართველოში დაბრუნებისა და თერგდალეულების ფართო საზოგადოებრივ–პოლიტიკური მოღვაწეობის დაწყებიდან, მიზნად ისახავდა ქართველი ერის კონსოლიდაციასა და გარკვეული სახის თვითმმართველობის მიღწევას. თუ რა სახის უნდა ყოფილიყო თვითმმართველობა, ამაზე მუდმივად მიმდინარეობდა კამათი. თუკი, თავად ილია ჭავჭავაძე ტერიტორიული ავტონომიისა და შესაბამისად რუსეთის იმპერიის ფედერაციული მოწყობის იდეით გამოდიოდა, უფრო მოგვიანებით 1900 და 1910–იან წლებში, როდესაც საზოგადოებრივ ასპარეზზე გაძლიერდნენ სოციალ–დემოკრატები, აღნიშნული მოსაზრება ხშირ შემთხვევაში იცვლებოდა და დადიოდა კულტურული ავტონომიის იდეამდე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სოციალ–დემოკრატების ხედვა ეროვნულობის შესახებ განიცდიდა ერთგვარ „წრებრუნვას“. კერძოდ, 1903 წლამდე და 1914/15 წლებიდან მათი ხედვები ავლენს მსგავსებას სწორედაც თერგდალეულთა და მათი იდეური შთამომავლების – სოციალისტ–ფედერალისტების მოსაზრებებთან, რაც ლოგიკურიცაა, რადგან ამ ჯგუფის ფესვებიც საბოლოოდ სწორედ ეროვნულ მოძრაობასთან და თერგდალეულებთან მიდის. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1917 წლის შემოდგომამდეც კი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მოთხოვნის შესახებ ცნობები, ყველაზე ძლიერი და გავლენიანი გაერთიანების – სოციალ–დემოკრატების მხრიდან, არ მოიპოვება. უფრო მეტიც, ის პირები, ვინც ოდნავ მოგვიანებით 1918 წლის გაზაფხულზე დამოუკიდებლობის აქტი შეიმუშავა და 26 მაისს დამოუკიდებლობა გამოაცხადა კიდეც, ბოლო მომენტამდე რჩებოდნენ პოზიციაზე, რომ ქართველი ერის განვითარება დაკავშირებული იყო მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიულ რუსეთთან, ყველაზე რადიკალურ შემთხვევაში კი განიხილავდნენ ამიერკავკასიის კონფედერაციის იდეას, რაც თავისთავად დამოუკიდებელ სახელმწიფოს არ ნიშნავს, მაგრამ, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ერთგვარად ეს იყო მოსამზადებელი ეტაპი დამოუკიდებლობისათვის ან/და სამომავლო განვითარების

მოდელების მოსინჯვის მცდელობა. ის საარქივო ჩანაწერები, რომელთაც ქვემოთ განვიხილავ, ნათლად ასახავს დინამიკაში, თუ როგორ ახდენდა გავლენას საერთაშორისო სისტემური ცვლილებები და ამ ცვლილებებიდან გამომდინარე შექმნილი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება 1910–იან წლებში საქართველოს საზოგადოებრივ–პოლიტიკურ ელიტაზე, შეეცვალა პოზიციები და შესაბამისად ქართული ნაციონალური პროექტი, თავდაპირველი ტერიტორიული ავტონომიიდან დამოუკიდებელ სახელმწიფომდე.

ჯერ კიდევ 1908 წლის 25 მაისის ჟურნალში „ჩვენი კვალი“ ფართოდაა გაშლილი სოციალ–დემოკრატიული პარტიის ლიდერის, ნოე ჟორდანიასა და არჩილ ჯორჯაძის პოლემიკა ნაციონალიზმისა და ინტერნაციონალიზმის შესახებ. მოყვანილია ჟორდანიას არა ერთი მოსაზრება ეროვნულობის შესახებ, თუ როგორ აკრიტიკებს იგი ნაციონალისტების რადიკალურ მოსაზრებებს: „ანის (ნოე ჟორდანია) აზრით, ერთი ერის ინტერესები ეწინააღმდეგებიან მეორე ერის ინტერესებს, ხოლო თვითოეული ერის ინტერესი კი იმის მუშა ხალხის ინტერესებს. აქედან მუშათა კლასის იდეოლოგიისათვის აუცილებელი დასკვნა ასეთია: ნაციონალური ნიადაგი უნდა უარყოფილ იქნას“ (ჩვენი კვალი №1, 1908, გვ. 3). აღნიშნული დასკვნის საფუძველს ავტორს აძლევს ნოე ჟორდანიას მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ საკუთარი ერის საკითხების გარშემო კონცენტრირება იწვევს სხვა ერების ჩაგვრას, ხოლო ეს ყოველივე ერთად მუშათა შორის აზრთა სხვადასხვაობასა და მათ დაბნევას (ცხოვრების სარკე №9, 1908, გვ. 1). იმავე ნომერში ჟორდანია ასევე წერს: „ისინი (ე.ი. ჩვენი ნაციონალისტები) ნაციონალურ კითხვაში გამოდიან ქართველის, საქართვლოს ინტერესებიდან და მას უმორჩილებენ სხვათა ინტერსებს. ჩვენ კი გამოვდივართ ყველა იმ ერთა ინტერესებისაგან, რომელნიც საქართველოში და მის ირგვლივ მოსახლეობენ და შეადგენენ ტერიტორიალურათ ერთ ერთეულს – ამიერ–კავკასიას“. აქვე ავტორი ავითარებს აზრს:“ ანისაგან (ნოე ჟორდანია) ნიშანში ამოღებული ნაციონალისტებიც, სოციალ-ფედერალისტები, სრულებითაც არ კმაყოფილდებიან საქართველოთი და ისინიც ლაპარაკობენ მთელ კავკასიის მოწყობის საქმეზე. იხ. თუნდ არჩილ ჯორჯაძის უკანასკნელი წერილი „ამირანი“№63 ... მაგრამ თუ თავის ერის ნიადაგი უნდა უარყოფილ იქნას, რატომღა უნდა იქნას მიღებული მაინც და

მაინცა კავკასიის ერთა ნიადაგი? თუ საქმე სივრცეზეა, მაშინ რუსეთის იმპერია ხომ უფრო დიდია კავკასიაზე, რატომ მთელ რუსეთში მოსახლე ერთა ინტერესებისაგან არ უნდა გამოვდიოდეთ, ანუ რაც კიდევ უფრო უკეთესია, რატომ არ უნდა ვიხელმძღვანელოთ მთელი კაცობრიობის ინტერესებით? მეორე მხრივ კი, თუ კი ერთი ერის ინტერესი ეწინააღმდეგება მეორე ერის ინტერესს, მაშინ ყველა ერების თუ რამდენიმე ერის ინტერესთა ნიადაგზე დგომა ხომ სრული ულოღიკობაა, ნამდვილი უაზრობაა და აბსურდი!“ (ჩვენი კვალი №1, 1908, გვ. 3–4).

მისი როლიდან გამომდინარე პოლიტიკური პროცესების მიმართულების განსაზღვრაში, განსაკუთრებული დაკვირვებისა და ანალიზის ობიექტად გამოვყოფ სწორედ ნოე ჟორდანიას ნაშრომებს, რომელთა შინაარსობრივი განვითარება წლების მიხედვით, საინტერესო დინამიკას გვიჩვენებს. მაგალითად, 1908 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“, იგი არათუ დამოუკიდებლობის იდეას, არამედ ტერიტორიული ავტონომიის განხორციელების შესაძლებლობასაც კი არ ახსენებს და სრულიად ცალსახად ემხრობა კულტურულ ავტონომიას. მეტიც, იგი მძაფრად აკრიტიკებს თერგდალეულების ნაციონალისტურ მისწრაფებებს, მათ შორის კრიტიკული მიდგომა აქვს ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადი“–ის მიმართ და მას ანტისომხური და ანტირუსული კამპანიის წარმოებაში „ამხელს“. იგი მიმოიხილავს იმ მდგომარეობას, რომელიც შექმნილია პოლონეთსა და სომხეთში, სადაც ნაციონალისტური განწყობილების მქონე პარტიები მართავდნენ სიტუაციას და მათ შოვინიზმსა და საკუთარი ხალხების უკან დახევაში ადანაშაულებს, ამ ყოველივეს ფონზე კი მკითხველს სთავაზობს იმის ახსნას, თუ რატომ ვერ მოიკიდეს მსგავსი იდეოლოგიის მქონე პოლიტიკურმა ძალებმა ფეხი საქართველოში. დასახელებული მიზეზი ცალსახაა – ქართველ ხალხს სურს მხოლოდ კულტურული თვითმყოფადობა და მხოლოდ ამ თემის გარშემო კონსოლიდირდება, ყველა ნაციონალისტური განვითარება გარდა ხსენებულისა კი მათთვის მიუღებელია, რაც არ უნდა შეფუთული იყოს იგი ფედერალიზმის, ტერიტორიული ავტონომიის, თუ სხვა სახით: „იშვიათია ისეთი ერი, სადაც ნაციონალურ მიმდინარეობას დიდი გასავალი არ ქონდეს. ნაციონალიზმის მაგარი ბუდე, განსაკუთრებით დამორჩილებული, სხვის უღელს ქვეშ მყოფი ერებია. საკმარისია

გავიხსენოთ პოლონელები, რომელთაც თითქმის სავსებით დაპატრონებია შოვინისტური ნაციონალ–დემოკრატიული პარტია, და ჩვენი მეზობლები სომხები, რომლებიც დაშნაკცუტუნის ბატონობისგან ჯერაც ვერ გამოსულან. სულ სხვაა ჩვენში. არც ერთ ხალხს ისე ნაკლებათ არ აინტერესებს ნაციონალური კითხვა, როგორათაც ქართველ ხალხს. არსად ისე სუსტი და გავლენას მოკლებული ნაციონალისტური პარტიები არ არიან, როგორიც არიან ჩვენში. ჩვენმა ინტელიგენციამ დიდი შრომა გასწია, დიდი ენერგია დახარჯა იმისათვის, რომ რაიმე გზით მას მიეგნო ხალხის გულისათვის და შიგ ნაციონალიზმი დაესადგურებია. მესამოცე წლების მოღვაწეები ამ მიზნით ნაციონალურ კითხვას აერთებდენ მაშინდელ სოციალურ კითხვასთან. მათ თავის დროშას დააწერეს: ბატონ–ყმობის მოსპობა და ნაციონალური თვითარსებობა. ხალხმა სიამოვნებით მიიღო პირველი, მაგრამ მეორეს სანახევროთ ფრთა შეაკვეცა. რამდენადაც ეს შეიცავდა საჭიროებას ქართული შკოლისას, ქართული მწიგნობრობისას, თეატრისას და სხვა ასეთ კულტურულ დაწესებულებისას – ამის წინააღმდეგი ხალხი არ ყოფილა, პირიქით, ეს მისი ცხოვრების მიუცილებელი მოთხოვნილება და იმავე დროს მისი განვითარების იარაღია. მაშასადამე თავის, ნაციონალურ ენაზე კულტურის შექმნა და ამ ნიადაგზე თავის მერმისის აგება – წინმსვლელობის აუცილებელი გზაა. მაგრამ რამდენათ ძველ მოღვაწეთა ნაციონალური დროშა ამ ფარგლებიდან გამოდიოდა და მას ნაციონალურ პოლიტიკას უმატებდა, ე.ი. ის ნაციონალისტურ პოლიტიკურ პარტიათ ხდებოდა, იმდენთ ის ნიადაგს ვერ პოულობდა და „ხმათ მღაღადებლისათ“ რჩებოდა. .... ამიტომ, როცა ქართველი სოციალ–დემოკრატია თავის ერისთვის თხოულობს კულტურულ ავტონომიას და არა პოლიტიკურს – ამით ის ხატავს ცხოვრების ღრმა მიმდინარეობას, ამით ის წვდება ხალხის გულის ნადებს და მას თავის პროგრამაში შეუმცდარათ აღბეჭდავს“ (რუს.კომუნისტ. პარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი, 1922, თავი II).

თითქმის იგივე პოზიციებიდან საუბრობს ჟორდანია 1912 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომშიც „ნაციონალური კითხვა ჩვენში“. აღნიშნულ პუბლიკაციაში, შეიმჩნევა მხოლოდ მცირეოდენი შერბილება მოსაზრებებისა ოპონენტების მიმართ. თუმცა, ქართველი ერის განვითარებას და მომავალს იგი

კვლავ კულტურულ ავტონომიაში ხედავს და მტკიცედ დგას წინა თქმაზე, რომ საქართველო ვერ შეძლებს ტერიტორიული ავტონომიის პირობებში ცხოვრებას, რადგან ეს ყოველივე დაკავშირებულია ეკონომიკურ საკითხებთან, რისთვისაც იგი ერს მზად არ მიიჩნევს. გარდა ამისა, იგი პრობლემას ხედავს იმაშიც, რომ ქართველი ერი არ ემთხვევა განსახლებით საქართველოს ტერიტორიას, რის გამოც ასევე ვარაუდობს პრობლემების შემქნას, თუკი აღნიშნული საკითხი გააქტიურდება. ჟორდანია წერს: „ ... აქედან ცხადია, რომ თანამედროვე ერის შემაერთებელი ძალაა არა ტერიტორია, არა ადგილ–მამული, არამედ სულიერი კულტურა, რომლის საფუძველია, როგორც ზემოთ ვთქვით, თანამედროვე მატერიალური კულტურა. სხვა და სხვა ქვეყნებში მცხოვრებნი ქართველები შეერთებულია არა საერთო ნაციონალური ტერიტორიით, არამედ საერთო ნაციონალური ენით, ლიტერატურით, ხელოვნებით, მოგონებებით, ერთი სიტყვით კულტურით. ისინი ტერიტორიით პირიქით, დაშორებულნი არიან, ზოგი ბაქოშია, ზოგი ხარბინში, პეტერბურგში და სხვაგან. დაშორებულია ეკონომიური საქმიანობითაც: ზოგი მეურნეა, ზოგი ვაჭარი, ზოგი პროლეტარი, ზოგი მოსამსახურე და სხვა. მათ აცალკევებს მრავალი ფაქტორი, აერთებს მხოლოდ ერთი – ნაციონალური კულტურა; ამიტომ მათთვის ნაციონალური კითხვა უმთავრესად კულტურის კითხვაა. ... კულტურული პრინციპი აგებულია თანამედროვე ურთიერთობაზე, ნაციის კაპიტალისტურათ განვითარებაზე და გაქალაქებაზე. ამ პრინციპის მატარებელნი ახალი საქართველოს წარმომადგენელნია, ახალი ცხოვრების მესვეურნია. ..... ერთი ერის პროლეტარიატის ეკონომიური ინტერესი მჭიდროდ შეკავშირებულია სხვა ერთა პროლეტარიატის ნაციონალურ კულტურასთან. თანხმობა ეკონომიაში ბადებს თანხმობას ერთა შორისაც. აი ამაზეა აგებული პროლეტარიატის ინტერნაციონალიზმი“ (ibid: თავი V).

შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1915 წლის თებერვალში გაზეთ „ახალი აზრი“–ში გამოქვეყნებულ სტატიაში ჟორდანიას უკვე ტრანსფორმირებული პოზიცია აქვს ეროვნულობის საკითხზე და იგი ამბობს: „ახლანდელი ძირითადი განვითარება საზოგადოებაში ერის რენესანსია და ერის საკუთარი სახელმწიფოს შექმნა ... და ეს იმდენად ძლიერი მოძრაობაა, რომ ვერანაირი ძალა მას წინ ვერ აღუდგება; ის ყველა დაბრკოლებას დაანგრევს და გაანადგურებს“ (ჯონსი, 2007, გვ. 304).

ოდნავ მოგვიანებით, 1917 წელს საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე ნოე ჟორდანიამ განაცხადა, რომ ჩვენი თვითგამორკვევის საქმე დღეს ისევეა, როგორც ასი წლის წინათ. ამ მხრივ ჩვენი წინაპრებისგან შორს არ წავსულვართ, დღესაც იგივეს ვფიქრობთ და დღესაც იგივეს ვითხოვთ, ჩვენ რუსეთის ფარგლებში დარჩენა გვსურს, მაგრამ ჩვენ აუცილებლად უნდა მივაღწიოთ თვითმმართველობას (ibid: 295).

ძალზე საინტერესოა 1917 წლის 19 ნოემბრის პირველი ქართული ეროვნული ყრილობის ეროვნულ–პოლიტიკური სექციის სხდომის ოქმი, რომლის საბოლოო სახით შემუშავებაში, ფაქტობრივად, მონაწილეობდა ყველა ძირითადი პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენელი, რომელიც იმ დროისათვის საქართველოში მოღვაწეობდა. ოქმის ჩანაწერებში კარგად ჩანს, თუ რამდენად გააზრებული და ფრთხილი პოზიცია აქვთ პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებს საგარეო ორიენტაციის ოფიციალურად დაფიქსირების საკითხში. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის კავკასიის არმიის ფაქტორის გათვალისწინებით ფრთხილობენ და რუსულ ორიენტაციას აფიქსირებენ, ეს უკვე ცალსახა და უეჭველ ფაქტად არ ესახებათ. მუხლობრივი განხილვისას უარყოფილ იქნა ოქმის პირველი მუხლი, რომელიც ასე გამოიყურებოდა: „ქართველი ერი, როგორც ამ ასი წლის განმავლობაში, სდგას რუსეთის ორიენტაციის ნიადაგზე“. მუხლის უარყოფის მიზეზი ნაციონალ–დემოკრატების წარმომადგენელმა გრ. ვეშაპელმა ახსნა იმ მოქნილობის აუცილებლობით, რომელიც საჭირო იქნებოდა თუკი ქვეყანას მოუწევდა საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის შექმნა. მას მიაჩნდა, რომ მსგავსი საკითხები არ დარჩებოდა მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის და ადვილად ხელმისაწვდომი შეიძლებოდა გამხდარიყო სამომავლოდ პოტენციური მოკავშირებისთვის, რაც დამაზიანებელი იქნებოდა. ამასთან, ვეშაპელი მოუწოდებდა შეკრებილებს, რომ უმჯობესი იქნებოდა რეზოლუციებში ისეთ საკითხებზე გაემხავილებინათ ყურადღება, რაც ყველას აერთიანებდა და არ წარმოშობდა რაიმე სახის დაპირისპირებას. სოციალ–დემოკრატების წარმომადგენელი დ. ონიაშვილი ასევე გამოვიდა წინადადებით ამოშლილიყო აღნიშნული მუხლი, ხოლო სოციალისტ–რევოლუციონერების წარმომადგენელმა ივ. გობეჩიამ განაცხადა, რომ ხსენებული მუხლის წინააღმდეგი არ იქნებოდა, თუკი იგი ფორმირდებოდა სიტყვებით

„რევოლუციურ რუსეთთან“ (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 29, ფურცლები 21–24).

უკვე 1918 წლის იანვარში სახელშეცვლილ (მისი წინამორბედი იყო ჟურნალი „ჩვენი კვალი“ - ავტ.) ჟურნალში, „ახალი კვალი“, რომელიც სოციალ–დემოკრატების დაფინანსებით იბეჭდებოდა, ცალსახად ჩანს პოზიციების ცვლა სოციალ–დემოკრატებსა და თავად ნოე ჟორდანიას მოსაზრებებში. მათი შეხედულებები, რომელთა გასამყარებლად მოჰყავთ ჟორდანიას მიერ 1890–იან წლებში გამოთქმული მცირე ფრაზები და ფაქტობრივად იგნორირებას უკეთებენ მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს 1890–იანი წლების მეორე ნახევრიდან 1915 წლამდე, ასევე კაუცკის მოსაზრებების ინტერპრეტაციები, გვაფიქრებინებს, რომ ცდილობენ საზოგადოებრივი აზრის მომწიფებას დამოუკიდებელი სახელმწიფოს იდეის გარშემო. თუმცა, თავადაც არ არიან ბოლომდე ჩამოყალიბებული რა სახის განვითარებას ჰპოვებს დამოუკიდებლობა. იქნება ეს დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო, თუ შევა კონფედერაციულ, ან ფედერაციულ კავშირში ამიერკავკასიის სხვა სახელმწიფოებთან. საინტერესოა ისიც, რომ საკუთარი პოზიციების გასამყარებლად მოჰყავთ ევროპული სახელმწიფოების საფრანგეთის და ბელგიის მაგალითები. სწორედ საფრანგეთისა და ბელგიის მაგალითზე დაყრნდნობით ცდილობენ აუხსნან მკითხველს, რომ შიდა პოლიტიკური, თუ იდეოლოგიური დაპირისპირება არ არის ხელის შემშლელი ერთიანობის მიღწევისათვის, როდესაც ერის თვითმყოფადობას (1910–იან წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში სოციალ–დემოკრატები ერს აიგივებდნენ კულტურულ ერთობასთან და არ უკავშირებდნენ სახელმწიფოს) გარედან ემუქრება საფრთხე: „შინაურ სამოქალაქო ცხოვრებაში ერი დაყოფილია სხვადასხვა კლასებათ, მათ შორის სასტიკი, დაუცხრომელი პოლიტიკური და ეკონომიკური ბრძოლაა გაჩაღებული. ... მაგრამ ეს ხდება შიგნით, ეროვნულ ფარგლებში. იმ დროს კი, როდესაც ერს გარედან ემუქრებიან, მის სასიცოცხლოს ედავებიან – მაშინ დაინახავთ ერთ ერს, მჭიდროთ გაერთიანებულს თავგანწირულ ბრძოლაში. აიღეთ თანამედროვე საფრანგეთი, ბელგია. ბელგიის მაგალითი საუკეთესო დამამტკიცებელია ჩვენი დებულების სისწორისა. აი რას სწერდა ამის შესახებ 1894 წელს „კვალში“ ჩვენი პუბლიცისტი ნოე ჟორდანია: „ხალხი

გრძნობს თავის თავს ერათ, ჭირში და ლხინში განუყრელათ, აქვს წარმოდგენა თავის „მე“–ზე და ამას შეგნებულათ იცავს. .... და აი იმისათვის, რომ ეს ორგანიზმი სცოცხლობდეს და ვითარდებოდეს, აუცილებელია, შეიძინოს ერმა ისეთი ორგანოები, რომელნიც გაუძღვებიან მის საერთო ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას“.

.... ჩვენ ხშირად შევხვდებით სოციალისტურ და დემოკრატიულ პარტიათა პროგრამებში ასეთ მუხლს: „ერს ენიჭება სრული უფლება თვითგამორკვევისა“. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი ერი თავის ბედს თვითონვე სწყვეტს, სხვის დაუკითხავათ....

ამ პრინციპის მიხედვით, არავის არა აქვს უფლება ჩაერიოს ერის შიანურ ცხოვრებაში, აუკრძალოს მას ისეთი ეროვნული ორგანოების შექმნა, რომელნიც მას საუკეთესოთ მიაჩნია. ერს შეუძლია სრულიათ გამოეყოს კიდეც სახელმწიფოს, შექმნას თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფო, სუვერენობით, უზენაესობით აღჭურვილი.

... ეროვნული დამოუკიდებლობა – აი ამაში გამოიხატება მუშათა კლასის მოთხოვნილება“ (ახალი კვალი №2, 1918, გვ. 8–10).

შემდეგ ნომერში, 1918 წლის იანვრის ბოლოს, კვლავ იბეჭდება მ. ხუნდაძის სარედაქციო წერილი, რომელშიც იგი აანალიზებს რუსეთში შექმნილ ვითარებას 25 ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, აკრიტიკებს ლენინურ მმართველობას, რადგან იგი ცხოვრებაში ცდილობს იმ სოციალისტური იდეების გატარებას, რომელიც ჯერ კიდევ უცხო და მიუღებელია რუსი ხალხისთვის. ხაზს უსვამს რუსეთში არსებული არეულობის საფრთხეს ამიერ–კავკასიისთვის, რადგან თუკი მანამდე არეულობა და სისხლისღვრა ამიერ–კავკასიას არ შეხებია, ახლა უკვე რეალური გარემოება იქმნებოდა ეს ყველაფერი აქაც გავრცელებულიყო. ხუნდაძე აუცილებლად მიიჩნევს დაუყოვნებლივ ზავის დადებას ოსმალეთის იმპერიასთან, რათა სამხრეთ–დასავლეთიდან მოსალოდნელი საფრთხის წინაშე რუსეთში შექმნილი ვითარების გამო საქართველო და მთლიანად ამიერ–კავკასია სრულიად დაუცველი რჩებოდა. აღნიშნული სტატია, უკვე აშკარად აჩვენებს, თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას

ანიჭებდნენ და როგორი სიფრთხილით აკვირდებოდნენ საქართველოს შიდა პოლიტიკური წრეები საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებს. თუმცა, ღიად დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესახებ მაინც არ/ვერ საუბრობენ, რაც შეიძლება მიგვანიშნებდეს, რომ ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ მზად გადაედგათ გადამწყვეტი ნაბიჯი, რადგან უშინდებოდნენ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში მოსალოდნელ შედეგებს საგარეო აქტორების მხრიდან, ან მათი იდეოლოგიური ხედვა ახდენდა გავლენას ეროვნულობის შესახებ გადაწყვეტილების საბოლოოდ მიღების პროცესზე: „25 ოქტომბრის შემდეგ რუსეთის სახელმწიფოს სათავეში დგას ლენინელების პარტიული მთავრობა!

...სოციალიზმი რუსეთისათვის დღეს უცხო ხილია და რაღა გასაკვირველია, რომ სახალხო კომისართა მოღვაწეობამ მხოლოდ ხელი შეუწყო რუსეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ არევ–დარევას, გააჩაღა უმაგალითო სამოქალაქო ომი, რომელშიც იხრწნება ხალხის რევოლიუციონური ენთუზიაზმი, პროლეტარიატი თან და თან მარტოვდება, და ამით მზადდება ნიადაგი მომავალი ტიერის ბატონობისათვის.....

აქამდის ჩვენი მხარე, ამიერ–კავკასია ანარქიის გარეშე იყო. ახლა კი სამოქალაქო ომის, სისხლისღვირის სურათები უკვე გადაგვეშალა თვალწინ. ამიტომ მთელი ჩვენი ყურადღება უნდა მიქცეული იყოს ადგილობრივ წესიერების აღდგენისაკენ....

მასთან ერთად უნდა მოწვეულ იქნას ადგილობრივი სეიმი, რომელიც განამტკიცებს დემოკრატიას, დაამყარებს სასურველ წყობილებას, როგორც მთელ ამიერკავკასიაში, ისე ეროვნულ ერთეულებში, იზრუნებს ზავის ჩამოგდებისათვის ოსმალეთთან და გაატარებს ცხოვრებაში აუცილებელ სოციალურ რეფორმებს!

...ამ გზას დაადგა ამიერ–კავკასიის სარევოლუციო ცენტრალური საბჭო, რომელიც ამ დღეებში იწვევს ამიერ–კავკასიის საკანონმდებლო სეიმს“ (ახალი კვალი №3, 1918, გვ. 2–3).

როგორც ზემოთ უკვე კარგად გამოჩნდა, 1910-იანი წლების საქართველოში, რომელიც პოლიტიკური პარტიების სიმცირეს ნამდვილად არ უჩიოდა, მთავარი

სადისკუსიო საკითხები პოლიტიკურ ჯგუფებს შორის იყო ნაციონალური საკითხი და სოციალური პრობლემატიკა. სწორედ ამ საკითხების გარშემო დებატებია განხილული ამ ქვეთავში და ვინაიდან თავისი გავლენისა და ისტორიული როლის გამო მსჯელობა ძირითადად ავაგეთ სოციალ-დემოკრატების პარტიისა და მათი წარმომადგენლების პოზიციების განხილვაზე, მნიშვნელოვანია ვახსენოთ ის ძირითადი ოპონენტები და მათი შეხედულებებიც, რომელთაც მნიშვნელოვანი და ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტი ადგილი ეკავათ იმ დროინდელ ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ თვალსაზრისით კი, ბუნებრივია, პირველ რიგში უნდა გამოიყოს სოციალისტ-ფედერალისტების პარტია, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი სწორედ არჩილ ჯორჯაძე გახლდათ, ვინც აქტიურ ოპონირებას უწევდა ნოე ჟორდანიასა და მის თანამოაზრეებს მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით, რაზეც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს.

უნდა ითქვას, რომ სოციალისტ-ფედერალისტების პარტია დაკომპლექტებული იყო იმ ადამიანებით, ვინც ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიის“, შემდგომ კი „ცნობის ფურცლის“ გარშემო შეიკრიბნენ და რომელთაც ილიამ ფაქტობრივად გადააბარა „ივერიის“ მართვა. არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი (დამოუკიდებელი საქართველოს განათლების პირველი მინისტრი), გიორგი და ანდრია დეკანოზიშვილები, ვლადიმერ ლორთქიფანიძე და სხვები ყველაზე აქტიურად ჟორდანიას და სოციალ-დემოკრატებს ოპონირებას უწევდნენ ეროვნულობის საკითხის გარშემო. მათი მიზანი ბევრად სცდებოდა ჟორდანიას კულუტურული ავტონომიის მოდელს და მიისწრაფოდა პოლიტიკური ავტონომიისაკენ, რაც შესაძლოა განვიხილოთ დამოუკიდებლობის პირველ ფაზად. ამასთან, სოციალისტ-ფედერალისტებს, რომელთაც პარტია 1904 წლის აპრილში დააფუძნეს ჟენევაში, უკავშირდებათ გაზეთ „საქართველოს“ დაფუძნებაც, რომელიც პარიზში გამოიცემოდა და რომელსაც გააჩნდა ფრანგულენოვანი ვერსიაც „ლა ჟეორჟი“. სწორედ „ლა ჟეორჟის“ უკავშირებენ ქართული პრობლემატიკის და საქართველოს ეროვნული პრეტენზიების პირველ აქტიურ და მასშტაბურ გაშუქებას ევროპულ პრესაში. (საქართველოს არქივის 2018 წლის საიუბილეო კატალოგი

„საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა - 100“; ჟურნალი „სახალხო საქმე“, 1932, IV, გვ. 7).

წინამდებარე ნაშრომის კვლევის ინტერესიდან და განსაზღვრული საკვლევი დროის მონაკვეთიდან გამომდინარე, უნდა შევეხოთ „სოციალისტ-რევოლუციონერების“ პარტიასაც, რომელიც მართალია ეროვნულობის საკითხებზე დებატებში დიდ აქტიურობას არ იჩენდა და მისთვის ძირითად ამოსავალს უფრო სოციალური და კლასობრივი პრობლემატიკა წარმოადგენდა, თუმცა, თავისი მნიშვნელოვანი როლი გააჩნდა 1910-იანი წლების პოლიტიკურ დისკუსიასა და დებატებში, რაც ზემოთ მოყვანილი საარქივო მასალის გაანალიზებისასაც გამოჩნდა. აღნიშნული პარტიის სათავეები დაკავშირებულია 19001-1902 წლებში რუსეთში შექმნილ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიასთან, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ორგანიზაცია გახლდათ და რომლის დასაყრდენიც რუსი გლეხობა იყო. ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერები სწორედ რუსეთში ჩამოყალიბებული პარტიის ნაწილს წარმაოდგენდნენ და მათთან აქტიურ კოორდინაციაში იმყოფებოდნენ. ადგილზე მათ რიგებში მრავლად იყვნენ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პარტიის წევრთა ნაწილი, რომელთაც ეროვნული სენტიმენტები გააჩნდათ, გამოეყვნენ მათ და შეურთდნენ სოციალისტ-ფედერალისტებს. საბოლოოდ, 1918 წლის მაისში გამართულ ესერთა პარტიის მეშვიდე ყრილობაზე პარტიაში მოხდა განხეთქილება და ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერები გამოეყვნენ რუსეთის პარტიას, რის შედეგადაც ადგილზე დააფუძნეს დამოუკიდებელი, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერების პარტია (მაცაბერიძე, 2008, გვ. 15-16).

ყურადღების მიღმა ვერ დარჩება ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელიც 1917 წელს ილია ჭავჭავაძის მიერ 1905-06 წლებში შედგენილი პროგრამის საფუძველზე კონსტანტინე აფხაზმა, სპირიდონ კედიამ, ნიკო ნიკოლაძემ და სხვებმა დააფუძნეს და რომელსაც მკაფიოდ გამოხატული მემარჯვენე იდეოლოგია გააჩნდა. მათთვის ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა საკვანძო საკითხს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ პარტიის სახით ისინი მოგვიანებით ჩამოყალიბდნენ, მთელი 1910-იანი წლების განმავლობაში აქტიურად ეწეოდნენ ეროვნული

დამოუკიდებლობის იდეის საზოგადოების სხვადასხვა ფენაში გავრცელებას. ისინი თავიანთ თავს რომელიმე კონკრეტული კლასის ინტერესების გამოხატვაზე მაღლა აყენებდნენ და მიაჩნდათ, რომ სწორი პოზიცია იყო საზოგადოებაში არსებული ყველა კლასის ინტერესების გამოხატვა და არა რომელიმე კონკრეტული ვიწრო ინტერესებიდან გამოსვლა. ეროვნულ-დემოკრატები 1917 წლის ეროვნული კრების ნოემბერში მოწვეული ეროვნული ყრილობის ფარგლებში და მთელი იმ პერიოდის განმავლობაში აჩენდნენ მაღალ საელმწიფოებრივ აზროვნებას და ცდილობდნენ ყრილობაში შემავალ სხვა პარტიებთან თანამშრომლობისა და შეხების საერთო წერტილების გამონახვას იმისათვის, რათა მომხდარიყო პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია და აერთო ეროვნული საქმის წინ წაწევა, ნაცვლად განსხვავებებზე აპელირება და დაპირისპირება. უნდა აღინიშნოს, რომ მათი ხედვები, ჯერ კიდევ 1905-06 წლებში გამოქვეყნებულ პროგრამაში, მოიცავდა ისეთ საკითებს, როგორიცაა კერძო საკუთრების უფლების მნიშვნელობა, მოქალაქეთა თანასწორობა კანონის წინაშე მიუხედავად ეთნიკური, რელიგიური და სხვა ნიშნებისა, ეკლესიისა და სახელმწიფოს მკაფიო გამიჯვნა, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება და ა.შ. ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ეროვნულ-დემოკრატები პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ფიქრობდნენ და აანალიზებდნენ ომის სხვადასხვა სცენარით დამთავრების შემთხვევაში საქართველოს მიერ გადასადგმელ შესაძლო ნაბიჯებს, რათა ქვეყანა მაქსიმალურად მომზადებული ყოფილიყო სიტუაციის ნებისმიერი განვითარებისთვის და ერთგვარად გამოეყენებინა შექმნილი ვითარება ეროვნული იდეის განხორციელებისთვის. მათ აქტიური კავშირი ჰქონდათ 1914 წელს ევროპაში დაფუძნებულ საქართველოს განთავისუფლების კომიტეტთან, რომელსაც სათავეში სწორედ ეროვნულ-დემოკრატი პეტრე სურგულაძე ედგა (მაცაბერიძე, 2008, გვ. 5-20). 1917 წლის პროგრამაში ეროვნულ-დემოკრატიული პარტია განსაკუთღებულ ყურადღებას ამახვილებს ეროვნულობის საკითხზე და შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ ნიადაგზე აგებს მთელ თავის ხედვას. მიიჩნევს რა, რომ ერი და მასთან დაკავშირებული საკითხები არის უმთავრესი პოლიტიკური მოქმედებისთვის და რომ მას გააჩნია მთელი რიგი საჭიროებები. ისინი კვლავ ამახვილებენ ყურადღებას მოქალაქეთა თანასწორობაზე, კერძო საკუთრებაზე, საგარეო პოლიტიკაში ქვეყნის

ინტერესების დაცვის აუცილებლობაზე, პოლიტიკური პროცესების გახსნაზე და მასში ყველა მოქალაქის ჩართულობაზე და ა.შ (ჯანელიძე, 2002, გვ. 168-172). უნდა ითქვას, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია თავისი დეკლარირებული ხედვებით წარმოადგენდა იმ დროისთვის ერთ-ერთ ყველაზე უფრო პროგრესულ, პრინციპულ და პატრიოტულ პოლიტიკურ ჯგუფს.

აღსანიშნავია, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში თავისი ადგილი ჰქონდათ ქართველ ანარქისტებსაც, რომელთა თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლდათ ვარლამ ჩერქეზიშვილი. ჩერქეზიშვილი აქტიურად აკრიტიკებდა მე-19 საუკუნის სოციალისტურ მოძრაობას და მარქსისა და ლენინის იდეებს. იგი თვლიდა, რომ მათი მოსაზრებები ახალი დიქტატურისკენ მიდიოდა და არა რეალური რევოლუციისკენ (ბერიძე, 2019). ასევე, პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობდნენ და დემოკრატიული პროცესების განვითარებაში მონაწილეობდნენ ისეთი პოლიტიკური ჯგუფები თუ ორგანიზაციები, როგორებიც იყო სომეხთა რევოლუციური პარტია „დაშნაკციუთუნი', საქართველოს მუსულმანთა ეროვნული საბჭო, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია და ა.შ. პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობა და საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა ეძლეოდათ დამოუკიდებელ პოლიტიკურ მოღვაწეებსაც.

ამდენად, ცალსახაა, რომ 1910-იან წლებში საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მწვავე და მეტად იდეოლოგიზირებული დებატები ერის მომავალი ცხოვრების, ნაციონალური იდეის თუ სახელმწიფო მოწყობის შესახებ იშვიათ მოვლენას ნამდვილად არ წარმოადგენდა და არც იმჟამინდელ საზოგადო თუ პოლიტიკურ მოღვაწეებს აკლდათ არგუმენტები საკუთარი შეხედულებების დასასაბუთებლად. რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და დასაფასებელია, მიუხედავად აზრთა რადიკალური სხვადასხვაობისა მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით, ცალსახაა მათი ფიქრი და მოქმედებები მიმართული იყო საზოგადოების საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფისაკენ და სწორედ ამ ძიებას და იდეათა შეჯიბრს მოჰყვა საბოლოოდ დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს შექმნამდე მისვლა პირველი რეალური შესაძლებლობის გაჩენისთანავე.

3.3 ცვლილებები საერთაშორისო სისტემაში 1910-იან წლებში

უპირველეს ყოვლისა, სანამ უშულოდ იმ პროცესებისა და მოვლენების აღწერასა და შეფასებაზე გადავიდოდეთ, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია წინამდებარე ნაშრომის მიზნებისათვის, აუცილებელია განიმარტოს ტერმინი საერთაშორისო სისტემა იმ მნიშვნელობით, რომლითაც იგი მოიაზრება ამ კვლევის ფარგლებში. საერთაშორისო სისტემა ეს არის ელემენტთა სიმრავლე, რომლებიც ერთმანეთთან მიმართებაში და ურთიერთქმედებაში ქმნიან მთლიანობას, ერთიანობას. მის შესახებ წარმოდგენა დაკავშირებულია ისეთ ცნებებთან, როგორებიცაა ელემენტი, მთლიანობა, სტრუქტურა, კავშირი, იერარქია, ქვესისტემა. საერთაშორისო სისტემის მთავარ ელემენტებად მიიჩნევა ერი-სახელმწიფოები, ხოლო მნიშვნელოვან მოთამაშეებად ასევე შესაძლებელია ჩაითვალონ საერთაშორისო ორგანიზაციები, ტრანსნაციონალური კორპორაციები, რელიგიური ორგანიზაციები, საერთაშორისო ტერორისტული ქსელები და ა.შ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სისტემა ჩაკეტილი სისტემაა და მასში ჩართული ელემენტები განიცდიან გავლენას მხოლოდ ურთიერთქმედების შედეგად (რონდელი, 2006, გვ. 41).

1814–1815 წლების ვენის კონგრესზე, სადაც მოხდა ნაპოლეონის ომების შემდგომი ევროპის და ფაქტობრივად მსოფლიო წესრიგის განსაზღვრა, მოხერხდა ისეთი ბალანსის დამყარება დიდ ძალებს შორის, რომელმაც მომდევნო ერთი საუკუნის მანძილზე ფუნდამენტური საერთაშორისო პოლიტიკური კატაკლიზმები გამორიცხა. ევროპული და შესაბამისად მსოფლიო უსაფრთხოება დამყარებული იქნა ალიანსებზე, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავიც კი იყო. თუმცა, ამ პოლიტიკამ თავისი შედეგი გამოიღო. მხოლოდ მე–20 საუკუნის დამდეგიდან, როდესაც პრუსიის გარშემო ახლადგაერთიანებული გერმანია სწრაფ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროგრესს განიცდის, ავსტრია–უნგრეთის იმპერია უკვე ვეღარ უძლებს ნაციონალურ გამოვლინებებს იმპერიის შიგნით და პრობლემები ექმნება ახლო სამეზობლოში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ოსმალეთის იმპერია ფაქტობრივად დაშლის პირასაა მისული ორი წაგებული ომისა და ეკონომიკის ნგრევის გამო, ხოლო

რუსეთში სოციალურ ნიადგაზე წარმოშობილი და ძალზედ პოპულარული რევოლუციური მოძრაობა ძლიერდება, იქმნება საუკეთესო ნიადაგი იმისათვის, რათა მოხდეს არსებული წესრიგის გადახედვა, ანუ ვენის კონგრესის შედეგად ჩამოყალიბებული საერთაშორისო სისტემის რევიზია. უნდა ითქვას, რომ მსოფლიოს უდიდეს ძალებს მოუწიათ გაეაზრებინათ, რომ ძველებურად გაგრძელება ფაქტობრივად შეუძლებელი იყო და შექმნილი ვითარება იძულებულს ხდიდა მათ, რათა ეფიქრათ იმ პატარა თუ შედარებით დიდი ერების თვითგამორკვევის უფლების დაშვებაზე, რომლებიც მანამდე საუკუნეების განმავლობაში სწორედ მათი იმპერიების შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენდნენ.

დიდი ცვლილებებისთვის დამატებით ხელშემწყობ ფაქტორებს წარმოადგენდა რკინიგზის განვითარება ევროპაში, საბრძოლო ტექნოლოგიების დახვეწა, არსებული გენერალიტეტის სწრაფვა ომისაკენ და მათი დიპლომატიის კონტროლისაგან გასვლა, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ალიანსებისა და ძალთა ბალანსის მშვიდობისა და წესრიგის საუკუნედ წოდებული პერიოდის შინაარსს (Kissinger, 2014, pp. 76-86). მნიშვნელოვანი როლი მასშტაბური ცვლილებების პროვოცირებაში ითამაშა ინგლისის ხანგრძლივმა, ერთგვარმა ნეიტრალიტეტმაც, რომლის შედეგადაც იმ დროისათვის მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფო, შიძლება ითქვას, საშუალებას აძლევდა სისტემის სხვა მოთამაშეებს მიეყვანათ ევროპა და როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, მსოფლიო დიდ დაპირისპირებამდე. დაპირისპირების საბაბი კი, როგორც ცნობილია, გახდა ბოსნიელი სერბი ნაციონალისტის მიერ სარაევოში ავსტია–უნგრეთის ტახტის მემკვიდრის ერცჰერცოგ ფრანც ფერდინანდის მკვლელობა, რომლის შედეგადაც ოფიციალურმა ვენამ სერბეთს მკაცრი ულტიმატუმი წაუყენა, მის პირობებზე დაუთანხმებლობის და ულტიმატუმის ვადის გასვლისთანავე კი, 1914 წლის 28 ივლისს ავსტრია–უნგრეთმა დაიწყო სერბეთის დედაქალაქ ბელგრადის დაბომბვა – ამით დაიწყო საერთაშორისო პოლიტიკის არსებული, ერთ საუკუნოვანი სისტემის გარდაქმნა, რომელმაც იმაზე გაცილებით დიდი ძვრები გამოიწვია მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე, ვიდრე ვინმეს ამის წარმოდგენა შეეძლო.

დიდ ომში, რომელსაც მოგვიანებით მსოფლიო ომი უწოდეს, ერთ ალიანსში (ანტანტა) აღმოჩნდნენ ინგლისი თავისი დომინიონებითა და კოლონიებით, საფრანგეთი და რუსეთი, ხოლო მოგვიანებით, 1917 წლიდან მათ შეუერთდა ამერიკის შეერთებული შტატები. მეორე მხარეს (სამთა კავშირი) კი გერმანია, ავსტრია–უნგრეთი და იტალია, რომელიც ომის დაწყებიდან მოკლე პერიოდში ანტანტის მხარეს გადავიდა, მისი ადგილი კი ოსმალეთმა დაიკავა. დასაწყისისათვის ომი ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა დაპირისპირებულ მხარეებს შორის. შეიძლება ითქვას, რომ ანტანტის გამარჯვება, რუსეთის იმპერიაში განვითარებული მოვლენების, მონარქიის გაუქმების, 1917 წლის ოქტომბერში კი ბოლშევიკური რევოლუციის შედეგადად, ამ ქვეყნის გერმანიასთან კაპიტულანტური ზავის გაფორმებითა და ომიდან გამოთიშვის შემდგომ, გადაწყვიტა შეერთებული შტატების მიერ მოკავშირეების უზრუნველჰყოფამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მატერიალური რესურსებითა და დახმარებამ ცოცხალი ძალით, რასაც სამთა კავშირის ერთადერთმა ძლიერმა სახელმწიფომ – გერმანიამ, ვეღარ გაუძლო და 1918 წლის 11 ნოემბერს 11 საათზე კომპიენის ტყეში ხელი მოაწერა მისთვის დამამცირებელ კაპიტულაციის აქტს.

ბევრი მკვლევრისათვის, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ შეხედონ წარსულის ერთიან სურათს და კრიტიკულად გააანალიზონ პირველი მსოფლიო ომის შედეგების შემაჯამებელი და შემდგომი საერთაშორისო წესრიგის განმსაზღვრელი პარიზში გამართული სამშვიდობო კონფერენცია, რომლის ცენტრალური აქტი ვერსალის სასახლეში გაფორმდა, მიიჩნევენ, რომ ეს პროცესი, განსხვავებით წინა სისტემის გამსაზღვრელი ვენის კონგრესისგან, უკვე ჩანასახშივე შეიცავდა ახალი, დიდი დაპირისპირებების საფუძველს. ეს იყო ილუზიების და არაფერზე დამყარებული მოლოდინების, მუდმივი გაურკვევლობისა და არასტაბილურობის ოცწლიანი პერიოდის წარმომქმნელი ფორუმი, რომელიც იდეის დონეზე შესაძლოა სრულიად მისაღებ დებულებებს შეიცავდა, თუმცა, არ განსაზღვრავდა შეთანხმების აღსრულების ეფექტურ მექანიზმებს, რაც რეალური პოლიტიკისათვის, როგორც წესი გადამწყვეტია.

ასევე პრობლემატური გახლდათ ის ფაქტიც, რომ პარიზის სამშვიდობო კონფერენცია, მიუხედავად საჯაროდ გამოთქმული დაპირებებისა, არც ღია და გამჭვირვალე ყოფილა და არც გამარჯვებული 27 ქვეყნის თანასწორუფლებიანი ჩართულობით წარმართულა. ძირითადი მოლაპარაკებები „დიდი ოთხეულის“ (ა.შ.შ., საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია) ან როდესაც საქმე აღმოსავლეთის საკითხებს შეეხებოდა, „დიდი ხუთეულის“ (ა.შ.შ., საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია, იაპონია) არაფორმალურ შეხვედრებზე წყდებოდა და აქაც გადამწყვეტი სიტყვა ამერიკის შეერთებულ შტატებს, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს გააჩნდათ. ლიდერების მიერ საზოგადოებრივი და შიდა პოლიტიკური ელიტების აზრების გაუთვალისწინებლობამ, ვაშინგტონში, ლონდონსა და პარიზშიც კი დადებული შეთანხმებების არამხოლოდ ეფექტურობა, არამედ ლეგიტიმაციაც დასაწყისშივე ეჭვქვეშ დააყენა. ამ ყოველივეს შედეგად საერთაშორისო ურთიერთობებში იდეალიზმის ეპოქა წარმოიშვა, რითაც უკვე მე-20 საუკუნის 30-იან წლებში კარგად ისარგებლეს ჰიტლერმა და მისმა თანამოაზრეებმა და რეალპოლიტიკის საუკეთესო ტრადიციების გამოყენებით ეტაპობრივად მიაღწიეს დასახული მიზნების მნიშვნელოვან ნაწილს. უფრო მეტიც, პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული სამი დიდი სახელმწიფოს (ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი), რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ ვერსალის სისტემის ფუნქციონირებზე როგორც მისი მთავარი შემოქმედნი, პასიურმა და ერთგვარად დამყოლმა საგარეო პოლიტიკამ ჰიტლერს და მის მოკავშირეებს შეუქმნა ილუზია, რომ შეეძლოთ იმაზე მეტი, ვიდრე ეს რეალობას შეესაბამებოდა და ვერსალის სისტემაც ფაქტობრივად ერთ თაობაში ჩამოიშალა (ქილორი, 2011, გვ. 101-134).

თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ პირველი მსოფლიო ომის შედეგების შეჯამებისას, ხშირად ისმის შეფასება – გლობალური რევოლუციაც. თუკი გავითვალისწინებთ იმ გარდაქმნებს, რაც ამ ომს მოჰყვა როგორც მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე, ისე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განვითარების თვალსაზრისით მთელ მსოფლიოში, იგი ნამდვილად იყო გლობალური რევოლუცია (Sondhaus, 2011, pp. 1-5). მისი შედეგი იყო არამხოლოდ დიდ იმპერიათა რღვევა, არამედ მათ ნანგრევებზე ძველი სახელმწიფოების აღდგენა,

რიგ შემთხვევაში კი ახალი ერთეულების წარმოქმნაც. ფაქტობრივად, პირველმა მსოფლიო ომმა საერთაშორისო საზოგადოებაში შექმნა ეროვნული სუვერენიტეტისადმი ლოიალური განწყობა, რითაც ეს პერიოდი ცალსახად განსხვავდება მეორე მსოფლიო ომისა და ცივი ომის ბოლო პერიოდში არსებული განწყობებისაგან, როდესაც უპირატესობას წამყვანი სახელმწიფოები ანიჭებდნენ სახელმწიფო სუვერენიტეტს, ანუ არსებული საზღვრების ურღვეობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. ეს პროცესი კი საბოლოოდ აღიარებულ იქნა ვერსალის 1919 წლის საზავო ხელშეკრულებით, რომელმაც აღიარა ყოფილ იმპერიათა ტერიტორიაზე არსებული ერების თვითგამორკვევის უფლება. როგორც უკვე აღვნიშნე, პირველი მსოფლიო ომის ერთ–ერთი შედეგი, როგორც მისი მიმდინარეობის, ისე დასრულების შემდგომ, ძველი სახელმწიფოების აღდგენა იყო, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე რუსეთის, ოსმალეთის, ან ავსტრია–უნგრეთის იმპერიების შემადგენლობაში შედიოდნენ. ასეთ სახელმწიფოს წარმოადგენდა საქართელოც, რომელიც მე–19 საუკუნის დამდეგიდან ანექსირებულ იქნა რუსეთის იმპერიის მიერ.

სწორედ რუსეთის იმპერიაში შექმნილი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისი უნდა მივიჩნიოთ მთავარ საგარეო ფაქტორად იმ დროინდელი საქართველოსთვის. იმ აღქმებზე, მოლოდინებსა და ფრთხილ დამოკიდებულებებზე, რასაც იჩენდა საქართველოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ელიტა რუსეთში მიმდინარე პროცესებისადმი, შემდგომ თავებში დეტალურად იქნება გაშლილი მსჯელობა. თუმცა, აქ აუცილებელია ითქვას იმ ძირითადი პროცესების შესახებ, რასაც განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან ჰქონდა ადგილი რუსეთის იმპერიაში.

ბუნებრივია, ომი ის მოვლენაა, რაც ნებისმიერ სახელმწიფოს ძვირი უჯდება როგორც ფინანსურად, ისე ადამიანური რესურსის გათვალისწინებით. ხოლო, მმართველი ძალა, იქნება ეს მონარქი, დიქტატორი თუ დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება განიცდის პოლიტიკურ ზეწოლას საზოგადოების მხრიდან და ზოგიერთ შემთხვევაში მმართველის ლეგიტიმაციის საკითხიც კი შეიძლება დადგეს. იმ ვითარების გათვალისწინებით კი, რაც 1917-1918 წლებში რუსეთის იმპერიაში იყო

- გაკოტრებამდე მისული სახელმწიფო ხაზინა, მოშიმშილე ჯარი ფრონტის ხაზზე, სოციალური აფეთქება იმპერიის სხვა და სხვა წერტილში, განსაკუთრებით ძლიერი სოციალური მოძრაობით დედაქალაქში. ამასთან, მკვეთრად გამოხატული იდეოლოგიით შეიარაღებული და კარგად ორგანზიებული ოპოზიცია, რომელიც წლების განმავლობაში ესწრაფვოდა არსებული მმართველი ელიტის რევოლუციური გზით გადატრიალებას, სიტუაციის განვითარების ბევრ შესაძლო ვარიანტს ფაქტობრივად არ ტოვებდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ პარლამენტში ღიად დაიწყეს იმპერატორის გადაყენებასა და მოკვლაზე საუბარი. პეტროგრადის მახლობლად ზამთრის რეზიდენციაში გადასული იმპერატორი ფაქტობრივად ვეღარ აკონტროლებდა სიტუაციას ქვეყანაში. სწორედ ამ ვითარებაში, 1917 წლის თებერვალში (ახალი სტილით მარტის დასაწყისში) იმპერატორის სახელით პრემიერ-მინისტრმა პარლამენტს დაშლისაკენ მოუწოდა, თუმცა მოვლენები საპირისპიროდ განვითარდა და პარლამენტმა იმპერატორი გამოაცხადა დამხობილად. რამდენიმე დღეში იმპერატორი ნიკოლოზ II ტახტიდან გადადგა და მონარქია დაემხო. ხელისუფლება გადავიდა პარლამენტის ხელში, რომელიც საკმაოდ მრავალფეროვანი შემადგენლობის გახლდათ. თებერვლის რევოლუციის შედეგად ძალაუფლებაში მოვიდა ძალზედ ჭრელი შემადგენლობის და სუსტად ორგანიზებული ძალები, რომელთაც გადამწყვეტ მომენტებში არა მხოლოდ გადაწყვეტილებების მიღება უჭირდათ, არამედ უკვე მიღებული გადაწყვეტილებების გადათქმაც ჩვეულ მოვლენად დაამკვიდრეს. მათ შორის, გადატრიალების მცდელობაში დადანაშაულებული, დაპატიმრებული ოპონენტების ციხიდან გამოშვება იმ მოტივით, რომ მათ გულებს მოიგებდნენ და სამხედრო ელიტასთან არსებულ კონფლიქტში დაიხმარდნენ. ამ ვითარებაში, 1917 წლის მარტში (ახალი სტილით 3 აპრილს) ციურიხიდან რუსეთში ჩადის ლენინიც. ბოლშევიკებთან უკვე აქტიურად თანამშრომლობს კიდევ ერთი გამორჩეული ფიგურა, ქარიზმატული და განათლებული ფანატიკოსი - ტროცკი (ლევ ბრონშტეინი), რომლის პროპაგანდამაც მალევე მოიცვა მოსკოვი (შარაშენიძე, 2016). ყველაფერი კი საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ 1917 წლის ოქტომბერში, მონარქიის გადაგდებიდან 7 თვეში მოხდა მეორე რევოლუცია, რომელსაც არავინ ელოდა, რადგან ბოლშევიკებს მცირე და

ნაკლებად გავლენიან ჯგუფად მიიჩნევდნენ. თუმცა, მათ ერთ ღამეში მოახერხეს ყველა სტრატეგიული ობიექტის დაკავება და ძალაუფლების ხელში ჩაგდება. საბოლოოდ, სწორედ ოქტომბრის რევოლუცია და ბოლშევიკების მოსვლა რუსეთის სათავეში შეიძლება მივიჩნიოთ ერთ-ერთ გადამწყვეტ მომენტად საქართველოში რუსეთისგან გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოცხადების გადაწყვეტილების მომწიფებისათვის, ვინაიდან ქართველ სოციალ-დემოკრატებს, რომელთა უდიდესი ნაწილი მენშევიკებს წარმოადგენდნენ მკვეთრი იდეოლოგიური მიუღებლობა ჰქონდათ ბოლშევიკებისადმი. უფრო დეტალურად რუსეთის იმპერიის ცენტრში 1917 წლისთვის არსებულ ვითარებაზე, რასაც პირდაპირი გავლენა ჰქონდა საქართველოში მიღებულ გადაწყვეტილებებზე, შემდეგ ქვეთავშია საუბარი.

3.4 საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკა, როგორც საერთაშორისო სისტემაში მომხდარი ცვლილებების შედეგი

საქართველო, როგორც იმპერიათა საზღვარზე მდებარე პატარა ქვეყანა ყოველთვის იდგა საფრთხის წინაშე და თვითგადარჩენის მიზნით, მუდმივად უწევდა ლავირება დიდ ძალებს შორის. განსხვავებით სხვა ევროპული ერებისაგან, რომელთაც დამოუკიდებლობა აღიდგინეს, ან მოიპოვეს პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, თუ მის დასასრულს რომელიმე იმპერიის რღვევისას, საქართველო ამ შემთხვევაშიც საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. საგულისხმოა, რომ პატარა საქართველო მსოფლიო ომის ორი სხვადასხვა ბანაკის წევრთა, ანტანტისა და სამთა კავშირის, ინტერესის ობიექტი გახლდათ. თუკი იგი თავს დააღწევდა რუსეთს, შეიძლებოდა ოსმალეთის მიერ აღმოჩენილიყო დაპყრობილი. იმ რთული ვითარების გასაანალიზებლად, რომელშიც 1910–იან წლებში იმყოფებოდა საქართელოს პოლიტიკური ელიტა, მისი გადაწყვეტილების მიმღები პირები, რა პირობებში მიიღეს გადაწყვეტილება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ და იმ სურათის აღსაქმელად, თუ რამხელა იყო საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესების დაწოლა მათზე, ცალკე გამოვყოფ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანს, აღნიშნულ პერიოდში რუსეთის იმპერიაში განვითარებულ მოვლენებს, მის პოლიტიკას სამხრეთ კავკასიის მიმართ, კონკრეტულად

საქართველოსთან დამოკიდებულებას, ასევე ოსმალეთის იმპერიის ინტერესს საქართველოს მიმართ და მის მიერ განხორციელებულ პოლიტიკურ ქმედებებს ამ მიმართულებით, რის ფონსაც იძლეოდა სწორედ პირველი მსოფლიო ომი. ასევე, გერმანიის პოლიტიკას და მის როლს კავკასიური ფრონტის მიმართ და კერძოდ, საქართველოში განვითარებულ პროცესებში. კვლევის ამ ნაწილში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დარგის იმ ექსპერტთა მოსაზრებებს, რომელთაც გააჩნიათ შესაბამის საკითხებზე მუშაობის შთამბეჭდავი გამოცდილება და ექსპერტიზა. მათი დასკვნები იძლევა საშუალებას გამყარებულ იქნას წინამდებარე ნაშრომში გამოთქმული ჰიპოთეზა და ვაჩვენოთ შესასწავლი საკითხი განსხვავებული პერსპექტივებიდან.

გამოკითხული ექსპერტები ცალსახად მიუთითებენ საერთაშორისო ფაქტორების გავლენაზე ქართული ნაციონალური პროექტის განხორციელების - სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობამდე მისვლის პროცესში და აღნიშნავენ, რომ პირველი მსოფლიო ომის და მისი თანმდევი პროცესების გარეშე, ფაქტობრივად შეუძლებელი იქნებოდა მინიმუმ მე-20 საუკუნის 10-იან წლებში საქართველოს არათუ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოყოფა რუსეთის იმპერიისგან, არამედ ამ მიმართულებით რაიმე სახის მნიშვნელოვანი, ხელშესახები ნაბიჯების გადადგმაც კი. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სწორედ პირველმა მსოფლიო ომმა, ამ ომის გავლენამ რუსეთის იმპერიის შიდა პოლიტიკურ პროცესებზე და ოსმალეთის იმპერიასთან დადებულმა ბრესტის ზავმა გააჩინა შესაძლებლობათა რეალური ფანჯარა საქართველოსთვის, რათა გადაედგა კონკრეტული ნაბიჯები დამოუკიდებლობისაკენ. რაც წინამდებარე ნაშრომისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გამოკითხული ექსპერტები ძირითადად იზიარებენ იმ მოსაზრებასაც, რომ სოციალ-დემოკრატთა ჯგუფი, ვინც 10-იან წლებში წარმოადგენდა საქართველოს პოლიტიკური ელიტის ძირითად ნაწილს, ხშირ შემთხვევაში იდეურად და პირადი ფაქტორების გათვალისწინებით წინააღმდეგობაში მოდიოდნენ საკუთარი გადაწყვეტილებებითა და ქმედებებით თავისივე დეკლარირებულ პოლიტიკასთან, რასაც თითქმის მთელი წინა ორი ათწლეული ქადაგებდნენ. საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა

ინსტიტუტის პროფესორი, მკვლევარი თორნიკე შარაშენიძე პირისპირ ინტერვიუში ხაზს უსვამს, რომ 1918 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადებას სულაც არ უძღვოდა წინ სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ, უფრო მეტიც მას გაუგებრად მიაჩნია, თუ საიდან მოდის მოსაზრება, რომ აღნიშნულ პროცესს შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა მაშინ, როდესაც ქართველი სოციალ-დემოკრატების მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი იდეოლოგიური ხედვებიდან და კარიერული განვითარებიდან გამომდინარე თავს კომფორტულად გრძნობდა რუსეთის იმპერიაში და რომ არა 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკური კონტრრევოლუცია და ბოლშევიკების მიერ გერმანიასთან და აგრეთვე, როგორც მის მოკავშირესთან, ოსმალეთის იმპერიასთან გაფორმებული ბრესტის ზავი, დიდი ალბათობით არანაირ დამოუკიდებლობაზე საუბარი ქართველი მენშევიკი სოციალ-დემოკრატების მხრიდან არ იქნებოდა. თავისი მოსაზრების გასამყარებლად შარაშენიძე მიუთითებს ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, როგორიცაა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომ რუსეთის დროებით მთავრობაში ერთი ქართველი მინისტრის და რუსეთის დუმაში არაერთი ქართველი პოლიტიკოსის ყოფნაა, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი იმპერიის შიდა პოლიტიკურ პროცესებში (თ. შარაშენიძე, პირადი კომუნიკაცია, 7 ნოემბერი 2017). ოქტომბრის ბოლშევიკური რევოლუციის შესახებ შარაშენიძის აზრს იზიარებს პროფესორი გია ნოდიაც, რომელიც თვლის, რომ სწორედ აღნიშნული რევოლუცია იყო მთავარი ბიძგი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის: „ცხადია, ერთია, რომ მოხდა ის, რაც მოხდა და მეორე მხრივ, ალბათ, ასეთი რადიკალური რამ რაც იყო ბოლშევიკური გადატრიალება, ყველაზე მეტად შეუწყო ხელი, ბიძგი მისცა საქართველოს რომ გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა.“ აქვე ნოდია ყურადღებას ამახვილებს უშუალოდ საერთაშორისო პოლიტიკის აქტორების მიზნებზე პირველი მსოფლიო ომის დროს და იმ შედეგებზე რაც მოჰყვა ამ ომს რეალურად. კერძოდ, მისი აზრით არავის მიზანი არ ყოფილა პირველ მსოფლიო ომში იმპერიათა დაშლა, თუმცა, რაც მოხდა ავსტრია-უნგრეთის და ოსმალეთის შემთხვევაში, იქონია ე.წ. „დემონსტრაციის ეფექტი“ საქართველოზეც და დაისვა ლეგიტიმური კითხვა, თუკი ორი დიდი იმპერიის დაშლა შესაძლებელია, რატომ არ შეიძლება იგივე მოხდეს რუსეთის იმპერიის შემთხვევაშიც. გია ნოდია

თვლის, რომ აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე საერთაშორისო პოლიტიკური კონიუნქტურა ერთგვარად იყო ერი-სახელმწიფოების შექმნისკენ მიმართული (გ. ნოდია, პირადი კომუნიკაცია, 19 დეკემბერი 2017).

ქართველი სოციალ-დამოკრატების პოზიციების ცვლას და ნაციონალიზმის წინააღდეგ მათი ხანგრძლივი ბრძოლის შემობრუნებას დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს შექმნისკენ, ბოლშევიკებთან იდეურ შეუთავსებლობას, საერთაშორისო გარემოს ცვლილებას, ძველი სისტემის მოშლას და საქართველოსთვის ხელსაყრელი საგარეო პარტნიორის - გერმანიის გამოჩენას უკავშირებს ისტორიკოსი დიმიტრი შველიძე. პირისპირი ინტერვიუს დროს პროფესორი შველიძე აღნიშნავს, რომ რა თქმა უნდა სოციალ-დემოკრატები ნაციონალისტები არ იყვნენ და მთელი ოცდაათი თუ ოცი წელი ებრძოდნენ ნაციონალიზმს და ისინი რეალურმა ცხოვრებამ მიიყვანა რევოლუციამდე და დამოუკიდებლობამდე. უკანასკნელ დღეებამდე, უკანასკნელ კვირებამდე სოციალ-დემოკრატია წინააღმდეგი იყო დამოუკიდებლობის, ვიცით ეს ისტორიულად და ფაქტების გახსენება საჭირო აღარაა. ამის შემდეგ თავს იმართლებდნენ, დამოუკიდებლობა რომ გამოაცხადეს, რომ ისინი საქართველოს კი არ იცავდნენ და საქართველოს დამოუკიდებლობას, რევოლუციის მონაპოვარს იცავდნენ საქართველოში (დ. შველიძე, პირადი კომუნიკაცია, 8 დეკემბერი 2017). თუმცა, ამასთანავე დიმიტრი შველიძე აღნიშნავს, რომ მიუხედავად იდეოლოგიური გავლენებისა, შესაბმისი გარემოებების წარმოქმნის პირობებში, პატრიოტიზმის გრძნობა ნებისმიერ ერში ჰპოვებს გაძლიერებას და იმ ხვრელს, რომელსაც გამოიყენებს საკუთარი ეროვნული ინტერესების განსახორციელებლად. სწორედ პირველ მსოფლიო ომს მიიჩევს შველიძე მსგავს გარემოებად ქართული ნაციონალიზმის გამარჯვების წინაპირობად სოციალ-დემოკრატთა ინტერნაციონალიზმის იდეოლოგიურ შეხედულებაზე. რესპონდენტი მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმ ფაქტსაც, რომ სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ეროვნული სახელმწიფოების საკითხის წინ წამოწევა საერთაშორისო პოლიტიკის წამყვანი აქტორების მხრიდან, კერძოდ კი მიუთითებს ვუდრო ვილსონის 14 პუნქტიან დეკლარაციაზე, საიდანაც ერთ-ერთი პუნქტი სწორედ მცირე ერების უფლებაზე მიუთითებს მოახდინონ ეროვნული თვითგამორკვევა და შექმნან

საკუთარი სახელმწიფოები. შველიძე აღნიშნავს, რომ უილსონის ამ კონცეფციას დიდი იმედით შეჰყურებდნენ დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი ქართველი პოლიტიკოსები (დ. შველიძე, პირადი კომუნიკაცია, 8 დეკემბერი 2017). ბოლშევიკებთან ქართველი სოციალ-დემოკრატების იდეურ შეუთავსებლობას და ამ ფაქტორის გავლენას მენშევიკების მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების გადაწყვეტილებაზე აღნიშნავს პროფესორი დავით დარჩიაშვილიც, რომელიც კითხვაზე თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო 1917 წლის ოქტომბერში ბოლშევიკების მიერ მოწყობილი რევოლუციის გავლენა ქართველ სოციალ-დემოკრატებზე ჩამოშორებოდნენ რუსეთს, იგი პასუხობს, რომ ალბათ წლები, შესაძლოა თაობებიც კი დასჭირვებოდა იმას, რომ ქართული საზოგადოება მისულიყო სრული სუვერენიტეტის მოთხოვნამდე, რომ არა ოქტომბრის ბოლშევიკური რევოლუცია და ქართველი მენშევიკების იდეური შეუთავსებლობა მათთან (დ. დარჩიაშვილი, 7 ნოემბერი 2017).

როგორც ზემოთ უკვე არაერთხელ იქნა აღნიშნული, 1910-იანი წლები და განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომი ძალზედ კომპლექსური და მრავალწახნაგოვანი საერთაშორისო პოლიტიკით ხასიათდებოდა. 1914-1918 წლების მსოფლიო ომში რუსეთის იმპერია ანტანტის წევრის სახით მოგვევლინა, რომელიც ძალას არ იშურებდა ომში გამარჯვებისათვის. რა საკვირველია, მას საკუთარი მიზნები ჰქონდა ამ ომში, რაც უპირველესად დაკავშირებული იყო ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიებთან და უფრო მეტად შავი ზღვის სრუტეების კონტროლთან. მისი ინტერესები იკვეთებოდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზეც. თუმცა, იმისათვის, რათა რუსეთის იმპერიას მოეხდინა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა და ომში გამარჯვებისათვის მიეღწია მოკავშირეებთან ერთად, საჭირო იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი პირობის დაკმაყოფილება ქვეყნის შიგნით, პირველ რიგში სოციალურ–ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება, რაც ნიკოლოზ II ვერ მოახერხა. პირიქით, შექმნილი კრიზისული ვითარებიდან გამოსავლად, რაშიც იგულისხმება პერმანენტული საპროტესტო გამოსვლები ინფლაციის, რესურსების უკმარისობის, ჩაგვრის, სამუშაო პირობების გაუსაძლისობის გამო და ა.შ., ნიკოლოზმა, თავისი

პირადი მრჩევლების აზრის გათვალისწინებით, მასობრივი დაჭერები და სადამსჯელო ღონისძიბების გატარება მიიჩნია. იმ პირობებში, როდესაც იმპერიის ტერიტორიაზე, ეკონომიკის ¾ ფაქტობრივად გადაწყობილ იქნა ომის გამო სამხედრო მრეწველობაზე 1914 წლიდან 1917 წლამდე პერიოდში მანეთის მსყიდველობითი უნარი 4–ჯერ დაეცა, ძირითადი მოხმარების ნივთები და პროდუქცია 4–5–ჯერ გაძვირდა და ისიც შეზღუდული რაოდენობით იყო ხელმისაწვდომი. საქმეს კიდევ უფრო ართულებდა რუსული ჯარის მძიმე მდგომარეობა და ხშირ შემთხვევაში უდისციპლინობის გამო მარცხი ბრძოლის ველზე. შეინიშნებოდა ფაქტები, როდესაც ჯარის ნაწილები დამარცხებას კონკრეტულ წერტილებში სიხარულით ხვდებოდნენ, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ ამით მიღწეულ იქნებოდა სეპარატიული ზავისათვის საჭირო მდგომარეობა. აღნიშნული ვითარების გათვალისწინებით, მუშებმა და მათ კვალდაკვალ სამხედრო მოსამსახურეებმა, რა თქმა უნდა, ოპოზიციური პოლიტიკური მოძრაობების იდეოლოგიური მობილიზაციის ხელშეწყობით, მოახდინეს 1917 წლის თებერვლის რევოლუცია. აღსანიშნავია, რომ თებერვლის რევოლუციის დროს მუშებისა და გლეხების გვერდით აღმოჩნდა ნიკოლოზის მიმართ განაწყენებული არისტოკრატიის მნიშვნელოვანი ნაწილიც, რომელთაც ცოტა ხნით ადრე მისი ხელისუფლება ემყარებოდა. რევოლუციის გამარჯვება, რაც 1917 წლის 2–3 მარტს ჯერ ნიკოლოზ II, მეორე დღეს კი მისი ძმის მიხეილ ალექსანდრეს – ძის გადადგომით აღინიშნა, არ აღმოჩნდა პროცესების დამშვიდებისა და სიტუაციის გამოსწორებისათვის საკმარისი. ყოველივე იმის ფონზე, რაც იმპერიის ცენტრში ხდებოდა, რუსეთის სამხედრო ძალების ფაქტობრივმა კრახმა მსოფლიო ომში, დროებითი ხელისუფლების უუნარობამ, სამხედრო ძალების გადაადგილებამ პერიფერიული ოლქებიდან ცენტრის ან/და ფრონტის ხაზის მიმართულებით, შესაძლებელი გახადა იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრები მცირე ერებისათვის თვითგამორკვევის საკითხის გააქტიურება და შესაბამისი მოქმედებების დაწყება. კრიზისიდან გამოსავლის ძიების პროცესში, 1917 წელსვე, ოდნავ მოგვიანებით ოქტომბრის თვეში მოხდა მეორე რევოლუცია, რომლის შედეგადაც ქვეყნის სათავეში მოვიდნენ ბოლშევიკები და ნაცვლად დემოკრატიული გარდაქმნებისა დაიწყო ავტოკრატული რეჟიმის ფორმირება, რაც სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა მთელი

რიგი პოლიტიკური, თუ საზოგადოებრივი ჯგუფებისათვის ქვეყნის ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილში, მათ შორის ამიერკავკასიაში (გოდერიძე , 1999, გვ. 438–477).

ადგილობრივი, ქართული პოლიტიკური ელიტა საკუთარ თავს ხედავდა მხოლოდ დემოკრატიულ რუსეთთან კავშირში და არავითარ შემთხვევაში ბოლშევიკურ ავტოკრატულ იმპერიაში, რომლის მმართველი ჯგუფის მსოფლმხედველობა და პოლიტიკური მართვის სტილი მათთვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო. შეიძლება ითქვას, რომ 1917 წლის ოქტომბრის კონტრრევოლუციის შემდეგ, ქართველი მენშევიკები ნელ-ნელა იწყებენ პრაგმატული პოლიტიკის გატარებას. პირველ ეტაპზე ეს პროცესი განპირობებული იყო ბოლშევიკებისაგან თავის დასაცავად და ქართველი მენშევიკები პოზიციონირებდნენ როგორც თებერვლის რევოლუციის მონაპოვარის ერთგულები. სწორედ ამ მიზეზით, იყვნენ მოლოდინის რეჟიმში, რომ რუსეთში კვლავ დაბრუნდებოდა ლეგიტიმური ხელისუფლება და მათი იდეოლოგიური ხედვები უკვე ნაციონალური ელფერით, მაგრამ მაინც ხორცს შეისხამდა. ამის გამოხატულება იყო ის დისკუსიები, სხვა და სხვა ფორმატის მოსინჯვა და მიღებული გადაწყვეტილებები, რასაც ადგილი ჰქონდა 1917 წლის ოქტომბრიდან 1918 წლის მაისამდე საქართველოში და მთლიანად ამიერკვაკასიაში. კერძოდ, 1917 წლის 20 ნოემბერს ნოე ჟორდანიამ ეროვნულ ყრილობაზე წაიკითხა მოხსენება პოლიტიკურ შიდა მმართველობაზე და აღიარა საქართველოს ტერიტორიული ავტონომია (ეროვნული არქივი: „ხმა ქართველი ქალისა“ 1917 წლის 4 დეკემბერი); 1918 წლის 22 თებერვალს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გასცა მოწმობები ჩხენკელის, ლასხიშვილის და სხვების სახელზე, რათა მათ უცხო ქვეყნებთან ეწარმოებინათ მოლაპარაკებები საქართველოს ეკონომიკურ, ფინანსურ და პოლიტიკურ საკითხებზე (ილიაუნი, საქართველოს პროსოპოგრაფია, დოკუმენტი დაცულია ეროვნულ არქივში. ბიბლიოგრაფიაში იხ. ელექტრონული ლინკები), რითაც ფაქტობრივად უკვე იკვეთება დამოუკიდებლობისკენ გადადგმული ფრთხილი, მაგრამ ეფექტური ნაბიჯები. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გაცემული დოკუმენტები შედგენილი იყო სამ: ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე; 1918 წლის მარტში ტრაპიზონის კონფერენციის მეორე სხდომაზე ამიერკავკასია დამოუკიდებელ საერთაშორისო

აქტორად მოიხსენიება და აფიქსირებს პრეტენზიას ბრესტის ზავის პირობებთან დაკავშირებით, ხოლო 10 აპრილს აკაკი ჩხენკელმა და ნიკოლოზ ჩხეიძემ რადიოტელეგრამის საშუალებით მთელ მსოფლიოს აუწყეს ამიერკავკასიის სეიმის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა (ილიაუნი, საქართველოს პროსოპოგრაფია, დოკუმენტები დაცულია ეროვნულ არქივში. ბიბლიოგრაფიაში იხ. ელექტრონული ლინკები). თუმცა, პოლიტიკური ძალები რომ მაინც ძალიან დიდი სიფრთხილით უდგებოდა ნებისმიერ გადაწყვეტილებას, განსაკუთრებით კი საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით, ეს ეროვნული ყრილობის 1917 წლის 19 ნოემბრის ოქმიდანაც კარგად ჩანს, რომელიც ზემოთ უკვე განვიხილეთ და სადაც არამხოლოდ ოქმის პუნქტებზე, არამედ თითოეულ პუნქტში თითოეული სიტყვის შერჩევასაც კი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან.

ამ ყველაფერთან ერთად, 1918 წლის იანვრის დამდეგს რუსულმა არმიამ, რომელიც ბოლშევიკებს უკვე საკუთარი გავლენის ქვეშ ჰყავდათ მოქცეული, სცადა საქართველოს, კერძოდ კი თბილისის ხელახალი ოკუპაცია, რაც ადგილობრივი ეროვნული საბჭოს სწორი შეფასებისა და ქართული სახალხო გვარდიის აქტიური წინააღმდეგობის საშუალებით აღკვეთილ იქნა. კიდევ უფრო გართულდა საქართველოს პოლიტიკური ელიტის მდგომარეობა მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა რეჟიმის გადარჩენის მიზნით 1918 წლის 3 მარტს გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან ბრესტ–ლიტოვსკში დადეს სეპარატული ზავი. აღნიშნული ზავის პირობების მიხედვით, გერმანიის მოკავშირე თურქეთს ბოლშევიკებმა, ადგილობრივი ძალებისათვის უკითხავად, გადასცეს საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიები – ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქები (გურული&მერაბ ვაჩნაძე, et. al., 2003, გვ. 45–60). რთული სათქმელია, რომ არა თურქეთის აგრესიული და აქტიური პოლიტიკა ბრესტის ზავის შემდგომ, როგორ განვითარდებოდა მოვლენები საქართველოში და გამოცხადდებოდა თუ არა დამოუკიდებელი სახელმწიფო 1918 წლის 26 მაისს. თუმცა, ბრესტის ზავით შექმნილ რეალობაში საქართველოს პოლიტიკურ ელიტას რჩებოდა ერთადერთი გამოსავალი – დაეწყო მოლაპარაკებები ოსმალეთის იმპერიასთან, რომელსაც საკუთარი მიზნები ამიერ–კავკასიის მიმართ ზუსტად ჰქონდა განსაზღვრული.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ, როდესაც კოალიციები იქმნებოდა და ფაქტობრივად წყდებოდა მომავალ ომში ვინ ვის მხარეს იქნებოდა, ოსმალეთის იმპერიის ხელმძღვანელები – „ახალგაზრდა თურქები“ და მათი ლიდერების ტრიუმვირატი ენვერ ფაშა, თალაათ ფაშა და ჯემალ ფაშა იდგნენ არჩევანის წინაშე, თუ ვის მიმხრობოდნენ დიდ ომში. საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრისას ლიდერებს შორის ერთსულოვნება არ ყოფილა, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ინგლის–საფრანგეთს ინტერესები გააჩნდათ ოსმალეთის არაბული, რესურსებით მდიდარი ტერიტორიების, ხოლო რუსეთს კონსტანტინოპოლისა და სრუტეების მიმართ, საბოლოოდ გადაწყდა, რომ ოსმალეთი გერმანიასთან შევიდოდა კოალიციაში. მიუხედავად იმისა, რომ პირველ მსოფლიო ომში გერმანიასთან შეთანხმებით ოსმალეთს რამდენიმე მიმართულებით (გერმანიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ეგვიპტის მიმართულება) უნდა ეწარმოებინა ანტანტის წინააღმდეგ ომი, ახალგაზრდა თურქებისათვის პრიორიტეტული აღმოჩნდა კავკასიის ფრონტი, რადგან მათი სანუკვარი მიზანი გახლდათ უზარმაზარი თურქული სახელმწიფოს, თურანის შექმნა, რისთვისაც აუცილებელი იყო კავკასიის, რუსეთის დანარჩენ ტერიტორიაზე მცხოვრები მუსლიმების, ცენტრალური აზიის ტერიტორიების მიერთება. სწორედ ამის გამო კავკასიის ფრონტს სათავეში ჩაუდგა ტრიუმვირატის ერთ–ერთი ლიდერი ენვერ ფაშა. ომის დაწყებიდან მალევე ოსმალებმა რუსეთის იმპერიის შენაერთებთან მძიმე დანაკარგი განიცადეს და დამარცხდნენ, უფრო მეტიც რუსული ჯარი მნიშვნელოვნად გასცდა სადავო ტერიტორიებს და შეიჭრა უშუალოდ ოსმალეთის ცენტრალური რეგიონებისაკენ. აღნიშნული მდგომარეობა გაგრძელდა თითქმის მთელი პირველი მსოფლიო ომის განმავლობაში. განცდილი მარცხის და მნიშვნელოვანი ადამიანური და მატერიალური დანაკარგის მიუხედავად ოსმალეთი არ აკლებდა ცდას საკუთარი განზრახვა სისრულეში მოეყვანა. თუმცა, ომი უკვე ფაქტობრივად დასარულს უახლოვდებოდა, როდესაც რუსეთმა ქვეყნის შიგნით შქმნილი ვითარების გამო, 1918 წლის დასაწყისიდანვე დაიწყო ოსმალეთის დაკავებული ტერიტორიებიდან ეტაპობრივად ჯარის გაყვანა და პოზიციების დათმობა. ამ ვითარებაში 1918 წლის 18 იანვარს გენერალმა ვეჰიბ ფაშამ, ენვერ ფაშას

სახელით წინადადებით მიმართა კავკასიის არმიის სარდალს გენერალ ოდიშელიძეს დაწყებულიყო სამშვიდობო მოლაპარაკებები ზავის დადების მიზნით. ეს ინიციატივა განიხილა ამიერკავკასიის კომისარიატმა და რამდენიმე შენიშვნით მხარი დაუჭირა მას. მოლაპარაკებები დაიგეგმა მარტში ტრაპიზონში. 2 მარტს, როდესაც ამიერ–კავკასიის დელეგაცია აკაკი ჩხენკელის მეთაურობით მზად იყო გასამგზავრებლად ტრაპიზონში, კომისარიატის ხელმძღვანელმა ევგენი გეგეჭკორმა მიიღო დეპეშა ბრესტ–ლიტოვსკიდან საბჭოთა რუსეთის საზავო დელეგაციის მდივნის კარახანისაგან, რომლითაც იგი იუწყებოდა, რომ თვითგამორკვევის მიზნით რუსეთს უნდა ჩამოშორებოდა არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები. ამიერკავკასიის კომისარიატმა, რა თქმა უნდა, გააპროტესტა აღნიშნული შეთანხმება და ევროპის ქვეყნების მთავრობებს დაუგზავნა წერილები, რომლითაც იგი არ აღიარებდა ბოლშევიკურ მმართველობას რუსეთში. ამ პირობებში 14 მარტს ტრაპზონში დაიწყო ოსმალეთ–ამიერკავკასიის მოლაპარაკებები, რომელზეც ოსმალეთმა კატეგორიულად მოითხოვა ბრესტის ზავის პირობების შეთანხმება და აღნიშნული სამი ოლქის დაცლა. ამიერკავკასიის დელეგაცია სრულიად მოუმზადებელი ჩავიდა ტრაპიზონში, რაც ყველა სხვა მიზეზთან ერთად გამოიხატებოდა იმაში, რომ მათ ფორმალურად ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გამოცხადებული დამოუკიდებლობა და წარმოადგენდნენ რუსეთის სახელმწიფოს ნაწილს. თურქებმა აღნიშნული მოლაპარაკებების დროს, სხვა მოთხოვნებთან ერთად ჩხენკელს და მის დელეგაციას მოსთხოვეს დაუყოვნებლივ გამოეცხადებინათ დამოუკიდებლობა. 14 მარტის შემდგომ ვითარება დრამატულად განვითარდა, ოსმალეთის არმიამ დაიწყო სვლა კავკასიის მიმართულებით, მათ კვლავ გაუღვივდათ ფიქრები თურანის შექმნის შესახებ. სხვა ტერიტორიებთან ერთად მალევე დაიკავეს ბათუმის ოლქი, ოზურგეთი და გაჩერებას არ აპირებდნენ, რომ არა ჩოლოქზე ქართველების მიერ მათი დამარცხება, თუმცა, ესეც დროებით მოვლენას წარმოადგენდა. განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, 22 აპრილს ამიერკავკასიის კომისარიატი დაიშალა და გამოცხადდა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა აკაკი ჩხენკელის მეთაურობით, რამაც ასევე ვერ გასტანა დიდ ხანს, რადგან ამიერკავკასიის სამივე სუბიექტს განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია გააჩნდა. 1918

წლის მაისში, კვლავ დაიწყო სამშვიდობო მოლაპარაკებები ოსმალეთსა და ამიერ–კავკასიის ფედერაციის ხელმძღვანელ აკაკი ჩხენკელს შორის, ამჯერად ბათუმში. მოლაპარაკებების მსვლელობაში აქტიურად მონაწილეობდა გერმანიის წარმომადგენელი, რომელმაც ერთგვარი შუამავლის ფუნქცია იკისრა. მის ინტერესს წარმოადგენდა თურქეთის ბატონობა კავკასიაში შედარებით დაებალანსებინა, ამ მიზნით კი მოლაპარაკებების პროცესში გარკვეულწილად შეეწინააღმდეგა ოსმალთა დამატებით მოთხოვნებს, რაც სცილდებოდა ბრესტის შეთანხმებას (სვანიძე, 2002, გვ. 253–277).

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ბათუმში გამართულ მოლაპარაკებებში აქტიურად მონაწილეობდა გერმანია. ქვეყნის პოზიციებს წარმოადგენდა გენერალი ოტო ფონ ლოსოვი, რომელიც მანამდე ცნობილი იყო პროოსმალური განწყობებით. თუმცა, თურქების დამოკიდებულებამ სამხრეთ კავკასიის მიმართ და მათმა მცდელობებმა მაქსიმალურად ზეწოლის ქვეშ მოექციათ ჩხენკელი და მისი დელეგაცია, ხოლო რეგიონი ექციათ საკუთარი იმპერიის „უკანა ეზოდ“, ფონ ლოსოვში საპირისპირო დამოკიდებულება გამოიწვია. კერძოდ, იგი თვლიდა, რომ გერმანიას საკუთარი, ოსმალეთისგან დამოუკიდებელი პოლიტიკა უნდა გაეტარებინა სამხრეთ კავკასიაში, თუმცა, იმასაც ნათლად აცნობიერებდა, რომ აქ წარმოდგენილ სამ სუბიექტს ერთიანი საგარეო პოლიტიკა არ ჰქონდა და მათი ერთიან გზაზე დაყენებაც რთულ მისიას წარმოადგენდა. ამიტომ, ფონ ლოსოვი აკაკი ჩხენკელს ურჩევდა, რომ დაეშალათ ამიერკავკასიის ფედერაცია და გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნებოდა ოფიციალურ თბილისს ოსმალეთისაგან დაცვისა და მხარდაჭერის თხოვნით მიემართა გერმანიისთვის (გურული, „იმპერიების აღსასრული და ქართული სახელმწიფოებრიობა“, გვ. 9). სწორედ ოტო ფონ ლოსოვი მიიჩნევა 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ერთ-ერთ მთავარ ორგანიზატორად გერმანული მხრიდან. მისი რჩევითა და რეკომენდაციით აკაკი ჩხენკელი აქტიურ მიმოწერას აწარმოებდა თბილისთან, სადაც ნოე ჟორდანიას, ევგენი გეგეჭკორს, ნოე რამიშვილს და სხვებს აუწყებდა შექმნილი ვითარების შესახებ და სთხოვდა სასწრაფოდ დაეწყოთ მუშაობა საქართველოს დამოუკიდებლობის

გამოცხადების შესახებ. ფონ ლოსოვი ბუნებრივია, ატარებდა გერმანიის პოლიტიკას და შეუძლებელია საქართველოს მიმართ მისი პოზიცია შეთანხმებული არ ყოფილიყო ცენტრთან. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველო ფაქტობრივად იქცა დაპირისპირების საკითხად ოსმალეთსა და გერმანიას, მსოფლიო ომის ორ უმნიშვნელოვანეს პარტნიორს შორის (ასტამაძე, 2018, გვ. 175-177; გურული, „იმპერიების აღსასრული და ქართული სახელმწიფოებრიობა“, გვ. 8-11). თუმცა, ჟორდანია და მასთან ერთად სხვა ლიდერები კვლავინდებურად ძალზედ ფრთხილობდნენ ისეთი რადიკალური ნაბიჯის გადადგმას, როგორიც დამოუკიდებლობის გამოცხადებაა. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ის შთამბეჭდავი გამოცდილება და სპეციფიური მსოფლმხედველობა, რაც მათ უმრავლესობას გააჩნდა, აიძულებდათ კომპლექსურად ეფიქრათ. მათ უწევდათ შეეფასებინათ როგორც ოსმალეთიდან მომავალი საფრთხეები, ისე ჩრდილოეთით, რუსეთში განვითარებული პოლიტიკური მოვლენები, რომელთა შედეგადაც ძალაუფლება მათგან რადიკალურად განსხვავებული მეთოდებით მოქმედი ძალების ხელში მოექცა და წინააღმდეგობაში მოდიოდა იმპერიის ყოველგვარი დემოკრატიული გარდაქმნის ხედვასთან.

საბოლოო ჯამში, პირველი მსოფლიო ომის ერთი-ერთი ძირითადი შედეგი, დიდი იმპერიების რღვევასთან ერთად, გახლდათ საერთაშორისო სისტემის მოწყობის ახალ პრინციპებზე დიდი სახელმწიფოების დაფიქრება და ერთგვარად შანსის მიცემა პატარა ერებისათვის, რათა მიეღწიათ ეროვნული თვითგამორკვევისათვის. ვუდრო ვილსონის საყოველთაოდ ცნობილი 14 პუნქტიანი გეგმა, რომელიც მან ვერსალის კონფერენციაზე წარადგინა და რომელშიც პირდაპირ იყო გაწერილი ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ, შეგვიძლია მივიჩნიოთ სწორედ ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპის წინ წამოწევის ფორმალურ ნიშნად მე-20 საუკუნის დასაწყისის საერთაშორისო პოლიტიკაში. ეს საკითხი, რა საკვირველია, მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობისას არ წარმოშობილა და თავად ამ ომის გამომწვევ მიზეზადაც შეიძლება ჩაითვალოს. რაც შეეხება ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის აქტუალიზაციის მნიშვნელობას საქართველოსთვის, ალბათ გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს საკითხი

იყო ის ძირითად წინაპირობა, რის გამოც შესაძლებელი გახდა ყველა იმ ძირითადი საგარეო პოლიტიკური ფაქტორის გამოყენება, რაც ამ პატარა კავკასიური ქვეყნის გარშემო ვითარდებოდა და რამაც შესაძლებელი გახადა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს გამოცხადება 1918 წლის 26 მაისს. კერძოდ, ეს ფაქტორები გახლდათ ერთი მხრივ რუსეთის იმპერიაში გამწვავებული სოციალური და პოლიტიკური კრიზისი, რასაც შედეგად მოჰყვა ჯერ მონარქიის დამხობა, მოგვიანებით კი დროებითი მთავრობის გადატრიალება და სახელმწიფო ძალაუფლებაში რადიკალური იდეოლოგიური განწყობების მქონე ბოლშევიკების მოსვლა, ვისთანაც როგორც უკვე მრავალჯერ აღინიშნა სრული შეუთავსებლობა ჰქონდა საქართველოს პოლიტიკური ელიტის უმთავრეს ჯგუფს - ქართველ მენშევიკ სოციალ-დემოკრატებს. ხოლო მეორე მხრივ, ბრესტის ზავის შემდგომ ოსმალეთის აგრესიული პოლიტიკა და ამ აგრესიისგან დაცვის მიზნით გერმანიისგან მხარდაჭერის იმედი, რასაც გერმანია იძლეოდა დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში, იყო ის მიზეზი, რაზეც სოციალ-დემოკრატები იძულებული გახდნენ წასულიყვნენ.

საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი (კაკი) წერეთელი სოციალ-დემოკრატების განწყობებს 1900-1910-იან წლებში ეორვნულობის საკითხისადმი და პოზიციების შემდგომ ცვლილებებს ასე ხსნიდა: „იყო დრო, როდესაც ჩვენ სასტიკი წინააღმდეგი ვიყავით დამოუკიდებლობისა. ეს ნიშნავდა მას და ის შედეგები მოჰყვა ჩვენს ასეთ პოლიტიკას, რომ ქართველი ხალხი საუკეთესოდ გამაგრდა, ეროვნულად საუკეთესოდ აღორძინდა, მხოლოდ აი იმ სახელმწიფოს ფარგლებში, რომლისთვისაც ჩვენ ვიბრძოდით. როდესაც გახდა საჭირო ხალხისათვის დამოუკიდებლობის დაარსება, საუკეთესოდ ჩვენ შევუწყვეთ ხელი და დავიცავით დამოუკიდებლობა... ბევრი ვითომ მოჭირნახულე ჰყავდა საქართველოს და ვითომ გულგრილი მის ეროვნულ არსებობისა, მაგრამ როდესაც დადგა განსაცდელი, როცა დადგა ყოფნა არყოფნის საკითხი, ეს მოჭირნახულეები დარჩნენ დამოუკიდებელი საქართველოს უპასუხისმგებლო ოპოზიციათ, ისინი კი ვისაც გულგრილობას სწამებდნენ ოდესღაც, ისინი გახდნენ დიდ ბოძათ, სწორედ ეროვნულ დამოუკიდებელ სახელმწიფოსი“ (ციტირებულია გაზეთი „ერი“, 20 მარტი 1991 წ.).

თავი IV

ქართული ნაციონალური პროექტი და საქართველოს მეორე დამოუკიდებელი რესპუბლიკა

ამ თავში განხილულია ის შიდა და საგარეო ფაქტორები, რომელთა ერთობლიობით შესაძლებელი გახდა მე-20 საუკუნის განმავლობაში მეორედ საქართველო გათავისუფლებულიყო იმპერიული ბატონობისგან და ამჯერად საბჭოთა კავშირისგან მოეპოვებინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მიუხედავად იმისა, რომ 1980-იანი წლების მეორე ნახევარში გაძლიერებული და ფართოდ გავრცელებული ქართული ეროვნული მოძრაობა საბოლოო შედეგობრივი თვალსაზრისით მსგავსი იყო 1910-იან წლებში მიღებული შედეგისა და ორივე შემთხვევაში ქვეყანაში შესაძლებელი გახდა ნაციონალური პროექტის რეალიზება, ამ ორ პერიოდში განვითარებულ პროცსებსა და ძირითად გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შორის შესაძლოა განმასხვავებელი ნიშანი უფრო მეტი დავინახოთ, ვიდრე მსგავსება. ქვემოთ თანმიმდევრულად შევეხებით როგორც ქართული ნაციონალიზმის ძირითად ნიშნებს 1980-იან წლებში, ისე ამ პერიოდში საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე ცვლილებებს. საბოლოოდ კი თავს შევაჯამებთ იმის განხილვით, თუ რამდენად ზემოქმედებდა საგარეო ფაქტორები ქვეყნის შიგნით მიმდინარე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე, რამაც შედეგად სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენა მოიტანა.

4.1. ქართული ნაციონალიზმის ძირითადი ნიშნები 1980-იან წლებში

1980-იან წლების მეორე ნახევარში გაშლილი ეროვნული მოძრაობა საქართველოში თვისებრივად განსხვავებულ მოვლენას წარმოადგენდა იმავე საუკუნის დასაწყისში აქ განვითარებულ პროცესებთან შედარებით. როგორც ზემოთ უკვე არაერთხელ იქნა აღნიშნული, 1910-იან წლებში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ელიტას ქმნიდნენ სოციალ-დემოკრატები, რომელთაც მკაფიოდ ჩამოყალიბებული იდეოლოგიური შეხედულებები და მსოფლმხედველობა გააჩნდათ, რასაც ზურგს უმაგრებდა მათი პოლიტიკური და საზოგადოებრივი საქმიანობის გამოცდილება,

მათ შორის ძირითადად რუსეთის იმპერიის მასშტაბით. ასევე, გააჩნდათ აქტიური კომუნიკაცია ევროპაში საკუთარ თანამოაზრეებთან და მათთან ინტენსიური აზრთა გაცვლა-გამოცვლა პრობლემას არ წარმოადგენდა. თუმცა, საუკუნის დასაწყისში ჟორდანიას და მისი თანამოაზრეების მწყობრ და მკაფიოდ ჩამოყალიბებულ პროგრამაში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ნაკლებად მოიაზრებოდა და რომ არა მთელი ის პროცესები, რაც პირველმა მსოფლიო ომმა და მასთან კავშირში მყოფმა მოვლენებმა გამოიწვია საერთაშორისო სისტემაში, მათ შორის საერთაშორისო საზოგადოების ეროვნული სუვერენიტეტის კონცეფციისადმი ლოიალობის ზრდამ, ნაკლებად სავარაუდოა ქართველი მენშევიკების ხედვებში რაიმე რადიკალური ცვლილებები მომხდარიყო. ამისგან განსხვავებით, საუკუნის ბოლოს განვითარებულ ეროვნულ მოძრაობას და მის ლიდერებს მკაფიოდ გამოკვეთილი ეროვნული მისწრაფებები გააჩნდათ და ნაციონალურ საკითხს აქტიურად იყენებდნენ მასების მობილიზაციისთვის. თუმცა, მეორე მხრივ ნაკლები პოლიტიკური გამოცდილება, პოზიციათა თანმიმდევრულობა და საერთაშორისო კონტაქტები გააჩნდათ. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ 80-იანი წლების ეროვნული მოძრაობის ლიდერები ერთადერთ საკითხზე იყვნენ მკაფიოდ ჩამოყალიბებულნი - ისინი იბრძოდნენ საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ და კრემლის გავლენების შესამცირებლად საქართველოში. ამის მიუხედავად, აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებლობის ფორმებსა და სამომავლო მოწყობის საკითხებზეც კი აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა მათ შორის, მაგალითად გამსახურდია ჯერ კიდევ 1989 წელს მისაღებად აცხადებდა საბჭოთა კავშირის დანგრევის შემთხვევაში კონფედერაციული კავშირის შექმნას და ამ აზრის უარყოფისთვის საჯაროდ და მკაცრად აკრიტიკებდა საქართველოს სახელით არჩეულ საკავშირო დეპუტატებს (ზ. გამსახურდია 1989. ბიბლიოგრაფიაში იხ. ვიდეომიმართვა). რთული სათქმელია, მისი ეს პოზიცია იყო სიფრთხილის მაჩვენებელი, რათა არ გამოეწვია იმპერიალისტური ძალების დამატებითი აგრესია ან/და საზოგადოებაში, რომლისთვისაც შესაძლოა რთული გასაგები ყოფილიყო იმ დროისთვის სრულ დამოუკიდებლობაზე საუბარი, გაურკვევლობა და დაბნეულობა, თუ ნამდვილად მისაღებად მიაჩნდა კონფედერაციული კავშირი საბჭოთა კავშირის სხვა

სუბიექტებთან ერთად. აზრთა სხვადასხვაობის საგანს წარმოადგენდა ბევრი სხვა საკითხიც. მათ შორის დამოუკიდებლობის მიღწევის გზები, დამოუკიდებლობის მოპოვების შემთხვევაში სახელმწიფო პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობების მიმართ, ეკონომიკური პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების სავარაუდო მონახაზი და ინსტიტუციური მშენებლობა სრულიად ბუნდოვანი და განუსაზღვრელი იყო. აღნიშნულ გარემოებებს დიდ წილად განაპირობებდა სწორედ საბჭოთა კავშირის სისხლიანი პოლიტიკა და სტალინურ-კომუნისტური რეპრესიებისა და პროპაგანდის შედეგი, რომლის გამოისობითაც ქვეყანაში 70 წლიანი საბჭოთა ოკუპაციის პირობებში თითქმის სრულად იქნა განადგურებული ის ინტელექტუალური და საზოგადოებრივი ელიტა, ადამიანები, ვისაც გააჩნდათ სახელმწიფო მართვისთვის აუცილებელი ცოდნა და შესწევდათ უნარი კრიტიკულად გაეაზრებინათ და ფართო მასებამდე მიეტანათ მოსაზრებები იმ პროცესების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა რუსეთის იმპერიის მოდერნიზებულ - საბჭოთა იმპერიის პირობებში. უნდა ითქვას, რომ ამით განსხვავდებოდა საქართველო ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისგან, სადაც ჯერ კიდევ არსებობდნენ ადამიანები, ვისაც გააჩნდათ ინსტიტუციური მეხსიერება, თუ როგორ იმართებოდა სახელმწიფო, რა გამოწვევების წინაშე შეიძლება დამდგარიყვნენ დამოუკიდებლობის მოპოვების შემთხვევაში და სხვა.

ეროვნული მოძრაობის ლიდერი და საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია 1991 წელს (სავარაუდოდ) ჩაწერილ ვიდეო ინტერვიუში, რომელშიც იხსენებს მერაბ კოსტავასთან ერთად განვლილ ეტაპებს, თუ როგორ ჩამოაყალიბეს 16-17 წლის ასაკში პირველი პატრიოტული გაერთიანება „გორგასლიანი“ ჯერ კიდევ 1956 წელს და როგორ მივიდნენ აღნიშნული ჯგუფიდან საბჭოთა კავშირის დანგრევამდე, აღნიშნავს, რომ 50-იან წლებში ძალიან მძიმე მდგომარეობა იყო იმ თვალსაზრისით, რომ ხალხში არ არსებობდა ეროვნული შეგნება. საქართველოს დამოუკიდებლობაზე საუბარი შეუძლებელ ამოცანას წარმოადგენდა, ვინაიდან არათუ საუბარი არ სურდათ შიშისა და ნაციონალურ საკითხებზე ცნობიერების დაბალი დონის გამო, არამედ სიტყვა დამოუკიდებლობის გაგონებასაც კი უფრთხოდნენ. გამსახურდიას თქმით, ცალკე პრობლემას

წარმოადგენდა ის, რომ მრავალი ადამიანი იმ დროის საქართველოში სრული ინდიფერენტიზმით ხვდებოდა მსგავს მოსაზრებებს და წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რომ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო არ იყო (გამსახურდია, 1991).

საინტერესო და სიმბოლურია თავად ის ფაქტი, რომ ორგანიზაცია, რომლის შექმნითაც ახალი ეროვნული მოძრაობის ერთგვარ დაწყებას აღნიშნავს ზვიად გამსახურდია თავის ინტერვიუში („გორგასლიანი“), მან და მისმა თანამოაზრეებმა, მათ შორის მერაბ კოსტავამ, დააფუძნეს 1956 წლის შემოდგომაზე. 1921 წელს ძალისმიერი მეთოდებით საქართველოს გასაბჭოებისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებული მისი თანმდევი პროცესების - კრიტიკული აზრის სისხლში ჩახშობის, ინტელექტუალური ელიტის ფიზიკური განადგურებისა და ხალხის ტოტალურ ტერორში მოქცევის შემდეგ, როდესაც თითოეული ადამიანი ნათლად აცნობიერებდა თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა რეჟიმის წინააღმდეგ წასვლას, საქართველოში პირველად სწორედ 1956 წლის გაზაფხულზე იქნა დაძლეული შიში - ხალხი გამოვიდა თბილისის ქუჩებში და ამის მიზეზი, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, იმპერიის ახალი მეთაურის ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ ეთნიკურად ქართველი წინამორბედის „დიდი საბჭოთა ბელადის“, იოსებ ჯუღაშვილის (სტალინი) კულტის დაგმობა იყო, რა დროსაც ხაზი მის წარმომავლობას გაესვა, რაც ქართველებმა ეროვნულ შეურაცხყოფად აღიქვეს. სწორედ იმ იოსებ ჯუღაშვილის, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული საქართველოს ეროვნული სუვერენიტეტის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსპობა. 1956 წლის 3 მარტს დაწყებულ დემონსტრაციებს საბჭოთა რეჟიმი 9 მარტს სასტიკად გაუსწორდა. საბჭოთა სამხედრო დანაყოფებმა ათობით ახალგაზრდას ცეცხლი გაუხსნეს და ადგილზე დახოცეს, დანარჩენები კი, ვინც გაქცევა ვერ მოასწრო დააპატიმრეს. აღნიშულ დემონსტრაციებზე გამოჩნდნენ პირველად ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა და ამ მორიგი საბჭოთა ძალადობრივი აქტის შემდეგ, რომელშიც ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეებმა უშუალოდ მიიღეს მონაწილეობა, გადაწყვიტეს დაეფუძნებინათ ზემოხსენებული არაფორმალური გაერთიანება - „გორგასლიანი“, რომელიც მოგვიანებით საქართველოს დამოუკიდებლობის

მოთხოვნისა და კომუნისტური პარტიის კრიტიკის შემცველ პროკლამაციებს ავრცელებდა, რის გამოც გამსახურდია, კოსტავა და მათი თანამოაზრეები იმავე წლის დეკემბერში პირველად იქნენ დაპატიმრებულნი ანტისაბჭოთა ქმედებების ბრალდებით (საარქივო მოამბე #19, გვ. 96-101.). როგორც პრეზიდენტი გამსახურდია 1991 წლის 9 მარტს ქართველი, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართულ პრესკონფერენციაზე იხსენებს, მას შემდეგ, რაც 1956 წლის 9 მარტს თბილისში კავშირგაბმულობის შენობასთან საბჭოთა შეიარაღებული ძალები მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდნენ, ქართველმა ახალგაზრდებმა მაშინვე დაყარეს წითელი საბჭოთა და ლენინის გამოსახულებიანი დროშები და ისინი ფეხით გათელეს. საქართველოს პირველი პრეზიდენტი ამით იმის ხაზგასმას ცდილობს, რომ სწორედ 1956 წლის 9 მარტის მოვლენებმა გააცოცხლა პირველად ეროვნული შეგნება საქართველოს მოქალაქეებში და დაანახა მათ, თუ ვისი დროშა ეკავათ ხელში და ვისთვის იბრძოდნენ (გამსახურდია, 1991). გამსახურდიას ინტერვიუდან კარგად ჩანს, რომ სწორი მიზნებისთვის ბრძოლისთვის ხანდახან შესაძლოა არასწორი საბაბიც, ამ შემთხვევაში სტალინის პიროვნების დაცვის მოტივით გამართული დემონსტრაცია, ეფექტურად იქნას გამოყენებული.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების დროს ეროვნული მოძრაობის ლიდერები და აქტიური მონაწილეები, ისევე, როგორც ექსპერტთა დიდი ნაწილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ საქართველოში ეროვნული სულისკვეთება ბოლომდე არასდროს მომკვდარა და ყველა ეტაპზე გარკვეული ფორმით არსებობდა, რისი დასტურიც ალბათ ზემოთ აღწერილი მოვლენებიცაა, რასაც 50-იან წლებში ჰქონდა ადგილი, თუმცა, 60-იან წლებში ფაქტობრივად ხელშესახები არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იატაკქვეშა მოძრაობის უმნიშვნელო საქმიანობას. ყოველ შემთხვევაში, ცნობები 60-იან წლებში ეროვნულობის საკითხების გარშემო მიმდინარე მეტნაკლებად მაინც მნიშვნელოვანი აქტივობების შესახებ არ მოიპოვება. ნაციონალური საკითხების, მით უფრო დამოუკიდებლობის გარშემო ფართო დისკუსია მხოლოდ და მხოლოდ 70-იანი წლების ბოლოს დაიწყო და 80-იან წლებში ჰპოვა მასშტაბური გავრცელება, რისი ახსნაც მცირეოდენი, თუმცა, მაინც თავისუფლების განცდის გაჩენაში მდგომარეობს. თავისუფლების განცდა კი თავის

მხრივ დაკავშირებულ იყო იმ ახალ რეალობასთან, რომელიც გამოიწვია დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბლოკებს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად მიღწეულმა და 1975 წელს ჰელსინკიში გაფორმებულმა ფინალურმა აქტმა, რომლის მესამე კალათაც საბჭოთა კავშირს ადამიანის უფლებებისა და პოლიტიკური თავისუფლების დაცვის ვალდებულებას აკისრებდა. რასაკვირველია, პოლიტიკური თავისუფლება იმ გაგებით, როგორც ეს ცნება ლიბერალურ დემოკრატიაში მოიაზრება, საბჭოთა კავშირში, რეჟიმის ხასიათის გათვალისწინებით, ვერ განხორციელდებოდა. თუმცა, გარკვეული პოზიტიური ძვრები მაინც გამოიწვია. კონკრეტულად საქართველოში შეიქმნა ე.წ. „ჰელსინკის ჯგუფი“, რომელიც აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებისთვის იბრძოდა, აწვდიდა დასავლეთს ინფორმაციას პოლიტიკური პატიმრების შესახებ და ა.შ. ამ ყოველივეს შედეგად მოჰყვა პირველი მასშტაბური დემონსტრაციები საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, რომელთაც მკაფიოდ ეროვნული ხასიათის შინაარსი გააჩნდათ. პირველ რიგში ეს იყო 1978 წლის დემონსტრაცია სახელმწიფო ენის სტატუსის გამო, როდესაც საზოგადოებამ გააპროტესტა საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილება ქართულისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის გაუქმების შესახებ. მეორე მასშტაბური დემონსტრაცია კი, გეორგიევსკის ტრაქტატის დადების 200 წლის თარიღთან დაკავშირებით 1983 წელს გაიმართა, სადაც რუსეთის პოლიტიკა იქნა დაგმობილი და გაკრიტიკებული საქართველოს მიმართ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებისათვის საყოველთაოდ ცნობილია, რომ კრიტიკულად მნიშვნელოვანია ხალხის ფართო მასების მობილიზება იმისათვის, რათა მან მოიტანოს დასახული შედეგი. შედეგი კი როგორც წესი, სახელმწიფოებრიობის აღდგენა ან მოპოვებაა. ამ პირობებში, გასაკვირი არ არის, რომ დამოუკიდებლობის მდიდარი გამოცდილების მქონე ერში, რომელიც თავისი ისტორიითა და კულტურული განვითარებით მუდმივად ამაყობს, მასების მობილიზება სწორედ ეთნონაციონალისტური და რელიგიური იდეების გარშემო მოხდა. ზოგადად, 80-იანი წლების ქართული ეროვნული მოძრაობა თავისი ხასიათით ძალზედ ემოციური და სენტიმენტალური გახლდათ, რაც ხშირ

შემთხვევაში ადგილს აღარ ტოვებდა რაციონალური ხედვის/პროგრამის ჩამოყალიბებისათვის, რის გარეშეც ნებისმიერი საზოგადოებრივი აქტივობა, მით უფრო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მრავალ გართულებას შეიძლება წააწყდეს. გართულებები როგორც თავად მიმდინარე პროცესში შეიძლება წარმოიშვას, ისე მსგავსი მოძრაობების ძირითადი მიზნის წარმატებით მიღწევის შემდგომ დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს შენების დროსაც, რასაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი საქართველოს მაგალითზე.

პროფესორი თორნიკე შარაშენიძე 80-იანი წლების ეროვნულ მოძრაობაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ იმდროინდელი ლიდერები, ვინც მართავდა პროცესებს და იდგა საზოგადოების სათავეში, ფაქტობრივად ვერ ახერხებდა ელემენტარული რაციონალური გათვლების გაკეთებასაც კი, რის გამოც ყველა „ნაღმზე“ მოუწია საქართველოს ფეხის დადგმა. შარაშენიძე თვლის, რომ პოლიტიკის უცოდინრობა და სრული გამოუცდელობა იყო იმდროინდელი ლიდერებისთვის დამახასიათებელი, რის გამოც ხშირ შემთხვევაში ფაქტობრივად არ ითვალისწინებდნენ არც საერთაშორისო ურთიერთობებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს, თუ როგორ წარმოჩინდებოდა საზღვარგარეთ ეროვნული მოძრაობა, არც იმ საფრთხეებს, რაც დაკავშირებული იყო მოსკოვთან და ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში არასწორ/რადიკალურ რიტორიკასთან. თავად ნაციონალიზმის ერთგვარ ამოხეთქვას 80-იანი წლების საქართველოში იგი სხვა ფაქტორებთან ერთად უკავშირებს ერთგვარ თვითკმაყოფილებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქართველებში კულტურის, სპორტის და სხვა დარგებში მიღწეული მრავალი წარმატების გამო. ასევე, საბჭოთა კავშირის ფარგლებში სხვა რესპუბლიკებთან შედარებით ეკონომიკურ დაწინაურებას, რასაც ადგილზე საკუთარ შესაძლებლობებს მიაწერდნენ, შარაშენიძე ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევს მეტი თავისუფლების მოთხოვნის გაჩენის პროცესში (თ. შარაშენიძე, პირადი კომუნიკაცია, 7 ნოემბერი 2017).

ზვიად გამსახურდიასა და ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერების პოლიტიკურ დილეტანტიზმზე, საგარეო პოლიტიკის და სახელმწიფოს მართვისთვის აუცილებელი სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ცოდნის ნაკლებობაზე საუბრობს ივლიანე ხაინდრავაც 80-იანი წლების ქართული ნაციონალიზმის

დახასიათებისას. იგი თვლის, რომ ის სტიქიურობა და რადიკალიზმი, რაც დამახასიათებელი იყო იმდროინდელი პროცესებისთვის გარკვეულწილად გამომდინარეობდა იქიდან, რომ სახელმწიფო საქმის მცოდნე ადამიანები, ვისაც შეეძლო გარკვეული მითითებები მიეცათ ლიდერებისთვის იმის შესახებ, თუ როგორ აეწყოთ სტრატეგიული კომუნიკაცია იგივე დასავლეთთან, ვისი მხარდაჭერის მოპოვებასაც ცდილობდნენ, ბალტიისპირეთის ქვეყნებისგან განსხვავებით საქართველოში აღარ იყვნენ ცოცხლები. შესაბამისად, გადაწყვეტილებების მიღება უწევდათ ემოციურ ფონზე, რისი ერთ-ერთი შედეგიც რადიკალური ეთნიკური ნაციონალიზმი გახლდათ, რასაც, რა თქმა უნდა, დასავლეთში დიდი სიფრთხილითა და შიშით უყურებდნენ. ამ ყოველივეს კი, ხაინდრავას აზრით, თან ერთვოდა შიდა დაპირისპირება ეროვნული მოძრაობის ლიდერებს შორის პირველობისთვის. იგი მიუთითებს ზვიად გამსახურდიას, გია ჭანტურიას, ირაკლი წერეთელსა და სხვა ლიდერებს შორის არსებულ გამალებულ კონკურენციაზე ძალაუფლების მოპოვებისათვის. ბალტიისპირეთის რესპუბლიკებთან შედარებისას ხაინდრავა კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ მათგან განსხვავებით ჩვენთან მწყობრი გეგმა ან ხედვა რა გზით მივდიოდით, რა იქნებოდა ყოველი მომდევნო ნაბიჯი, არ არსებობდა, რაც კიდევ ერთ დიდ ზიანს აყენებდა განმათავისუფლებელი მოძრაობის იმიჯს და შედეგზე ორიენტირებულობას. იგი აღნიშნავს, რომ საუბარი იმაზე, თითქოს არსებობდა ასე ვთქვათ მწყობრი გეგმა და გზა როგორ უნდა გვევლო გადაჭარბებული იქნება. მეტნაკლებად ისევ და ისევ, სამწუხაროდ, ცივსისხლიან ბალტიისპირელებს ეს უკეთესად ჰქონდათ წარმოდგენილი. იმ დროს, როდესაც მაგალითად ეკონომიკის საკითხები საქართველოში იყო მე-10 პლანზე, მათ ჯერ კიდევ საბჭოთა დროს შემოიტანეს ეკონომიკური მოდელი, რუსულად ერქვა ამას „хозрасчет“, რაც ნიშნავდა, რომ რესპუბლიკები ეკონომიკურად თვითკმარები უნდა ყოფილიყვნენ (ი. ხაინდრავა, პირადი კომუნიკაცია, 17 ნოემბერი 2017).

1910-იანი წლების მოვლენებთან შედარებისას 80-იან წლებში განვითარებული ეროვნული მოძრაობის სოციალური თვითორგანიზების ნაკლებობაზე ამახვილებს ყურადღებას პროფესორი გია ნოდია, რომელიც აღნიშნავს, რომ 10-იანი და 80-იანი წლების ერთმანეთთან შედარება ძალზედ რთული საკითხია რამდენიმე გარემოების

გამო. მათ შორის უმთავრესია ის, რომ თუკი 10-იან წლებში სოციალ-დემოკრატებს მეტი პოლიტიკური სიმწიფე და მწყობრი ხედვები გააჩნდათ, 80-იან წლებში ამას ადგილი არ ჰქონია და ბევრად უფრო ქაოტურ ხასიათს ატარებდა. თუმცა, საუკუნის დასაწყისისგან განსხვავებით 80-იან წლებში შეიქმნა საკუთრივ ქართული ორგანიზაციები და ეროვნული დამოუკიდებლობის იდეაც მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული. ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ თავისებურებად, რაც მისი აზრით, დღემდე დამახასიათებელია ქართული პოლიტიკისთვის, ნოდია მიიჩნევს ლიდერებზე და არა იდეებზე, ან პარტიებზე ორიენტირებულობას. ნოდია ქართულ ეროვნულ მოძრაობზე საუბრისას ავლებს პარალელს ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ანალოგიურ მოძრაობებთან და მის მთავარ სისუსტედ მკაფიოდ განსაზღვრული ზოგადი მიზნების - ეროვნული, დემოკრატიული, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე აწყობილი დასავლეთის პარტნიორი სახელმწიფოს ჩამოყალიბების - მიღწევის გზებზე წარმოდგენის არარსებობას თვლის. მისი აზრით, ხედვას რაც შეეხება თავისთავად ხედვაც ზოგადად არსებობდა. უფრო ძნელი იყო ტაქტიკა, სტრატეგია, თუ ხედვაში იგულისხმება მიზანი, რომ საქართველო უნდა იყოს დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომ ეს სახელმწიფო უნდა იყოს დემოკრატიული, რომ მისი მოკავშირე არის დასავლეთი, საბაზრო ეკონომიკა უნდა იყოს განვითარების საფუძველი და ა.შ. ამაზე ხედვა საკმაოდ მკაფიო იყო, ზოგადი ხედვა და გაცილებით უფრო რეალისტური, ვიდრე სოციალიზმი ვთქვათ, მაგრამ პრობლემა იყო უფრო მიღწევის გზებში და ტაქტიკაში, სტრატეგიაში. მიღწევის გზებზე იყო საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენები, რაც შეიძლება ავხსნათ იმით, რომ ძალიან ძნელი იყო იმის წინასწარმეტყველება საბჭოთა კავშირს რა მოუვიდოდა (გ. ნოდია, პირადი კომუნიკაცია, 19 დეკემბერი 2017).

ეროვნული მოძრაობის ხარისხზე და თავისებურებებზე 70 წლიანი საბჭოთა ოკუპაციის გავლენაზე ამახვილებს ყურადღებას ინტერვიუში ისტორიკოსი დიმიტრი შველიძე, რომელიც მიიჩნევს, რომ მიუხედავად სურვილისა გვქონოდა დამოუკიდებელი სახელმწიფო და ამ მიზნისკენ აქტიურად მივისწრაფოდით, არ არსებობდა მზაობა დამოუკიდებლობისთვის, რაც მიზნის მიღწევის შემდეგ დაშვებულ შეცდომებშიც გამოვლინდა. შველიძე აღნიშნავს, რომ პოლიტიკურ

ელიტას 80-იან წლებში უფრო ნაკლები გამოცდილება ჰქონდა და ინტელექტუალურადაც ნაკლებად იყვნენ მომზადებულები, რადგან მათ არც საზღვარგარეთ წასვლისა და განათლების მიღების შესაძლებლობა ჰქონდათ და 70 წლის მანძილზე ჩვენი პოლიტიკური ელიტა აქ იხარშებოდა, აქ საბჭოთა რეალობაში იზრდებოდა და ნაკლები გამოცდილება და ნაკლები ბრძოლის რესურსი ჰქონდა. რაც შეეხება მასას, მისი აზრით, ხალხი, ორივე შემთხვევაში, მაშინაც და დღესაც მოუმზადებელი იყო დამოუკიდებლობისათვის, მათ უნდოდათ დამოუკიდებლობა და სახელმწიფო, მაგრამ ამ სახელმწიფოსთვის რა არის საჭირო, როგორ არის საჭირო ეს არ იცოდნენ (დ. შველიძე, პირადი კომუნიკაცია, 19 დეკემბერი 2017).

ქართული ნაციონალიზმის ერთგვარ გაძლიერებაზე საუბრობს საბჭოთა კავშირის შემადგელობაში ყოფნის პერიოდში პროფესორი დავით დარჩიაშვილი. იგი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ქართული ელიტის განწყობებში შეინიშნებოდა ნაციონალური ელფერიც. მისი აზრით, რადგან ნაციონალური სულისკვეთება 1910-იანი წლებში ერთხელ უკვე ამოქმედდა და გავრცელდა საზოგადოებაში, ის მერე დავიწყებას არ მისცემია. დარჩიაშვილი მიიჩნევს, რომ პარადოქსულად, შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა პერიოდში გამყარდა, განმტკიცდა კიდეც. კი, შეიძლება რაღაცნაირად პერვერსიულად, დიდ საბჭოთა ასე ვთქვათ, კომუნისტურ, სამყაროში ცხოვრებას ქადაგებდა ქართული ელიტა, მაგრამ, აუცილებლად, მაინც ამ ყველაფერს რაღაცა ქართული ელფერი, ნაციონალისტური ელფერი ეძლეოდა. შეჯიბრებითობა, თავისთავად ადმინისტრაციული ჩარჩოების ფორმირება, ეს საბჭოთა პერიოდში გაგრძელდა. საქართველოს რესპუბლიკა რაც არ უნდა ფორმალური ყოფილიყო, მაინც ამ ფორმალობას მოსდევდა, რომ არსებობდა ქართული, ეროვნული, კომუნისტური, მაგრამ ეროვნული ელიტა. თუმცა, მკვლევარის აზრით, გარკვეული დროის შემდეგ ამას დაემატა კონტრელიტა, რომელიც ასევე იგივე იდეების მატარებელი იყო, ოღონდ უკვე სხვა ვერსიის ნაციონალიზმისა, ანტისაბჭოთა ვერსიის და საბოლოო ჯამში, ორივემ ერთად მოიტანა ის, რაც მოიტანა, რომ ნაციონალიზმი გახდა წამყვანი ძალა (დ. დარჩიაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 7 ნოემბერი 2017).

მოსაზრება, რომ მე-20 საუკუნის 80-იანი წლების საერთაშორისო პოლიტიკისთვის იმავე საუკუნის 10-იანი წლებისგან განსხვავებით, უფრო მეტად დამახასიათებელი იყო სახელმწიფო და არა ეროვნული სუვერენიტეტისადმი კეთილგანწყობა, გამომდინარეობს არამხოლოდ დიდი სახელმწიფოების ლიდერთა კონკრეტული პოზიციების ანალიზიდან, არამედ იგივე აღქმა ჰქონდათ ეროვნული მოძრაობის ლიდერებსაც.

ყოფილი დისიდენტი, ანტისაბჭოთა ქმედებებისთვის გასამართლებული საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი ლევან ბერძენიშვილი ეროვნულ მოძრაობას ახასიათებს როგორც 80-იანი წლების საერთაშორისო პოლიტიკაში არსებული განწყობების საწინააღმდეგო მოვლენას. იგი თვლის, რომ იმდროისათვის ფაქტობრივად რამდენიმე ლიდერის ინდივიდუალური განწყობის გარდა, არ არსებობდა დასავლეთში მხარდაჭერა საბჭოთა კავშირის დანგრევის და მის ადგილას ეროვნული სახელმწიფოების შექმნისთვის. სწორედ ამის ფონზე ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოში ეფექტურად იქნა გამოყენებული ის შესაძლებლობები, რასაც მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე გარდაქმნები იძლეოდა და ეროვნული მოძრაობა მიუხედავად ყველა წინააღმდეგობისა ისტორიის სწორ მხარეს აღმოჩნდა. მისი აზრით, ქართული, ესტონური, ლიტვური, ლატვიური, უკრაინული და ნაწილობრივ სომხური ეროვნული მოძრაობები ერთ ნიადაგზე იყო აღმოცენებული და ერთმანეთთან დიდ მსგავსებას ავლენდნენ (ლ. ბერძენიშვილი, პირადი კომუნიკაცია, 13 ნოემბერი 2017).

ის ძირითადი განსხვავება, რაზეც ექსპერტები და ყოფილი დისიდენტების ნაწილი მიუთითებს ქართულ და ბალტიისპირულ ნაციონალურ მოძრაობებს შორის ემოციებსა და სენტიმენტებში მდგომარეობს, რაც მნიშვნელოვანწილად აზარალებდა ქართული ეროვნული მოძრაობის სრულიად ლეგიტიმურ მიზნებს. ემოციური ფონის გავლენა ამა თუ იმ საჯარო განცხადების, გამოსვლისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეროვნული მოძრაობის ლიდერებისათვის ცალსახა მახასიათებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ 80-იანი წლების საქართველოში. ზემოთ არაერთი შეფასება და მოსაზრება იქნა მოყვანილი იმის თაობაზე, თუ რა ფაქტორები ახდენდა გავლენას გამსახურდიას, კოსტავას და სხვათა პოზიციებზე, აღნიშულ იქნა ის საფრთხეები, რაც

ხშირ შემთხვევაში არ ან ვერ იყო გათვალისწინებული ლიდერების მხრიდან და რაც ლეგიტიმაციის პრობლემას უქმნიდა მათ საერთაშორისო ასპარეზზე, ასევე ართულებდა საერთო ეროვნული ინტეგრაციის შესაძლებლობებს ეთნიკურ უმცირესობებთან და ქმნიდა არასახარბიელო ფონს უახლოეს მეზობლებთან ურთიერთობებში. გამსახურდია და კოსტავა, ანუ ადამიანები, რომელთა გარშემოც ტრიალებდა მთელი ქართული ეროვნული მოძრაობა და ვინც ქმნიდა ამ მოძრაობის ძირითად კონტურებს ხშირ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, იყენებდნენ ეთნიკურ და რელიგიურ საკითხებს მასების მობილიზაციისა და საკუთარი პოლიტიკის/მიდგომების გასაძლიერებლად, რის გარეშეც მოძრაობის მასშტაბის მიღწევა, სავარაუდოდ, გაუჭირდებოდათ. აღნიშნული გარემოების მტკიცებულებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ფაქტობრივად ყველა ის საჯარო გამოსვლა მიტინგებზე, თუ მასობრივ შეკრებებზე, რომელთაც ადგილი ჰქონდა გამსახურდიას, კოსტავასა და სხვა ლიდერების მხრიდან. მათი მიმართვები, როგორც წესი, იწყებოდა რელიგიურ საკითხებზე აპელირებით, გრძელდებოდა ქართველი ერის, როგორც გამორჩეული და განსაკუთრებული ერთობის და მართლმადიდებლურ ქრისტიანობასთან მისი ერთგვარად ექსკლუზიური დამოკიდებულებების ხაზგასმით და მხოლოდ ამის შემდგომ გრძელდებოდა საუბარი იმ ძირითად მოთხოვნებზე, რაც იყო ამა თუ იმ ცალკეული შეკრების, თუ ზოგადად მოძრაობის ძირითადი მიზანი. ყოველივე ამის ფონზე კი, ადგილი ფაქტობრივად არ რჩებოდა ისეთი პრაგმატული და ნებისმიერი ერისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად, როგორებიცაა მომავალი სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმები, ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა, ენერგეტიკული დამოუკიდებლობა, სახელმწიფო პოლიტიკა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მიმართ, სოციალური უზრუნველყოფა, მკაფიოდ განსაზღვრული საგარეო პოლიტიკური კურსი, რომელიც ზოგადი დასავლური ორიენტაციიდან უკვე კონკრეტულ პრიორიტეტებზე გაამახვილებდა ყურადღებას და ა.შ.

ზემოთ მოცემული მოსაზრების საილუსტრაციოდ, გარდა უკვე მოყვანილი ექსპერტების შეფასებებისა, შეგვიძლია ინტერნეტ სივრცეში არსებული 80-იანი წლების დემონსტრაციების, მიტინგების, თუ საჯარო შეკრებების ამსახველი

ნებისმიერი აუდიო-ვიდეო წყარო გამოვიყენოთ, ასევე, პრესკონფერენციების ჩანაწერები და ოფიციალური წერილები. მაგალითად, მერაბ კოსტავა 1989 წლის 9 აპრილს რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ შეკრებილ დემონსტარნტებს მიმართავს სიტყვით, რომელშიც საუბარი იმ გზაზე, რომელიც ქართველმა ერმა გამოიარა 70 წლიანი საბჭოთა ოკუპაციის პირობებში, რომ ეს გზა იყო ქრისტეს გზა, მრავალი სირთულით, ტანჯვით აღსავსე და რომ სწორედ მაშინ (1989) დადგა ის დიდებული მომენტი, როდესაც ქართველმა ერმა თავისი ისტორიული გამარჯვება უნდა მოიპოვოს ღვთის შეწევნით და ა.შ. (კოსტავა, 1989). იმავე წლის 26 მაისს ვაკის პარკში შეკრებილ მრავალ ათასიან საზოგადოებასთან მიმართვას ზვიად გამსახურდიაც იწყებს ასევე წმინდა გიორგის, ქრისტეს, ღვთის ძალის და მსგავსი რელიგიური სენტიმენტების შემცველი ფრაზებით. იგი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ქართველმა ერმა საუკუნეების მანძილზე არაერთი დამპყრობელი მოიგერია, თავი დააღწია უდიდესი იმპერიების ბატონობას და ეხლაც ღვთის ძალითა და შეწევნით დამარცხდება ისტორიაში ყველაზე უფრო ბოროტი და ბნელით მოცული იმპერია - საბჭოთა კავშირი. გამსახურდია ემოციური ფონის გასაძლიერებლად აქცენტებს სვამს ქართველთა მიერ საუკუნეების მანძილზე დაღვრილ სისხლზე თავისუფლებისთვის და იმ ადამიანებს, ვინც ამ მიზნისთვის იბრძოდა და შეეწირა მას, მოიხსენებიებს წმინდანებად, რომელთაც ქრისტეს მსგავსად გაიარეს მოწამეობრივი გზა და დაიმკვიდრე ადგილი სხვა დიდ წმინდანებს შორის. იგი საქართველოსთვის დაღვრილ სისხლს აიგივებს ქრისტესთვის დაღვრილ სისხლს, რითაც ხაზს უსვამს ქართველი ერის ექსკლუზიურ კავშირს ქრისტიანობასთან (გამსახურდია, 1989). ეთნიკური ქართველების უპირატესობაზე და მათი ინტერესების გატარებაზე საუბრობს ზვიად გამსახურდია 1989 წლის 21-25 ივნისს სახალხო ფრონტის ყრილობაზე გამოსვლისას, სადაც იგი პუნქტებად კითხულობს მათ წესდებას და მკაცრად აკრიტიკებს იმის გამო, რომ ეთნიკური უმცირესობების უფლებები გათანაბრებული აქვთ ქართველებთან. გამსახურდია აცხადებს, რომ ეროვნული მოძრაობა იბრძვის საქართველოსთვის და არა აზერბაიჯანისთვის და აზერბაიჯანელებისთვის და ვინც გადაწყვეტს იბრძოლოს აზერბაიჯანისთვის, აფრთხილებს, რომ აუცილებლად დამარცხდება. ამავე

გამოსვლაში იგი აკრიტიკებს სახალხო ფრონტს ასევე აფხაზებისა და ოსების უფლებებზე გადამეტებული ზრუნვისთვის და მიუთითებს, რომ აფხაზებსა და ოსებს ჰყავთ არაჩვეულებრივი დამცველი კრემლის სახით, შესაბამისად მათი უფლებების დაცვა არ უნდა იყოს არც ერთი ქართული პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ჯგუფის პრიორიტეტი, უფრო მეტიც, იგი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ საქართველოში „უკანონოდ“ ჩამოსახლებული ხალხი გაძევებულ იქნენ ქვეყნიდან. როგორც ყველა სხვა გამოსვლაში, რელიგიური ფაქტორი აქაც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს და წარმოდგენილი წესდების იმ პუნქტის კრიტიკის სახით ჰპოვებს გამოხატულებას, რომლითაც გათვალისწინებული იყო რელიგიის ისტორიისა და თეორიის სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში. გამსახურდია მიიჩნევდა, რომ ეს ჩანაწერი ძალიან ზოგადია და საჭიროებს დაკონკრეტებას იმის თაობაზე, რომ უმაღლეს სასწავლებლებში უნდა ისწავლებოდეს ღვთის მეტყველება და არა რაიმე ზოგადი კურსი. ამავე გამოსვლაში გამსახურდია აკრიტიკებს ჯანსუღ ჩარკვიანს იმის გამო, რომ მისი რედაქტორობით გამოცემული გაზეთი ორ ენაზე, ქართულად და რუსულად იყო დაბეჭდილი და მოუწოდებს მას, რომ მსგავსი მიდგომა აღარ გამოიყენოს და მხოლოდ ქართულად გამოსცეს შემდგომში გაზეთი. მისი აზრით, ერთ-ერთი მთავარი საფრთხე, რაც საქართველოს ემუქრებოდა იყო რამდენიმე ენის დაკანონება ქვეყანაში და ამას კრემლის ფარულ გეგმად მიიჩნევს (გამსახურდია, 1989). რელიგიის საკითხის აქცენტირების და მისი ადგილის შესახებ ეროვნულ მოძრაობაში ყველაზე უფრო მკაფიოდ და პირდაპირი ტექსტით შეიძლება ითქვას, რომ გამსახურდია საუბრობს 1990 წლის 14 ნოემბერს უზენაესი საბჭოსადმი მიმართვაში, სადაც იგი ქართულ ეროვნულ მოძრაობას უწოდებს უპირველეს ყოვლისა რელიგიურ მოძრაობას და აღნიშნავს, რომ რელიგიური მოძრაობის გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტი ეროვნული აღორძინება, აქაც კიდევ ერთხელ გამოდის ინიციატივით, რათა შეიქმნას საკვირაო რელიგიური სკოლები, გაიხსნას თეოლოგიის ფაკულტეტები უნივერსიტეტებში და ა.შ. (გამსახურდია, 1990).

გამსახურდიას ნაკლებ პოლიტიკურ გამოცდილებაზე, სახელმწიფოს მართვის ცოდნაზე და ემოციური ფონის გავლენაზე მის განცხადებებსა და ქმედებებში მიანიშნებს ისიც, რომ იგი ხშირად როგორც ჩანს არ აკეთებდა საშუალო და

გრძელვადიან გათვლებს. მაგალითად, მის მიერ 1989 წლის ივნისში აზერბაიჯანელების უფლებების დაცვის შესახებ გაკეთებული განცხადების შემდგომ, სადაც იგი სახალხო ფრონტს აკრიტიკებს ეთნიკური უმცირესობების უფლებების აქცენტირებაში, სულ რაღაც 2 წელში აზერბაიჯანის პრეზიდენტ აიაზ მუთალიბოვთან შეხვედრისას ორი ერის ძმობასა და მეგობრობაზე საუბრობს და კოლეგას სთხოვს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების პირობების გაუმჯობესებას, თავის მხრივ კი თავად საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების, როგორც ქვეყნის სრულფასოვანი მოქალაქეების უფლებების დაცვის გარანტიას აძლევს (გამსახურდია, 1991). ხოლო, ამ შეხვედრიდან ათ დღეში მუთალიბოვს წერილს უგზავნის, სადაც ორი ერის ძმობასა და სტრატეგიულ პარტნიორობაზე ამახვილებს ყურადღებას (გამსახურდია, 1991). იგივე შეიძლება ითქვას აფხაზებთან მიმართებაში გამსახურდიას პოზიციებზეც. დამოუკიდებლობის მოპოვებამდე მისი რიტორიკა მკვეთრად ეთნონაციონალისტური გახლდათ, რამაც თავისი შედეგები გამოიღო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, რაზეც უკვე შეცვლილმა მიდგომამ და ერთიანი სახელმწიფოს პოზიციიდან საუბარმა გავლენა ვეღარ მოახდინა. მაგალითად, ერთ-ერთ მიმართვაში თბილისის პარლამენტის წინ, რომელიც სავარაუდოდ 1990 წელს არის გაკეთებული (ზუსტი თარიღის დადგენა ვერ მოხერხდა) გამსახურდია საუბრობს აფხაზებზე და მათ აფსუას ტომს უწოდებს, რომელთა ისტორიული სამშობლო ჩრდილოეთ კავკასიაშია, შესაბამისად მოუწოდებს მათ, თუკი სურთ ეროვნული თვითგამორკვევა, დაბრუნდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში და ჰპირდება, რომ ამ შემთხვევაში საქართველო მხარში დაუდგება მათ (გამსახურდია, 1990). ხოლო, მას შემდეგ რაც აფხაზეთში სიტუაცია კრიტიკულ ზღვარზე იმყოფებოდა, გამსახურდია ავრცელებს მიმართვას, სადაც მოუწოდებს ქართველებს და აფხაზებს ეროვნული შერიგებისა და კონსოლიდაციისაკენ და მიუთითებს კრემლის ზრახვებზე ქეყანაში სიტუაციის არევის შესახებ (გამსახურდია, 1992).

საინტერესოა, რომ ეროვნული მოძრაობის გახსენებისას/შეფასებისას მიუხედავად მთელ რიგ საკითხებში აზრთა სხვადასხვაობისა, ამ მოძრაობის ის

ლიდერები, რომელთა გამოკითხვაც შესაძლებელი გახდა წინამდებარე კვლევის ფარგლებში, შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად არ საუბრობენ იმ საკითხებზე, რომლებზეც ზემოთ არის მსჯელობა გაშლილი და ყურადღებას ამახვილებენ მხოლოდ ამ მოძრაობის მნიშვნელობაზე. თუმცა, აქაც შეინიშნება გარკვეული განსხვავებები. მაგალითად, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი თამარ ჩხეიძე 70-80-იან წლებში მიმდინარე მოვლენების გახსენებისას არაერთხელ აღნიშნავს, რომ ქართული ნაციონალური სული არასდროს მომკვდარა და მიუხედავად იმისა, თუ რა პირობებში უწევდათ ქართველებს ცხოვრება, რა იყო მსოფლიო პოლიტიკის დღის წესრიგის მთავარი საკითხები, აქ მაინც დუღდა პატრიოტული მოსაზრებები. თუმცა, აქვე იგი აღნიშნავს, რომ 70-იან წლებამდე ეროვნული იდეები ადამიანთა ძალზედ ვიწრო წრეში იწვევდა დაინტერესებას ან/და ხალხი ვერ ბედავდა საკუთარი მოსაზრებების გამოხატვას, რისი შეცვლაც, მისი აზრით, მოხერხდა ახალი თაობის გამოსვლით საზოგადოებრივ ასპარეზზე, რომელთაც მეტი გამბედაობა გააჩნდათ. უპირველეს ყოვლისა, ჩხეიძის აზრით, ალბათ საზოგადოების შინაგანი ფაქტორებით იყო გამოწვეული (ეროვნული მოძრაობა). ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ რაღაც ფორმით ეროვნული მოძრაობა ყოველთვის არსებობდა, ყველაზე უფრო, მკაცრ პირობებშიც კი, მაგრამ 70-იან წლებში ახალი ტალღა დაიწყო, გარკვეული თვალსაზრისით, თორემ ეს იყო უწყვეტი პროცესი, სხვადასხვა ორგანიზაციები იატაკქვეშა და ა.შ. ყოველთვის საქართველოს ოკუპაციის დღიდან, როგორც პირველი ოკუპაციის, ასევე მეორე ოკუპაციის, ეს არ შეწყვეტილა, ასე, რომ ვთქვათ, ახალი არაფერი არ მომხდარა 80-იან წლებში, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ 70-იან წლებში გამოიკვეთა ახალი ტალღა გარკვეულწილად მხოლოდ, თორემ ეს გარდაუვალი იყო და საგარეო ფაქტორიც რომ არ ყოფილიყო მაინც ყოველთვის არსებობდა. ამასთან, ჩხეიძე განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ისეთი პროცესების შესახებ, როგორიც იყო 1978 წლის მასშტაბური დემონსტრაციები თბილისში ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის შეცვლის წინააღმდეგ, უნივერსიტეტში რუსული ენის, როგორც სწავლების ენის გაძლიერების წინააღმდეგ პროტესტი და ა.შ. (თ. ჩხეიძე, პირადი კომუნიკაცია, 17 ნოემბერი 2017). საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი და ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი,

გოგი ხოშტარია ინტერვიუში ეროვნული მოძრაობის განსაკუთრებით ბოლო პერიოდზე საუბრისას, როდესაც ქვეყანა დამოუკიდებლობისკენ მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამდა, მიუთითებს იმ აზრთა სხვადასხვაობაზე და ხშირ შემთხვევაში რადიკალური მიმართულებების წარმოქმნაზე, რომელთაც ადგილი ჰქონდა მოძრაობის შიგნით და რაც ერთგვარად აფერხებდა ერთიანი, კონსოლიდირებული პოლიტიკის გატარებას (გ. ხოშტარია, პირადი კომუნიკაცია, 19 დეკემბერი 2017). ხოლო, ირაკლი წერეთლი მიიჩნევს, რომ რეჟიმის ლიბერალიზაციის გარეშე, მხოლოდ ქართველების ვაჟკაცობის შედეგად შეუძლებელი იქნებოდა იმ მასშტაბების მიღწევა, რასაც ადგილი ჰქონდა 80-იანი წლების ეროვნული მოძრაობის შემთხვევაში, ვინაიდან ხალხმა საკუთარი ძალა და აზრის გამოხატვის შესაძლებლობა სწორედ ამ დროს იგრძნო დასავლეთის მხარდაჭერის მეშვეობით. იგი მიიჩნევს, რომ ეს იყო პერიოდი, როდესაც ეროვნული მოძრაობის წიაღში დაიბადა ყველა ის დიდი იდეა, რომელიც დღემდე მთავარ სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს საქართველოსთვის, მათ შორის ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანებისკენ სწრაფვა და ა.შ. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ ერონული მოძრაობის მთელი ღირსება და სიდიადე მდგომარეობს იმაში, რომ განსხვავებით ვთქვათ, სომხეთისგან, აზერბაიჯანისგან, შუა აზიის რესპუბლიკებისგან, ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკაში და საქართველოში, ეროვნულმა მოძრაობამ მოუტანა საქართველოს თავისუფლება და ყველა დიდი იდეა, თუ რამე არსებობს საქართველოში, თუნდაც ნატოში გაწევრიანება, ეს ყველა ეროვნული მოძრაობის იდეებია. მთელი თეორია შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებლობაზე. წერეთელი 80-იანი წლების ეროვნული მოძრაობის შედარებისას საუკუნის დასაწყისის მოვლენებთან აღნიშნავს, რომ მაშინ კი გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ მაშინ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას განმათავისუფლებელი მოძრაობა წინ არ უძღვოდა. მას მიაჩნია, რომ ეს გასაგებიცაა მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, მათ შორის იმიტომაც, რომ ისტორიული გამოცდილება მაშინ ნაკლები იყო (ი. წერეთელი, პირადი კომუნიკაცია, 7 ნოემბერი 2017).

მართლაც, ყველაფრის მიუხედავად, 1980-იანი წლების ეროვნული მოძრაობა საქართველოში იყო ძალზედ სიმბოლიზებული, ისტორიის გაფეტიშებისა და რელიგიური და ეთნიკური საკითხების გარშემო ორიენტირებული, თუ არაპროგნოზირებადი და ზედმეტად ემოციური - პრაგმატიზმს მნიშვნელოვნად დაცილებული, ცალსახად უნდა ითქვას, რომ ეს იყო ქართველი ერის გამოღვიძების და ქართული ნაციონალური პროექტის განხორციელების იმ დროისათვის, როგორც ჩანს, ყველაზე ეფექტური გზა, რომელმაც შეძლო ათწლეულების მანძილზე მიძინებული და ადამიანთა ვიწრო წრეში შემორჩენილი ქართული ეროვნული იდეის გარშემო მასების მობილიზაცია და ეს მოახერხა იმდენად ეფექტურად, რომ ადამიანები, რომლებიც რამდენიმე წლით ადრე ვერ ბედავდნენ ხმის ამოღებას ან/და არ გააჩნდათ შესაბამისი ცნობიერება ზემოხსენებული საკითხების გარშემო, მზად იყვნენ დამოუკიდებლობისა და თავისუფლების იდეისათვის სიცოცხლე შეეწირათ, რისი ნათელი მაგალითიც 1989 წლის 9 აპრილი გახლავთ, რომლის გარეშეც ალბათ წარმოუდგენელია საქართველოში 80-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე საუბარი, ვინაიდან ეს თარიღი იქცა ერთგვარ წყალგამყოფად, რის შემდეგაც დღევანდელი გადასახედიდან უბრალოდ შეუძლებელი იყო ქართველი ერის საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში დარჩენა. ის ძირითადი თავისებურებები კი, რაც ამ მოძრაობას თან ახლდა და რაზეც ზემოთ ფართოდ არის მსჯელობა მოცემული, უკვე დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოსთვის უმთავრეს გამოწვევად იქცა. როგორც ყოფილი დისიდენტი და რესპუბლიკური პარტიის დამფუძნებელი ლევან ბერძენიშვილი შენიშნავს, მიუხედავად ყველაფრისა, ზვიად გამსახურდია და ეროვნული მოძრაობა ისტორიის სწორ მხარეს აღმოჩნდა, იმ მხარეს, რომელმაც შესაძლებელი გახადა რთულ და ახალი ნაციონალური სახელმწიფოების წარმოქმნის მიმართ არაკეთილგანწყობილ საერთაშორისო სისტემაში საქართველოს ეროვნული სუვერენიტეტის კვლავ მოტანა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შეძენა. მისი აზრით, ბევრი საყვედური შეიძლება ვუთხრათ ზვიად გამსახურდიას, მაგრამ ის, რომ ისტორიის თვალსაზრისით ის იყო მართალი და არა მსოფლიო, ეს დღეს არის დადასტურებული. ეს პროცესი იყო ისტორიული პროცესი, საბჭოთა კავშირი უნდა დანგრეულიყო. ნაციონალური სახელმწიფოები

უნდა ჩამოყალიბებულიყო, ხალხთა მონობის ეს ფორმა, სახელმწიფოებრივი დამონების ფორმა დაინგრა, ეს ბუნებრივია. ლაპარაკი, რომ არ უნდა გვებრძოლა და საჩუქრად მოგვივიდოდა, ბერძენიშვილის აზრით, სისულელეა (ლ. ბერძენიშვილი, პირადი კომუნიკაცია, 13 ნოემბერი 2017).

4.2 ცვლილებები საერთაშორისო სისტემაში 1980-იან წლებში

ვერსალის საერთაშორისო სისტემის არამდგრადობა, როგორც უკვე აღვნიშნე, მალევე გამოჩნდა. სისტემის მთავარ გარანტორთა შორის სურვილისა თუ უნარის არქონის გამო ჩარეულიყვნენ და შეეჩერებინათ დევიანტი სახელმწიფოები, მეტწილად კი ჰიტლერის გერმანია კრიზისის დასაწყისში, როდესაც იგი უარს აცხადებდა პარიზში შეთანხმებული პირობების შესრულებაზე, საერთაშორისო სისტემა მიიყვანა მანამდე არნახულ დაპირისპირებამდე. ამ დაპირისპირებაში კი საბოლოო ჯამში სხვადასხვა ფორმითა და მასშტაბით ჩაერთო მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა, მათ შორის ყველა დიდი ძალა. 1939 წლის შემოდგომაზე დაწყებული ექვსწლიანი ომი, რომელიც მე-2 მსოფლიო ომის სახელითაა ცნობილი, თავისი მასშტაბითა და მნიშვნელობით იმაზე დიდი აღმოჩნდა, ვიდრე ამის ვარაუდი ვინმეს შეეძლო. ომის შედეგად დაიღუპა და დაშავდა ათობით მილიონი ადამიანი, ფაქტობრივად მთლიანად განადგურდა ასეულობით ქალაქისა და სოფლის ინფრასტრუქტურა, ჩამოიშალა მსოფლიო ეკონომიკის უდიდესი ნაწილი და გამოუსწორებელი ზიანი მიადგა მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობას.

თუმცა, საერთაშორისო პოლიტიკური თვლსაზრისით, ამ ომს სხვა მნიშვნელოვანი შედეგებიც ჰქონდა, რამაც განსაზღვრა კიდეც ომის შემდგომი ახალი მსოფლიო წესრიგი და სისტემის ხასიათი. კერძოდ, 1941 წლის 7 დეკემბერს ტრადიციული იზოლაციონიზმიდან გამოვიდა და ომში ჩაერთო ამერიკის შეერთებული შტატები, მსოფლიოს უძლიერესი ეკონომიკის მქონე სახელმწიფო. ამერიკის ჩართვამ არამხოლოდ ომის ბედი გადაწყვიტა, არამედ იგი აქცია თავისუფალი სამყაროს ლიდერად და ახალი საერთაშორისო წესრიგის მთავარ შემოქმედად. პირველად ისტორიაში, მსოფლიო პოლიტიკურმა ცენტრმა ევროპული

დედაქალაქებიდან გადაინაცვლა ვაშინგტონსა და მოსკოვში. ამიერიდან საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგის განსაზღვრა ხდებოდა თეთრ სახლსა და კრემლში (გაჩეჩილაძე, 2013, გვ. 259-303).

მეორე მსოფლიო ომის შედეგების შეჯამება და ახალი წესრიგის დამყარებაზე ზრუნვა ჯერ კიდევ ომის დასრულებამდე დაიწყო. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა 1945 წლის თებერვალსა და ივლის-აგვისტოში იალტასა და პოტსდამში გამართული კონფერენციები, სადაც ამერიკის, ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის ლიდერები წერდნენ ომის შემდგომი მსოფლიოს ბედს. ახალი სისტემა, რომელიც თავისი ხასიათით მკვეთრად განსხვავდებოდა მისი წინამორბედისაგან, აკადემიურ წრეებში ხშირად სწორედ იალტა-პოტსდამის საერთაშორისო სისტემის სახელით მოიხსენიება. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული კონფერენციების შეფასებები მათი შედეგების თვალსაზრისით რადიკალურად განსხვავდება. მუდმივად დაობენ იმაზე, თუ ვისთვის იყო უფრო წარმატებული და მომგებიანი მიღწეული შეთანხმებები. საერთაშორისო პოლიტიკაში ცივი ომის კონტურების გამოკვეთასთან ერთად სულ უფრო მეტად იზრდებოდა უკმაყოფილება ვაშინგტონსა და ლონდონში განსაკუთრებით იალტის კონფერენციაში ჩართული მათი ლიდერების, რუზველტისა და ჩერჩილის, პოზიციონირების გამო. ბევრი ისტორიკოსი დღემდე მიიჩნევს, რომ სტალინმა ფაქტობრივად ყველა მისთვის პრინციპულ საკითხზე მიიღო თანხმობა მოკავშირეებისგან (პაპასკირი, 2010, გვ. 195-208, ibid: 360-363).

რთულია ცალსახად იმის თქმა, თუ რომელმა გამარჯვებულმა სახელმწიფომ მიიღო ყველაზე მეტი სარგებელი იალტასა და პოტსდამში გამართული კონფერენციების შედეგად, მაგრამ ერთი რამ ფაქტია - განსხვავებით პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პროცესებისგან, უშუალოდ მეორე მსოფლიო ომს არ მოჰყოლია დიდი ტერიტორიული ცვლილებები (დიდ ცვლილებებზე საუბარი ოდნავ მოგვიანებით, მხოლოდ დეკოლონიზაციის პროცესის დაწყებას შეიძლება მივაწეროთ). ომის შედეგად მხოლოდ საბჭოთა კავშირმა მიიღო ახალი ტერიტორიები და გავლენის სფეროები როგორც აღმოსავლეთში იაპონიისა და კორეის ხარჯზე, ისე დასავლეთში გერმანიის, ფინეთის, რუმინეთის, პოლონეთისა და სხვათა

ინტერესების შელახვით. ბალტიისპირეთის სამი სახელმწიფო კი (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი) ძალით დაიპყრო და მიიერთა, რასაც ფორმალური არაღიარების გარდა ვერც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ვერც რომელიმე სხვა დასავლურმა დიდმა სახელმწიფომ რეალური წინააღმდეგობა ვერ გაუწია - სასწორზე ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საერთაშორისო წესრიგი და სტაბილურობა იდო (გაჩეჩილაძე, 2013, გვ. 304-318).

ახალი მსოფლიო წესრიგის/საერთაშორისო სისტემის საფუძვლის ჩაყრის ერთ-ერთ საკვანძო მომენტად შეგვიძლია ასევე მივიჩნიოთ 1944 წლის 7 ივლისს ვაშინგტონში, დუმბარტონ ოუკსის სასახლეში ამერიკის, საბჭოთა კავშირისა და ბრიტანეთის წარმომადგენლების შეხვედრა, რომელზეც ახალი, „ერთა ლიგის“ შემცვლელი საერთაშორისო ორგანიზაციის წესდება შეთანხმდა. შეხვდრის მონაწილეებმა ტერმინი „გაერთიანებული ერები“ პრეზიდენტ რუზველტისაგან აიღეს, რომელიც ასე გერმანიის წინააღმდეგ გაერთიანებულ ერებს მოიხსენიებდა. დამბარტონ ოუკსის წესდების პროექტმა საფუძველი დაუდო 1945 წლის ზაფხულში სან ფრანცისკოში მიღებულ გაეროს ქარტიას, რომელსაც 55 სახელმწიფო შეუერთდა. ახალი გლობალური საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის შექმნის დეკლარირებული მიზანიც მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება გახლდათ და რომელიც ერთა ლიგის წარუმატებელი გამოცდილების გათვალისწინებით შეიქმნა, ფაქტობრივად ასახავდა ახალ საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოთა განსხვავებულ როლებს. კერძოდ, გაეროს უშიშროების საბჭოში ანტიჰიტლერული კოალიციის ხუთი ძირითადი წევრი - ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საბჭოთა კავშირი, ჩინეთი და საფრანგეთი - მუდმივმოქმედი და ვეტოს უფლებით აღჭურვილნი აღმოჩნდნენ. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში პოლონეთზე ნაკლები ადამიანური და მატერიალური დანაკარგი ჰქონდა და ფაქტობრივად დამარცხდა ამ ომში, იგი მაინც რჩებოდა ძლიერ სახელმწიფოდ უამრავი კოლონიით აფრიკაში, აზიასა და დასავლეთ ნახევარსფეროში, ამიტომ სტალინი განსაკუთრებით აქტიურად უჭერდა მხარს მის მუდმივმოქმედ წევრად ყოფნას უშიშროების საბჭოში. მისი ეს პოზიცია იმითაც იყო განპირობებული, რომ

საფრანგეთს განიხილავდა ანგლო-ამერიკული კოალიციის დამაბალანსებელ ძალად გლობალურ პოლიტიკურ თამაშში. შეიძლება ითქვას, რომ საბოლოო ჯამში უკვე 1945 წლის 24 ოქტომბრისთვის, როდესაც ძალაში შევიდა გაეროს ქარტია, მკაფიოდ იყო გამოკვეთილი იალტა-პოტსდამის საერთაშორისო სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი ძირითადი ძალები. საერთო მტრის დამარცხების შემდეგ კი ყოფილი მოკავშირეები სწრაფადვე იქცნენ კონკურენტებად ძალაუფლებისა და მსოფლიო ბატონობისთვის „ცივ ომში“ (Bosco, 2009, pp. 10-79).

როგორც 1993 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „ცივილიზაციათა შეჯახება“ სემუელ ჰანთინგტონი წერს, ცივი ომი ეს იყო დაპირისპირება არა მონარქებსა და ერებს შორის, როგორც ეს ისტორიაში მანამდე ხდებოდა, არამედ ეს გახლდათ დაპირისპირება იდეოლოგიებს შორის (HAntington, 1993, pp. 2). იდეათა ორი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ჯგუფის დაპირისპირება მართალია არ გადაზრდილა ახალ გლობალურ ომში დიდ ძალებს შორის, თუმცა, დაპირისპირებამ მოიცვა პლანეტის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ყოველდღიური ცხოვრება. ადამიანთა ცხოვრების სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ასპექტები განისაზღვრებოდა იმის მიხედვით, თუ რომელ ბანაკს მიეკუთვნებოდა მათი ქვეყანა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ცივი ომის პერიოდში დიდ ძალებს შორის უშუალო შეიარაღებული დაპირისპირება არ მომხდარა, რასაც საერთაშორისო ურთიერთობების ბევრი სპეციალისტი სხვა მოვლენებთან ერთად ძირითადად ბირთვული შეკავების ფაქტორს უკავშირებს. კერძოდ, 1949 წლიდან უკვე ორივე ზესახელმწიფოს, ამერიკას და საბჭოთა კავშირს, გააჩნდათ ბირთვული იარაღი, რაც ამ ორ სუპერძალას შორის უშუალო დაპირისპირებას ფაქტობრივად გამორიცხავდა. თითქმის ორმოცწლიანი ომი ორ ბანაკს შორის, მიუხედავად გლობალური დაპირისპირების არარსებობისა, მაინც ხასიათდებოდა პერმანენტული დაძაბულობებითა და ცხელი წერტილებით მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში. ასეთი იყო ბერლინის ბლოკადა, სუეცის კრიზისი, კუბის კრიზისი, ვიეტნამისა და კორეის ომები, ისრაელ-არაბების არაერთი დაპირისპირება და სხვა მრავალი. თუმცა, საბოლოო ჯამში ორივე მხარე აცნობიერებდა იმ საფრთხეს, რომელიც წითელი

ხაზების გადაკვეთასა და ერთმანეთთან ღია დაპირისპირებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა, სწორედ ამიტომ ბრძოლის ყველაზე ეფექტურ და გლობალური გავრცელების იარაღად იდეათა ჭიდილი იქცა.

ცივი ომი პირობითად იყოფა რამდენიმე ეტაპად, პირველი ესაა 1945-1953 წლები, როდესაც ყალიბდებოდა ბიპოლარული სისტემა და განისაზღვრებოდა დაპირისპირების ძირითადი კონტურები, აღმოსავლეთის ბლოკს საბჭოთა კავშირის მეთაურობით ხელმძღვანელობდა სტალინი, ხოლოდ დასავლეთის ბლოკს შეერთებული შტატების ლიდერობით ხელმძღვანელობდა ტრუმენის დემოკრატიული პარტიის ადმინისტრაცია. ტრუმანი უდაოდ გახლდათ შეკავების პოლიტიკის და ჩრდილოატლანტიკური უსაფრთხოების თანამედროვე სისტემის ფუძემდებელი, სტალინი კი კომუნიზმის გამარჯვებისა და გავრცელების სიმბოლოს წარმოადგენდა მილიონობით ადამიანის თვალში. 1953 წელი ორივე დედაქალაქში, მოსკოვსა და ვაშინგტონში, დიდი ცვლილებების ასპარეზად იქცა. იანვარში ტრუმანმა არჩევნების შედეგად ძალაუფლება რესპუბლიკური პარტიის ადმინისტრაციას გადააბარა ეიზენჰაუერის მეთაურობით, ხოლო კრემლმა მარტში გაავრცელა ინფორმაცია, რომ ინსულტის შედეგად გარდაიცვალა დიდი ბელადი, იოსებ სტალინი. კრემლში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მართვის ახალ სტილზე გადასულიყვნენ და კოლექტიურად გაძღოლოდნენ ტერიტორიულად მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოს - სათავეში მოვიდა ნიკიტა ხრუშჩოვი. 1953 წელი მეტწილად გაურკვევლობისა და მოლოდინის წელი გახლდათ საერთაშორისო პოლიტიკაში, როდესაც არავინ იცოდა, გააგრძელებდნენ ახალი ლიდერები წინამორბედთა საგარეო პოლიტიკურ კურსს, თუ იქნებოდა მკვეთრი ცვლილებები. შედეგად დაიწყო ცივი ომის მეორე ეტაპი 1953-1962 წლები, რომელიც ორ სუპერ ძალას შორის თანაარსებობითა და კონფრონტაციის ახალი ეტაპის დაწყებით ხასიათდებოდა. ეიზენჰაუერის რესპუბლიკური ადმინისტრაცია სახელმწიფო მდივან დალესის შემადგენლობით ამერიკას სრულიად ახლებურ საგარეო პოლიტიკას სთავაზობდა, რაც თავის თავში აგრესიულ დიპლომატიას, შეიარაღების შემდგომ განვითარებას და ვაშინგტონის მიერ მეტი საერთაშორისო პასუხისმგებლობის აღებას გულისხმობდა. დალესს მიაჩნდა, რომ საბჭოთა კავშირის გავლენის შეკავების წინა

ადმინისტრაციისეული პოლიტიკა სუსტი და მოუქნელი იყო, რის სანაცვლოდაც აუცილებლად მიაჩნდა არათუ საბჭოთა კავშირის გავლენის შეკავება, არამედ მისი შეზღუდვა საბჭოთა კავშირის უშუალო საზღვრებამდე. სტალინის მემკვიდრეობისთვის ბრძოლაში კი მოსკოვის საგარეო პოლიტიკური პოზიციები დამთმობი და შემრიგებლური გახდა. ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელიც 1957 წლამდე პოლიტიკური პირველობისათვის იბრძოდა საბჭოთა მმართველ ელიტაში, ითვალისწინებდა ტირანის შემდგომ საბჭოთა ხალხში გაჩენილ მოლოდინს რეპრესიული რეჟიმის მცირედით მაინც შერბილების შესახებ და ცდილობდა ეს ყოველივე საკუთარი ძალაუფლების ლეგიტიმაციისათვის გამოეყენებინა. დასავლეთის ბლოკთან დათბობის დროებითმა პოლიტიკამ 1955 წელს მიაღწია პიკს, როდესაც კორეის ნახევარკუნძულთან დაკავშირებული დათმობის შემდეგ, შესაძლებელი გახდა ავსტრიის სტატუსის შესახებ 10 წლიანი კონფრონტაციული მოლაპარაკებების უმტკივნეულოდ დასრულება და მოულოდნელად საბჭოთა ჯარის გამოყვანაც იმ პირობით, რომ ავსტრია მკაცრ ნეიტრალიტეტს დაიცავდა ორ დიდ ძალას შორის.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის ინტერესიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცივი ომის იმ ეტაპის გაანალიზება, რომელიც დეტანტის სახელით არის ცნობილი და რომლის დროსაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბანაკებს შორის მკვეთრი დაპირისპირება თანამშრომლობისა და კონფრონტაციის შესუსტებისკენ დროებითმა სწრაფვამ შეცვალა. ეს ეტაპი მნიშვნელოვანია როგორც საერთაშორისო პოლიტიკის კვლევის თვალსაზრისით, ვინაიდან დაპირისპირებულმა ძალებმა რამდენიმე მნიშვნელოვან შეთანხმებას მიაღწიეს, რითაც საერთაშორისო დაძაბულობა შესუსტდა, ასევე იმის გამო, რომ შესაძლებელი გახდა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის შედარებით შერბილება და საბჭოთა იმპერიაში ადამიანის უფლებების და პოლიტიკური აზრის გამოხატვის თავისუფლების საკითხის საერთაშორისო საზოგადოების კონტროლის ქვეშ მოქცევა, რამაც თავის მხრივ ოკუპაციის ქვეშ მყოფ „მოკავშირე“ რესპუბლიკებში გააჩინა საზოგადოებრივი, პირველ რიგში კი ეროვნული მოძრაობების გააქტიურების შესაძლებლობა. ეს ყოველივე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა

საქართველოსთვის, ვინაიდან აქ ნაციონალური იდეა მხოლოდ საზოგადოების ვიწრო წრეში დუღდა და ხალხის ფართო მასებამდე მისი მიტანა მანამდე ფაქტობრივად განუხორციელებელ ამოცანას წარმოადგენდა. რასაკვირველია, კრემლი დათმობებზე არ წასულა იმ მოტივით, რომ დემოკრატიული გარდაქმნების დიდი სურვილი ჰქონდა, თუმცა, შექმნილმა ეკონომიკურმა პრობლემებმა ქვეყნის შიგნით, საერთაშორისო ასპარეზზე კონკურენტუნარიანობის შემცირებამ და საგარეო დახმარების მიღების საჭიროებამ აიძულა, ნაწილობრივ დათანხმებოდა დასავლეთის მოთხოვნებს. რთულია იმაზე მსჯელობა, თუ როგორ წარმოედგინათ მოსკოვში მოვლენათა განვითარების შესაძლო სცენარი ქვეყნის შიგნით, თუკი მოკავშირე რესპუბლიკებს, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს ეროვნული დამოუკიდებლობის ისტორიული გამოცდილება გააჩნდათ და ათწლეულების განმავლობაში იძულებით, სამხედრო ოკუპაციის მეშვეობით ამყოფებდნენ საბჭოთა იმპერიაში, თუმცა, ფაქტია, რომ ამ ყოველივემ შეუქცევად პროცესებს დაუდო სათავე.

1970-იანი წლების პირველი ნახევარი საერთაშორისო პოლიტიკაში დიდ ძალებს შორის ურთიერთობების შერბილებით ხასიათდება, რასაც დეტანტს უწოდებენ. 1971 წლიდან იწყება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის უმაღლესი რანგის დიპლომატიური შეხვედრების ორგანიზება, საგარეო უწყებების ხელმძღვანელებისა და სახელმწიფოთა მეთაურების დონეზე. ჰენრი კისინჯერის ამერიკის სახელმწიფო მდივნობის პერიოდს კი 70-იანი წლების დასაწყისში უკავშირდება კომუნისტურ ჩინეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება და ამით მოსკოვისთვის მთავარი მოკავშირის ჩამოცილების მცდელობა, რასაც თავისი წინაპირობები გააჩნდა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობების გართულების სახით. ამასთან, საბჭოთა კავშირი საგარეო ვაჭრობის თვალსაზრისით სულ უფრო მეტ პრობლემას აწყდება სტრატეგიულ ტექნოლოგიებსა და სხვა რესურსებზე წვდომის შეზღუდვას, ეს კი იმ პირობებში, როდესაც თავად უკვე საკმაოდ დიდი ჩამორჩენა აქვს ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით დასავლეთის ქვეყნებთან.

ამ ყველაფრის ფონზე, საბჭოთა კავშირის იმ დროინდელი ლიდერი, ბრეჟნევი გამოვიდა ინიციატივით, მოეწვიათ ევროპის უსაფრთხოების კონფერენცია, რაზეც

ევროპელებს თავისი წინაპირობები ჰქონდათ და ითხოვდნენ გამართულიყო სამხედრო ძალების ორმხრივი და პროპორციული შემცირების შესახებ მოლაპარაკებები. ბრეჟნევი დათანხმდა ევროპული სახელმწიფოების მოთხოვნას. შედეგად, 1973 წლის 15 იანვარს ჰელსინკიში მუშაობა დაიწყო ევროპის უსაფრთხოების კონფერენციამ, ხოლო 30 ოქტომბერს ვენაში სამხედრო ძალების ორმხრივი და პროპორციული შემცირების კონფერენციამ. ეს უკანასკნელი უშედეგოდ დასრულდა, თუმცა ჰელსინკის ევროპის უსაფრთხოების კონფერენციამ ფაქტობრივად გააფორმა დეტანტის მიღწევები. ორწლიანი კონფერენცია ჰელსინკიში 1975 წლის 1-ელ აგვისტოს დასრულდა, რამაც უზარმაზარი ბიძგი მისცა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ეკონომიკურ და პოლიტიკურ თანამშრომლობას. ჰელსინკის ფინალურმა აქტმა, რომელსაც უფრო მეტად პოლიტიკური შეთანხმების ხასიათი ჰქონდა, ვიდრე იურიდიული ძალა, ფაქტობრივად გააფორმა ის რეალობა, რომელიც ცივი ომის შედეგად იყო ჩამოყალიბებული ევროპაში. ევროპის 32 ქვეყანა, ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა და საბჭოთა კავშირი აღიარებდნენ ერთმანეთის საზღვრებს, გავლენის სფეროებსა და არსებულ რეალობას. ისინი აწესებდნენ კონტროლის მექანიზმებს სამხედრო სწავლებებისა და სხვა კრიტიკულად მნიშვნელოვან საქმიანობაზე ერთმანეთის მიმართ და სხვა. აღნიშნულ კონფერენციაზე ამერიკამ ირიბად აღიარა ბალტიის სახელმწიფოები საბჭოთა კავშირის ნაწილად, რის სანაცვლოდაც საბჭოთა კავშირი წავიდა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან დათმობაზე მოკავშირე რესპუბლიკების მნიშვნელოვან ნაწილში, მათ შორის საქართველოში არსებული ეროვნული მოძრაობისთვის და დათანხმდა ე.წ. ჰელსინკის „მესამე კალათის“ პირობებს, რაც როგორც ზემოთ უკვე რამდენჯერმე იქნა ნახსენები გულისხმობდა ადამიანის უფლებებისა და პოლიტიკური თავისუფლებების უზრუნველყოფას. სწორედ ამ შეთანხმების შემდეგ გახდა შესაძლებელი პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლება, გამოხატვის თავისუფლების უფლების მოთხოვნა და ეროვნული მოძრაობის გაშლისათვის საჭირო სხვა მნიშვნელოვანი პირობების მოპოვება (CONFERENCE ON SECURITY AND CO-OPERATION IN EUROPE FINAL ACT, 1975). ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო სისტემის გარდაქმნა დაიწყო სწორედ ჰელსინკიში გაფორმებული

შეთანხმებით და სწორედ აქედან იწყება ათვლის ახალი წერტილი საბჭოთა იმპერიის შიგნით მიმდინარე პროცესების განვითარებაში, რამაც მოგვიანებით საბჭოთა კავშირის დაშვებული დრამატული შეცდომებით, მათ შორის ავღანეთში შეჭრითა და ამერიკის სათავეში პრეზიდენტ რეიგანის მოსვლით და მისი აგრესიული პოლიტიკით „ბოროტების იმპერიის“ მიმართ, ჰპოვა გაგრძელება.

70-იანი წლების ბოლო და 80-იანი წლების დასაწყისი, მიუხედავად საგარეო პოლიტიკაში მიღწეული გარღვევისა და დასავლეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის ფართო შესაძლებლობის მიღებისა, ფაქტობრივად უძრაობის ხანას წარმოადგენდა საბჭოთა კავშირში. სახელმწიფო სისტემა თითქმის სრულად კორუმპირებული და ჩამოშლის პირას იყო მისული, ყოველდღიური სოციალური და ეკონომიკური პროცესები იმართებოდა არაფორმალური გარიგებებით და ა.შ. შეუძლებელი ხდებოდა სიტუაციის არსებულ მდგომარეობაში დატოვება. ამას თან ერთვოდა 80-იანი წლების დასაწყისში ამერიკის სათავეში ახალი, ქარიზმატული ლიდერის, რონალდ რეიგანის მოსვლა, რომელიც როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა სულაც არ აპირებდა საბჭოთა ჩინოვნიკების ჭირვეულობის მოთმენას და მათთვის ენის მოჩლექვას. მისი პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ იყო მრავალმხრივი. გარდა სამხედრო და ეკონომიკურ კომპონენტში ამერიკის უპირატესობის აქტიური დემონსტრირებისა, რითაც აიძულებდა ოპონენტს გადაედგა კონკრეტული ნაბიჯები, მიუხედავად იმისა, შესწევდა თუ არა ამ ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობა, რეიგანი არ ერიდებოდა იმ მახინჯი რეალობის საჯაროდ გაქილიკებას, რაც საბჭოთა იმპერიაში სუფევდა.

სიტუაციას ართულებდა ისიც, რომ შექმნილი პრობლემური ვითარებიდან თავის დასაძვრენად, შიდა პრობლემების გადაფარვისა და კუნთების თამაშის მიზნით 1979 წელს ავღანეთში შეჭრილი საბჭოთა კავშირი, რომელსაც მთელი ქვეყანა ჰქონდა ოკუპირებული, სულ უფრო რთულად უმკლავდებოდა მასშტაბური სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის ფინანსურად უზრუნველყოფას. ამას თან ერთვოდა მომხდარით დასავლეთის უკიდურესი გაღიზიანება და მათი მხრიდან მწვავე შეფასებები. ავღანეთში შეჭრით ფაქტობრივად დასრულდა დეტანტი და დაიწყო ცივი ომის უკანასკნელი ფაზა, როდესაც კრემლის ავანტურისტული პოლიტიკის

წინააღმდეგ მოხდა კაპიტალისტური ბლოკის მნიშვნელოვანი კონსოლიდაცია. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბანაკებს შორის გართულებული ურთიერთობების ფონზე კი ამერიკის სათავეში რეიგანის მსგავსი ქარიზმატული ლიდერის მოსვლა უმნიშვნელოვანესი ფაქტორი აღმოჩნდა. პრეზიდენტმა რეიგანმა, რომელმაც საბჭოთა კავშირს ბოროტების იმპერია უწოდა, დაიწყო გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა მოსკოვის დასასუსტებლად. მან მოწინააღმდეგე გამოიწვია ტექნოლოგიურ და სამხედრო შეჯიბრში, მხარი დაუჭირა მსოფლიოში ანტიკომუნისტური მოძრაობის გაძლიერებას, ხელი შეუწყო საბჭოელების მთავარი საექსპორტო პროდუქციის - ნავთობის ფასების რამდენჯერმე შემცირებას მსოფლიო ბაზარზე (ქილორი, 2015, გვ. 557-69).

მძიმე ვითარებაში, 1985 წელს საბჭოთა კავშირის სათავეში მოვიდა მიხეილ გორბაჩოვი, რომელმაც შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან სახელმწიფოს გამოყვანის გზად გარდაქმნისა და საჯაროობის პოლიტიკის გატარება დაისახა. 1987 წელს გორბაჩოვმა გამოაცხადა კიდეც ახლებური პოლიტიკის შესახებ, რასაც სტალინისა და ხრუშჩოვის იმპერიაში დემოკრატიზაცია და ეკონომიკური პროცესების გარდაქმნა უნდა გამოეწვია. ახალი ლიდერის განცხადებებს მოკავშირე რესპუბლიკებში სკეპტიკურად უყურებდნენ და ეს ყოველივე ერთგვარ მახედ მიაჩნდათ. თუმცა, დროთა განმავლობაში ცხადი გახდა, რომ გორბაჩოვის შეთავაზება აზრის თავისუფლად გამოხატვისა და დემოკრატიზაციის შესახებ რეალობას შეესაბამებოდა. როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირის პირველ და უკანასკნელ პრეზიდენტს ვერ წარმოედგინა, რომ ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს არსებული სახელმწიფო მის მიერ ინიცირებული დემოკრატიზაციის პროცესის შედეგად რამდენიმე წელში ბოლომდე ჩამოიშლებოდა. თუმცა, რა გასაკვირია, რომ სამხედრო ძალითა და ტოტალური ტერორით შექმნილი და შენარჩუნებული იმპერიის ნაწილები, რომელთაც ხშირ შემთხვევაში დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გამოცდილება და ეროვნული სული გააჩნდათ, თავისუფლების სულ მცირე შეგრძნებისთანავე დაიწყებდნენ ბრძოლას ნაციონალური თავისუფლებისათვის.

მიხეილ გორბაჩოვისა და მისი ხელისუფლების მცდელობას, დასავლეთთან ურთიერთობები დაელაგებინა, რაც ეკონომიკური წინსვლისა და პოლიტიკური

სტაბილურობის წყარო უნდა გამხდარიყო საბჭოთა კავშირისთვის, შედეგად მოჰყვა ამერიკელი და საბჭოთა ლიდერების ყოველწლიური შეხვედრები 1985 წლიდან მოყოლებული. ამ შეხვედრებზე განიხილებოდა საკითხების ფართო სპექტრი, დაწყებული შეიარაღების შეზღუდვიდან, დამთავრებული ადამიანის უფლებებითა და ეკონომიკური თანამშრომლობით. 1985 წლის 19 ნოემბერს ჟენევაში გამართულ პირველ შეხვედრას გორბაჩოვსა და რეიგანს შორის ერთგვარი გაცნობითი ხასიათი ჰქონდა, რომლის დროსაც რაიმე ხელშესახებ შედეგს ვერ მიაღწიეს. მნიშვნელოვანი წარმატების გარეშე დასრულდა ორ ლიდერს შორის 1986 წლის ოქტომბერში გამართული სამიტი რეიკიავიკშიც. თუმცა, ორივე ამ შეხვედრას რომ დაპირისპირებულ მხარეებს შორის ურთიერთობების შერბილება და კრემლის მხრიდან შიდა თუ საგარეო პოლიტიკაში დათმობები მოჰყვა, ფაქტია.

უკვე 1987 წლიდან ცხადი გახდა, რომ გორბაჩოვმა ერთი მხრივ ქვეყნის შიგნით მართვის სისტემის რეფორმირება დაიწყო, გარდაქმნისა და გამჭვირვალობის პოლიტიკის გამოცხადებით, ხოლო, მეორე მხრივ საგარეო პოლიტიკაში მკაფიო დათმობებზე წასვლა დაიწყო. 1987 წელს ვაშინგტონში გამართულ მომდევნო სამიტზე საბჭოთა კავშირი დათანხმდა ორმხრივად აკრძალულიყო საშუალო რადიუსიანი ბირთვული რაკეტების განთავსება ევროპაში. 1988 წლის 14 აპრილს ჟენევაში ამერიკას, საბჭოთა კავშირს, ავღანეთსა და პაკისტანს შორის ხელი მოეწერა აქტს, რომლითაც გაიწერა ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის გრაფიკი, რაც ეფექტურ აღსრულებაში ძალიან მოკლე ვადაში, იმავე წლის 15 მაისს შევიდა, როდესაც მოსკოვმა ჯარის გაყვანა დაიწყო. ამავე წლის 29 მაისს მოსკოვში გაიხსნა რეიგანისა და გორბაჩოვის 5 დღიანი მოლაპარაკებები, რომლის შედეგადაც მხარეები ევროპაში მოკლე რადიუსიანი ბირთვული შეიარაღების შეზღუდვაზე შეთანხმდნენ. 1989 წლის 25 ოქტომბერს კი გორბაჩოვმა უარყო ბრეჟნევის დოქტრინა, რომლის მიხედვითაც მოსკოვს შეეძლო სოციალისტური ბლოკის ნებისმიერ ქვეყანაში სამხედრო ინტერვენცია განეხროციელებინა, თუკი ჩათვლიდა, რომ სოციალიზმს საფრთხე ემუქრებოდა. ამ გადაწყვეტილებიდან მოკლე ხანში მალტაზე შედგა გორბაჩოვისა და ამერიკის ახალი პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშ უფროსის პირველი შეხვედრა, რომლის დროსა ლიდერებმა მშვიდობის ახალი ერის დაწყების შესახებ

განაცხადეს. შეიარაღების შემცირებისა და შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკებები კვლავ გაგრძელდა 1990 წელსაც, როდესაც ვაშინგტონში ორი ქვეყნის მეთაურს შორის ხელი მოეწერა ქიმიური რაკეტების წარმოების შეზღუდვასა და არსებული მარაგების შემცირების თაობაზე დოკუმენტს (Llewellyn, Southey, Thompson, 2018).

ცხადია, საერთაშორისო სისტემის შერბილება მხოლოდ საბჭოთა კავშირის მხრიდან შეიარაღების შესახებ შეთანხმებებზე ხელმოწერით, თუ ავღანეთიდან და მოგვიანებით აღმოსავლეთ ევროპის რიგი ქვეყნებიდან ჯარების გამოყვანით არ შემოიფარგლებოდა. გორბაჩოვის დათმობის პოლიტიკა, რაც რეალურად საბჭოთა კავშირის დასუსტებაზე მიუთითებდა, მალევე იქცა შეუქცევადი პროცესების დაწყების მიზეზად სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში. დემონსტრაციები რელიგიის თავისუფლების მოთხოვნით ჩეხოსლოვაკიაში (1988), უნგრეთის ხელისუფლების მიერ ავსტრიის საზღვარზე მავთულხლართების დემონტაჟი და ახალი, დემოკრატიული კონსტიტუციის მიღება (1989), მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პირველი დემოკრატიული არჩევნები პოლონეთში და სოლიდარობის მოძრაობის ლიდერის, ლეც ვალესას პრეზიდენტად არჩევა (1989), საპროტესტო გამოსვლები კომუნისტური ხელისუფლების წინააღმდეგ, მთავრობის გადადგომა ჩეხოსლოვაკეთში და პრეზიდენტად ვაცლავ ჰაველის არჩევა (1989), რუმინეთის დიქტატორის, ჩაუშესკუს დამხობა არასრული ჩამონათვალია იმ მოვლენების, რასაც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ჰქონდა ადგილი. ამას მოჰყვა ვარშავის პაქტისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ლიკვიდაცია, რითაც საბოლოოდ გაფორმდა კომუნისტური ბანაკის დაშლა. თუმცა არც ერთი ზემოთ ნახსენები მოვლენა თავისი მნიშვნელობით ნაკლები არ იყო, ბიპოლარული საერთაშორისო სისტემისა და ცივი ომის დასრულების ერთ-ერთ მთავარ სიმბოლოდ მაინც ბერლინის კედლის დანგრევა და გერმანიის გაერთიანება შეგვიძლია მივიჩნიოთ.

საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე გარდაქმნების პარალელურად კი, საბჭოთა კავშირის რეფორმირების პოლიტიკა რაც უფრო შორს მიდიოდა, მით უფრო ასუსტებდა საბჭოთა მოქალაქეებში იმ საფუძველს, რაზეც ეს იმპერია შვიდი ათწლეულის მანძილზე იდგა - შიშს და ტოტალური კონტროლის სხვა მექანიზმებს.

იმპერიის ძირითადი საყრდენების მოშლამ უკვე რეალური გახადა ის, რაზეც მანამდე ოცნებაც არ შეეძლოთ მოკავშირე რესპუბლიკებს, დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. ამ თვალსაზრისით, გასაკვირი არ არის, რომ პირველები ბალტიისპირეთის რესპუბლიკები აღმოჩნდნენ, ხოლო მათ მიჰყვა საქართველო და უკრაინა, რითაც ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა სხვა რესპუბლიკებში პროცესების შეჩერება. ბერლინის კედლის დანგრევიდან ორი წლის შემდეგ 1991 წლის დეკემბერში ფაქტობრივად გაფორმდა საბჭოთა კავშირის დაშლაც.

გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ მიუხედავად ცივ ომში და განსაკუთრებით მის უკანასკნელ ეტაპზე საბჭოთა კავშირის მიმართ შეუპოვარი დაპირისპირებისა, დასავლეთი ნაკლებად ამჟღავნებდა სურვილს მთავარი კონკურენტის ტერიტორიული რღვევის მიმართ. უფრო პირიქით, მათ სურდათ დემოკრატიის გზაზე შემდგარი, ლიბერალური ეკონომიკური მოდელის მქონე და პასუხისმგებლიანი პარტნიორის მიღება, მაგრამ არა მისი დაშლა თხუთმეტ ახალ სახელმწიფოდ (შედარებით განსხვავებული დამოკიდებულება იყო ბალტიისპირეთის რესპუბლეკების მიმართ, იხ. ქვემოთ). არც ერთ ოფიციალურ განცხადებაში თუ დოკუმენტში დასავლეთის ბლოკის ლიდერებს არ დაუფიქსირებიათ დადებითი განწყობა მსოფლიო პოლიტიკაში ახალი სახელმწიფოების წარმოქმნის შესახებ, რაც მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საერთაშორისო საზოგადოების განწყობა 80-იანი წლების ბოლოს ნამდვილად არ იყო ერთა თვითგამორკვევის უფლების სასარგებლოდ და უფრო მეტად კვლავ იხრებოდნენ უკვე არსებული სახელმწიფოების სუვერენიტეტის პრინციპის დაცვისკენ. ამის ახსნა შესაძლებელია იმით, რომ თავად დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოების ლიდერებიც კი, ვინც ყველაფერი გააკეთა საბჭოთა კავშირის დასუსტების და მის შიგნით სამოქალაქო უფლებებისა და პოლიტიკური თავისუფლებების პრინციპების დასამკვიდრებლად და გასაძლიერებლად, ბოლომდე ვერ აცნობიერებდნენ იმ ახალ რეალობას, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ჩამოყალიბებული ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის შერბილებამ გამოიწვია.

4.3 საქართველოს მეორე დამოუკიდებელი რესპუბლიკა, როგორც საერთაშორისო სისტემაში მომხდარი ცვლილებების შედეგი

1921 წლის თებერვალში იძულებით დათმობილი დამოუკიდებლობისა და გასაბჭოების შემდეგ, რასაც პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ინტელექტუალური ელიტის ფაქტობრივად სრული წმენდა მოჰყვა, საქართველოში ეროვნულობის იდეა სისხლში ჩაახშვეს. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ეს ყოველივე წარმოშობით ეთნიკური ქართველის იოსებ ჯუღაშვილის (სტალინის) მეთაურობით დაგეგმეს და განახორციელეს. თუმცა, წინამდებარე ნაშრომში სტალინისა და სტალინიზმის ფაქტორი მნიშვნელოვანია არა იმდენად მისი ეთნიკური წარმომავლობის გამო, რაც თავად მისთვის როგორც ჩანს ნომინალურ ღირებულებას წარმოადგენდა, არამედ იმიტომ, რომ ამ ყოველივემ გარკვეულწილად გამოიწვია იძულებით დამორჩილებული, სამხედრო ძალით ჩაკლული ეროვნული იდეის დროებითი დეგრადაციაც. კერძოდ, მაშინ როდესაც ინტელექტუალური ელიტა სრულად განადგურდა, ფაქტობრივად აღარვინ დარჩა ქვეყანაში, ვინც კრიტიკულად შეაფასებდა და ხალხის მასებამდე მიიტანდა ქართული საელმწიფოებრიობისა და თვითმყოფადობის მიმართ სტალინისა და სბჭოთა კავშირის პოლიტიკის გამანადგურებელი ეფექტის შესახებ ინფორმაციას. უფრო მეტიც, საბჭოთა ელიტის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად, საქართველოს საზოგადოების გარკვეულ ნაწილებში სტალინი, როგორც ეთნიკურად ქართველი დროთა განმავლობაში იქცა ეროვნულობის გამოხატულებად. მიუხედავად იმისა, რომ იოსებ ჯუღაშვილის სახელს საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობა, ეროვნული იდეის ჩახშობა და თაობების განადგურება უკავშირდება, ხალხის მასობრივმა ფსიქოლოგიურმა ტერორმა გამოიღო შედეგი, როდესაც სტალინის კულტის დაგმობა ეროვნული შეურაცხყოფის რანგში იქნა აყვანილი.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ნაციონალიზმის გაძლიერება და ფართო მოძრაობის წამოწყება შესაძლებელი გახადა იმ უმნიშვნელოვანესმა შეთანხმებამ, რომელიც მიღწეულ იქნა დასავლეთსა და საბჭოთა კავშირს შორის და რომელიც ცნობილია ჰელსინკის აქტის სახელით. საბჭოთა კავშირში არსებული მცირე ერებისათვის, რომელთაც გააჩნდათ ეროვნული სული და ზოგიერთ

შემთხვევაში დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის შესახებ არც თუ შორეული მოგონებები, როგორც ზემოთ ერთხელ უკვე ვახსენეთ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებდა ჰელსინკიში გამართული მოლაპარაკებების ე.წ. „მესამე კალათა“, რომელიც გულისხმობდა ადამიანის უფლებებისა და პოლიტიკური თავისუფლებების უზრუნველყოფის შესახებ საბჭოთა კავშირის მხრიდან გარკვეული ვალდებულებების აღებას. საბჭოთა იმპერიის მხრიდან შესაბამისი პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღებას მალევე მოჰყვა საქართველოში ე.წ. „ჰელსინკის ჯგუფის“ ჩამოყალიბება (ანალოგიური ჯგუფები შეიქმნა რამდენიმე სხვა საბჭოთა რესპუბლიკაშიც, მათ შორის ლიეტუვაში, ლატვიასა და ესტონეთში), რომელსაც ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და სხვა დისიდენტები ჩაუდგნენ სათავეში.

ჰელსინკის ჯგუფი აქტიურად მუშაობდა საერთაშორისო შეთანხმების შედეგად მოპოვებული უფლებების უზრუნველყოფისათვის. მართალია, ამ პროცესს ეროვნული მოძრაობის ჩანასახისათვის არ მოუტანია მოქმედების სრული თავისუფლება, თუმცა, თუკი გადავხედავთ 1975 წლის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს, როდესაც ჯერ კიდევ დიდების ზენიტში მყოფი საბჭოთა იმპერიის პირობებში, ყალიბდება პირველი არაფორმალური გაერთიანებები და პოლიტიკური მოძრაობები, შესაძლებელი ხდება ეროვნული ელფერის მქონე მასშტაბური საპროტესტო აქციის გამართვა 1978 წელს ქართული ენის სტატუსის დასაცავად და 1983 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის დადების 200 წლისთავთან დაკავშირებული მიტინგი, სულ უფრო აქტიურად ხდება ნაციონალური იდეის პროპაგანდირება ხელოვნების სხვადასხვა სფეროში, სპორტული ღონისძიებების მიმდინარეობისას და ა.შ., ნათელი ხდება მისი მნიშვნელობა (ჩხაიძე, 2016, გვ. 33-41).

ჰელსინკის ფინალური აქტის და მისი შედეგების მნიშვნელობა რომ ძალზედ დიდი იყო 1980-იან წლებში გაშლილი ქართული ეროვნული მოძრაობისთვის ამაზე პირისპირ ინტერვიუში განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს როგორც დარგის ყველა გამოკითხული ექსპერტი, ისე ეროვნული მოძრაობის ლიდერები და აქტიური წარმომადგენლები. ისინი აღნიშნულ მოვლენას ერთგვარ კატალიზატორად მიიჩნევენ ნაციონალური საკითხების გარშემო პროცესების დაძვრისა და ფართო მასებამდე ამ პროცესის მთავარი იდეების მიტანაში. თუმცა, ჰელსინკის აქტთან

ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო დასავლეთის სახელმწიფოების, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთბული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მიერ საბჭოთა კავშირის მისამართით გატარებული პოლიტიკა, რომელიც ერთგვარ შეჯიბრებითობაზე იდგა და რაშიც კრემლი ცალსახად განწირული იყო მარცხისთვის იმ რესურსებისა და განვითარების დონის გათვალისწინებით, რაც საბჭოთა იმპერიის საუკეთესო წლებშიც კი დამახასიათებელი იყო მისთვის. ამასთან, დასავლეთის ბლოკის ლიდერთა პიროვნული თვისებებიც არანაკლებ როლს თამაშობდა 80-იანი წლების „დიდ შეჯიბრში“, ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია როგორც რონალდ რეიგანისა და მარგარეტ ტეტჩერის, ისე რომის პაპის იოანე პავლე II პერსონა. ამ უკანასკნელის მიერ მხარდაჭერილი მოძრაობა პოლონეთში მნიშვნელოვან ზიანს აყენებდა კომუნისტური ბანაკის მდგრადობას, რის შესახებაც არაერთი მკვლევარი მიუთითებს. საბჭოთა კავშირის დროინდელი დისიდენტი, საქართველოს რესპუბლიკური პარტიის დამფუძნებელი (1978), პროფესორი ლევან ბერძენიშვილი წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ჰელსინკის ფინალურმა აქტმა და მის შედეგად გაჩენილმა შესაძლებლობამ, მყისიერი გამოხმაურება ჰპოვა საქართველოში, ისევე როგორც რამდენიმე სხვა საბჭოთა რესპუბლიკაში და დაიწყო მისი აქტიური გამოყენება ეროვნული მოძრაობის ჩამოსაყალიბებლად: „...დიახ, ის (ეროვნული მოძრაობა) ყოველთვის იყო, მაგრამ მას მიეცა საშუალება გაძლიერებულიყო. ფორმალურად ითქვა, რომ რაღაც მეტი თავისუფლებები არის, შეიძლება ასოციაციების შექმნა, არაფრომალური გაერთიანებები და საქართველოში ეს (ჰელსინკის აქტი) იმ წუთას იქნა გამოყენებული, ისევე როგორც ლიეტუვაში, ლატვიაში, ესტონეთში, უკრაინაში, სომხეთშიც.“ ბერძენიშვილი ასევე ხაზს უსვამს, რომ იოანე პავლე II და პრეზიდენტი რეიგანი იყვნენ იმ გამონაკლის ლიდერებს შორის, ვინც თავისი პიროვნული დამოკიდებულებიდან გამომდინარე მიესალმებოდნენ საბჭოთა კავშირის არამხოლოდ შეკავებას/კონტროლის ქვეშ მოქცევას, არამედ მის დაშლასაც (ლ. ბერძენიშვილი, პირადი კომუნიკაცია, 13. ნოემბერი 2017). უნდა ითქვას, რომ მიუხედავად აღნიშნული იმპერსიის წინააღმდეგ გამართული მასშტაბური კამპანიისა, მსგავსი პოზიცია არ იყო მაინც და მაინც პოპულარული იდეა

დასავლეთის ბლოკში. უფრო მეტიც, ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგი პრეზიდენტი, ჯორჯ ბუშ უფროსი და სხვა დასავლელი ლიდერები სულაც არ იყვნენ მომხრე იმისა, რომ „ბოროტების იმპერია“ დაშლილიყო, მათთვის არსებული საერთაშორისო პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე სრულიად მისაღები იყო მხოლოდ ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკის (ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი) გათავისუფლება კრემლის გავლენისგან, ვინაიდან ეს ქვეყნები დასავლეთის მხრიდან ყოველთვის მიიჩნეოდა ოკუპირებულად საბჭოთა კავშირის მიერ, ხოლო დანარჩენი კავშირის დემოკრატიული სახით შენარჩუნება, რასაც მოწმობს ბუშის სიტყვით გამოსვლაც კიევში 1991 წელს, რომლის დროსაც იგი ფაქტობრივად მოუწოდებდა უკრაინელებს, რომ დარჩენილიყვნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. თუმცა, ერთი იყო სურვილი დასავლელ ლიდერებს შორის და მეორე რეალობა, რომელიც დადგა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის შერბილებით, რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო სწორედ დასავლეთის ზეწოლით. (შარაშენიძე, 2017). აქ უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტ ბუშის მხრიდან უცნაურიც იქნებოდა სხვაგვარი განცხადების გაკეთება, რადგან ქვეყანაში ვიზიტად მყოფი უცხო სახელმწიფოს ლიდერი, მოსახლეობას ვერ მოუწოდებს არსებული ქვეყნიდან გამოყოფისა და ცალკე სუვერენული ერთეულის შექმნისკენ.

დასავლეთის ბლოკის ლიდერთა პოლიტიკურ უნარებზე, მასების მობილიზაციის მიზნით ეროვნული მოძრაობის ლიდერთათვის საერთაშორისო ასპარეზზე განვითარებული მოვლენების მნიშვნელობაზე და ჰელსინკის ფინალური აქტის და მის შედეგად ჩამოყალიბებული ჰელსინკის ჯგუფის საქმიანობაზე მიუთითებს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე (2013-2018 წწ.), რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი პირველი წევრი ივლიანე ხაინდრავაც, რომელიც ინტერვიუში აცხადებს, რომ საქართველოში ჰელსინკის ჯგუფი, რომელიც იდეაში უნდა ყოფილიყო ადამიანის უფლებათა დამცველი, როგორც მაგალითად რუსეთშიც შეიქმნა, ეფექტურად იყენებდა ამ ფორმატს ეროვნული მოძრაობის ინტერესების დასაცავად და ამ ნიადაგზე პოლიტიკური ნიშნით დაკავებული პირების გასათავისუფლებლად. ხაინდრავა იხსენებს, რომ ჰელსინკის ჯგუფების სახელით შექმნილი ორგანიზაციები ამ აქტით იღებდნენ

გარკვეულ ლეგიტიმაციას და მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ეს ჯგუფები ადამიანის უფლებებისა და პოლიტიკური თავისუფლებების დაცვის მიზნით იქმნებოდა, მოკავშირე რესპუბლიკებში მათ აშკარად ნაციონალური იდეების და ამ იდეებზე დაფუძნებული ქმედებების განსახორციელებლად იყენებდნენ. მისი აზრით, ამ პროცესმა იქონია გარკვეულწილად გარდამტეხი მნიშვნელობა იმისათვის, რათა ადგილობრივ საზოგადოებებს ოდნავ მაინც გახსნოდათ ხელები და ემუშავათ თავიანთი პოლიტიკური თუ ნაციონალური მიზნებისთვის (ი. ხაინდრავა, პირადი კომუნიკაცია 17 ნოემბერი 2017).

1910-იანი წლებისგან განსხვავებით, როდესაც პირველი მსოფლიო ომის გამომწვევი პირდაპირი მიზეზების გამო საერთაშორისო პოლიტიკური კონიუნქტურა ლოიალურად იყო განწყობილი ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპის, ეროვნული თვითგამორკვევის და აქედან გამომდინარე, ახალი სახელმწიფოების შექმნის მიმართ, სიტუაცია განსხვავებული იყო 1980-იან წლებში. მას შემდეგ, რაც პირველი მსოფლიო ომის შემდგომ გერმანიაში, იტალიასა და მსოფლიოს ზოგიერთ სხვა წერტილში ნაციონალიზმის ნიადაგზე აღმოცენებულმა თუ გაძლიერებულმა რადიკალურმა იდეოლოგიებმა მეორე მსოფლიო ომის სახით ახალი გლობალური კრიზისი გამოიწვია, ომში გამარჯვებულმა დიდმა ქვეყნებმა, რომლებიც სისტემის სტაბილურობაზე იღებდნენ პასუხისმგებლობას მსოფლიო გავლენის სფეროებად დაინაწილეს. შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში უპირატესი გახდა სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპი და საერთაშორისო პოლიტიკაში ნაკლები აქტორის მონაწილეობა მეტ სტაბილურობად იქნა აღქმული, რაც ნეორეალისტური ხედვის პრაქტიკულ გამოხატულებას წარმოადგენს. შესაბამისად, სიტუაცია არახელსაყრელი იყო მცირე ერებისთვის.

აღნიშნულ გარემოებას მოწმობს ზევით გაშლილი მსჯელობაც და გამოკითხულ ექსპერტთა მიერ მოყვანილი ფაქტებიც. თუმცა, პროცესები, რაც ძალთა ბალანსის დასავლეთის ბლოკის სასარგებლოდ გადახრის მიზნით იქნა წამოწყებული, საბოლოოდ აღმოჩნდა სწორედ იმ ცვლილებების გამომწვევი საერთაშორისო სისტემაში, რამაც მე-20 საუკუნეში მეორედ გახადა შესაძლებელი მცირე ერების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბება. აღნიშნულ

მოსაზრებას იზიარებს პროფესორი გია ნოდიაც, რომელიც აღნიშნავს, რომ ამერიკა და თავისუფალი სამყარო მთლიანად, როდესაც ებრძოდა საბჭოთა კავშირს მათი მიზანი იყო იმპერიის შეკავება. გორბაჩოვის ლიდერად გახდომის შემდგომ მათ გაუჩნდათ იმედი ბოროტების იმპერიის დემოკრატიზაციის შესახებაც, მაგრამ არც ერთ ეტაპზე კაპიტალისტურ ბლოკში არ სურდათ საბჭოთა კავშირის დაშლა, რადგან ამ დროს საერთაშორისო კონიუნქტურა არ იყო მოწოდებული ახალი ეროვნული სახელმწიფოების შექმნისაკენ (გ. ნოდია, პირადი კომუნიკაცია, 19 დეკემბერი 2017).

საბჭოთა რეჟიმის შერბილება, რაც ცალსახად ნათელი იყო 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან და განსაკუთრებით 80-იან წლებში, ბუნებრივია აჩენდა ფრთხილი ოპტიმიზმის საბაბს ქართველ დისიდენტებში. ადამიანებს, ვინც ეროვნული იდეის გავრცელებას და საბჭოთა იმპერიისგან თავის დაღწევას ესწრაფოდა, გაუჩნდათ იმედი, რომ მათი საქმიანობისთვის მათ მინიმუმ არავინ დახვრეტდა და საპყრობილეებიდანაც თავის დაღწევის რეალური შესაძლებლობა ექნებოდათ, თუკი დააპატიმრებდნენ. ამის საფუძველს კი სწორედ ჰელსინკის ფინალური აქტი და ის მეტ-ნაკლებად ეფექტური მექანიზმები იძლეოდა, რომელთა გამოყენებასაც დისიდენტური მოძრაობები აქტიურად ეწეოდნენ პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლების მიზნით. კერძოდ, დასავლეთის დედაქალაქებში პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულთა სიების მყისიერი მიწოდებით მოსკოვზე ხორციელდებოდა ძლიერი ზეწოლა და მას მოუწოდებდნენ აღებული ვალდებულებების შესრულებისკენ, რაც ძირითად შემთხვევაში შედეგიანი აღმოჩნდებოდა ხოლმე. საბჭოთა კავშირის „გაცივილიზებულება“ კი თავისთავად მსოფლიო პოლიტიკაში მისი საჭიროებებიდან გამომდინარეობდა, ამავე აზრს იზიარებს პროფესორი დავით დარჩიაშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ ჰელსინკის აქტი, რა თქმა უნდა, იყო შედეგი დეტანტის იმიტომ, რომ ხდებოდა ასე ვთქვათ ნაბიჯ-ნაბიჯ იძულებითი გაცივილიზებულება საბჭოთა რეჟიმის. იგი მიუთითებს, რომ ეს აღარ იყო არანაირად სტალინის ეპოქა და ბუნებრივია, რომ ეს ურბანიზირებული საბჭოური საზოგადოება, რომელიც, როგორც აღინიშნა მუდმივად იყოფოდა ეროვნულ ერთეულებზე, ამას ყველაფერს გამოიყენებდა ამა თუ იმ ფორმით. ეს ხდებოდა განათლებულ წრეებში, და აქ ყალიბდებოდა ახალი

დისიდენტური მოძრაობა, რომელიც ჰელსინკის ფინალურ აქტს იყენებდა, რა თქმა უნდა და ამავე დროს, უყურებდა იმას თუ ცივ ომში დასავლეთი როგორ დაამარცხებდა აღმოსავლეთს, ამის იმედიც მუდმივად იყო საზოგადოების აქტიურ ნაწილში (დ. დარჩიაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 7 ნოემბერი 2017).

ცალკე დაკვირვებისა და აღწერის ღირსია ის განწყობები, წარმოდგენები და საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებსა და ეროვნული მოძრაობის სხვადასხვა ეტაპს შორის კორელაციის ხედვა ეროვნული მოძრაობის ლიდერებში/აქტიურ წარმომადგენლებში, ვინც უშუალოდ იყო არათუ მონაწილე 1970-იან და 1980-იანი წლების ნაციონალურ ნიადაგზე განვითარებული პროცესების, არამედ ხშირ შემთხვევაში თავად ქმნიდნენ აღნიშნულ პროცესებს, მათ შორის საკუთარი თავისუფლების და უსაფრთხოების ხარჯზეც. რამდენადაც სწორედ ქართველი დისიდენტები, რომლებიც წარმოადგენდნენ ეროვნული მოძრაობის ლიდერებსაც, ახდენდნენ მასების მობილიზაციას და ეროვნული სუვერენიტეტის შესახებ იდეების გავრცელებას იმ ხალხში, ვისაც საბჭოთა ოკუპაციის გამოისობით მთელი მათი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში ერთგვარ ალტერნატიულ ისტორიას/რეალობას აწვდიდა იმპერიული სისტემა, გარკვეული მუხტისა და თვითრწმენის, ასე ვთქვათ მობილიზაციის შესაძლებლობების გასაძლიერებლად ესაჭიროებოდათ და იყენებდნენ კიდეც დასავლელი პოლიტიკოსების პოზიციებს, გამონათქვამებს, დოქტრინებს და ა.შ. აღნიშნული გარემოების შესახებ აბსოლუტურად ღიად საუბრობენ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები, ვისი გამოკითხვაც მოხერხდა კვლევის ფარგლებში. როგორც ჩანს ეროვნული მოძრაობის ლიდერებზე განსაკუთრებული გავლენა იქონია პრეზიდენტ რონალდ რეიგანის მიერ 1983 წწლის 8 მარტს წარმოთქმულმა სიტყვამ, რომელშიც იგი აკრიტიკებს საბჭოთა კავშირს, ამ ქვეყანაში შექმნილ ტოტალიტარულ რეჟიმს და მის შედეგებს და უწოდებს მას „ბოროტების იმპერიას“ (რეიგანი, 1983). მაგალითად, ირაკლი წერეთელი, რომელიც 80-იან წლებში ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი გახლდათ ეროვნული მოძრაობისა და უშუალო, ყოველდღიური შეხება ჰქონდა ამ მოძრაობის ლიდერებთან, მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიასთან, იხსენებს, რომ პრეზიდენტი რეიგანი და ბუში იყვნენ ერთგვარი ინსპირაციის წყაროები თავისი

გამოსვლებით და საბჭოთა კავშირის მიმართ კრიტიკული გამონათქვამებით. ამასთან, იგი 80-იან წლებში ეროვნული მოძრაობის მასშტაბურ გავრცელებასა და შედარებით მშვიდობიანად მის დასრულებას უკავშირებს დასავლეთის პოლიტიკური ლიდერების ზეწოლას ოფიციალურ მოსკოვზე, რაც თავის მხრივ გამომდინარეობდა კრემლის მიერ ჰელსინკის ფინალური აქტით და სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით აღებული ვალდებულებებიდან. ერთი მხრივ ის, რომ აღნიშნული შეთანხმებები ითვალისწინებდა პოლიტპატიმართა განთავისუფლებას და სამოქალაქო აქტივისტთა დასჯის მცირედით, მაგრამ მაინც გართულებას და მეორე მხრივ ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების მხრიდან საბჭოთა ხელისუფლების გამოწვევას თავდაცვითი შეიარაღებისა და ეკონომიკური საკითხების გარშემო, რასაც მოსკოვმა ვეღარ გაუძლო, მისი აზრით, მოჰყვა სწორედ იმპერიის ლიბერალიზაცია და დისიდენტებისათვის თავისუფალი სივრცის წარმოქმნა. ამან კი შეუქცევადი ხასიათი მიიღო და საბოლოო შედეგად სწორედ ბოროტების იმპერიის ნგრევა და ეროვნული სახელმწიფოების აღდგენა მოიტანა. წერეთელი იხსენებს, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რეიგანისა და გორბაჩოვის შეხვედრას ჟენევაში (1985 წ.), სადაც რეიგანმა საბჭოელ კოლეგას მოსთხოვა აღებული ვალდებულებების შესრულება და პოლიტპატიმართა გათავისუფლება, ამასთან მეორე მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევს 9 აპრილის შემდეგ ამერიკელი კანონმდებლების მიერ რეზოლუციის მიღებას, რომლითაც დაგმობილ იქნა მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა მიმართ განხორციელებული ძალადობა და მათი მკვლელობა. კითხვაზე რამდენად შესაძლებელი იქნებოდა საერთაშორისო პოლიტიკაში იმ დროისათვის მიმდინარე პროცესების გარეშე ქართული ეროვნული მოძრაობის მასშტაბური გავრცელება, რასაც ადგილი ჰქონდა 80-იანი წლების მეორე ნახევარში, ირაკლი წერეთელი პასუხობს შემდეგნაირად: „გამორიცხულია. ქართველები რომ ვყოფილიყავით ერთი 50 მილიონი... მაგრამ სამმა მილიონმა ქართველმა რა უნდა გაუკეთოს (საბჭოთა იმპერიას), გამორიცხულია ეს. იქნებოდა საქართველოში პატრიოტული ძალები და ჩემსავით, ყველა წავიდოდა ციხეში“ (ი. წერეთელი, პირადი კომუნიკაცია, 7 ნოემბერი 2017).

ეროვნული მოძრაობის გარკვეული ფორმების მუდმივობას, მათ შორის 70 წლიანი საბჭოთა ოკუპაციის პირობებშიც, უსვამს ხაზს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ყოფილი დისიდენტი თამარ ჩხეიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, თუ რა პროცესები მიმდინარეობდა მსოფლიო პოლიტიკაში, საქართველოში ყოველთვის იყვნენ ადამიანები, ვინც იბრძოდა ეროვნული იდეისათვის. თუმცა, საერთაშორისო პოლიტიკაში დაძაბულობის შემცირების, ჰელსინკის აქტისა და სისტემაში მიმდინარე სხვა პოლიტიკური პროცესების შედეგებს უკავშირებს „პერესტროიკას“ საბჭოთა კავშირში, რამაც სულ სხვა ფორმები შესძინა ნაციონალური საკითხების გარშემო განვითარებულ მოვლენებს. იგი თვლის, რომ ყოველივე ამან შესაძლებელი გახადა ფართო მასებში დაძლეულ ყოფილიყო შიშის გრძნობა და მათ ღიად გამოეხატათ საკუთარი პოზიციები: „ე.წ. „პერესტროიკამდე“, ეს მოძრაობა ატარებდა უფრო არა მასიურ ხასიათს, უფრო ვიწრო წრეზე ვრცელდებოდა, ასე ღიად ფართო მასები ვერ გამოხატავდნენ თავიანთ შეხედულებას“. ჩხეიძის აზრით მნიშვნელოვანი იყო დასავლეთის მხრიდან ადამიანის უფლებების საკითხზე მუდმივი აქცენტირება, რადგან სწორედ ადამიანის უფლებების საფარქვეშ ძლიერდებოდა ეროვნული მოძრაობები არამხოლოდ საქართველოში, არამედ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, იგი რამდენჯერმე ახსენებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯიმი კარტერს და მიიჩნევს, რომ სწორედ მისგან დაიწყო აღნიშნული თემების განსაკუთრებულად წინ წამოწევა. თამარ ჩხეიძე იხსენებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მიუხედავად, 1980-იან წლებში უკვე შესაძლებელი იყო თამამად ემუშავათ დასავლური ქვეყნების ჟურნალისტებთან, რომლებიც მოსკოვში იყვნენ ძირითადად განთავსებული, თუმცა, სატელეფონო კავშირის საშუალებით აწვდიდნენ ინფორმაციას და მათი მეშვეობით შემდგომ ხდებოდა საბჭოთა ხელისუფლებაზე დასავლელი პოლიტიკოსების ზეწოლა, რათა ადამიანის უფლებებისა და პოლიტიკური თავისუფლებების შესახებ აღებული ვალდებულებები ყოფილიყო შესრულებული. მისთვის განსაკუთრებით დასამახსოვრებელი და მორალური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო 9 აპრილის შემდგომ ამერიკის სახელმწიფო მდივნის ჯონ ბეიკერის ვიზიტი მოსკოვში, სადაც მისივე მოთხოვნით გარდა ოფიციალური ხელისუფლების წარმოამდგენლებისა,

მიწვეულნი იყვნენ დისიდენტური მოძრაობების წევრებიც საბჭოთა რესპუბლიკებიდან, მათ შორის თავად თამარ ჩხეიძეც, რომელიც საქართველოს ეროვნულ მოძრაობას წარმოადგენდა (თ. ჩხეიძე, პირადი კომუნიკაცია, 17 ნოემბერი 2017).

პრეზიდენტ რეიგანის როლსა და მნიშვნელობაზე ეროვნული მოძრაობების გაძლიერების პროცესში საუბრობს 1990-91 წლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ჰელსინკის კავშირის წევრი გოგი ხოშტარიაც. იგი იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო რეიგანის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის მიმართ, მისი პირადი გამონათქვამები და მტკიცე პოზიციები, იხსენებს, რომ არ არსებობდა ეროვნული მოძრაობის ლიდერთა მცირე შეკრებაც კი, რომლის დროსაც არ ისმეოდა რეიგანის სადღეგრძელო. ხოშტარია იხსენებს, რომ სწორედ რონალდ რეიგანის გამონათქვამი „ბოროტების იმპერია“ იქცა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ სლოგანად, რაც მნიშვნელოვან გზავნილს წარმოადგენდა ხალხის მობილიზაციისათვის (გ. ხოშტარია, პირადი კომუნიკაცია, 19 დეკემბერი 2017).

რა თქმა უნდა, ზემოთ აღწერილმა პროცესებმა საერთაშორისო პოლიტიკაში და მათმა პირდაპირმა თუ ირიბმა გავლენამ საბჭოთა იმპერიასა და საქართველოს საზოგადოებაზე, დასავლეთის ბლოკის ლიდერთა ინდივიდუალურმა თვისებებმა და მათ მიერ საბჭოთა კავშირში დემოკრატიული პროცესის განვითარების მხარდაჭერამ, საბოლოოდ კი საერთაშორისო პოლიტიკის შერბილებამ და ცივ ომში დასავლეთის უპირატესობის განუხრელმა ზრდამ გამოიწვია ეროვნული მოძრაობის გაძლიერება და მასშტაბური გავრცელება საქართველოში. 70-იან წლებში დაწყებულმა ქართულმა ახალმა ეროვნულმა მოძრაობამ პიკს 80-იანი წლების ბოლოს მიაღწია და ოკუპანტი ქვეყნის უკანასკნელ მცდელობებს, შეენარჩუნებინა იმპერიის ერთიანობა, ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდგომ, რომელსაც 21 ადამიანის სიცოცხლე და ასობით მოქალაქის ჯანმრთელობა შეეწირა, საქართველოში ფაქტობრივად ახალი პოლიტიკური რეალობა მოიტანა შედეგად. ეროვნულ ნიადაგზე შეკრებილი ათასობით მშვიდობიანი მომიტინგის წინააღმდეგ საბჭოთა

შეიარაღებული ძალების გამოყენებამ ის მინიმალური ლეგიტიმაციაც კი, რაც კომუნისტურ რეჟიმს გააჩნდა, საბოლოოდ ჩააბარა წარსულს. აქციის დარბევიდან მალევე თანამდებობა დატოვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯიმბერ პატიაშვილმა და იგი ამ თანამდებობაზე გივი გუმბარიძემ ჩაანაცვლა. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ გუმბარიძის მმართველობა ფაქტობრივად ბუტაფორიულ ხასიათს ატარებდა, რადგან საზოგადოებაზე და პოლიტიკურ პროცესებზე რეალური გავლენა უკვე ეროვნული მოძრაობის ლიდერების ხელში იყო. ერთადერთი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც მთავარ ამოცანას წარმაოდგენდა, იყო მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნების ჩატარება და ამ გზით საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან სამართლებრივად სრულიად გამართულად გამოყვანა. 1990 წლის 28 ოქტომბერს 70 წლიანი საბჭოთა ოკუპაციის პირობებში საქართველოში გაიმართა პირველი მრავალპარტიული არჩევნები. მოსახლეობა ირჩევდა უზენაესი საბჭოს 250 დეპუტატს, 125-ს მაჟორიტარული და 125-ს პროპორციული წესით. არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ზვიად გამსახურდიას ბლოკმა „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ და იგი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად იქნა არჩეული. არჩევიდან რამდენიმე თვეში, ეროვნული მოძრაობის ლიდერის და იმ დროისთვის საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით 1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა საყოველთაო რეფერენდუმი, სადაც გამოტანილი იყო ერთადერთი კითხვა - „თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე?“. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემების მიხედვით რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 90.57%, ხოლო დამოუკიდებლობის აღდგენას მხარი დაუჭირა კენჭისყრაში მონაწილეთა 99.08%-მა (საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდი). რეფერენდუმიდან 9 დღეში, სიმბოლურად 9 აპრილს ზვიად გამსახურდიამ გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

რამდენად მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს საქართველოსთვის აქ განვითარებული ეროვნული მოძრაობა, ცხადია, ეს პროცესი ცალკე აღებული და

საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში მიმდინარე მოვლენებისგან დამოუკიდებლად, რთულად მიაღწევდა ისეთ წარმატებას, როგორც ეს საბოლოო შედეგის სახით მივიღეთ. საბჭოთა კავშირის დაშლის და მისგან დამოუკიდებლობის მოპოვების „პირველი მერცხალი“ ფაქტობრივად იყო ლიეტუვა, სადაც ნაციონალური საკითხი მთელი საბჭოთა ოკუპაციის განმავლობაში აქტუალობას არ კარგავდა და განსხვავებით საქართველოსგან, გაცილებით უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა საერთაშორისო მხარდაჭერის მხრივაც, ვინაიდან ლატვიასა და ესტონეთთან ერთად მის ყოფნას საბჭოთა იმპერიაში მთელი ცივილიზებული სამყარო ღიად და დაუფარავად აფასებდა ოკუპაციად. ძლიერი ეროვნული მოძრაობის კულმინაცია ლიეტუვაში დაგვირგვინდა 1990 წლის 11 მარტს, როდესაც რესპუბლიკის სეიმმა გამოაცხადა დამოუკიდებლობის აღდგენა. პასუხად ვილნიუსმა მიიღო სრული და ხანგრძლივი ეკონომიკური და სოციალური ბლოკადა კრემლისგან, ხოლო 1991 წლის იანვარში სამხედრო ძალით მოსკოვმა სცადა არჩეული ხელისუფლების გადატრიალება, რაშიც ეკონომიკური პრობლემებისგან გაღიზიანებული ადგილობრივი მოსახლეობის იმედი ჰქონდა. თუმცა, შედეგი საპირისპირო იყო. ლიეტუელებმა სისხლის ფასად დაიცვეს საკუთარი დამოუკიდებლობა. ლიეტუვის გზას მალევე დაადგნენ ესტონეთი და ლატვია, სადაც ერთმანეთის მიყოლებით 1990 წლის 25 მარტსა და 4 მაისს კენჭი უყარეს და გამოაცხადეს დამოუკიდებლობის აღდგენა. ამავე წლის 16 ივლისს უკრაინის უზენაესმა საბჭომ მხარი დაუჭირა უკრაინის სუვერენიტეტის შესახებ დეკლარაციას (დამოუკიდებლობის გამოცხადება მოგვიანებით მოხდა, იხ. ქვემოთ). იმპერიაში დაწყებულმა სეცესიონისტური მოძრაობები, ბუნებრივია, გავლენას ახდენდა ცენტრზეც, რომელიც ისედაც დასუსტებული და ძალაგამოცლილი იყო. ვეღარ ხერხდებოდა კრემლის მიერ აპრობირებული მეთოდებით საპროტესტო მუხტის ჩახშობა და პროცესების შეკავება. 1991 წლის 17 მარტს საბჭოთა ხელისუფლებამ ჩაატარა რეფერენდუმი, რომლითაც ფაქტობრივად სცადა შეესწავლა მოკავშირე რესპუბლიკებში არსებული საზოგადოებრივი განწყობა კავშირის მომავალ მოწყობასთან დაკავშირებით. თუმცა, რეფერენდუმი 15-დან მხოლოდ 9 მოკავშირის ტერიტორიაზე გაიმართა, რადგან მას ბოიკოტი გამოუცხადეს საქართველომ, სომხეთმა, მოლდოვამ და ბალტიისპირეთის

სამივე რესპუბლიკამ, ვინაიდან რეფერენდუმზე გამოტანილი საკითხი დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი ქვეყნებისთვის მიუღებელი იყო.

საბჭოთა ხელისუფლებისთვის განსაკუთრებით რთული იყო იმპერიის არსებობის უკანასკნელი წელი, რადგან ყველა მცდელობა რამენაირად შეეჩერებინათ რღვევის პროცესი, ერთმანეთზე უფრო წარუმატებლად სრულდებოდა. უფრო მეტიც, 1991 წლის 12 ივნისს საბჭოთა რუსეთის პრეზიდენტად აირჩიეს კომუნისტური წარსულის მქონე, მაგრამ იმ დროისთვის რადიკალური და თამამი იდეების მატარებელი პოლიტიკოსი - ბორის ელცინი. ელცინი აქტიურად აკრიტიკებდა საბჭოთა ხელისუფლებას დიქტატურის გამო და მოითხოვდა მათგან უფრო აქტიურ რეფორმებს, როგორიც იყო საბაზრო ეკონომიკაზე სწრაფი გადასვლა, დემოკრატიზაცია და ა.შ. ფაქტობრივად, პრეზიდენტად არჩევისთანავე ელცინმა გამოაცხადა რუსეთის სახელმწიფო სუვერენიტეტი, რაც, რა თქმა უნდა, მიუთითებდა იმაზე, რომ სხვა რუსი პოლიტიკოსებისგან განსხვავებით იგი შედარებით ადეკვატურად აღიქვამდა შექმნილ ვითარებას. თუმცა, ვითარების ადეკვატურად აღქმა სულაც არ გულისხმობდა იმას, რომ მას რაიმე რადიკალურად განსხვავებული მიზნები ჰქონდა რუსეთის გავლენების გავრცელების შესახებ საბჭოთა იმპერიაში შემავალ დამოუკიდებლობისკენ მიმავალი ქვეყნების მიმართ.

შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, გორბაჩოვი, ფაქტობრივად, გამოსავალს ვეღარ პოულობდა და სიტუაციის სტაბილიზაციის ერთადერთ შესაძლებლობად ხედავდა ახალი სამეკავშირეო ხელშეკრულების გაფორმებას, რომლითაც იქმნებოდა ფედერაციული ტიპის სახელმწიფო, რომელსაც ექნებოდა საერთო თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკა, ხოლო ყველა სხვა საკითხში მოკავშირეები ისარგებლებდნენ ფართო პოლიტიკური ავტონომიით. თუმცა, აღნიშნულ მოსაზრებას კომუნისტურ ისტებლიშმენტში ბევრი არ იზიარებდა. ხელშეკრულების ხელმოწერა დაიგეგმა 1991 წლის 20 აგვისტოსთვის. ხელშეკრულების გაფორმებისთვის ხელის შესაშლელად და გორბაჩოვის პრეზიდენტის პოსტიდან ჩამოცილების მიზნით, რითაც აპირებდნენ მისი პოლიტიკური კურსის შეცვლას, შეიქმნა საგანგებო მდგომარეობის თვითაღიარებული სახელმწიფო კომიტეტი, რომელშიც შედიოდნენ ვიცე-პრეზიდენტი გენადი იანაევი, კომუნისტური პარტიის მაღალჩინოსნები, სამხედრო

პირები და რა თქმა უნდა, სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტის წარმომადგენლები. პუტჩი დაიწყო 19 აგვისტოს, როდესაც გორბაჩოვმა უარი განაცხადა ძალაუფლების ვიცე-პრეზიდენტისთვის გადაბარებაზე. პუტჩისტებმა პრეზიდენტი გორბაჩოვი ყირიმის ნახევარკუნძულზე მდებარე საზაფხულო რეზიდენციაში მოაქციეს იზოლაციაში, გაუთიშეს საკომუნიკაციო არხები და დაიწყეს საკუთარი გეგმის შესრულება. თუმცა, მოსკოვსა და ქვეყნის სხვა დიდ ქალაქებში საზოგადოებრივი განწყობა უკვე საკმაოდ მომწიფებული იყო რადიკალური რეფორმების სასარგებლოდ, ხოლო მოსკოვში ძალაუფლების მნიშვნელოვანი ნაწილი ბორის ელცინის ხელში იყო, რომლის დაპატიმრებაც ვერ მოხერხდა. საბოლოოდ, პუტჩი დამარცხდა და გორბაჩოვი მოსკოვში დაბრუნდა. საბჭოთა იმპერიის შენარჩუნების უკანასკნელი მცდელობა შეიძლება ითქვას, რომ მისი დანგრევის დამაჩქარებელ გარემოებად იქცა.

პუტჩის მარცხიდან რამდენიმე დღეში, 24 აგვისტოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა რუსეთის შემდეგ ყველაზე დიდმა მოკავშირე რესპუბლიკამ, უკრაინამაც, რომლის გარეშეც რუსეთის საბჭოთა იმპერიის არსებობა წარმოუდგენელ ამოცანას წარმოადგენდა. ამის შემდეგ მოვლენები უსწრაფესად განვითარდა, სექტემბრის დასაწყისში საბჭოთა კავშირმა ფაქტობრივად ოფიციალურად აღიარა ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ოდნავ მოგვიანებით კი, იმავე თვეში გაერომ ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით წევრებად მიიღო.

1991 წლის 8 დეკემბერს ბელოვეჟში, დასავლეთ ბელარუსში საიდუმლო შეხვედრა გაიმართა რუსეთის, უკრაინისა და ბელარუსის ლიდერებს შორის, სადაც ფაქტობრივად უკვე მსჯელობა მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ გეგმებზე. ლიდერები შეთანხმდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნაზე, სადაც ყოფილი მოკავშირეები გაწევრიანდებოდნენ და რაღაც ფორმით მაინც შეძლებდნენ ერთიანობის შენარჩუნებას. თუმცა, საჭირო იყო ბელოვეჟში სამ რესპუბლიკას შორის მიღწეული შეთანხმების სისწორეში სხვა მოკავშირეების დარწმუნებაც. ამ მიზნით, 1991 წლის 21 დეკემბერს ალმა-ატაში დაიგეგმა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა 12 რესპუბლიკის წარმომადგენელი, ვისი

დამოუკიდებლობაც ჯერ აღიარებული არ იყო საერთაშორისო საზოგადოების მიერ. შეხვედრაზე ფორმალურად ხელი მოეწერა საბჭოთა კავშირის დაშლის და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) შექმნის გადაწყვეტილებას. აღსანიშნავია, რომ საქართველო აღმოჩნდა ერთადერთი რესპუბლიკა, რომელმაც ხელი არ მოაწერა და არ გახდა ახალი კავშირის წევრი. 1991 წლის 25 დეკემბერს თანამდებობის დატოვების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა საბჭოთა კავშირის პირველმა და უკანასკნელმა პრეზიდენტმა, მიხეილ გორბაჩოვმა. ამით ფაქტობრივად, ფორმალურადაც დასრულდა საბჭოთა იმპერიის არსებობა.

ქართულმა ნაციონალურმა იდეამ, რომელიც თითქმის 70 წლის განმავლობაში მთავარი ატრიბუტის - სუვერენული სახელმწიფოს გარეშე იყო დარჩენილი, მე-20 საუკუნეში თავის მეორე გამარჯვებას მიაღწია. ცივი ომი დასავლეთის ბლოკის გამარჯვებით დასრულდა, შესაბამისად ბიპოლარული საერთაშორისო სისტემა წარსულს ჩაბარდა. 1991 წლის 26 დეკემბერს ოფიციალურად დაიშალა საბჭოთა კავშირი და საქართველომ კვლავ მოიპოვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

დასკვნა

ამგვარად, წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავდა შეესწავლა საერთაშორისო სისტემაში მომხდარი ცვლილებების გავლენა ქართულ ნაციონალურ პროექტზე 1910-იან და 1980-იან წლებში. შეედარებინა ამ ორი პერიოდისთვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები და გაეანალიზებინა ის საგარეო და შიდა ფაქტორები, რომელთა შორისაც არსებული კორელაციის შედეგად შესაძლებელი გახდა მე-20 საუკუნის განმავლობაში ორჯერ, 1918 წელს რუსეთის იმპერიისგან და 1991 წელს საბჭოთა კავშირისგან, საქართველოს გათავისუფლება, ნაციონალური პროექტის რეალიზება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

ნაშრომის აქტუალობა გამომდინარეობს იმ ფაქტობრივი გარემოებიდან, რომ ის წარმოადგენს ქართული ნაციონალიზმის და შესაბამისად ნაციონალური პროექტის საერთაშორისო პოლიტიკის კონტექსტში სისტემური შესწავლის პირველ მცდელობას, როგორც ქვეყნის შიგნით ისე მის ფარგლებს გარეთ. ამ თვალსაზრისით კი უმნიშვნელოვანესი იყო ერთი მხრივ იმ წერილობითი და ზეპირი ცოდნის შეგროვება და ერთიან ჩარჩოში მოქცევა, რაც უკვე არსებობდა საკვლევი საკითხის გარშემო და მეორე მხრივ საქართველოს შემთხვევის დაკავშირება იმ თეორიულ დისკურსთან, რაც მცირე ერების სუვერენიტეტთან მიმართებაში განვითარებულია დასავლურ აკადემიურ სივრცეში. კერძოდ, ნაშრომი შეეცადა მოეხდინა ამერიკელი მეცნიერების სემუელ ბარკინისა და ბრუს ქრონინის კვლევაში „სახელმწიფო და ერი: სუვერენიტეტის ცვალებადი ნორმები და წესები საერთაშორისო ურთიერთობებში“ გამოთქმული ჰიპოთეზის - „სუვერენიტეტი და მისი წესები არ არის არც ფიქსირებული და არც მუდმივი, არამედ ექვემდებარება ცვალებად ინტერპრეტაციას“ ტესტირება საქართველოს შემთხვევის განხილვით.

ნაშრომის ძირითად საკვლევ კითხვად განისაზღვრა შემდეგი - რა მიზეზებმა/ფაქტორებმა გახადა შესაძლებელი მე-20 საუკუნის დროის ორ სხვადასხვა მონაკვეთში, 1910-იან და 1980-იან წლებში, ქართული ნაციონალური პროექტის რეალიზება - სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა?, ხოლო დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად კვლევის პროცესში შესწავლილ იქნა თემასთან დაკავშირებული აკადემიური წყაროები, საგაზეთო პუბლიკაციები, ოფიციალური

დოკუმენტები და გადაწყვეტილების მიმღებ პირთა პირადი მიმოწერა, საარქივო მასალა და ვიდეო მიმართვები. დაიგეგმა და ჩაიწერა პირისპირ ინტერვიუები როგორც დარგის ექსპერტებთან, ისე 1980-იანი წლების საზოგადოებრივი და პოლიტიკური ლიდერების ნაწილთან.

კვლევის ძირითადი მიგნებები რამდენიმე საკითხს უკავშირდება. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ 1910-იანი წლების საზოგადოებრივი და პოლიტიკური ელიტა, რომელთა ყველაზე დიდ და გავლენიან ჯგუფს წარმოადგენდნენ სოციალ-დემოკრატები ნოე ჟორდანიას მეთაურობით, რადიკალურად განსხვავდებოდნენ 1980-იანი წლების ეროვნული მოძრაობის ლიდერებისგან. პირველ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის დამახასიათებელი იყო პოლიტიკური ცხოვრების დიდი გამოცდილება და მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონტაქტები. ჟორდანია და მისი თანამედროვეები აქტიურად იყვნენ წარმოდგენილი პოლიტიკურ და იდეოლოგიურ დისკუსიაში როგორც რუსეთის იმპერიაში, ისე ევროპის მასშტაბით. ისინი ჩართული იყვნენ იმპერიის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც მნიშვნელოვან გამოცდილებასა და კომპეტენციას სძენდათ. თუმცა, ამ ყველაფერთან ერთად მათ ჰქონდათ მკაფიოდ ჩამოყალიბებული იდეოლოგიური ხედვები, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა ნაციონალური თვითგამორკვევის და საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნების დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებად ჩამოყალიბების იდეასთან. ამ ყოველივეს ადასტურებს ჩვენ მიერ მოძიებული და გამოკვლეული ის დებატი, რომელიც 10-იანი წლების საგაზეთო პუბლიკაციებში იყო გაშლილი პოლიტიკური ავტონომიისა თუ ეროვნული თვითგამორკვევის შესახებ, ნოე ჟორდანიას ნაშრომები ეროვნულ საკითხზე და თვით ის ფაქტიც, რომ მთელი რიგი წინაპირობების მიუხედავად, რაც დაკავშირებული იყო რუსეთის იმპერიის ფაქტობრივ ჩამოშლასთან, ადგილობრივი ლიდერები 1918 წლის გაზაფხულამდე ფაქტობრივად არც კი განიხილავდნენ დამოუკიდებლობის გამოცხადებას. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ერთი მხრივ რუსეთის იმპერიაში 1917 წლის ოქტომბერში კონტრრევოლუციის შედეგად სათავეში მოვიდნენ რადიკალური განწყობების მქონე ბოლშევიკები, რომელთა ხედვები შეუთავსებელი იყო ქართველ სოციალ დემოკრატებთან და მეორე მხრივ ოსმალეთის იმპერიის აგრესიული პოლიტიკა

საქართველოს მიმართ სულ უფრო ხელშესახები გახდა, მოხდა აჭარის დაკავება და იყო მცდელობა შემდგომი ტერიტორიული ექსპანსიისა, ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენკელი და სხვა ლიდერები ფაქტობრივად გერმანიის აქტიური ჩარევით და ძალისხმევით მივიდნენ დამოუკიდებლობის გამოცხადების გადაწყვეტილებამდე, რათა ოსმალეთის მხრიდან ქვეყნის სრული ოკუპაციის შემთხვევაში ჰქონოდათ საგარეო დახმარების გარანტია.

რაც შეეხება 1980-იანი წლების ეროვნულ მოძრაობას და მის ლიდერებს, ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ სიტუაცია რადიკალურად განსხვავებული იყო. საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის ბუნებიდან გამომდინარე, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრისთვის ქვეყანაში ფაქტობრივად აღარ არსებობდა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ელიტის არც ერთი წარმომადგენელი, ვისაც რაიმე სახის გამოცდილება ან/და ინსტიტუციური მეხსიერება ექნებოდა იმისა თუ როგორ იმართება დამოუკიდებელი ქვეყანა. 80-იანი წლების მეორე ნახევარში გაძლიერებული ეროვნული მოძრაობის ლიდერები ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და სხვები იყვნენ ეროვნული საკითხის აქტიური პროპაგანდისტები, თუმცა მათ არ გააჩნდათ არც პოლიტიკური პროცესების და არც ქვეყნის მართვის არანაირი გამოცდილება. მათ შესანიშნავად მოახერხეს ნაციონალური საკითხის გარშემო და საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ მასების მობილიზაცია, რაშიც საგარეო ფაქტორებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. 1975 წლის ჰელსინკის ფინალურმა აქტმა და მასში გაწერილმა პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ პრინციპებმა მწვანე შუქის როლი შეასრულა ეროვნული მოძრაობის გააქტიურების და მისთვის მასშტაბური ხასიათის მიცემის თვალსაზრისით. თუმცა, მიუხედავად ხშირ შემთხვევაში ეთნიკურ და რელიგიურ ფაქტორებზე დამყარებული რადიკალური ეროვნული მოძრაობისა, ამ შემთხვევაშიც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხზე ხმამაღლა და პირდაპირ თავად ზვიად გამსახურდიაც კი საკმაოდ გვიან ალაპარაკდა. ჯერ კიდევ 1989 წელს, როგორც ჩანს, მისთვისაც კი წარმოუდგენელი იყო სრულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე საუბარი და საბჭოთა კავშირის კონფედერაციულ სუბიექტად გარდაქმნის იდეას განიხილავდა, როგორც ეროვნული თვთგამორკვევის ერთ-ერთ შესაძლო და რეალისტურ ფორმას.

შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად საუკუნის დასაწყისსა და დასასრულს ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ელიტები ერთმანეთისგან ბევრი ნიშნით განსხვავდებოდა, მათი ქცევები გარკვეულ საკითხებზე მაინც მსგავსი იყო. მაგალითად სხვადასხვა მიზეზით, თუმცა ისინი ერთმანეთის მსგავსად სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის ხმამაღლა გაჟღერებისგან საერთაშორისო პროცესების კულმინაციამდე თავს იკავებდნენ. მაგრამ, საბოლოო ჯამში მაინც ორივე შემთხვევაში მივიდნენ ილია ჭავჭავაძის და თერგდალეულების მიერ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში განსაზღვრული ნაციონალური პროექტის აღსრულებამდე. სწორედ მათი ხელით გამოაცხადა ქვეყანამ მეოცე საუკუნის განმავლობაში ორჯერ დამოუკიდებლობა.

ეს ყოველივე კი ფაქტია, შეუძლებელი იქნებოდა რომ არა ის ძირეული და მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც ამ პერიოდებში მოხდა საერთაშორისო სისტემაში. ერთი მხრივ პირველმა მსოფლიო ომმა და მასთან კავშირში მყოფმა იმპერიათა რღვევის პროცესმა მოახდინა საერთაშორისო სისტემის რადიკალური გარდაქმნა და გამოიწვია ის ცვლილებები, რომელთა შედეგადაც საერთაშორისო პოლიტიკური ისტებლიშმენტი ლოიალური გახდა ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის მიმართ. თუკი სემუელ ბარკინისა და ბრუს ქრონინის ჰიპოთეზას გავითვალისწინებთ, ამ პერიოდში მოხდა სუვერენიტეტის პრინციპის ინტერპრეტაცია იმდაგვარად, რომ ანალიზის ცენტრში მოექცა ნაციონალური საკითხი და შესაბამისად ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპი გახდა სახელმწიფო სუვერენიტეტზე უპირატესი. ამის გამომწვევი მიზეზი კი თავად პირველი მსოფლიო ომის დაწყების უმთავრეს მიზეზად ნაციონალური მოძრაობების და ახალი კრიზისების წარმოქმნის პრევენციის მიზნით სისტემის შერბილების აუცილებლობის მიჩნევა გახლდათ. შედეგად, ქრონინისა და ბარკინის კვლევის მიხედვით ისეთი ქვეყნები, როგორებიც არიან მაგალითად ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი გახდნენ საერთაშორისო ურთიერთობების დამოუკიდებელი აქტორები. მეორე მხრივ კი, აღნიშნული ცვლილებები საქართველოს შემთხვევაში არამხოლოდ შესაძლებლობის ფანჯარას ხსნიდა, არამედ აიძულებდა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ელიტას გადაეაზრებინათ ყველა ის საკითხი, რაც დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე

შემაფერხებელ როლს თამაშობდა. იქნებოდა ეს სპეციფიური იდეოლოგიური ხედვები თუ გადაჭარბებული პოლიტიკური სიფრთხილე თამამი გადაწყვეტილებების მისაღებად. ჩვენი კვლევის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1910-იან წლებში საქართველოში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების მსგავსად, იდენტურმა ფაქტორებმა იქონია გადამწყვეტი მნიშვნელობა. საერთაშორისო სისტემაში მომხდარმა ცვლილებებმა და ნორმებისა და პრინციპების ახლებურმა გააზრებამ დიდი სახელმწიფოების მხრიდან და შექმნილი რეალობისთვის ალღოს დროულმა აღებამ ადგილობრივ ელიტაში შესაძლებელი გახადა, უფრო მეტიც დამოუკიდებლობამდე მიიყვანა საქართველო.

თუმცა, თუკი ნაციონალიზმი პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის წინ წამოწევის მიზეზი გახდა, ფაშიზმისა და ნაციზმის აღმოცენებამ და გაძლიერებამ მსოფლიო პოლიტიკაში ნაციონალიზმის მიმართ რადიკალურად უარყოფითი განწყობები წარმოშვა. დიდმა სახელმწიფოებმა, რომელთაც მეორე მსოფლიო ომში გაიმარჯვეს და შესაბამისად ახალი, იალტა-პოტსდამის საერთაშორისო სისტემის ძირითადი ნორმები და წესები განსაზღვრეს, უპირატესობა უკვე არა ეროვნულ, არამედ სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპს მიანიჭეს. ანუ კვლავ ქრონინისა და ბარკინის ჰიპოთეზას რომ დავუბრუნდეთ, ახალი რეალობის შესაბამისად მოხდა სუვერენიტეტის პრინციპის ახლებური ინტერპრეტაციაც. ამის ნათელ გამოხატულებად შეგვიძლია მივიჩნიოთ არამხოლოდ ის, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საქართველოს მსგავსად 1920-იან წლებში დაპყრობილ ქვეყნებს არ მისცემიათ დამოუკიდებლობის აღდგენის შესაძლებლობა, არამედ ლიეტუვის, ლატვიისა და ესტონეთის შემთხვევაც. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ბალტიისპირეთის ამ სამი სახელმწიფოს ოკუპაცია საბჭოთა კავშირმა მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას მოახდინა და დასავლეთის ბლოკის ქვეყნები მათ საბჭოთა იმპერიის ნაწილად არასდროს მიიჩნევდნენ, ფაქტობრივად არც ერთი ქმედითი ნაბიჯი არ გადადგმულა კრემლისგან მათ დასახსნელად. უფრო მეტიც, ჰელსინკის ფინალურ აქტს ისე მოეწერა ხელი, რომ ამ რესპუბლიკების სტატუსთან დაკავშირებულ აზრთა სხვადასხვაობას პრობლემა არ შეუქმნია დაპირისპირებული მხარეებისთვის. თუმცა, მეორე მხრივ სწორედ ჰელსინკის

ფინალური აქტი და მისი ე.წ. „მესამე კალათა“, რომელიც საბჭოთა კავშირშირის მხრიდან საკუთარ მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების და თავისუფლებების დაცვას შეეხებოდა, შეგვიძლია მივიჩნიოთ იმ ახალ ათვლის წერტილად, რამაც არამხოლოდ საერთაშორისო სისტემის შერბილება გააფორმა, არამედ შესაძლებელი გახადა ბოროტების იმპერიის შიგნიდან რღვევაც. ეს კი იმის ფონზე, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ჩამოყალიბებული ახალი საერთაშორისო წესრიგი სხვა ფაქტორებთან ერთად, მეტ წილად განსაზღვრული იყო ბირთვული იარაღის შექმნითაც. ბირთვულმა იარაღმა შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად გამორიცხა დიდ სახელმწიფოებს შორის პირდაპირი სამხედრო დაპირისპირება და შესაბამისად სისტემის ისეთივე რევოლუციური გარდაქმნის შესაძლებლობა, როგორც ეს იყო პირველი და მეორე მსოფლიო ომების შემთხვევაში. მივიღეთ სურათი, როდესაც სისტემის მთავარ დაპირისპირებულ ძალებს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ძალთა ბალანსის დაცვის ხაზი გადიოდა კონკურენციაზე ეკონომიკაში, სამხედრო ტექნოლოგიების განვითარებაში, კოსმოსის კვლევასა თუ სხვა სფეროებში. საბოლოო ჯამში, ორივე მათგანი იძულებული იყო ყველაფერი გაეკეთებინა საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული პრესტიჟის იერარქიაში საკუთარი ადგილის დასაცავად თუ გასაუმჯობესებლად. სწორედ კონკურენცია და სისტემაში საკუთარი ადგილის ნებისმიერ ფასად შენარჩუნების მცდელობა, ჰელსინკის ფინალური აქტის პირობებთან ერთად, აღმოჩნდა გადამწყვეტი საბჭოთა იმპერიის დასუსტებაში. ეკონომიკური თვალსაზრისით სრულიად გაუმართლებელი პოლიტიკის მქონე ქვეყანა, რომელსაც ვალდებულებები უფრო მეტი ჰქონდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, ვიდრე დოვლათის შექმნის შესაძლებლობა, საბოლოო ჯამში მივიდა ლოგიკურ ფინალამდე. კრემლმა ვეღარ შეძლო ტოტალიტარული მეთოდებით იმპერიის მართვა, იძულებული გახდა რეფორმების სახელით მოეშვა მართვის სადავეები, მეტნაკლებად, მაგრამ მაინც დაეცვა საერთაშორისოდ აღებული ვალდებულებები, რათა დამატებითი სანქციებისთვის აერიდებინა თავი და ამით გზა გაუხსნა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში სამხედრო ძალით დათრგუნულ ნაციონალურ მისწრაფებებს დაპყრობილ რესპუბლიკებში. საბჭოთა დისიდენტებს და კრემლის მიმართ

ოპოზიციურად განწყობილ ჯგუფებს ოდნავ მეტი შესაძლებლობა მიეცათ აქტიურად გამოეხატათ პროტესტი და ეწარმოებინათ პოლიტიკური და საზოგადოებრივი საქმიანობა. სწორედ ამან გახადა შესაძლებელი საქართველოში, ისევე როგორც ლიეტუვაში, ლატვიაში, ესტონეთში და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში ეროვნული მოძრაობის გაშლა და გაძლიერება. ამ ყოველივეს კი ჯამში შედეგად მოჰყვა საბჭოთა იმპერიის დაშლა და დაპყრობილი მოკავშირე რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღდგენა. ეს ყველაფერი კი იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო სისტემაში, როგორც უკვე აღინიშნა, რადიკალური რევოლუციური ცვლილებები და ამ გზით დამკვიდრებული ნორმებისა და თამაშის წესების გადააზრება არ მომხდარა. პირიქით, სისტემა ეტაპობრივად და მშვიდობიანად გარდაიქმნა ისე, რომ თავად გამარჯვებულ მხარესაც, დასავლეთის პოლიტიკურ ლიდერებს ბოლომდე არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული მიდგომები ახალი წესრიგის განმსაზღვრელ პრინციპებთან დაკავშირებით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ერთი მხრივ საქართველოს შემთხვევის შესწავლით გამყარდა ბრუს ქრონინისა და სემუელ ბარკინის ჰიპოთეზა, რომ სუვერენიტეტი და მისი წესები არ არის არც ფიქსირებული და არც მუდმივი, არამედ ექვემდებარება ცვალებად ინტერპრეტაციას. ნათლად გამოჩნდა, რომ ქრონინისა და ბარკინის კვლევაში განხილული სხვა ევროპული ქვეყნების მსგავსად, საქართველოს გათავისუფლებაც იმპერიული მარწუხებისგან და დამოუკიდელობის მოპოვება ორივე შემთხვევაში ძირითადად შესაძლებელი გახდა საერთაშორისო სისტემაში მოხმდარი ცვლილებებით და სუვერენიტეტის პრინციპის ცვალებადი ინტერპრეტაციებით საერთაშორისო პოლიტიკურ დაპირისპირებებში გამარჯვებული დიდი სახელმწიფოების მხრიდან. მეორე მხრივ გამოიკვეთა, რომ ნაშრომის დასაწყისში გამოყოფილ ცვლადებს შორის კავშირი ცალსახაა. დამოუკიდებელი ცვლადი - საერთაშორისო სისტემაში მომხდარი ცვლილებები იყო ის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი, რამაც შესაძლებელი გახადა შედეგის სახით დამოკიდებული ცვლადი - ქართული ნაციონალური პროექტის რეალიზება - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, მე-20 საუკუნის დროის ორ სხვადასხვა მონაკვეთში. ამგვარად, შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ,

რომ მიუხედავად მე-20 საუკუნის დასაწყისსა და დასასრულს არსებული განსხვავებული საგარეო და შიდა ფაქტორებისა, ილია ჭავჭავაძისა და თერგდალეულების მიერ მე-19 საუკუნის შუა ხანებში შემუშავებულმა მწყობრმა და თანმიმდევრულმა ნაციონალურმა პროექტმა ენის რეფორმითა და საერთო საინფორმაციო სივრცის შექმნით, ეკონომიკის, განათლების და კულტურის პოლიტიკით შეძლო მოდერნული ქართველი ერის ჩამოყალიბება, რომელმაც ორივე შემთხვევაში ეფექტურად გამოიყენა მის წინაშე გაჩენილი შესაძლებლობა. საბოლოოდ კი უნდა ითქვას, რომ ნაშრომში გამოთქმული ჰიპოთეზა, რომ მე-20 საუკუნეში, დროის ორ სხვადასხვა მონაკვეთში, 1910-იან და 1980-იან წლებში, ქართული ნაციონალური პროექტის რეალიზება - სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა შესაძლებელი გახდა საერთაშორისო სისტემაში მომხდარი ცვლილებების შედეგად, წინამდებარე კვლევით დადასტურდა.

რაც შეეხება კვლევის გაგრძელების სამომავლო პერსპექტივებს, აქ შესაძლებელია ორი მიმართულების გამოყოფა. ერთი მხრივ ქართული ნაციონალიზმის საერთაშორისო პოლიტიკის კონტექსტში კვლევის თვალსაზრისით ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ შესწავლილ იქნას დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ეტაპებზე ნაციონალური პროექტის ტრანსფორმაცია და ამ პროცესში საგარეო ფაქტორების ზემოქმედება. ხოლო მეორე მხრივ, საინტერესო იქნება წინამდებარე ნაშრომში გამოთქმული ჰიპოთეზის შემოწმება სომხეთის მაგალითზე, რადგან ამ ქვეყანამაც საქართველოს, ლიეტუვას, ლატვიისა და ესტონეთის მსგავსი გზა განვლო მე-20 საუკუნეში და ორჯერ მოიპოვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

ბიბლიოგრაფია

წიგნები და სტატიები:

აკობია, ე. (2006). *საერთაშორისო ურთიერთობების თეორია.* სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი;

გაჩეჩილაძე, რ. (2014). *I მსოფლიო ომი და მისი შედეგები საქართველოსათვის.* რეზონანსი, თბილისი;

გაჩეჩილაძე, რ. (2013). *საქართველო მსოფლიო კონტექსტში (XX და XXI საუკუნის პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები).* ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი;

გოდერიძე, ლ. (1999). *რუსეთი XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში.* თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი;

გურული, ვ. (2011). *1918 წლის 26 მაისი (ნარკვევები, დოკუმენტები და მასალები).* უნივერსალი, თბილისი;

გურული, ვ. & ვაჩნაძე. მ. (1999). *ქართული სოციალ–დემოკრატიის ისტორია (1892–1918).* მერიდიანი, თბილისი;

გურული, ვ. & ვაჩნაძე, მ. (2003). *საქართველოს ისტორია XX საუკუნე.* არტანუჯი, თბილისი;

დავითაშვილი, ზ. (2003). *საქართველო თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში: ორიენტაციის პრობლემა*". ქართული დიპლომატია, წელიწდეული 10. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი;

დავითაშვილი, ზ. (2003). *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია.* სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი;

ვაჩნაძე, მ. (1998). *ნაციონალ–სოციალიზმი საქართველოში.* ინტელექტი, თბილისი;

მაცაბერიძე, მ. (2008). *საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921 (კრებული 1).* პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, ახალი აზრი, თბილისი;

მაცაბერიძე, მ. (2008). *საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921 (კრებული 2).* პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, ახალი აზრი, თბილისი;

ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი (2015). *პოლიტიკა და დემოკრატია.* თბილისი;

პაპასკირი, თ. (2010). *„დიდი სამეულის“ კონფერენციები (თეირანი, იალტა, პოტსდამი).* გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი;

ჟორდანია, ნ. (1922). *მისი ნაწერების კრებული ეროვნული საკითხის შესახებ.* რუს. კომუნისტ. პარტიის ამიერ–კავკასიის საოლქო კომიტეტი, თბილისი;

რონდელი, ა. (2006). *საერთაშორისო ურთიერთობები.* გამომცემლობა ნეკერი, მესამე გამოცემა, თბილისი;

რონდელი, ა. (2009). *პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში.* გამომცემლობა ნეკერი, თბილისი;

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი 6. (1972). გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, თბილისი;

სვანიძე, მ. (2002). *ოსმალეთის ისტორია (1600–1923).* გამომცემლობა ქრონოგრაფი, თბილისი;

ქილორი, რ. უ. (2015). *მეოცე საუკუნის მსოფლიო - საერთაშორისო ისტორია 1900 წლიდან.* უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი;

სამოქალაქო განათლების ლექსიკონი. (2006). თბილისი;

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 29 – ეროვნული კრების ოქმი 1917 წლის ნოემბერი;

შველიძე, დ. (1998). *საქართველოს სოციალისტ–ფედერალისტთა პარტია (1903–1917) ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხმის მოსაპოვებლად.* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი;

შველიძე, დ. (1995). *ლექციების კურსი საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორიაში.* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი;

ჩიქოვანი, ნ., ჩხაიძე, ი. et al. (2014). *იდენტობის ნარატივები საქართველოში: მრავალეთნიკური ქართველი ერის სათავეებთან (1860–1918).* თბილისი;

ჩხაიძე, ი. (2009). *ქართული ნაციონალური პროექტი.* ახალი აზრი, თბილისი;

ჩხაიძე, ი. (2016). *ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ: ნაციონალური პროექტის დინამიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში.* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი;

ჩხეიძე, რ. (1995). *დაწყევლილი თაობა: სამანი.* გამომცემლობა ლომისი, თბილისი;

ჯანელიძე, ო. (2002). *ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან.* გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი;

ჯონსი, ს. (2007). *სოციალიზმი ქართულ ფერებში.* ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი;

ჯონსი, ს. (2013). *საქართველო - პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.* სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი;

Anderson, B. (2016). *Imagined Communities*. Verso, London-New York;

Barkin, J. S. & Cronin, B. (1994). *The State and the Nation: Changing Norms and the Rules of Sovereignity in International Relations*. International Organization, Vol. 48, No. 1 (Winter, 1994); MIT Press, Boston, Massachusetts, USA;

Bosco, L.D. (2009). *Five To Rule Them All*. OXFORD, Oxford;

Breuilly, J. (1994). *Nationalism and The State, Second Edition*. The University of Chicago Press;

Burchill, S., Linklater, A., Devetak, R., Donnelly, J. et al. (2013). *Theories of International Relations, 5th edition*. PALGRAVE MACMILLAN, UK;

Cohen, B.S. (2015). *Geopolitics – The Geography of International Relations*. Rowman&Littlefield, New York, London;

Davitashvili, Z. (2013). *Transformation of the Georgian Nationalism: the Problem of Formation of the Georgian Multiethnic Nation*. Space, Society, Politics, Tbilisi State University;

De Waal, Th. (2010). *The Caucasus: An Introduction, First Edition*. Oxford University Press;

Gellner, E. (2006). *Nations and Nationalism*. Ithaca, New York: Cornel University Press;

Hayes, J.H.C. (2016). *Nationalism A Religion*. New Brunswick (USA) and London (UK): Transaction Publishers;

Hroch, M. (2015). *European Nations – Explaining Their Formation*. Verso, Translation Karolina Graham 2015, USA, UK;

Kissinger, H. (2014). *World Order*. Penguin Press, New York;

Özkırımlı, U. (1999). *Theories of Nationalism: A Critical Introduction*. Foreword by Fred Halliday. New York : St. Martin's Press;

Pahre, R. & Papayoanou, A.P. (1997). *Using Game Theory to Link Domestic and International Politics*. Sage Publications, San Diego;

Reus-Smit, C. & Snidal, D. (2008). *The Oxford Handbook of International Relations.* Oxford University Press, New York, USA;

Smith, D. A. (1999). *Nationalism and Modernism*. Routledge, London and New York;

Smith, D. A. (2016). *Nationalism*. Polity;

Sondhaus, L. (2011). *World War One – Global Revolution*. Cambridge University Press;

Sterling-Folker, J. (2013). *Making Sense of International Relations Tehory, Second Edition*. Lynne Rienner Publishers, Colorado, USA;

Breuilly, J. (2013). *The Oxford Handbook of The History of Nationalism*. Oxford University Press, UK;

Dunne, T., Kurki, M., Smith, S. (2013). *International Relations Theories- Discipline and Diversity, Third Edition*. Oxford University Press, Oxford, United Kingdom;

Waltz, K.N. (1979). *Theory of International Politics.* University of California, Berkeley;

Wheatley, J. (2005). *Georgia From National Awakening To Rose Revolution*. ASHGATE, Limerick, Ireland.

ჟურნალ-გაზეთები:

გაზეთი „ერი“. (1991 წლის 20 მარტი);

გაზეთი „რესპუბლიკა“. (1991). *პრესკონფერენცია ბატონ ზვიად გამსახურდიასთან ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისთვის*. №12/45;

საარქივო მოამბე #19. http://archive.mia.gov.ge/saarqivo%20moambe%2019.pdf (ბოლო ნახვა 2018 წლის 17 აგვისტო);

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. (1991). *ზვიად გამსახურდიას 1991 წლის 9 მარტის პრესკონფერენცია ქართველი, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის.* №49 (69);

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. (1991). *ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისთვის*. №62-63 (83);

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. (1991). *აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის აიაზ მუთალიბოვისა და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის*

ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია ქართველი ჟურნალისტებისათვის. №139 (159);

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. (1991). *აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ აიაზ მუთალიბოვს.* №142 (162);

ჟურნალი ახალი კვალი № 2; თბილისი 1918;

ჟურნალი ახალი კვალი № 3 , თბილისი 1918;

ჟურნალი სახალხო საქმე, 1932, IV;

ჟურნალი ჩემი სამყარო #13, რუსული რევოლუცია: დიდი იმედებიდან კატასტროფამდე ერთი ნაბიჯით https://www.gfsis.org/files/my-world/13/03.pdf (ბოლო ნახვა 2019 წლის 22 აგვისტო);

ჟურნალი ჩვენი კვალი №1; თბილისი 1908;

ჟურნალი ჩვენი კვალი №2, თბილისი 1908;

ჟურნალი ცხოვრების სარკე №9, თბილისი 1908;

Foreign Affairs, Vol. 72, No. 3 (Summer 1993).

ელექტრონული რესურსები:

ამიერკვაკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის გამოცხადება

რადიოტელეგრამით (1918 წელი, აპრილი 10)

http://prosopography.iliauni.edu.ge/factoid/article/7652 (ბოლო ნახვა 2019 წლის 23 აგვისტო);

ასტამაძე, გ. *გერმანია-ოსმალეთის დაპირისპირება კავკასიაში 1918 წელს და საქართველოს საკითხი.* http://archives.gov.ge/uploads/other/3/3967.pdf (ბოლო ნახვა 2019 წლის 23 აგვისტო);

ბერიძე, გ. *ქართველი ანარქისტები.* http://a-library.org/varlam-cherkezishvili-marqsis-kritika/#more-1354 (ბოლო ნახვა 2019 წლის 21 აგვისტო);

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტია https://www.un.org/en/sections/un-charter/chapter-i/index.html (ბოლო ნახვა 2020 წლის 20 აპრილი);

გურული, ვ. *იმპერიების აღსასრული და ქართული სახელმწიფოებრიობა* https://sangu.ge/images/2015/imperiebisagsasruli.pdf (ბოლო ნახვა 2019 წლის 23 აგვისტო);

ეროვნული არქივის ვებ-გვერდი. *გიორგი ლასხიშვილის შესახებ* http://www.archives.gov.ge/ge/page/giorgi-lasxishvili (ბოლო ნახვა 2019 წლის 21 აგვისტო);

გამსახურდია, ზ. *სიტყვით გამოსვლა 1989 წლის 26 მაისს* https://www.youtube.com/watch?v=k3b4II3cuUo (ბოლო ნახვა 2019 წლის 20 აგვისტო);

გამსახურდია, ზ. *სიტყვით გამოსვლა უზენაესი საბჭოს გახსნაზე 1990 წლის 14 ნოემბერს* https://www.youtube.com/watch?v=Q1GvayknhYg (ბოლო ნახვა 2019 წლის 20 აგვისტო);

გამსახურდია, ზ. *მიმართვა აფხაზეთის მოსახლეობას 1992 წლის 24 ივლისი* https://www.youtube.com/watch?v=HFnnoIHtXpo (ბოლო ნახვა 2019 წლის 20 აგვისტო);

ოდილავაძე, ზ. (2012). *1921-24 წლების აჯანყებების შესახებ.* http://iveria.biz/396--1921-1924-.html (ბოლო ნახვა 2019 წლის 23 ივლისი);

პრეზიდენტ რონალდ რეიგანის სიტყვა „ბოროტების იმპერიის“ შესახებ https://www.youtube.com/watch?v=do0x-Egc6oA (ბოლო ნახვა 2018 წლის 15 მაისი);

ჟორდანია, ნ. *მოხსენება ტერიტორიულ ავტონომიაზე* http://prosopography.iliauni.edu.ge/factoid/article/7501 (ბოლო ნახვა 2019 წლის 23 აგვისტო);

უცხო ქვეყნებთან ფინანსურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებზე მოლაპარაკებების უწყებების გაცემა, 1918 წლის 22 თებერვალი http://prosopography.iliauni.edu.ge/factoid/article/8602 (ბოლო ნახვა 2019 წლის 23 აგვისტო);

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგები http://www.parliament.ge/ge/media/gamofena-parlamentshi/gamofena-referendumidan-damoukideblobamde/1991-wlis-31-martis-referendumis-shesaxeb (ბოლო ნახვა 2019 წლის 25 აგვისტო);

CONFERENCE ON SECURITY AND CO-OPERATION IN EUROPE FINAL ACT, Helsinki 1975 http://www.osce.org/helsinki-final-act?download=true (ბოლო ნახვა 2017 წლის 27 ივნისი);

Llewellyn, J., Southey, J., Thompson, Th. (2018). *Cold War timeline – 1980 to 1991.* https://alphahistory.com/coldwar/cold-war-timeline-1980-91/ (ბოლო ნახვა 2021 წლის 20 დეკემბერი).

კვლევის ფარგლებში ჩატარებული პირისპირ ინტერვიუები:

ბერძენიშვილი, ლ. (2017 წელი, ნოემბერი 13). პირადი კომუნიკაცია (პირისპირ ინტერვიუ);

დარჩიაშვილი, დ. (2017 წელი, ნოემბერი 7). პირადი კომუნიკაცია (პირისპირ ინტერვიუ);

ნოდია, გ. (2017 წელი, დეკემბერი 19). პირადი კომუნიკაცია (პირისპირ ინტერვიუ);

შარაშენიძე, თ. (2017 წელი, ნოემბერი 7). პირადი კომუნიკაცია (პირისპირ ინტერვიუ);

შველიძე, დ. (2017 წელი, დეკემბერი 8). პირადი კომუნიკაცია (პირისპირ ინტერვიუ);

ჩხეიძე, თ. (2017 წელი, ნოემბერი 17). პირადი კომუნიკაცია (პირისპირ ინტერვიუ);

წერეთელი, ი. (2017 წელი, ნოემბერი 7). პირადი კომუნიკაცია (პირისპირ ინტერვიუ);

ხაინდრავა, ი. (2017 წელი, ნოემბერი 17). პირადი კომუნიკაცია (პირისპირ ინტერვიუ);

ხოშტარია, გ. (2017 წელი, დეკემბერი 19). პირადი კომუნიკაცია (პირისპირ ინტერვიუ).